

დიმიტრი უზნაძე

1886-1950

შესავალი

დიმიტრი უზნაძე ქართული ფსიქოლოგიური სკოლის ფუძემდებელია, მისი სამეცნიერო მემკვიდრეობა მსოფლიო ფსიქოლოგიური მეცნიერების მონაპოვარიცაა. ამაზე ქართველი, და არა მხოლოდ ქართველი, ფსიქოლოგები საუბრობენ. 1944 წელს ცნობილმა შვეიცარიელმა ფსიქოლოგმა, ჟან პიაჟემ გამოსცა სტატია, სადაც იხმარა ტერმინი „უზნაძის ეფექტი“ ვიზუალური სფეროს ილუზიის¹ აღსაწერად. მაინც რას ნიშნავს, რაში გამოიხატება უზნაძის შრომების მნიშვნელობა და რა მემკვიდრეობა დაგვიტოვა მან?

როგორც მეცნიერმა, დიმიტრი უზნაძემ მოღვაწეობა ფილოსოფიაში დაიწყო. მისი სადოქტორო დისერტაცია – ვლადიმერ სოლოვიოვი:² მისი ეპისტემოლოგია და მეტაფიზიკა (1909) – ფილოსოფიური ნაშრომია. იგი მთელი სიცოცხლის მანძილზე აგრძელებდა მუშაობას ფილოსოფიაში და საინტერესო ნაშრომები შექმნა, რომელთა მნიშვნელობას ამ დარგის სპეციალისტები შეაფასებენ. უზნაძის ფილოსოფიური შრომები ორ ტომადაა გამოცემული და დაინტერესებულ მკითხველს შეუძლია მათ გაეცნოს. გარდა ფილოსოფიისა, დიმიტრი უზნაძე პედაგოგიკაშიც მოღვაწეობდა, რომელსაც დღეს განათლების მეცნიერებას უწოდებენ. მისი ინოვაციები განათლების მეცნიერებაში დღესაც თანამედროვედ და ნოვატორულად შეიძლება ჩაითვალოს. გარდა ამისა, დ. უზნაძემ გამოაქვეყნა ისტორიის სახელმძღვანელოები.

წინამდებარე ნაშრომში შევეხები დიმიტრი უზნაძის ფსიქოლოგიურ მემკვიდრეობას, კერძოდ, განვიხილავ მის ნაშრომს „განწყობის ფსიქოლოგია“, რომელიც 1940 წელს გამოქვეყნდა ცალკე თავად მისსავე ზოგადი ფსიქოლოგიის სახელმძღვანელოში. აქ უზნაძის მთავარი ფსიქოლოგიური იდეებია განვითარებული განწყობის თეორიის სახით. ამ იდეებს ის ჯერ ფილოსოფიის კუთხით განიხილავს და შემდგომ გადადის ფსიქოლოგიაზე, ამიტომ, მნიშვნელოვანია ამ ნაშრომში ერთმანეთისაგან განვასხვავოთ ფილოსოფიური და ფსიქოლოგიური ნაწილები, რაც, დამწყები მკითხველისათვის ადვილი არაა. შევეცდები ამაში დაგენმაროთ და ნაშრომის ფსიქოლოგიური მხარე გამოვყო, ვაჩვენო განწყობის თეორია, როგორც ფსიქოლოგიური თეორია.

1 იმ პერიოდში ფსიქოლოგები აქტიურად სწავლობდნენ ალქმის ილუზიებს, რაც, სხვა სიტყვებით, მცდარ ალქმას ნიშნავს, მაგალითად, საგანი უფრო დიდი გვეგონია, ვიდრე ის სინამდვილეშია, ან, სმენის ილუზიაა, როცა ხმა სხვა მხრიდან მოდის, მაგრამ ჩვენ სხვა მხარეს გვესმის და ა. შ.

2 რუსი ფილოსოფოსი, პოეტი (1853-1900)

როგორც უკვე აღვნიშნე, დიმიტრი უზნაძემ სამეცნიერო მოლაწეობა ფილოსოფიაში დაიწყო, ხოლო შემდგომ ფსიქოლოგიას მიუბრუნდა. ამითი მან ფსიქოლოგიის, როგორც მეცნიერების, განვითარების ისტორია გაიმეორა. ფსიქოლოგია ფილოსოფიის წიაღში წარმოიშვა და თავდაპირველად ფილოსოფიურ დისციპლინად ითვლებოდა, ეს იმამიც გამოიხატებოდა, რომ ფსიქოლოგიას ჰუმანიტარულ მეცნიერებად თვლიდნენ და უნივერსიტეტებში ფსიქოლოგიის მიმართულებები ფილოსოფიის ფაკულტეტებზე არსებობდა. ძირითადად, ეს ეხება ევროპას, სადაც ისახებოდა ფსიქოლოგია, როგორც მეცნიერება. პირველ ფსიქოლოგად სწორედ გერმანელი ვილჰელმ ვუნდტი ითვლება, რომელმაც შექმნა ექსპერიმენტული ფსიქოლოგია. დიმიტრი უზნაძე კი მისი მოწაფე იყო. ექსპერიმენტი ფსიქოლოგიაში საბუნებისმეტყველო მეცნიერებებიდან შევიდა და საბოლოოდ დაიმკვიდრა ადგილი, როგორც ფსიქოლოგიის კვლევის ძირითადმა მეთოდმა. დღეისათვის ექსპერიმენტული ფსიქოლოგია მაგისტრალურია, რაც ნიშნავს, რომ ფსიქოლოგიის ძირითად კვლევის მეთოდად ექსპერიმენტი აღიარებული.

განწყობის თეორიის გასაგებად მნიშვნელოვანია ექსპერიმენტული ფსიქოლოგიის ძირითადი მახასიათებლების გააზრება. ექსპერიმენტული ფსიქოლოგია ადამიანის ფსიქიკას სწავლობს, შეიძლება ითქვას, თვალსაჩინო გზით: იმისათვის, რომ რაღაც ვამტკიცო, საჭიროა ეს ფენომენი ჯერ ექსპერიმენტულად, ემპირიულად (გამოცდილებით) შევისწავლო. ამისათვის ექსპერიმენტულ ფსიქოლოგიას თავისი ენა აქვს, ჟარგონი.³ ამ ენაში აუცილებელია ისეთი ტერმინებით ოპერირება, როგორებიცაა ცვლადი, სქემა, გაზომვა, დამოუკიდებელი და დამოკიდებული, შუალედური ცვლადი, ექსპერიმენტატორი,⁴ ცდის პირი⁵ და ა. შ. აქ ყველა ამ ტერმინის განხილვას არ შევუდგები, თუმცა ცნება ცვლადის განმარტება აუცილებელია იმისათვის, რომ კარგად გავიგოთ დ. უზნაძის სამეცნიერო მემკვიდრეობა.

ცვლადი არის ყველაფერი ის, რაც იცვლება. ბუნებაში, ჩვენ გარშემო, ძალიან ბევრი ცვლადია და ბევრი თანამედროვე მეცნიერება ცვლადების ენაზე საუბრობს. ფსიქოლოგიას, ბუნებრივია, თავისი კვლევის სფეროს შესაბამისი ცვლადები აინტერესებს: ესენია ის ცვლადები, რომლებიც ადამიანის ფსიქიკას აღწერს. მაგალითად, ადამიანის მეხსიერების, ყურადღების, სხვადასხვა ემოციის, განვითარების ფაზების აღმწერი ცვლადები. ასეთი ცვლადი უამრავია.

ფსიქოლოგიისათვის მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ამ ცვლადების აღწერა, რაც მათი ფუნქციონირების სპეციფიკის შესწავლას საჭიროებს, არამედ, მათ შორის კავშირების, მიმართებების დადგენა. მაგალითად, როდესაც ფსიქოლოგიურ ტექსტში შეხვდებით ინფორმაციას იმის თაობაზე, რა სახის მეხსიერება არსებობს, და წაიკითხავთ მეხსიერების სხვადასხვა ფორმის დახასიათებას, იმას, თუ რა როლს ასრულებენ ისინი ფსიქიკის ფუნქციონირებაში, ამას მეხსიერების,

3 სამეცნიერო ენა, ტერმინოლოგია

4 ის, ვინც ატარებს ექსპერიმენტს

5 ის, ვიზეც ტარდება ექსპერიმენტი

როგორც ცვლადის აღწერა ეწოდება. თუ წაიკითხავთ და გაიგებთ იმის შესახებ, რომ ადამიანის ხანმოკლე მეხსიერების მიმდინარეობაზე მოქმედებს მისი ემოციები, ეს უკვე ცვლადებს შორის კავშირის დადგენა იქნება. შესაბამისად, ერთი ცვლადი იქნება ემოცია, ხოლო მეორე – ხანმოკლე მეხსიერება. ამ ორ ცვლადს შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირია ნაჩვენები, ანუ, ახსნილია, რომ ემოცია არის დამოუკიდებელი ცვლადი და ის მოქმედებს მეხსიერებაზე, ანუ, დამოკიდებულ ცვლადზე. ექსპერიმენტული ფსიქოლოგია ამ მიმართულებით განვითარდა და მისი მტკიცებულებები ამგვარ კვლევებზეა დაფუძნებული. მაგალითად, სოციალურ ფსიქოლოგიაში ცნობილია ექსპერიმენტულად დადასტურებული ისეთი მოვლენა, როგორცაა კონფორმიზმი, როდესაც, ადამიანი აზრს იცვლის ჯგუფის ზეგავლენით. ამ ექსპერიმენტებში ჯგუფის ზეგავლენა არის დამოუკიდებელი ცვლადი, ხოლო აზრის შეცვლა, ანუ, კონფორმიზმი – დამოკიდებული ცვლადი. სოლომონ ახმა ახლა უკვე კლასიკურად ქცეული ეს ექსპერიმენტი მეოცე საუკუნის ოციან წლებში ჩაატარა: ცდის პირს აჩვენა ნახაზი, სადაც ორი წრფე იყო გამოსახული, ერთი გრძელი და მეორე – შედარებით მოკლე. შემდეგ აჩვენა სამი წრფე, ხოლო ცდის პირს უნდა ეპასუხა, რომელი წრფე შეესაბამებოდა პირველად ნაჩვენები ორი წრფიდან ერთ-ერთს. პასუხი საკმაოდ ნათელია და ექსპერიმენტის მონაწილეები, როგორც წესი, შეცდომას არ უშვებენ. მაგრამ ისინი იცვლიან აზრს, ანუ ავლენენ კონფორმიზმს, თუ მათ გარდა ოთახში ცდის სხვა პირებიც არიან და ისინი არასწორ, მცდარ პასუხს ასახელებენ. სწორედ ამას ეწოდება კონფორმიზმი და სწორედ ეს არის ორ ცვლადს შორის კავშირის დამტკიცება.

დიმიტრი უზნაძის განწყობის თეორია, ექსპერიმენტული კვლევების საფუძველზე, ამტკიცებს იმას, რომ ადამიანს ახასიათებს მდგომარეობა, ქცევისადმი მზაობა, რომელსაც უზნაძემ განწყობა უწოდა. ეს ექსპერიმენტები ტექსტშია აღწერილი. მათი მეშვეობით ის ცდის პირებს განწყობას შეუმუშავებდა, ანუ, აჩვენებდა, რომ ადამიანებს ახასიათებთ განწყობის მდგომარეობა. ცდებს, როდესაც ექსპერიმენტატორი ცდის პირებს განწყობის მდგომარეობას შეუმუშავებს, უზნაძე საგანწყობო ფაზას უწოდებს, ხოლო ცდებს, როდესაც ამ მდგომარეობის დემონსტრირება ხდება – კრიტიკულ ფაზას. საგანწყობო ფაზაში ცდის პირებს სხვადასხვა ზომის ბურთებს აწვდიან, ხოლო კრიტიკულ ფაზაში ეს ბურთები ტოლია. იმის გამო, რომ საგანწყობო ფაზაში ცდის პირს განწყობა შეუმუშავდა, კრიტიკულ ფაზაში ის ტოლ ბურთებსაც არატოლად აღიქვამს, ანუ, ჩანს, რომ მას ბურთების არატოლად აღქმის განწყობა აქვს. შემდგომი ექსპერიმენტებით აღმოჩნდა, რომ სხვადასხვა ადამიანს განსხვავებული რაოდენობით ცდა ჭირდება განწყობის შესამუშავებლად, საგანწყობო ფაზა ზოგ ადამიანს უფრო მოკლე აქვს, ვიდრე სხვას. ამ კუთხით, მნიშვნელოვანი განსხვავება აღმოჩნდა ტიპური განვითარებისა და დარღვევების მქონე ცდის პირებს შორის, მაგალითად, შიზოფრენიის⁶ და ეპილეფსიის⁷ დიაგნოზის მქონეთ ეს პერიოდი ბევრად ხანმოკლე აქვთ. აგ-

6 შიზოფრენია – ფსიქიკური დაავადება/აშლილობა

7 ეპილეფსია – ნევროლოგიური (თავის ტვინის) დაავადება/აშლილობა.

რეთვე, შემდგომი ცდებით გაირკვა, რომ კრიტიკული ცდების მრავალჯერ გამეორების შემთხვევაში განწყობის მდგომარეობა თანდათან ქრება, ამას უზნაძემ განწყობის რეგრესული განვითარება უწოდა. განწყობის ჩაქრობის ეს პროცესიც ინდივიდუალური თავისებურებებით გამოირჩევა. ეს თავისებურებებიც აღწერა დ. უზნაძემ ამ ტექსტის დიფერენციალური ფსიქოლოგიის ქვეთავში.

როგორც ზემოთ აღვნიშნე, საგანწყობო ცდების გარკვეული რაოდენობაა საჭირო განწყობის შესამუშავებლად, თუმცა ავტორი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ განმეორება მხოლოდ განმტკიცების ფუნქციას ასრულებს და ყოველდღიურ ცხოვრებაში ხშირად ასე არ ხდება – განწყობა მყისიერად აღმოცენდება, ამისათვის საჭიროა მისი ორი მთავარი კომპონენტის – მოთხოვნილების და სიტუაციის არსებობა. ადამიანს, ორგანიზმს უნდა გაუჩნდეს ესა თუ ის მოთხოვნილება, ამავე დროს, უნდა არსებობდეს ამ მოთხოვნილების დაკმაყოფილების შესაძლებლობა და მხოლოდ მაშინ გაჩნდება განწყობა.

განწყობა, თავის მხრივ, ქცევის განხორციელებისადმი მზაობაა – ქცევა ვერ განხორციელდება, თუ ადამიანს არ შეუძლება განწყობა, ანუ, ქცევისადმი მზაობა. ეს მზაობა კი მას მხოლოდ მოთხოვნილების საფუძველზე ვერ გაუჩნდება, საჭიროა სათანადო სიტუაცია, ანუ, სხვა სიტყვებით, გარემო პირობები. აქ ლიმიტრი უზნაძე სამწვერიან მოდელს გვთავაზობს, რომელსაც თანამედროვე ექსპერიმენტული ფსიქოლოგიის თვალსაზრისით სამცვლადიანი მოდელი შეგვიძლია ვუწოდოთ. ნაშრომში „განწყობის ფსიქოლოგია“ უზნაძე კრიტიკულად განიხილავს ქცევის იმდროინდელ ორ მოდელს, ორივე მათგანი ორცვლადიანია. მექანიცისტური შეხედულების მიხედვით, ქცევას იწვევს გარემო, ხოლო ვიტალისტური შეხედულების მიხედვით, ქცევას იწვევს ადამიანის ფსიქიკა. უზნაძე კი გვთავაზობს სამცვლადიან მოდელს, სადაც ორივე – მექანიცისტური და ვიტალისტური მოდელია გაერთიანებული, აქ გარემოც არის და ფსიქიკაც:

მოდელი 1, მექანიცისტური

გარემო ⇨ ქცევა

მოდელი 2, ვიტალისტური

ორგანიზმი ⇨ ქცევა

მოდელი 3, უზნაძის

გარემო ⇨ ორგანიზმი ⇨ ქცევა

ეს სიახლე თანამედროვე ფსიქოლოგიის თვალსაზრისით უაღრესად მნიშვნელოვანია. ემპირიული კვლევებით თავდაპირველად ძირითად ორცვლადიან მოდელს სწავლობდნენ, მხოლოდ XX საუკუნის 70–იანი წლებიდან დაიწყეს სამცვლადიანი მოდელის განხილვა და შესწავლა, რადგან ამ დროისათვის საინფორმაციო ტექნოლოგიები იმდენად განვითარდა, რომ ამგვარი მოდელის რაოდენობრივი შემოწმება შესაძლებელი გახდა. თანამედროვე ენით ლიმიტრი უზნაძის მიერ შემოთავაზებულ მოდელს მედიაციური ეწოდება: მოთხოვნილება და სიტუაცია ერთად აღებული იწვევს განწყობას, ხოლო, ის, თავის მხრივ, იწ-

ვევს ქცევას. მეტიც, ამ მოდელში ოთხი ცვლადია, ორი დამოუკიდებელი ცვლადი, რომელთა ურთიერთქმედება იწვევს განწყობის აღმოცენებას, ხოლო განწყობა მედიატორის როლს თამაშობს ამ ორ ცვლადსა და ქცევას შორის. ქცევა – დამოკიდებული ცვლადია.

უზნაძის მოდელი დაზუსტებული:

მოთხოვნილება

სიტუაცია ⇨ განწყობა ⇨ ქცევა

ამრიგად, დიმიტრი უზნაძემ ქცევის ახსნის საკუთარი მოდელი, თეორია შემოგვთავაზა. ის გვეუბნება, როგორ ახორციელებს ადამიანი ქცევას. ამ კითხვაზე პასუხს გვაძლევენ სხვა მეცნიერებების წარმომადგენლებიც, მაგალითად, ფიზიოლოგები, მაგრამ უზნაძემ ქცევის ფსიქოლოგიური ახსნა/მოდელი შეიმუშავა და სწორედ ამასია მისი მემკვიდრეობის უდიდესი მნიშვნელობა. 1940 წელს დიმიტრი უზნაძემ ზოგადი ფსიქოლოგიის სახელმძღვანელო გამოსცა, რომელსაც გამორჩეული ადგილი უჭირავს მის მემკვიდრეობაში და უაღრესად საინტერესო ნაშრომია იმ კუთხით, რომ მისი აგებულია ფსიქიკურ პროცესებზე ავტორის ფუნდამენტურ თეორიულ შეხედულებებს ასახავს. ფსიქოლოგიის არც ერთი სხვა სახელმძღვანელო არაა აგებული ამგვარი პრინციპით. მაგალითისათვის, ემოციების ფსიქოლოგიის თავი წინ უსწრებს ქცევის თავს, რადგან დიმიტრი უზნაძე ემოციას ქცევის მამოძრავებელ ძალად მიიჩნევდა. თავის მხრივ, ქცევის თავი იშვიათად თუ შეგვხდება ამგვარ წიგნებში.

ფსიქოლოგიის ისტორიის და საერთოდ, ფსიქოლოგიის მეცნიერების კუთხით მნიშვნელოვანია ვიცოდეთ, რომ მრავალი ტერმინი დღეს სხვა მნიშვნელობით იხმარება, ან, მათ სხვა სახელწოდება აქვთ. მაგალითად, ნორმის და დარღვევის ნაცვლად ახლა გამოიყენება ტერმინები ტიპური და დარღვევა, ცდის პირთან ერთად გამოიყენება ტერმინი კვლევის/ექსპერიმენტის მონაწილე – ამ სხვაობებს საფუძვლად ის უდევს, რომ ადამიანი ამჯერად უფრო აქტიურის, მომქმედის როლში აღიქმება. ტერმინი, დიფერენციალური ფსიქოლოგია დღეს აღარ გამოიყენება, ახლა ეს პიროვნების ფსიქოლოგიის ნაწილია, რომელიც, თავის მხრივ, პრაქტიკულად შეერწყა სოციალურ ფსიქოლოგიას. მკითხველი ყურადღებას მიაქცევს იმას, რომ უზნაძე იყენებს ტერმინს „ბურჟუაზიული ფსიქოლოგია“, ეს იმ ეპოქის კონიუნქტურითაა განპირობებული, რომელშიც დიმიტრი უზნაძეს უნდებოდა ნაშრომების წერა და გამოქვეყნება. ეს საბჭოთა კავშირის პერიოდი იყო, როდესაც საბჭოთა ტერმინოლოგია დამკვიდრდა და საბჭოთა ცენზურა ამუშავდა. სიტყვით „ბურჟუაზიული“ აღინიშნებოდა დასავლეთ ევროპისა და აშშ-ს კაპიტალისტური ქვეყნები, უფრო სწორად, ამ ქვეყნებში არსებული ცხოვრების სტილი და ღირებულებები, ის, რასაც საბჭოთა მორალი და იდეოლოგია მიუღებლად თვლიდა და ემიჯნებოდა. ამით საბჭოთა კავშირის მოქალაქეებს ახსენებდნენ, რომ ისინი მორალით და ღირებულებებით არა მხოლოდ განსხვავდებიან, არამედ, უფრო მაღლა დგანან ბურჟუაზიული ქვეყნების მოქალაქეებზე. ტექსტში

ასევე შეხვედებით კომუნისტური იდეოლოგიის ერთ-ერთი ფუძემდებლის, ფრიდ-რიხ ენგელსის ციტატებს; დ. უზნაძის სხვა ტექსტებში მრავლად არის ვლადიმერ ლენინის, კარლ მარქსის ციტატები.⁸ დიმიტრი უზნაძე იძულებული იყო ამგვარად მოქცეულიყო, სხვანაირად, მისი ნაშრომები დღის სინათლეს ვერ იხილავდა და, შესაძლებელია, თავად ავტორიც დაზარალებულიყო. პროფესორი გიორგი კეჩხუაშვილი იხსენებდა, რომ მოსკოვიდან პერიოდულად ჩამოდიოდა სპეციალური კომისია, რომელიც უზნაძის ნაშრომების საბჭოთა და კომუნისტურ სულისკვეთებას ამოწმებდა და თუ ეს არ დადასტურდებოდა, მათ აკრძალავდნენ. ეს უზნაძის გარდაცვალების შემდეგაც გრძელდებოდა.

დიმიტრი უზნაძის წვლილის მნიშვნელობა კიდევ უფრო გაიზრდება, თუ გავიხსენებთ, რომელ პერიოდში უნდებოდა მას მოღვაწეობა, იმასაც, რომ ის არა მხოლოდ თეორიულ და ექსპერიმენტულ ნაშრომებს ქმნიდა, არამედ, უდიდესი პრაქტიკული მნიშვნელობის საქმიანობას ეწეოდა. დააარსა ფსიქოლოგიის კვლევითი ინსტიტუტი, რომელიც დღესაც მის სახელს ატარებს, ფსიქოლოგიის კათედრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, რომელიც, დღეს ფსიქოლოგიის ფაკულტეტია, შექმნა ფსიქოლოგიური სკოლა – აღზარდა შესანიშნავ მოწაფეთა არაერთი თაობა. ბევრმა მათგანმა გააგრძელა ექსპერიმენტული კვლევები განწყობის ფსიქოლოგიაში და გაამდიდრა უზნაძის თეორია. XX საუკუნის ოცდაათიან წლებში, როდესაც დიმიტრი უზნაძის თეორია ჩამოყალიბდა, ფსიქოლოგიაში არც თუ ისე ბევრი მაკროდონის თეორია არსებობდა და ამ მხრივ არც დღეს ვართ განებივრებული. წმინდად ფსიქოლოგიური თეორია, რომელიც ექსპერიმენტულად არის დამტკიცებული, იმ დროს ძალიან ცოტა იყო. ფსიქოლოგიური თეორიების უმეტესობა მიკროდონისაა, ანუ, მცირე მასშტაბის, მაკროდონის თეორია კი ფართე მასშტაბის თეორიაა, რომელიც ცდილობს, ახსნას მსხვილი პროცესები, როგორიცაა, მაგალითად, ქცევა. დიმიტრი უზნაძემ სწორედ ქცევის ამხსნელი თეორია შეიმუშავა, განწყობის თეორია.

8 მარქსი, ენგელსი, ლენინი – საბჭოთა კავშირში უმნიშვნელოვანეს ავტორებად ითვლებოდნენ, რადგან სოციალისტურ იდეებს ქადაგებდნენ (ლენინი ამ იდეებს ახორციელებდა კიდევც), ამიტომ, იმ პერიოდის ნაშრომებში ამ ავტორების ციტირება აუცილებელი იყო.

ბანწყობის ფსიქოლოგია

ბანწყობა

1. მიზანშეწონილობის პრობლემა: მექანიციზმი და ვიტალიზმი – ორგანიზმი როგორც მთლიანი მოქმედობს, იგი როგორც მთლიანი უპასუხებს გარემოს ზემოქმედებას; და ამის შესაძლებლობას მას, როგორც ზემოთ დავინახეთ, მისი საოცარი ანატომიური და ფიზიოლოგიურ თავისებურება აძლევს. მაგრამ ამ მთლიან მოქმედებას მხოლოდ იმ შემთხვევაში ექნებოდა აზრი, თუ რომ იგი მიზანშეწონილად წარიმართებოდა, ე.ი. თუ რომ იგი ორგანიზმს მისი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისა და გარემოსთან საზოგადოდ უკეთ შეგუების შესაძლებლობას მისცემდა. ჩვენ ვიცით, რომ ცოცხალ ორგანიზმის სწორედ ასეთი მიზანშეწონილი მოქმედების უნარი ახასიათებს: უამისოდ იგი დაიღუპებოდა, უამისოდ სიცოცხლე საზოგადოდ შეუძლებელი იქნებოდა, უამისოდ მის მოქმედებას არავითარი აზრი არ ექნებოდა.

და აი იხადება საკითხი: როდის არის ეს მიზანშეწონილი მოქმედება შესაძლებელი? როგორ ახერხებს ორგანიზმი მას? ამ ძველადძველ საკითხზე ორი განსხვავებული პასუხი იყო დღემდე ბურჟუაზიულ მეცნიერებაში გავრცელებული: მექანიცტური და ვიტალისტური. თანახმად მექანიცტური შეხედულებისა, ორგანიზმის მოქმედებას წმინდა მექანიკური კანონზომიერება განსაზღვრავს: ორგანიზმი ნამდვილი მანქანაა, რომლის მუშაობაც გარედან მომდინარე ზეგავლენაზეა დამოკიდებული. თავისი უკიდურესი გამოხატულება მექანიციზმმა დეკარტის ცნობილ შეხედულებაში ჰპოვა, რომლის მიხედვითაც ცხოველი ნამდვილ მანქანას, ავტომატს წარმოადგენს, და მისი ქცევის მიზანშეწონილობა მისი აქტიური ჩარევის გარეშე ისახება. თანამედროვე ფსიქოლოგიურ მეცნიერებაში მექანიციზმს განსაკუთრებით ე.წ. რეფლექსოლოგია და ბიჰევიორიზმი იცავენ: მათი რწმენით, ცხოველისა და ადამიანის ქცევის გასაგებად, ბოლოს და ბოლოს, მხოლოდ ფიზიკურ-ქიმიკური კანონზომიერების შესწავლაა საკმარისი, იმიტომ რომ ცოცხალი ორგანიზმის ქცევაც ბუნების მოვლენაა, იგი არაფერს სპეციფიკურს არ შეიცავს და, როგორც ყველაფერი ბუნებაში, ფიზიკურ-ქიმიკურ პროცესებზე უნდა იქნეს დაყვანილი.

ვიტალისტური შეხედულება სულ სხვა პოზიციაზე დგას. მისი აზრით, ცხოველის მოქმედების მიზანშეწონილების ფიზიკო-ქიმიკურად ახსნა დამარწმუნებელი არაა. ორგანიზმი, როგორც სიცოცხლის მატარებელი, არსებითად განსხვავდება არაორგანული ნივთიერებისაგან, და იმიტომ მის მოქმედებას სრულიად თავისე-

ბური ფაქტორი განსაზღვრავს: ორგანიზმის ქცევის მიზანშეწონილება ფიზიკო-ქიმიკური პროცესების ნიადაგზე როდი აიგება; იგი სპეციფიკური ფაქტორიდან გამომდინარეობს, რომელსაც ყოველი ცოცხალი ორგანიზმი შეიცავს. ეს ფაქტორი წმინდა არამატერიალურ არსს ან ძალას წარმოადგენს. ზოგი მას ენტელექიას უწოდებს, ზოგი ფსიქოიდს, ზოგი სასიცოცხლო ენერგიას. იგი დამოუკიდებლად მოქმედობს ორგანიზმზე და შიგნიდან წარმართავს მას ამა თუ იმ მიმართულებით, იმის მიხედვით, თუ რა სჭირდება ორგანიზმს ამჟამად. ასე ჩნდება მიზანშეწონილი ქცევა. ეს უკანასკნელი, მაშასადამე, ახსნას არ მოითხოვს: ცოცხალ ორგანიზმს იმთავითვე აქვს თანდართული საგანგებო ძალა, რომელიც მას მიზანშეწონილი მოქმედების უნარს ანიჭებს. ასეთია ვიტალისტური თვალსაზრისი.

თავისთავად იგულისხმება, არც ერთი ეს თვალსაზრისი არაა მისაღები. მექანიციზმი ცოცხალი ორგანიზმის სპეციფიკურობას უარყოფს. მაშასადამე, სიცოცხლეს მისთვის განვითარების ახალ საფეხურს არ წარმოადგენს: იგი კვლავ არაორგანული ნივთიერების კანონზომიერებათა ფარგლებში რჩება. ვიტალიზმი მეორე უკიდურესობაში ვარდება: იგი ორგანულსა და არაორგანულს შორის გარდუვალ უფსკრულს თხრის, მათ შორის აბსოლუტურ განსხვავებას სჭერტს, რამდენადაც იმას, რაც სპეციფიკურია ორგანიზმისათვის, არამატერიალურად აცხადებს.

ეს საკითხი მხოლოდ მატერიალისტური დიალექტიკის ნიადაგზე შეიძლება გადაწყდეს: ორგანულსა და არაორგანულს შორის უფსკრული არ არსებობს: რამდენადაც ორგანულიც მატერიის მოძრაობის ერთ-ერთ ფორმას წარმოადგენს, ისიც არაორგანულის მსგავსად, მატერიალურის კანონზომიერებას ემორჩილება. მაშასადამე, ყველაფერი, რაც მასში ხდება, გარკვეული ფიზიკურ-ქიმიკური მიზეზით უნდა იქნეს ახსნილი: ორგანული, ცოცხალი, ისე როგორც არაორგანულიც, მიზეზ-შედეგთა უწყვეტ ჯაჭვშია ჩართული; და იმისთვის, რომ მასში რაიმე მოვლენის გაგება მოახერხო, უთუოდ მისი მიზეზი უნდა გამოიხატოს. ერთი სიტყვით, ყველაფერი მიზეზით არის განსაზღვრული.

ვიტალიზმის ძირითადი შეცდომა ისაა, რომ ორგანიზმში იგი ძალის არსებობას გულისხმობს, რომლის მოქმედებასაც მიზეზი კი არა, მიზანი განსაზღვრავს: თუ ორგანიზმისათვის, მაგ: ესა და ეს მოძრაობაა ხელსაყრელი, საჭირო, ერთი სიტყვით, მიზანშეწონილი, ეს ძალა სწორედ ამ მოძრაობას წარმოაქმნევინებს მას. მაგრამ არც ისაა სწორი, რასაც მექანიზმი უჭერს მხარს: მართალია, ორგანულიც მატერიის მოძრაობის ერთ-ერთი ფორმაა, და მისი არაორგანულისაგან სრული მოწყვეტა არ შეიძლება. მაგრამ იგი ცოცხალი მატერიაა და, როგორც უფრო მაღალი ფორმა მატერიის განვითარებისა, მისი ორგანულობის უმაღლეს საფეხურს წარმოადგენს. როგორც ასეთი, იგი ახალ რომელიმე თვისებებზე შეიცავს და, მაშასადამე, მთლიანად არაორგანულის კანონზომიერებაზე ვერ დაიყვანება: იგი ახალ, სპეციფიკურ კანონზომიერებას, ბიოლოგიურ კანონზომიერებას გულისხმობს, რომლის გარეშეც ორგანიზმის მოქმედების გაგება სრულიად შეუძლებელი იქნებოდა.

2. მიზანშეწონილების პრობლემა: განწყობა – როგორ უნდა გავიგოთ ორგანიზმის ეს სპეციფიკური თავისებურება? ენგელსი ამბობს, რომ „მიზანშეწონილი მოქმედება ჩანასახში ყველგან არსებობს, სადაც კი პროტოპლაზმა არის, სადაც ცოცხალი ცილა არსებობს და რეაგირებს, ე.ი. თუნდ სულ მარტივ მოძრაობას იძლევა, როგორც შედეგს გარედან მომდინარე გარკვეული გაღიზიანებისას. ასეთ რეაქციას აქაც კი აქვს ადგილი, სადაც ჯერ კიდევ არავითარი უჯრედი არ არსებობს, მით უმეტეს, ნერვული უჯრედი“-ო.

მაშ, ნათელია, რომ ყოველი ცოცხალი არსისათვის, ყოველი მეტად თუ ნაკლებად რთული ორგანიზმისათვის ძირითადში მიზანშეწონილი ქცევაა დამახასიათებელი. იგი არის ის სპეციფიკური თავისებურება, რომელიც ორგანული მატერიის რომელიმე მონაპოვარს წარმოადგენს და არაორგანული სათვის სრულიად უცხოა. ჩვენი პრობლემა, მამასადამე, იმაში მდგომარეობს, რომ გავარკვეოთ, თუ როგორაა შესაძლებელი, რომ ორგანიზმის, როგორც მატერიის ერთ-ერთი ფორმის, ქცევა უდაოდ მიზეზობრივად იყოს განსაზღვრული, მაგრამ იმავე დროს მიზანშეწონილობითაც ხასიათდებოდეს.

ვნახოთ ჯერ, საიდანაა, რომ ცოცხალი არსების ქცევა მიზანშეწონილი ხასიათისაა. უდაოა, რომ ქცევის ეს ნიშანი ცოცხალი ორგანიზმის რომელიმე განსაკუთრებით სპეციფიკური თავისებურებებიდან უნდა გამოდინარეობდეს. მამასადამე, პირველ რიგში გამოსარკვევია, თუ რა უნდა ჩაითვალოს ამ სპეციფიკურ თავისებურებად, ისეთ თავისებურებად, რომ მის გარეშე ცოცხალი ორგანიზმის არსებობაც კი შეუძლებელი იყოს.

დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ცოცხალი ორგანიზმის ძირითადი განსაკუთრებით ნიშანდობლივი თავისებურება, რომლითაც იგი მკვეთრად განსხვავდება არაორგანული სხეულისაგან, ისაა, რომ იგი გარემოსთან ნივთიერებათა გაცვლა-გამოცვლის განუწყვეტელ ურთიერთობაში იმყოფება. როგორც ყველამ იცის, გარეშე ამ ურთიერთობისა, სიცოცხლე სრულიად შეუძლებელი იქნებოდა. „სიცოცხლე ცილოვან ნივთიერებათა არსებობის ფორმაა, რომლის არსებითს მომენტსაც გარემო ბუნებასთან ნივთიერებათა მუდმივი გაცვლა-გამოცვლა შეადგენს და რომელიც ამ გაცვლა-გამოცვლის შეწყვეტასთან ერთად ისპობა“-ო, ამბობს ენგელსი. რასაკვირველია, ნივთიერებათა გაცვლა-გამოცვლის შესახებ არაორგანულ სინამდვილეშიც შეიძლება ლაპარაკი, იმიტომ, რომ ქიმიკური პროცესებს არსებობა ყველგან დასტურდება. მაგრამ აქ სულ სხვაგვარ გაცვლა-გამოცვლასთან გვაქვს საქმე: „არაორგანულ სხეულთა შემთხვევაში ნივთიერებათა გაცვლა-გამოცვლა არღვევს მათ, ხოლო ორგანულ სხეულთა შემთხვევაში იგი მათი არსებობის აუცილებელ პირობას წარმოადგენს“-ო, გვეუბნება ენგელსი. ამიტომ ნივთიერებათა გაცვლა-გამოცვლა, ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით, მხოლოდ ცოცხალი ორგანიზმისთვისაა დამახასიათებელი.

ამრიგად, ჩვენ ვხედავთ, რომ ცოცხალი არსების სპეციფიკურ თავისებურებას, განვითარების რა საფეხურზეც უნდა იდგეს იგი, ყველგან ნივთიერებათა გაცვლა-გამოცვლა შეადგენს.

სხვანაირად ეს იმას ნიშნავს, რომ ცოცხალ ორგანიზმს ის გარემოება ახასიათებს, რომ იგი ყოველთვის რაიმე მოთხოვნილების მატარებელია, რომ მას ყოველთვის რაიმე მოთხოვნილება, პირველ რიგში, ნივთიერი მოთხოვნილება აქვს. არაორგანული სხეულის შესახებ ამის თქმა, რასაკვირველია, არ შეიძლება: ნივთიერების გაცვლა-გამოცვლა მას არ ესაჭიროება, მოთხოვნილება მას არა აქვს.

ამრიგად, ჩვენ ვრწმუნდებით, რომ ცოცხალ ორგანიზმს ორი თავისებურება აქვს, რომლის მსგავსსაც არაორგანულ სინამდვილეში ვერაფერს ვხვდებით: ერთი – მიზანშეწონილი ქცევა და მეორე – მოთხოვნილება.

ძნელი შესამჩნევი არაა, რომ მათ შორის უეჭველი კავშირი არსებობს: მიზანშეწონილ ქცევას მოთხოვნილების ფაქტი უდევს საფუძვლად. თუ ცოცხალი ორგანიზმი ქცევის აქტს მიმართავს, ამას მხოლოდ იმიტომ შერება, რომ სხვანაირად მოთხოვნილების დაკმაყოფილება შეუძლებელია. მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების საშუალებებს მხოლოდ გარებუნება შეიცავს. მაშასადამე, ცოცხალი არსება იძულებული ხდება, ბუნებასთან სათანადო ურთიერთობა დაამყაროს, ე.ი. გარკვეულ ქცევის აქტებს მიმართოს.

მაშასადამე, უდავოა, რომ ქცევა საზოგადოდ მოთხოვნილების ნიადაგზეა აღმოცენებული, რომ იგი მოთხოვნილების პროდუქტს წარმოადგენს.

მაგრამ რატომაა, რომ ეს ქცევა მიზანშეწონილია? როგორ ახერხებს ორგანიზმი, რომ სწორედ მიზანშეწონილ ქცევას მიმართავს? უნდა ვიფიქროთ, რომ ეს საკითხიც მოთხოვნილების ცნებასთან დაკავშირებით უნდა გადაწყდეს.

სანამ სხეული მოკლებულია მოთხოვნილებას, მასსა და დანარჩენ სინამდვილეს შორის სრულიად ინდიფერენტული დამოკიდებულება არსებობს: რა იმოქმედებს და რამდენად იმოქმედებს ამ სხეულზე, ეს სულერთია. იგი თავიდან ბოლომდე პასიურად განიცდის ამ ზემოქმედებას. მაგრამ რა წამს სხეულს მოთხოვნილება უჩნდება, იმ მომენტიდან სინამდვილესა და მას შორის ინდიფერენტული ურთიერთობის გაგრძელება შეუძლებელი ხდება: ამიერდან ცოცხალი ორგანიზმი იმიტომ ამყარებს სინამდვილესთან ურთიერთობას, რომ მას მოთხოვნილება აქვს, რომლის დაკმაყოფილებაც ამ ურთიერთობის გარეშე შეუძლებელია. ამიერიდან, რასაკვირველია, სულერთი აღარაა მისთვის, თუ რა იმოქმედებს და როგორ იმოქმედებს ამ სინამდვილიდან მასზე. ამიერიდან, რასაკვირველია, სულერთი აღარაა მისთვის, თუ რა იმოქმედებს და როგორ იმოქმედებს ამ სინამდვილიდან მასზე. ამიერიდან იგი გარემოსთან, როგორც არა ინდიფერენტულ რალაცასთან, არამედ როგორც თავისი მოთხოვნილების სიტუაციასთან, აწესებს კავშირს.

მაშასადამე, თუ აქამდე სხეულსა და გარემოს მოვლენათა შორის მხოლოდ შემთხვევითი დამოკიდებულება არსებობდა, ამიერიდან ცოცხალი ორგანიზმისა და გარემოს ურთიერთობა მოთხოვნილების ნიადაგზე ყალიბდება. ეს იმას ნიშნავს, რომ ამიერიდან ყველაფერი კი არ იმოქმედებს გარესინამდვილეში ცოცხალ არსებაზე, არამედ მხოლოდ ის, რაც მისი მოთხოვნილების დაკმაყოფილების პირობებს შეიცავს, ე.ი. რაც ყოველს მოცემულ მომენტში აქტუალური მოთხოვნილების დაკმაყოფილების სიტუაციას წარმოადგენს.

ამნაირად, ნათელი ხდება, რომ მოთხოვნილების მატარებელს ცოცხალ ორგანიზმზე გარემოს ცალ-ცალკე მოვლენები კი არ აწარმოებენ ზემოქმედებას, არამედ ამ მოვლენების მთელი სისტემა, რამდენადაც ისინი აქტუალური მოთხოვნილების დაკმაყოფილების პირობებს შეიცავენ, ე.ი. რამდენადაც ისინი მის სიტუაციას წარმოადგენენ.

მაგრამ მოთხოვნილების ფაქტი არა მარტო ამას ხდის გასაგებად, ე.ი. იმ გარემოებას, რომ ცოცხალ ორგანიზმზე გარემო, როგორც მოვლენათა შემთხვევითი თავყრილობა კი არა, როგორც განსაზღვრული სიტუაცია, როგორც გარკვეული მთლიანი სისტემა, ახდენს ზეგავლენას. მოთხოვნილების ფაქტი მეორე მნიშვნელოვან გარემოებასაც უდევს საფუძვლად, სახელდობრ შემდეგს: არაორგანული სხეული ყოველთვის მხოლოდ ობიექტს წარმოადგენს სხვა ობიექტთა გვერდით – მას არაფერი აქვს ისეთი, რომ მისს სწორედ ასეთს და არა ისეთ დამოკიდებულებას მოითხოვდეს სხვა ობიექტებთან – მას არაფერი აქვს ისეთი, რომ მას რაიმე ქცევას ავალბედს. მაგრამ რა წამს სხეულს მოთხოვნილება უჩნდება, მდგომარეობა მაშინვე იცვლება: გარესინამდვილე ეხლა მისი მოთხოვნილების დაკმაყოფილების საშუალებად, მისი მოთხოვნილების დაკმაყოფილების სიტუაციად იქცევა. მაშასადამე, ორგანული სხეული, იმისდა მიხედვით, თუ რა მოთხოვნილება აქვს მას, იძულებული ხდება, ამა თუ იმ გარკვეული ხასიათის ურთიერთობა დაამყაროს გარესინამდვილესთან – იგი იძულებული ხდება, გარკვეული ქცევის აქტებს მიმართოს.

ამრიგად, ჩვენ ვხედავთ, რომ მოთხოვნილების ფაქტის ნიადაგზე ცოცხალი ორგანიზმი ინდივიდალ ქცევის სუბიექტად იქცევა, ხოლო მასზე მოქმედი გარესინამდვილე მოთხოვნილების დაკმაყოფილების სიტუაციად.

რას ნიშნავს ეს? უწინარეს ყოვლისა, ნათელი ხდება, რომ გარესინამდვილე ცოცხალ არსებაზე, როგორც ინდივიდზე, როგორც მოთხოვნილების სუბიექტზე ახდენს ზემოქმედებას – ე.ი. ცოცხალი არსების არა რომელიმე ნაწილობრივ მომენტზე, მის რომელსაღამე ძალაზე ან ფუნქციაზე, არამედ მასზე, როგორც მთლიანზე, როგორც ინდივიდზე, როგორც მოთხოვნილების სუბიექტზე. მაშასადამე, ნათელი ხდება ისიც, რომ გარესინამდვილის ზემოქმედების ეფექტი პირველ რიგში ცოცხალ არსებაში, როგორც მოთხოვნილების სუბიექტში, როგორც ინდივიდში, იჩენს თავს, და მაშასადამე, მხოლოდ მთლიანობითი ხასიათის შეიძლება იყოს. უკეთ რომ ვთქვათ: ეს ეფექტი მოთხოვნილების სუბიექტში რაიმე ნაწილობრივი ცვლილების სახით კი არ უნდა იჩენდეს სადმე თავს, არამედ თვითონ ინდივიდის ცვლლებას, თვითონ ინდივიდის მოდიფიკაციას უნდა წარმოადგენდეს.

მაგრამ როგორია შინაარსეულად ეს მთლიანობითი ეფექტი, ეს ინდივიდის, როგორც მოთხოვნილების სუბიექტის გადასხვაფერება ან გადახალისება? გადამწყვეტი მნიშვნელობა ჩვენთვის ამ საკითხის გადაჭრას აქვს, იმიტომ, რომ ჩვენი ძირითადი საკითხის გადაწყვეტა მთლიანად მასზეა დამოკიდებული.

გარესინამდვილე ცოცხალ არსებაზე, როგორც ინდივიდზე, მაშასადამე, როგორც მთელზე მოქმედობს. მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ იგი ამ შემთხვევაში, რო-

გორც განსაზღვრული მოთხოვნების დაკმაყოფილების სიტუაცია მოქმედობს მასზე, როგორც სისტემა, რომელიც ამ მოთხოვნების დაკმაყოფილების პირობებს შეიცავს. მაშასადამე, იმ ეფექტში, რომელსაც იგი სუბიექტში იწვევს, გარესინამდვილე შეიძლება მხოლოდ როგორც განსაზღვრული მოთხოვნების დაკმაყოფილების სიტუაცია – და არა როგორც შემთხვევითი და ინდიფერენტული გარემო – იყოს ასახული. მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ ეს ეფექტი თვითონ სუბიექტის მოდიფიკაციას, თვითონ სუბიექტის გადახალისებას, მის გადასტრუქტურებას წარმოადგენს, და არა რაიმე ნაწილობრივ ცვლილებას, რომელიც ცოცხალი არსების რომელსამე კერძო მხარეს ეხება. ეს კი, ცხადია, შეიძლება მხოლოდ იმას ნიშნავდეს, რომ გარესინამდვილესთან ურთიერთობის პროცესში, ქცევის სუბიექტი, რომელიც ამ მოთხოვნების დაკმაყოფილებას ესწრაფვის, ამ უკანასკნელის სიტუაციის შესატყვისად იცვლება. მაშასადამე, იგი, როგორც მთელი, როგორც ქცევის სუბიექტი უკვე მანამდე, სანამ მოქმედებას დაიწყებდეს, თავისი მოთხოვნების სიტუაციის შესატყვისი მოდიფიკაციას განიცდის, და ამიტომ მისი მომავალი მოქმედება მოცემული სიტუაციის შესატყვისად მოდიფიცირებული არსების მოქმედებას წარმოადგენს. მაშასადამე, როგორ იმოქმედებს მოცემულ სიტუაციაში ესა თუ ის ცოცხალი არსება, ეს განსაზღვრულ ფარგლებში, უკვე მანამ არის გარკვეული, სანამ მოქმედება დაიწყებოდეს: ეს უკანასკნელი მოცემულია იმ მოდიფიკაციის სახით, რომელსაც სუბიექტი გარემოს ზემოქმედების შედეგად განიცდის.

მაგრამ თუ იგი მანამდეა მოცემული, სანამ დაიწყებოდეს, ცხადია, იგი მხოლოდ როგორც წინასწარი მიდრეკილება, როგორც გარკვეული მოქმედების ტენდენციაა მოცემული. მაშასადამე, ქცევას წინ უსწრებს სუბიექტის მდგომარეობა, რომელშიც, როგორც ობიექტური სიტუაციის ასახვაში, ამ ქცევის საერთო ხასიათი, მისი ძირითადი რაგვარობა მისი ობიექტური ვითარების შესატყვისობა წინასწარაა განსაზღვრული.

რა უნდა ვუწოდოთ ამ სპეციფიკურ მდგომარეობას? ფსიქოლოგიაში კარგა ხანია ერთი ფაქტია შენიშნული, რომელიც განსაკუთრებით ამ ბოლო ხანებში „განწყობის“ სახელწოდებით აღინიშნება ხოლმე. ამ ფაქტის ერთ-ერთ ნიმუშად შემდეგი შეიძლება ჩაითვალოს: როდესაც ადამიანი, ვთქვათ, პურის შესახებ რუსს ესაუბრება, მას ენაზე თავისთავად რუსული სიტყვა *хлеб* ადგება. ხოლო როდესაც იგი, მაღალ, გერმანელთან დაიწყებს საუბარს, მაშინ მას კი არა, შესაფერი გერმანული სიტყვა (*Brot*) აგონდება. რატომ? რა უდევს ამ გარემოებას საფუძვლად? პასუხი ასეთია: რუსთან საუბრის დროს ადამიანი რუსულად სალაპარაკოდ არის განწყობილი, ხოლო გერმანელთან საუბრის დროს – გერმანულად სალაპარაკოდ. მაშასადამე, რა სიტყვა მოგადგება ენაზე ყოველს კერძო შემთხვევაში, ეს იმაზეა დამოკიდებული, თუ რა ენაზე ლაპარაკის განწყობა გაქვს.

ჩვენ დავრწმუნდით, რომ სანამ ცოცხალი არსება საზოგადოდ რაიმე მნიშვნელოვან ქცევას ჩაიდინდეს, იგი უკვე მანამდეა ისე მოდიფიცირებული, რომ მან სწორედ ეს ქცევა უნდა ჩაიდინოს. – სხვანაირად ასეც შეიძლებოდა გვეთქვა: სა-

ნამ ცოცხალი არსება რაიმე ქცევას მიმართავდეს, მას უკვე მანამდე აქვს ეს ქცევა განწყობის სახით მოცემული.

მაშასადამე, იმ სპეციფიკურ მდგომარეობას, რომელიც სუბიექტში მოთხოვნილების დაკმაყოფილების ობიექტური სიტუაციის ზეგავლენის შედეგად ჩნდება, განწყობა შეგვიძლია ვუწოდოთ.

ეს ტერმინი განსაკუთრებით იმიტომაა შესაფერისი, რომ ერთის მხრივ, იგი იმ გარემოებაზე მიუთითებს, რომ საქმე არა რომელსამე გარკვეულ შინაარსულ ცვლილებას ეხება, რომელიც სუბიექტში ჩნდება, არამედ სუბიექტს, როგორც მთელს; მეორის მხრივ – იმ გარემოებაზე, რომ სუბიექტის ეს სპეციფიკური მდგომარეობა მას გარკვეულ ქცევისაკენ მოუწოდებს – მაშასადამე, ეს ქცევა უკვე წინასწარაა მასში განსაზღვრული, და, დასასრულ, – იმ გარემოებაზეც, რომ ეს სპეციფიკური მდგომარეობა დინამიკური სახის მოვლენაა, რომელმაც თავისი გამოვლენა სუბიექტის გარკვეულ აქტივობაში უნდა ჰპოვოს.

ამრიგად, ცოცხალი არსებისა და გარემოს ურთიერთობა, რამდენადაც ამ უკანასკნელს მოთხოვნილების დაკმაყოფილების იმპულსი უდევს საფუძვლად, საბოლოოდ ისე უნდა წარმოვიდგინოთ: მოთხოვნილების დაკმაყოფილების იმპულსით ამოქმედებულს ცოცხალ არსებაზე გარემო იწყებს ზემოქმედებას და მასში სიტუაციის შესაფერის გარკვეულს მთლიან ცვლილებას, გარკვეულ განწყობას იწვევს. ამიერიდან ასე შეცვლილს, გარკვეული განწყობის მქონე სუბიექტს, რასაკვირველია, მხოლოდ თავისი განწყობის შესაფერისი პროცესებისა და აქტების წარმოება შეუძლია. ამისდა მიხედვით, მისი ქცევა, ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით, ყოველ მონაცემ მომენტში მისი ამა თუ იმ განწყობის რეალიზაციად უნდა ჩაითვალოს.

მაშასადამე, ცოცხალი არსების ქცევას გარემო განსაზღვრავს. მაგრამ ეს განსაზღვრა მექანიკური ხასიათის როდია: გარემო თვითონ ქცევის აქტებზე კი არ მოქმედობს, უშუალოდ, იგი პირდაპირ კი არ იწვევს მას. არა, იგი სუბიექტზე მოქმედებს, მას ცვლის მთელი სიტუაციის შესაფერისად, მასში გარკვეული ქცევის განწყობას იწვევს. თვითონ ქცევის აქტებს კი უშუალოდ ამიერიდან ამ გარკვეული განწყობის მქონე სუბიექტი განსაზღვრავს. იგი იმ აქტებს და პროცესებს, ერთი სიტყვით, იმ ქცევას მიმართავს, რომლის განწყობაც მას სიტუაციის ზემოქმედების შედეგად აქვს შემუშავებული.

ამის შემდეგ ძნელი არ არის იმ ძირითადი საკითხის გადაჭრაც, რომელიც ცოცხალი ორგანიზმის ქცევის მიზანშეწონილობის ფაქტს ეხება და რომლის გამოც მექანიკური და ვიტალისტური შეხედულებები ეგოდენ მკვეთრად უპირისპირდებიან ურთიერთს. მექანიციზმისა და ვიტალიზმის ფორმულა გარემოსა და სუბიექტს შორის ურთიერთდამოკიდებულების შესახებ შეიძლება, როგორც ორწევრიანი ფორმულა, დახასიათდეს. მართლაცდა, მექანიციზმიცა და ვიტალიზმიც ამ ურთიერთობაში მხოლოდ ორ-ორ წევრს გულისხმობს. მექანიციზმის მიხედვით, გარემო პირდაპირ იწვევს ორგანიზმში ამათუიმ ქცევას. მაშასადამე, მისი ფორმულის სქემა ასეთი იქნება: გარემო-ქცევა. ვიტალიზმის რწმენით, ორგანიზმი მი-

ზანდამსახველ ძალას, ენტელექციას თუ ფსიქოიდს შეიცავს, და ქცევას სწორედ ეს ძალა განსაზღვრავს. მისი ფორმულის სქემაც ორწევრიანია: ფსიქოიდი-ქცევა.

ჩვენ დავრწმუნდით, რომ ურთიერთობა გარემოსა და ცოცხალ არსებას შორის სხვაგვარად უნდა იქნეს წარმოდგენილი. წინააღმდეგ მექანიციზმისა და ვიტალზმისა, ეს ურთიერთობა სამწევრიანია. ჩვენი სქემა ასეთია: გარემო-სუბიექტი (განწყობა) – ქცევა.

განსაკუთრებით საყურადღებოა, რომ ქცევას საბოლოოდ აქაც გარემო განსაზღვრავს; მაგრამ ეს სუბიექტის შუალობით ხდება, რომელშიც იგივე გარემო სიტუაციის შესატყვის განწყობას იწვევს, და ეს უკანასკნელი ქცევას, როგორც თავის რეალიზაციას, წარმოშობს. ქცევა განწყობით არის უშუალოდ განსაზღვრული: იგი არის მისი აღმოცენების უშუალო მიზეზი. მაგრამ განწყობა ხომ იმას ნიშნავს, რომ ორგანიზმი უკვე წინასწარაა გარკვეული ქცევისათვის მომართული. მაშ, როგორ მოიქცევა იგი ამა თუ იმ სიტუაციაში, ეს უკვე წინასწარაა მის განწყობაში მოცემული, სანამ ქცევა დაიწყებოდეს. მაშასადამე, განწყობა არა მარტო როგორც ნამდვილი მიზეზი მოქმედობს ქცევაზე, არამედ ამავე დროს თითქოს მიზნის მსგავსადაც: როგორც მიზანში წინასწარაა მოცემული ის, რაც შემდეგში უნდა მოხდეს, სწორედ ასეა განწყობაშიც.

მაგრამ განწყობის სახით ჩვენ ხომ სიტუაციის სუბიექტში ასახვასთან გვაქვს საქმე. მაშასადამე, თუ ქცევას განწყობა განსაზღვრავს, თუ ქცევა განწყობის შესატყვისად წარმართება, ეს იმას ნიშნავს, რომ იგი სიტუაციის შესაფერისად, მაშასადამე, მიზანშეწონილად მიმდინარეობს: ცოცხალი არსების ქცევას მიზანშეწონილი ხასიათი აქვს.

ასე წყდება ქცევის მიზანშეწონილობის საკითხი. როგორც ვხედავთ, იგი მთლიანად მიზეზობრივ რკალშია ჩართული: მიზეზ-შედეგის ჯაჭვი აქ არსად არ წყდება – არ არსებობს არავითარი გარეშე ძალა (ენტელექცია, თუ ფსიქოიდი), რომელიც სინამდვილის მიმდინარეობის პროცესში ერეოდეს და მას ნებისმიერ მიმდინარეობას აძლევდეს. მიუხედავად ამისა, ცოცხალი არსების ქცევას მაინც მიზანშეწონილება ახასიათებს.

3. განწყობა და ადამიანი – აქამდე ჩვენ საზოგადოდ ცოცხალი არსების განწყობაზე გვექონდა საუბარი. მაგრამ ფსიქოლოგიას ხომ პირველ რიგში სპეციალურად ადამიანი აინტერესებს. ამიტომ ბუნებრივად იზადება საკითხი: რა არის სპეციფიკური ადამიანისათვის? რა ცვლილება იჩენს თავს განვითარების პროცესში ისეთი, რომ ადამიანისა და ცხოველის ქცევის განსხვავებულობის ფაქტს გასაგებად ხდიდეს? ამ საკითხზე უფრო დაწვრილებით ქვემოთ შევჩერდებით. აქ კი საკმარისი იქნება, თუ რომ მას პრინციპული მხრივ მაინც შევეხებით.

ისე როგორც ცხოველის ქცევას, ბოლოს და ბოლოს, ადამიანის ქცევასაც მოთხოვნილება უდევს საფუძვლად. ეს უდავო ფაქტია, რომელიც ყოველთვის მხედველობაში უნდა ვიქონიოთ. „ადამიანები-ო, – ამბობს ენგელსი, – მიეჩვიენ, თავის მოქმედების ახსნისას თავისი აზროვნებიდან გამოდიოდნენ, და არა თავისი მოთხოვნილებიდან; და ასე გაჩნდა დროთა მსვლელობაში ის იდეალისტური

მსოფლმხედველობა, რომელიც ანტიკური ქვეყნების დაცემის ეპოქიდან დაწყებული ადამიანის გონებას ფლობდა.¹

„იმისათვის რომ“ ისტორია შექმნან, „ადამიანთ უწინარეს ყოვლისა სიცოცხლის შესაძლებლობა უნდა ჰქონდესთ. მაგრამ სიცოცხლისათვის პირველ რიგში საჭმელ-სასმელია საჭირო, ბინა, ტანსაცმელი და ზოგი რამ კიდევ სხვა. მაშასადამე, პირველი ისტორიული საქმე – ეს ამ მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებელ საშუალებათა წარმოებაა“-ო, ამბობს მარქსი.

ამრიგად, სრულიად უდავოა, რომ ადამიანის ქცევასაც მოთხოვნილება უდევს საფუძვლად, და ამ თვალსაზრისით ცხოველსა და ადამიანს შორის განსხვავება მართლაც არაფერია.

მაგრამ მიუხედავად ამისა, ნამდვილად განსხვავება მათ შორის მაინც დიდია. საქმე ისაა, რომ ცხოველის მოთხოვნილებათა ბუნება და წრე ერთხელ და სამუდამოდ არის განსაზღვრული: მათ ცოცხალი ორგანიზმის ბიოლოგიური თავისებურებები უდევს საფუძვლად. სულ სხვა სურათს წარმოადგენს ადამიანის მოთხოვნილება. ადამიანი ისტორიული არსებაა, და მისი მოთხოვნილება სოციალურ ურთიერთობათა განვითარების ნიადაგზე განუწყვეტელი ქმნადობის პროცესში იმყოფება, ამის შედეგი ისაა, რომ არა მარტო ძველი მოთხოვნილებები იცვლება, არამედ განუწყვეტლივ ახალახალი მოთხოვნილებებიც ჩნდება, მოთხოვნილებები, რომლის მსგავსსაც კი ვერაფერს ვნახავთ ცხოველთა სამკვიდროში: ადამიანი შეუდარებლად უფრო მრავალფეროვანის და მრავალმხრივი მოთხოვნილების პატრონია, ვიდრე ცხოველი.

ამ გარემოებას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ადამიანის ქცევის თავისებურებათა ნათელსაყოფად. რა წამს ცოცხალ არსებას მრავალფეროვანი მოთხოვნილება უჩნდება, რომელიც მისი ისტორიული განვითარების მიმდინარეობაზე უფროა დამოკიდებული, ვიდრე მის ბიოლოგიურ თავისებურებებზე, მისი ურთიერთობა გარემოსთან საფუძვლიანად იცვლება. მართლაცადა, ცხოველს ყოველს მოცემულ მომენტში ერთი გაბატონებული მოთხოვნილება აქვს, და არ არსებობს იმავე დროს სხვა რაიმე მოთხოვნილება, რომ მას წინააღმდეგობას უწევდეს. ამიტომ მისი ურთიერთობა სინამდვილესთან ამ ერთი მოთხოვნილების ნიადაგზე წესრიგდება, მის ქცევას ამ ერთი მოთხოვნილების დაკმაყოფილების იმპულსი უდევს საფუძვლად. ამიტომ გასაგებია, რომ ცხოველს აქტიური მოთხოვნილების სიტუაციაში სრულიად გარკვეული მოქმედების განწყობა უჩნდება, რომელსაც არაფერი უშლის ხელს მაშინვე შესაფერი ქცევის სახით გაიშალოს.

მაგრამ ვთქვათ, ცოცხალ არსებას მრავალფეროვანი და მრავალგვარი მოთხოვნილება აქვს. შესაძლებელია და სრულიად ბუნებრივი, რომ ეს მოთხოვნილებები ზოგიერთ შემთხვევაში საფუძვლიანად ეწინააღმდეგებოდნენ ურთიერთს, და ერთის დაკმაყოფილება მეორის საზიანოდ იყოს მიმართული. მაგ: ჩვეულებრივი ბიოლოგიური მოთხოვნილებების გვერდით ადამიანს მორალური ან ესთეტიკური მოთხოვნილებებიც აქვს. ხშირია შემთხვევა, რომ ეს მოთხოვნილებები ურთიერთს ეწინააღმდეგებიან. მაგ: შესაძლოა, რომელიმე აქტუალური ბიოლო-

გიური მოთხოვნების იმპულსი ისეთი ქცევისაკენ გვიზიდავდეს, რომელიც ჩვენს მორალურ მოთხოვნებებს ეწინააღმდეგება – ვთქვათ, მშვიერი ადვილად დაიკმაყოფილებდა თავის მოთხოვნებს, რომ მას ნება მიეცა თავის თავის, თავისი ამხანაგის ულუფა ქურდულად ან ძალით მიეთვისებინა.

მაგრამ ვთქვათ, რომ ეს ქცევა სრულიად არ ეთანხმება მის მორალურ მოთხოვნებს. რა არის ასეთი მდგომარეობის შედეგი? რასაკვირველია, ის, რომ მშვიერი სხვისი ულუფის მითვისების იმპულსს არ ემორჩილება და, ამრიგად, მონაცემ სიტუაციაში თავისი მოთხოვნების დაკმაყოფილების ცდაზე ხელს იღებს. სხვანაირად: შიმშილისა და მონაცემი სიტუაციის, ე.ი. სხვისი ულუფის მითვისების შესაძლებლობის ნიადაგზე სუბიექტს გარკვეული ქცევის – სხვისი ულუფის მითვისების – განწყობა უჩნდება. მაგრამ სანამ ეს უკანასკნელი ქცევაში გადავიდოდეს, მისი მეორე მოთხოვნა – მორალური მოთხოვნა – იღვიძებს, და აღნიშნული განწყობის ქცევაში რეალიზაციას აფერხებს. მაშასადამე, სუბიექტი სხვისი ულუფის მითვისების განწყობის აღმოცენებასთანავე როდი მიმართავს სათანადო ქცევას – მისი განწყობა უშუალოდ როდი გადადის ქცევაში. არა! სუბიექტის განწყობა სხვა სახით პოულობს თავის რეალიზაციას. ნაცვლად იმისა, რომ მან სუბიექტის სათანადო ქცევაში პოვოს გამოვლენა, მასში გარკვეული ქცევის აქტები გამოიწვიოს, იგი მის ცნობიერებაში იკვლევს გზას და თავის რეალიზაციას იქ პოულობს – ნაცვლად იმისა, რომ სუბიექტმა სხვისი ულუფის მითვისების რეალურ აქტებს მიმართოს, იგი ჯერჯერობით მხოლოდ იმით კმაყოფილება, რომ ამ აქტების განხორციელების სურათს წარმოადგენს: სხვისი ულუფის მითვისების განწყობა თვითონ ქცევაში კი არა, ამ ქცევის წარმოსახვაში, რეალური ქცევის ფსიქიკურ ეკვივალენტში პოულობს რეალიზაციას.

თავისთავად იგულისხმება: სუბიექტს რომ წარმოსახვის შესაძლებლობა არ ჰქონოდა, იგი რომ მოკლებული ყოფილიყო ცნობიერებას, მისი განწყობა მყის ქცევის სახით უნდა გამოვლენილიყო, და ყოველივე მისი აქტუალური მოთხოვნების იმპულსს მაშინვე სათანადო ქცევა უნდა გამოეწვია.

მოთხოვნაებათა გართულებისა და განვითარების შედეგად ადამიანს საკმაოდ განვითარებული ცნობიერება უმუშავდება; და ეს შესაძლებლობა აძლევს მას აქტუალური მოთხოვნების სიტუაციის ზეგავლენით აღმოცენებულ განწყობას, რეალური ქცევის ნაცვლად, წარმოსახული ქცევის სახით მისცეს გამოვლენა და ამნაირად აქტუალური განწყობის მონობისაგან თავი გაითავისუფლოს.

მაგრამ თუ ეს ასეა, რაღა წარმართავს მაშინ სუბიექტის ქცევას? მართალია, აქტუალური სიტუაციის ნიადაგზე აღმოცენებულ განწყობას იგი აღარ ემორჩილება, მაგრამ მას ხომ ამ განწყობის შესატყვისი ქცევის სურათი უჩნდება ცნობიერებაში! და ეს სურათი ამ ქცევის გაცნობიერებას წარმოადგენს; იგი უჩვენებს სუბიექტს, თუ რამდენად მისაღებია მისთვის ამ ქცევის რეალური განხორციელება. ამის მიხედვით, ე.ი. შესაძლო ქცევის ღირებულების გაცნობიერების მიხედვით, სუბიექტს მისი შესრულების თუ შეუსრულებლობის განწყობა უჩნდება, და ასე ხდება, რომ სუბიექტი გარკვეული ქცევის აქტს მიმართავს.

ამრიგად, ადამიანის სპეციფიკურ თავისებურებას, რითაც იგი მკვეთრად განსხვავდება ცხოველისაგან, ის გარემოება შეადგენს, რომ წამყვან როლს მის ცხოვრებაში ცნობიერება ასრულებს. იგი აქტუალური სიტუაციის ნიადაგზე აღმოცენებულ განწყობას არ ემორჩილება, როგორც ამას ცხოველის შემთხვევაში აქვს ადგილი. იგი წინასწარ აცნობიერებს თავის ქცევას და ამა თუ იმ აქტს მხოლოდ იმის მიხედვით მიმართავს, თუ რას მიიღებს ამ გაცნობიერების შედეგად – მოკლედ: ცხოველის განწყობას აქტუალური იმპულსის სიტუაცია ქმნის, ხოლო ადამიანის განწყობას, რომელიც მის ქცევას უდევს საფუძვლად, გაცნობიერებული წარმოსახული სიტუაცია.

4. განწყობის ცნება ბურჟუაზიულ ფსიქოლოგიაში – განწყობის ცნება სულ უფრო და უფრო ხშირად გვხვდება თანამედროვე ფსიქოლოგიაში. განსაკუთრებით დიდ როლს მას გერმანელი ფსიქოლოგი მარბე მიაწერს, რომლის მიხედვითაც ადამიანის მთელი ქცევა, მისი ფსიქიკის მთელი მუშაობა განწყობის ფუნქციას წარმოადგენს. ეს დებულება ძირითადადში სწორია, ოღონდ იმ შემთხვევაში მხოლოდ, თუ განწყობის ცნება მართებულად იქნება გაგებული. მაგრამ ბურჟუაზიული ფსიქოლოგების და, კერძოდ მარბეს განწყობის ცნება სრულიად არაა დამაკმაყოფილებელი. მარბესთვის განწყობა სუბიექტის მთლიან ფსიქოფიზიკურ მდგომარეობას წარმოადგენს, რომელიც ან თანდაყოლილია და ან პირადი ცხოვრების მიმდინარეობაში ამა თუ იმ გადაწყვეტი მნიშვნელობის მქონე განცდების ე.წ. „კრიტიკული გამოცდილების“ ზეგავლენითაა პირობადებული. და, აი, როდესაც ადამიანზე რაიმე ობიექტური ვითარება მოქმედობს, ეს უკანასკნელი მასში უკვე მზამზარეულ განწყობას ხვდება, რომელიც მის განცდას განსაზღვრავს. განწყობა წმინდა სუბიექტური მდგომარეობაა და, როგორც ასეთი, რასაკვირველია, წმინდა სუბიექტურ ფაქტორად უნდა იქნეს ნაგულისხმევი. იმას, რაც განწყობას შეაქვს განცდაში, მაგ: ალქმაში თუ აზროვნებაში, მხოლოდ სუბიექტური საფუძველი აქვს: იგი ობიექტური ვითარების ასახვას კი არ უწყობს, არამედ უშლის ხელს. ამიტომ გასაგებია, რომ, ჩვეულებრივ, განწყობის მოქმედების გასათვალისწინებლად მცდარი ალქმების ე.წ. ილუზიების ფაქტს იმოწმებენ ხოლმე.

განწყობის ასეთი სუბიექტური გაგება არც მართებულია და არც ხელსაყრელი. მართალია, განწყობა სუბიექტის მდგომარეობაა, მაგრამ იგი სრულიად თავისებური სუბიექტური მდგომარეობაა. იგი ყოველთვის ობიექტური ვითარების ზემოქმედების შედეგად ჩნდება და ისეთ მდგომარეობას წარმოადგენს, რომელშიც თვითონ მისი გამომწვევი ობიექტური ვითარებაა ასახული. განწყობა, მაშასადამე, წმინდა სუბიექტური მდგომარეობა კი არაა, იგი ობიექტური ვითარების სუბიექტში გადატანაა, იგი, ასე ვთქვათ, სუბიექტში გადასული ობიექტური ვითარებაა. ამიტომ გასაგებია, რომ განწყობა, პირველ რიგში, სინამდვილის მცდარ განცდას ან ილუზიას კი არ უდევს საფუძვლად, არამედ ობიექტურის სწორი განცდის შესაძლებლობას იძლევა.

იმისათვის, რომ ეს ნათლად გვეჩვენოს წარმოდგენილი, ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ განწყობა პირველად სუბიექტის მზამზარეული მდგომარეობა კი არაა, რომელიც მას სხვა პირობებში შეუმუშავდა და ამიერიდან, ყოველი ახალი ვითარების განცდისას, მარად თან ახლავს და განსაზღვრავს მას. არა! ყოველი ახალი სიტუაცია, რომელიც გარკვეული მოთხოვნილების მქონე სუბიექტზე მოქმედობს, პირველ რიგში, მას შესატყვის განწყობას უქმნის, და დანარჩენი, რაც ამიერიდან ამ სუბიექტში მოხდება – მისი განცდები, თუ ქცევა – ამ განწყობის ნიადაგზე იქნება აღმოცენებული. პირველად, სუბიექტი მზამზარეული განწყობით როდი უდგება სინამდვილეს და მისდა შესატყვისად გარდაქმნის მას, არა, განწყობა მას თვითონ ან სინამდვილის ზემოქმედების პერიოდში უჩნდება და მისი შესატყვისი განცდისა და ქცევის შესაძლებლობას აძლევს.

განწყობას ასეთ პირველად ფაქტად ბურჟუაზიული ფსიქოლოგებიდან არავინ თვლის, და ამიტომ, რომ მათთვის განწყობის მეორე არსებითი მხარე დაფარული რჩება, სახელდობრ ის, რომ განწყობა ცოცხალი არსების ობიექტური ვითარების შესატყვისი მოდიფიკაციას, მასში, როგორც მთელში, ობიექტური ვითარების ასახვას, წარმოადგენს. განწყობის ცნებისათვის კი განსაკუთრებით სწორედ ამათ აქვს არსებითი მნიშვნელობა, და ამის გარეშე ამ ცნებას არავითარი პრინციპული ღირებულება არ ექნებოდა ფსიქოლოგიაში.

5. განწყობის სუბიექტური ფაქტორი – განწყობის აღმოცენებისათვის არა მარტო ობიექტური ვითარებაა საჭირო, არამედ თავისთავად იგულისხმება, სუბიექტიც, რომელზეც ეს ობიექტური ვითარება მოქმედობს. ამისდა მიხედვით, უეჭველია, განწყობა ორ ფაქტორს გულისხმობს, ობიექტურს და სუბიექტურს. საჭიროა, შევჩერდეთ ამ ორივე ფაქტორის განხილვაზე!

სუბიექტური ფაქტორის გასათვალისწინებლად ძირითადი მნიშვნელობა მოთხოვნილების ცნებას აქვს. ყოველი ცოცხალი არსება – მაშასადამე, ადამიანიც – უთუოდ რაიმე მოთხოვნილების ნიადაგზე ამყარებს ურთიერთობას გარემოსთან, და ამ ურთიერთობის მთელი აზრი ისაა, რომ მან სუბიექტს ქვემდებარე მოთხოვნილების დაკმაყოფილების შესაძლებლობა უნდა მისცეს.

ამიტომ გასაგებია, რომ მოთხოვნილების რაგვარობას ყოველთვის გადაამწყვეტი გავლენა აქვს ქცევაზე. თვითონ გარემო თავისთავად არასდროს არავითარი მოქმედების სტიმულს არ აძლევს სუბიექტს, თუ რომ ეს უკანასკნელი სრულიად მოკლებულია მოთხოვნილებას, რომლის დაკმაყოფილებაც ამ გარემოს პირობებში იქნებოდა შესაძლებელი. გარემო ჩვენი მოქმედების ასეთ თუ ისეთ სიტუაციადა მხოლოდ იმის მიხედვით იქცევა, თუ რა მოთხოვნილება გვაქვს, როდესაც მასთან ურთიერთობას ვამყარებთ.

აქედან ცხადია, რომ გარეშე ამა თუ იმ გარკვეული მოთხოვნილების მონაწილეობისა, მარტო გარემოს ზემოქმედების პირობებში, ადამიანს არასდროს არავითარი ქცევის განწყობა არ გაუჩნდებოდა. ჩვენ ქვემოთ დავინახავთ, რომ იმისათვის, რომ რაიმე გარკვეულ ქცევის განწყობა გაჩნდეს, სრულიად აუცი-

ლებელია ჩვენზე გარკვეული ობიექტური გარემო მოქმედებდეს – ამ პირობების გარეშე განწყობა ვერასდროს თავის გარკვეულ, თავის კონკრეტულ სახეს ვერ მიიღებდა. მაგრამ მეორეს მხრივ, ჩვენ ვხედავთ, რომ განწყობის რაგვარობის გარკვეულობაზე მოთხოვნილებასაც გადამწყვეტი გავლენა აქვს.

უბრალო მაგალითიც საკმარისი იქნება, რათა ეს დებულება სრულიად ნათელი გახდეს. ვთქვათ, ბუხარში ცეცხლია დანთებული და ოთახში შევდივართ. თუ გვცია (ე.ი. სითბოს მოთხოვნილება გვაქვს), ეს სიტუაცია – ბუხარი, ცეცხლი ჩვენზე ისე იმოქმედებს, რომ ჩვენში ბუხართან ახლო დაჯდომისა და შეიძლება ცეცხლის შემატების განწყობაც გამოიწვიოს. ხოლო იმ შემთხვევაში, როდესაც საწინააღმდეგო მოთხოვნილება გვიჩნდება – ვთქვათ, დაგვცხა და სიგრილე მოგვინდა – იგივე სიტუაცია სრულიად საწინააღმდეგო მოქმედების განწყობას აღძრავს, სახელდობრ, ბუხრიდან მოშორებისა და შეიძლება ცეცხლის ჩაქრობისასაც.

ამრიგად, უდავოა, რომ განწყობა სუბიექტურ ფაქტორსაც გულისხმობს და რომ ასეთ ფაქტორად უთუოდ მოთხოვნილება უნდა ჩაითვალოს – ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით.

6. განწყობის ობიექტური ფაქტორი – როდესაც ცოცხალი არსება რაიმე მოთხოვნილებას განიცდის, იგი მის დასაკმაყოფილებლად გარემოს მიმართავს; და საგულისხმოა, რომ აქ მხოლოდ ის სიტუაცია იწვევს მის ძალებს სამოქმედოდ, რომელიც ქვემდებარე მოთხოვნილების დაკმაყოფილების პირობებს შეიცავს. თუ რომ ასეთი სიტუაცია არსად ჩანს, ცოცხალი არსების აქტივობის ტენდენცია კვლავ ინაქტურ მდგომარეობაში განაგრძობს არსებობას: ხოლო თუ ასეთი სიტუაცია გაჩნდა, მაშინ ეს უკანასკნელი ერთბაშად აქტუალური ხდება: იგი სუბიექტს გარკვეული მიმართულებით სამოქმედოდ იზიდავს.

რა ხდება აქ? რატომია რომ სუბიექტი ერთბაშად აქტივობას იწყებს? უეჭველია, ერთის მხრივ, ჩვენ აქ საქმე გვაქვს გარემოსთან, რომელიც განსაზღვრული მოთხოვნილების დაკმაყოფილების პირობებს შეიცავს, ხოლო მეორეს მხრივ, სუბიექტთან, რომელიც სწორედ ამ გარემოს შესატყვის მოთხოვნილებას გრძნობს. მოკლედ: ხდება მოთხოვნილებისა და მისი შესატყვისი ობიექტური სიტუაციის შეხვედრა. შედეგი ისაა, რომ სუბიექტს სრულიად გარკვეული აქტივობის, სრულიად გარკვეული ქცევის განწყობა უჩნდება, იმ აქტივობისა, რომელიც სწორედ ამ მოთხოვნილების დაკმაყოფილების მიზანს ემსახურება.

მაშასადამე, განწყობის აღმოსაგენებლად მოთხოვნილების შესატყვისი ობიექტური სიტუაცია აუცილებელი, და სწორედ ეს უკანასკნელია, რომ განწყობის ობიექტურ ფაქტორად უნდა ჩაითვალოს.

ამრიგად, განწყობას არა მარტო მოთხოვნილების მდგომარეობა ქმნის თავისთავად და არც მარტო ობიექტური სიტუაცია. იმისათვის, რომ განწყობა გაჩნდეს, მოთხოვნილება თავისი დაკმაყოფილების პირობების შემცველს ობიექტურ სიტუაციას უნდა შეხვედეს.

კურტ ლევინმა ერთი უეჭველი ფაქტი აღნიშნა, რომელსაც ამ შემთხვევაში ჩვენთვის დიდი მნიშვნელობა აქვს: როდესაც ადამიანს რაიმე მოთხოვნილება უჩნდება, ამ მოთხოვნილების შესატყვისი საგნები და მოვლენები მის მიმართ განსაკუთრებული ძალით აღიჭურვებიან; ისინი მას განსაზღვრული მიმართულებით მოქმედებას აძლევენ, გარკვეული ქცევისაკენ იწვევენ: პური მშიერს ჭამისაკენ მოუწოდებს, ლოგინი დალილს წამოსაწოლად იზიდავს. მაგრამ საგანთა ეს იძულებითი, ეს გამოწვევითი ძალა (Aifforderunscharakter) მყის ისპობა, რაწამს შესაფერი მოთხოვნილება კმაყოფილდება. – ლევინის ეს სწორი დაკვირვება, რომელიც ყოველ წუთს შეგვიძლია შევამოწმოთ და დავადასტუროთ, მხოლოდ იმ შემთხვევაში ხდება გასაგებია, თუ ლევინის მიერ ნაგულისხმევს უშუალოდ თეორიაზე ხელს ავიღებთ და მხედველობაში განწყობის ცნებას ვიქონიებთ. როგორც ვიცით, მოთხოვნილების მატარებელ სუბიექტს, შესატყვისი საგნებთან თუ მოვლენებთან, შესატყვისი სიტუაციასთან შეხვედრის შემთხვევაში, სრულიად გარკვეული მოქმედების განწყობა უჩნდება; და ეს განწყობაა, რომ თავის ფსიქოლოგიურ გამოხატულებას ლევინის მიერ აღწერილ ფაქტში პოულობს: პური მშიერში დაუფლებისა და შეჭმის განწყობას იწვევს და ამიტომაც, რომ იგი ერთგვარი მიმზიდველობის ძალის მქონედ განიცდება.

7. განწყობის ცნების მცდარი გამოყენება – განწყობის ცნების მცდარი გამოყენების ნიმუშად განვიხილოთ ერთი განსაკუთრებით ცნობილი დაკვირვება, რომელშიც, ჩვეულებრივ, განწყობის მოქმედებას გულისხმობენ, და ვნახოთ, რამდენად მართებულია აქ განწყობის შესახებ ლაპარაკი.

ერთი ფსიქოლოგი, რადოსლავლევინი, შემდეგ საინტერესო დაკვირვებას მოგვითხრობს: ერთ-ერთს თავის ცდისპირს მან ისე ამეორებინა დასამახსოვრებელი მასალა, რომ თურმე ამან არც კი იცოდა, რომ ეს მასალა უნდა დაემახსოვრებინა. 46 განმეორების შემდეგ ექსპერიმენტატორმა ჰკითხა ცდისპირს, შეუძლია თუ არა მას ამ მასალის ზეპირად განმეორება. „როგორ? განა ზეპირად უნდა დამესწავლაო!“ იკითხა გაკვირვებით ცდისპირმა; და ამის შემდეგ ექვსიოდე განმეორებაც კი საკმარისი აღმოჩნდა, და ცდისპირმა უკვე მთელი მასალა ზეპირად იცოდა. პირველ შემთხვევაში, 46 განმეორების მიუხედავად, ცდისპირს თითქმის არაფერი ახსოვდა; ხოლო მეორე შემთხვევაში ექვსი განმეორებაც საკმარისი აღმოჩნდა, რათა მას მთელი მასალა ზეპირად დაესწავლა.

როგორ უნდა აიხსნას ეს საკვირველი ფაქტი? გავრცელებული პასუხი ასეთია: პირველ შემთხვევაში ცდისპირს დამახსოვრების განწყობა არ ჰქონია; მეორეში მას ეს განწყობა ჰქონდა, და დამახსოვრების არსებითს პირობად სწორედ ეს უნდა ჩაითვალოს. ამრიგად, აქ იგულისხმება, რომ დამახსოვრების განზრახვა და დამახსოვრების განწყობა ერთი და იგივეა.

მაგრამ ამ დაკვირვების უფრო სწორი ანალიზი ალბათ ასეთი იქნებოდა: როცა ცდისპირს გააგებინეს, რომ მას ზეპირად უნდა დაესწავლა მასალა. უეჭველია, ამას, პირველ რიგში, დამახსოვრების განწყობა კი არა, დამახსოვრების

მოთხოვნილება უნდა გამოეწვია მასში: მან მიწოდებული მასალა ზეპირად არ იცოდა, და მას ამ „დანაკლისის“ შევსების ტენდენცია უნდა გაღვიძებოდა. მაგრამ თუ ეს ასეა, მაშინ უდავოა, რომ აქ განწყობასთან კი არა, ჯერ მხოლოდ ამ უკანასკნელის სუბიექტურ ფაქტორთან – მოთხოვნილებასთან – გვაქვს საქმე. როდესაც ეს და მამხსოვრების მოთხოვნილების მქონე სუბიექტის წინაშე დასამხსოვრებელი მასალა ჩნდება, ეს უკანასკნელი, როგორც ობიექტური ფაქტორი, სპეციფიკურ ცვლილებას – გარკვეულ განწყობას – იწვევს მასში და მიწოდებული მასალის ადვილი დამახსოვრება ამის ნიადაგზე ხდება.

მაშასადამე, შეცდომაა, როდესაც ფიქრობენ, თითქოს დამახსოვრების განზრახვა დამახსოვრების განწყობას წარმოადგენდეს: იგი მხოლოდ ერთ-ერთი ფაქტორია, რომელსაც მეორეც უნდა დაემატოს, რათა სუბიექტს მართლა ნამდვილი განწყობა გაუჩნდეს.

ამიტომ მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ, საზოგადოდ, არაა სწორი, როდესაც განწყობაზე ლაპარაკობენ იქ, სადაც საქმე მხოლოდ მოთხოვნილებასთან გვაქვს – როგორც უნდა იყოს ეს მოთხოვნილება, სულერთია, ბიოლოგიური, თუ სოციალური.

ფიქსირებული განწყობა

1. ფიქსირებული განწყობის ცნება – იმის მიხედვით, რაც ზემოდ განწყობის შესახებ იყო ნათქვამი, უეჭველი ხდება, რომ ამ ცნებას ძირითადი მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს ფსიქოლოგიაში. ჩვენ ვიცით, რომ ადამიანი, თუ სხვა ცოცხალი არსების, გარემოსთან ურთიერთობის პროცესში პირველ რიგში განწყობა ისახება. ეს იმას ნიშნავს, რომ ამ ურთიერთობაში სუბიექტი ყველაზე ადრე როგორც მთლიანი იცვლება, და რომ ეს ცვლილება ობიექტური სიტუაციის შესატყვისია. რაც შეეხება ეს მის განცდებსა და მოქმედებას, ყველაფერი ეს – როგორც ამგვარად შეცვლილი, ამგვარად განწყობილი სუბიექტის განცდა და მოქმედება – შეიძლება მხოლოდ მეორადი, უშუალოდ ამ განწყობის ფონზე აღმოცენებული მოვლენები იყოს.

გასაგებია, რომ განწყობის მოქმედება ნორმალურ შემთხვევებში სრულიად არ გვხვდება თვალში: იგი საერთოდ შეუმჩნევლად მიმდინარეობს, რამდენადაც ცხოვრების ნორმალურს მიზანშეწონილ მსვლელობას უდევს საფუძვლად.

მაგრამ არის შემთხვევები, როდესაც მდგომარეობა იცვლება, და განწყობა შეცდომებისა და მიზანშეწონილი ქცევის წყაროდაც იქცევა. ამ შემთხვევაში, რასაკვირველია, იგი ჩვენს საგანგებო ყურადღებას იპყრობს, და როდესაც ფსიქოლოგიურ ლიტერატურაში განწყობის შესახებ ლაპარაკობენ, უფრო ხშირად, თუ ყოველთვის არა, განწყობის მოქმედების სწორედ ამ შემთხვევებს გულისხმობენ. ეს, რასაკვირველია, სწორი არაა. აქ ჩვენ განწყობის მხოლოდ ერთ-ერთს კერძო ფორმასთან გვაქვს საქმე, ფორმასთან, რომელიც, მართალია, დიდ როლს თამაშობს ჩვენს ცხოვრებაში, მაგრამ განწყობის მთელ ცნებას მაინც ვერავითარ შემთხვევაში ვერ ჰჯარავს. როგორია განწყობის ეს ფორმა?

ვთქვათ, გარკვეული სიტუაციის პირობებში გარკვეული განწყობა გამიჩნდა, და, ვთქვათ, ამ განწყობამ თავისი როლი შეასრულა – ჩემს გარკვეულ ქცევას მიმართულება მისცა. რა ემართება ამის შემდეგ მას? იკარგება იგი სრულიად უგზო-უკვლოდ, თითქოს არასდროს არ არსებულებოდა, თუ რაიმენაირად კვლავ განაგრძობს არსებობას და ჩვენს ქცევაზე კვლავ გავლენის მოხდენის უნარს ინარჩუნებს? თუ განწყობა სუბიექტის, როგორც მთელის, მოდიფიკაციას წარმოადგენს, მაშინ, ცხადია, რომ, შეასრულებს თუ არა იგი თავის როლს, იმ წამსვე მეორე განწყობას უნდა უთმობდეს ადგილს. – მაშასადამე, უნდა ქრებოდეს. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ იგი საბოლოოდ და სრულიად არარაობად უნდა იქცეოდეს. პირიქით, როდესაც სუბიექტი კვლავ იმავე სიტუაციაში ჩადგება, მაშინ მას გაცილებით უფრო ადვილად უნდა გაუჩნდეს სათანადო განწყობა, ვიდრე იმ შემთხვევაში, როდესაც იგი სრულიად ახალი სიტუაციის პირობებში იმყოფება და სრულიად ახალი განწყობა უნდა შექმნას. დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ერთხელ მიღებული განწყობა არ იკარგება, რომ იგი სუბიექტს რჩება, როგორც ხელახალი აქტუალიზაციის მზაობა – სათანადო პირობების განმეორების შემთხვევებში.

თავისთავად იგულისხმება, მზაობა ყოველთვის ერთნაირი არაა. იგი უთუოდ იმაზე და მოკიდებული, თუ რამდენად მტკიცე იყო ის განწყობა, რომელიც ამ მზაობის სახით შერჩა სუბიექტს. მაგრამ რაზეა თვით ეს სიმტკიცე დამოკიდებული? უდავოა: რაც უფრო ხშირად ვიწვევთ ერთსა და იმავე განწყობას, მით უფრო მტკიცე ხდება იგი და მით უფრო ძლიერი აქტუალიზაციის მზაობა უჩნდება მას: განწყობის სიმტკიცეს განმეორება განსაზღვრავს.

გარდა ამისა, არის შემთხვევები, რომ სუბიექტზე ესა თუ ის მოვლენა, თუ სიტუაცია, განსაკუთრებით ძლიერ შთაბეჭდილებას ტოვებს ხოლმე. ასეთ შემთხვევებში სუბიექტს არაჩვეულებრივი მტკიცე განწყობა უჩნდება, განწყობა, რომელიც აქტუალიზაციის განსაკუთრებით ძლიერი მზაობით ხასიათდება. ეხლა საკმარისია, თუნდ მხოლოდ მსგავსმა მოვლენამ თუ სიტუაციამ იმოქმედოს სუბიექტზე, რომ მასში მყის ამავე განწყობამ იჩინოს თავი და სუბიექტის ქცევა თავისდა შესატყვისად წარმართოს. მაშასადამე, ასეთ შემთხვევაში სუბიექტი სიტუაციის ადეკვატურ ასახვას ვერ ახერხებს: ნაცვლად შესატყვისი განწყობისა, იგი წინანდელი განწყობის ნიადაგზე ალიქვამს მოცემულ სიტუაციას და, ცხადია, ილუზიის მსხვერპლი ხდება.

ამრიგად, ხშირი განმეორების თუ დიდი პიროვნული წონის გამო რომელიმე გარკვეული განწყობა შეიძლება იმდენად ადვილად აგზნებადი, იმდენად ჩვეული გახდეს, რომ იგი არა შესატყვისი გამლიზიანების ზემოქმედების შემთხვევაშიც ადვილად აქტუალდებოდეს და ამით ადეკვატურ განწყობას გამოვლენის შესაძლებლობას ართმევდეს.

ასეთს განწყობას შეიძლება ფიქსირებული განწყობა ვუწოდოთ.

2. ფიქსირებული განწყობის ილუზიები – ფიქსირებული განწყობის შექმნა ძალიან ადვილია, რამდენადაც იგი განმეორების ზეგავლენითაც შეიძლება გაჩნდეს. ეს გარემოება შესაძლებლობას იძლევა განწყობის ამ ფორმის შესასწავლად ექსპერიმენტულ გზას მივმართოთ.

ცდისპირს ხელთ აძლევენ შესაძარებლად მრავალგზის (10-15-ჯერ). ორს მოცულობით თვალსაჩინოდ განსხვავებულს, ხოლო სხვა მხრივ სრულიად ერთნაირ სხეულს: მარჯვენა ხელში პატარას, მარცხენაში დიდს. იმ შემთხვევაში, როდესაც ცდისპირი სერიოზულად ღებულობს მონაწილეობას ამ ცდაში, მას ჩვენი ინსტრუქციის ზეგავლენით ამოცანის შესრულების ერთგვარი მოთხოვნილება (განწყობის სუბიექტური ფაქტორი) უჩნდება. მიწოდებული სხეულები (ობიექტური ფაქტორი) ამ მოთხოვნილების მქონე სუბიექტზე ახდენენ ზეგავლენას და სპეციფიკურ ეფექტს (განწყობას) იწვევენ, რომლის ნიადაგზეც მათი მიმართების სწორი შეფასება ხდება. მაშასადამე, ყოველი მიწოდებისას ცდისპირს ერთგვარი განწყობა უჩნდება („მარცხნივ დიდი, მარჯვნივ პატარა“). მრავალგზისი განმეორების შედეგად ეს განწყობა იმდენად ჩვეული ხდება, რომ ყოველი ცალკე ცდის შემთხვევაში იგი უკვე მანამ აქტუალდება, სანამ მიწოდებული ობიექტები რიგაანად ზეგავლენის მოხდენას მოასწრებდნენ. მივაწოდოთ ეხლა მას განსხვავებული მოცულობის კი არა, ტოლი მოცულობის მქონე სხეულები (კრიტიკული ცდა). რა მოხდება? თუ წინა ცდებში, გარკვეული განწყობის შექმნის მიზნით, მას ისეთი ობიექტები ეძლეოდა, რომ ისინი მაინცდამაინც დიდად არ განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან, მაშინ ჩვეული განწყობა ძალაში დარჩება, და ტოლი ობიექტების შეფასება მის ნიადაგზე მოხდება: ცდისპირს მარჯვენა ობიექტი უფრო პატარად მოეჩვენება, ვიდრე მარცხენა. მაგრამ თუ რომ საგანწყობო ცდებში მას თვალსაჩინოდ განსხვავებული მოცულობის ობიექტები ეძლეოდა ხელთ და ეხლა, კრიტიკულ ცდაში, ტოლი ობიექტებს მივაწოდებთ, ძველმა განწყობამ ობიექტური ფაქტორის ტლანქი შეუფერებლობის გამო, თავი ვეღარ უნდა იჩინოს და მის ნაცვლად ახალი უნდა გაჩნდეს. ცდები ამტკიცებენ, რომ ეს მართლაც ასე ხდება.

საინტერესოა, რომ ძველი განწყობის ადგილას ახალი განწყობა რომ ჩნდება, იგი ტოლი ობიექტების შესატყვისი კი არ არის, არამედ საგანწყობო ცდებში შექმნილი განწყობის („მარცხნივ დიდი, მარჯვნივ პატარა“) საწინააღმდეგოა („მარცხნივ პატარა, მარჯვნივ დიდი“): ცდისპირს ტოლი ბურთებიდან – წინააღმდეგ შემუშავებული განწყობისა – მარცხენა პატარად ეჩვენება და მარჯვენა დიდად.

ამრიგად, უდავოა, ორივე შემთხვევაში საგანწყობო ცდებში შემუშავებული და განმტკიცებული განწყობა თამაშობს როლს: ტოლი ობიექტების შეფასება მის ნიადაგზე ხდება და, ნაცვლად სწორი აღქმისა, ორივე შემთხვევაში მცდარი აღქმა, ე.წ. ილუზია ჩნდება.

მაგრამ ერთგვარი განსხვავება მაინც არის ამ ორ შემთხვევას შორის: პირველ შემთხვევაში (ე.ი. როდესაც კრიტიკულ ცდაში მიწოდებული ობიექტების მიმართება დიდად არ განსხვავდება საგანწყობო ცდებში მიწოდებული მიმართებებისაგან) ილუზია უფრო ხშირად განწყობის შესაბამისია (ასიმულიაციური

ილუზია), ხოლო მეორე შემთხვევაში, ე.ი. საგანწყობო ცდებისა და კრიტიკული ცდის ობიექტების მიმართებათა ტლანქი განსხვავების შემთხვევაში, ილუზია, ჩვეულებრივ, ძველი განწყობის საწინააღმდეგოა (კონტრასტული ილუზია).

ამრიგად, ადვილად შეგვიძლია, სუბიექტს განწყობა ფიქსირებულად გადავუქციოთ და შედეგად ილუზიური აღქმა მივაღებინოთ.

ზემოდ ჩვენ მოცულობის ილუზიასთან გვექონდა საქმე. მაგრამ ეს ილუზია მოცულობის ხელით შეფასებას ეხებოდა (ჰაპტური მოცულობის ილუზია) მოცულობის შეფასება კი თვალითაც შეიძლება; და აი, თუ რომ ცდისპირს განმეორებით მივაწოდებთ თვალთ (ოპტიკურად) შესადარებლად ორს სხვადასხვა მოცულობის წრეს, ან რომელიმე სხვა ფიგურას (საგანწყობო ცდები) და შემდეგ ერთბაშად ტოლ წრეებს მივცემთ (კრიტიკული ცდა), ამ შემთხვევაშიც სავსებით ისეთივე ილუზია გაჩნდება, როგორც ხელით შეფასების შემთხვევაში (მოცულობის ოპტიკური ილუზია).

ანალოგიური ილუზია – ორი განსხვავებული სიმიძის მიმართების შეფასების შემთხვევაში – ჯერ კიდევ ფენხერმა აღმოაჩინა (1861 წ.). ასეთივე ილუზია შეიძლება გამოიწვიოს წნევის სიძლიერის მიმართების შეფასებისასაც.

საგანწყობო ცდებში ც.პ. ლებულობს წყვილს წნევას, რომელთაგანაც პირველი თვალსაჩინოდ უფრო ძლიერია, ვიდრე მეორე, კრიტიკულ ცდაში კი წყვილს თანასწორ წნევას. ცდა გვიჩვენებს, რომ ც.პ. პირველ წნევას, როგორც უფრო სუსტს განიცდის, ვიდრე მეორეს (კონტრასტული ილუზია), ანდა, შესაბამის პირობებში, პირიქით (ასიმილაციური ილუზია).

ასეთსავე ილუზიას აქვს ადგილი მრავალ სხვა შემთხვევაშიც:

1) ბგერათა ინტენსიობის ილუზია. ცდისპირს ეძლევა განმეორებით წყვილ-წყვილად ბგერები: პირველი ძლიერი, მეორე სუსტი (საგანწყობო ცდები). კრიტიკულ ცდაში ამათ ადგილს ორი თანაბარი ინტენსიობის ბგერა იჭერს. ცდისპირისათვის, როგორც წესი, პირველი უფრო სუსტად მოისმის, ვიდრე მეორე, ანდა, შესაბამის პირობებში, პირიქით (ასიმილაციური ილუზია).

2) განათებათა მიმართების ილუზია. საგანწყობო ცდებში – ორი სინათლით განსხვავებული არე, კრიტიკულში – თანაბრად განათებული. შედეგი აქაც ილუზიაა: პირობებისდა მიხედვით – კონტრასტულიცა და ასიმილაციურიც.

3) რაოდენობითი მიმართების ილუზია. საგანწყობო ცდებში ცდისპირს ეძლევა ორი დასშული ფიგურა: ერთში წერტილებია ბლომად ჩასშული, მეორეში – ნაკლები. კრიტიკულ ცდაში მათი რიცხვი თანასწორია, შედეგი აქაც ჩვეულებრივი ილუზიაა.

განწყობის ზოგადი ფსიქოლოგიისათვის

განწყობის ილუზიათა მიმდინარეობის რაგვარობა, მისი ასეთი თუ ისეთი მიმართულება ძირითადად მათ საფუძვლად მდებარე განწყობის მოქმედებაზე უნდა იყოს დამოკიდებული. მასასადაამე, უფლება გვაქვს ვიფიქროთ, რომ ამ ილუზიების მიმდინარეობის დაკვირვება თვითონ განწყობის შესასწავლადაც გამოდგება. გან-

წყობის ილუზიების ექსპერიმენტული გამოწვევა, მათი აღმოცენების, მიმდინარეობისა და ჩქარობის პირობების შექმნა და შეცვლა ადვილია. ეს გარემოება შესაძლებლობას გვიქმნის, განწყობის ილუზიათა საფუძვლის, ფიქსირებული განწყობის, ბუნებისა და მოქმედების შესახებ საკმაოდ ფართო ექსპერიმენტული მასალა დავაგროვოთ. ამ მასალის მიხედვით, დღეს ფიქსირებული განწყობის ბუნებისა და მოქმედების შესახებ ზოგი რამ დაბეჯითებით შეიძლება ითქვას.

1) განწყობა არ არის წმინდა ლოკალური ან პერიფერიული პროცესი: იგი არსებითად სუბიექტის, როგორც მთელის, მდგომარეობად უნდა ჩაითვალოს. მაშასადამე, არ უნდა იყოს სწორი ცალკე კუნთურის, თუ ცალკე სხვადასხვა სენსორული განწყობის შესახებ ლაპარაკი, როგორც ეს ხშირად ხდება ხოლმე.

ამის ურყევ საბუთს შემდეგი ფაქტი წარმოადგენს: ცდისპირს, განწყობის შექმნის მიზნით, ხელთ ეძლევა შესაძარებლად რამოდენიმეჯერ, ვთქვათ 15-ჯერ, ორი, მოცულობით განსხვავებული, ხოლო სხვა მხრივ სავსებით ერთნაირი ბურთი: მარჯვნივ პატარა, მარცხნივ დიდი. ამ ცდების შედეგად, როგორც ვიცით, მას ფიქსირებული განწყობა უნდა გაუჩნდეს. როგორ შეგვიძლია შევამოწმოთ, რომ მას მართლა გაუჩნდა განწყობა? მივაწოდოთ მას ხელში ტოლი ბურთები, და თუ აღმოჩნდება, რომ იგი ადეკვატური შეფასების ნაცვლად მცდარს იძლევა, ეს იმის მაჩვენებელი იქნება, რომ ფიქსირებული განწყობა შემუშავებულია. მაგრამ ჯერჯერობით ჩვენ მხოლოდ იმაში შეიძლება დარწმუნებული ვიყოთ, რომ ცდისპირს განწყობა იმ ორგანოში აქვს შემუშავებული, რომელზეც საგანწყობო ცდები წარმოებდა, სახელდობრ – ხელში. მაგრამ ვნახოთ ეხლა, რა მოხდება, ცდისპირს რომ საგანწყობო ცდების შემდეგ ხელით კი არა, თვალით შევადარებინოთ ბურთები ერთმანეთთან. სათანადო ცდები ამტკიცებენ, რომ ცდისპირს ამ შემთხვევაშიც ილუზია უჩნდება. მაშასადამე, უდავოა, რომ განწყობა მას გაჩენია არა მარტო იმ ორგანოში (ხელში), რომელიც საგანწყობო ცდებში ღებულობდა მონაწილეობას, არამედ იმ ორგანოშიც (თვალში), რომელსაც არაფერი არ ჰქონდა საერთო ამ ცდებთან.

მაგრამ შეიძლება ცდა შებრუნებულადაც დავაყენოთ, ე.ი. საგანწყობო ცდები მხედველობის არეში ჩავატაროთ, ხოლო კრიტიკული – აქტიური შეხების არეში (ჰაპტურში); შედეგი იგივე იქნება: განწყობა აღმოჩნდება განმტკიცებული არა მარტო საგანწყობო ცდების არეში, არამედ კრიტიკული ცდების არეშიც.

შეიძლება კიდევ უფრო შორს წავიდეთ და იგივე ცდები უფრო დაშორებულ ორგანოებზეც გადავიტანოთ: აქაც ხშირად შევხვდებით შემთხვევებს, რომ განწყობა არა მარტო საგანწყობო ცდების არეში, არამედ სულ სხვა არეებშიც იქნება აღმოცენებული.

აქედან დასკვნა ნათელია: განწყობა არ ყოფილა წმინდა ადგილობრივი (ლოკალური) მოვლენა; იგი ცალკეული ორგანოს მდგომარეობა როდი ყოფილა, არამედ სუბიექტის, როგორც ასეთის, ე.ი. როგორც მთელის.

შთაბეჭდილება ისეთია, თითქოს ერთ ადგილას შექმნილი განწყობა სხვა ადგილებზეც ვრცელდებოდეს, გენერალიზირებულობდეს ანუ, როგორც ფიზიოლო-

გები ამბობენ, ირადირობდეს. ამისდა მიხედვით, ჩვენ შეგვეძლო ფიქსირებული განწყობის ეს მხარე ირადიულობის ან გენერალიზირებულობის სახელწოდებით აღგვენიშნა.

2) მაგრამ თუ განწყობა სუბიექტის, როგორც მთელის, მდგომარეობაა, მაშინ საფიქრებელია, რომ იგი რაიმე გარკვეული, განცდადი, კერძოული ფსიქიკური შინაარსის სახით არ გვეძლევა, რომ იგი ცნობიერებაში მოცემულობის გარეშე მოქმედებს, რომ ამ აზრით იგი არაფენომენალურ პროცესად შეიძლება ჩაითვალოს.

როგორც ცნობილია, ღრმა ჰიპნოტურ მდგომარეობაში სუბიექტი მთელ გარემოსთან როდი სწყვეტს კავშირს: ჰიპნოტიზორთან იგი კონტაქტს ინარჩუნებს, მასთან საკმაოდ რთულ ურთიერთობას განაგრძობს: ესმის მისი ლაპარაკი, ასრულებს მის დავალებებს (ამას რაპორტს უწოდებენ). მაგრამ როდესაც ჰიპნოტური ძილი გაივლის, როდესაც სუბიექტი გაიღვიძებს, აღმოჩნდება, რომ მას არც ერთი თავისი ღრმა ჰიპნოტური ძილისდროინდელი განცდა არ ახსოვს; ყველაფერი ეს მას საფუძვლიანად დავიწყებული აქვს (ე.წ. პოსტჰიპნოტური ამნეზია). ეს გარემოება ძალიან ხელსაყრელ პირობას წარმოადგენს ჩვენი საკითხის ექსპერიმენტულად გადაჭრის მიზნისათვის. იგი შესაძლებლობას ქმნის საგანწყობო ცდები ჰიპნოტური ძილის მდგომარეობაში ჩავატაროთ და შემდეგ ვნახოთ, გაჰყვება თუ არა ჩვენს ცდისპირს ამ ცდების ნიადაგზე შექმნილი განწყობა სიფხიბლეშიც – მიუხედავად სრული პოსტჰიპნოტური ამნეზიისა, ე.ი. მიუხედავად იმისა, რომ გაღვიძების შემდეგ საგანწყობო ცდების შესახებ მას სრულიად აღარაფერი ახსოვს. ჰიპნოტური ძილის შეწყვეტის შემდეგ ჩატარებული კრიტიკული ცდების შედეგებმა ნათელი უნდა მოჰფინონ ამ საკითხს.

ჰიპნოტური ძილის დროს ცდისპირს ხელში ეძლევა, განმეორებით, მოცულობის მხრივ შესადარებლად, ორი ბურთი: მარცხნივ – დიდი, მარჯვნივ – პატარა. გაღვიძების შემდეგ მას ტოლ ბურთებს ვაძლევთ ხელთ შესადარებლად. მიუხედავად იმისა, რომ ცდისპირს სრულიად არაფერი ახსოვს საგანწყობო ცდების შესახებ, იგი ტოლ ბურთებს მაინც ვერ აფასებს სწორად: მას ჩვეულებრივი განწყობის ილუზია უჩნდება.

აქედან, ცხადია, ძილის დროს შექმნილ განწყობას ოდნავადაც ვერ უშლის ხელს ის გარემოება, რომ ცდისპირის ცნობიერებაში საგანწყობო ცდების შესახებ სრულიად არაფერია დარჩენილი.

ამრიგად, დამტკიცებულად შეიძლება ჩაითვალოს, რომ განწყობა ადამიანის ფსიქიკის მუშაობას როგორც ერთ-ერთი განცდათაგანი როდი განსაზღვრავს, არამედ როგორც სუბიექტის მთლიანი მდგომარეობა, რომელიც, როგორც ასეთი, არც შეიძლება ცალკეული განცდების სიბრტყეში იქნეს მოთავსებული.

3) როდესაც ცდისპირს, ჩვენს ჩვეულებრივს საგანწყობო ცდების შემდეგ, ტოლ ობიექტებს ვაძლევთ ურთიერთთან შესადარებლად, როგორც ვიცით, ამ უკანასკნელთა შეფასება წინასწარ შემუშავებული განწყობის ნიადაგზე ხდება, და ერთი მათგანი უფრო დიდად განიცდება, ვიდრე მეორე. მაგრამ ეს, ჩვეულებრივ, მაშინ ხდება, როდესაც კრიტიკული ობიექტების ექსპოზიცია ხანმოკლეა, და

ისინი, ასე ვთქვათ, არსებულ განწყობისადმი თავისი შეუფერებლობის გამოვლენას ვერ ასწრებენ. რომ გავახანგრძლივოთ მათი ექსპოზიციის დრო და ამით სუბიექტზე საკმარისად ხანგრძლივი ზემოქმედების საშუალება მივცეთ მათ, მაშინ მდგომარეობა შეიცვლება: კრიტიკული ობიექტები, შეიძლება ითქვას, პირდაპირ ცდისპირის თვალწინ ერთმანეთს გაუთანასწორდებიან. ის, რომელიც დიდი ჩანდა, შეიკუმშება, დაპატარავდება და მეორის ტოლი გახდება: ილუზია აღიკვეთება. მაშასადამე, განწყობა, ბოლოს და ბოლოს, ვერ უძლებს შეუფერებელი ობიექტური ვითარების ზემოქმედებას და იძულებული ხდება ამ უკანასკნელის შესატყვის განწყობას დაუთმოს ადგილი.

როგორ ხდება ეს? როგორ მიმდინარეობს შეუფერებელი ობიექტური ვითარების ზეგავლენით გამოწვეული განწყობის ლიკვიდაციის პროცესი? ამ საკითხის გადასაწყვეტად განსაკუთრებით ნაყოფიერი აღმოჩნდა შემდეგი ხერხი: ნაცვლად იმისა, რომ კრიტიკული ობიექტების მოქმედების გაძლიერების მიზნით მათი ექსპოზიციის დრო გავახანგრძლივოთ, შეიძლება იმავე ეფექტს კრიტიკული ობიექტების განმეორებითი მოწოდების გზითაც მივაღწიოთ. კრიტიკულ ცდებში ცდისპირს, ჩვეულებრივ, ილუზია უჩნდება: ერთ-ერთი ობიექტი უფრო დიდი ეჩვენება, ვიდრე მეორე. მრავალგზის რომ განვიმეოროთ ეს ცდები, ბოლოსდაბოლოს როგორც პირველად სისტემატურად ეს ბ. ხაჭაპურიძის ცდებშია ნაჩვენები – განწყობა, როგორც შეუფერებელი, დაირღვევა, და მის ნაცვლად ობიექტური ვითარების შესატყვისი განწყობა გაჩნდება: ილუზია აღიკვეთება, იგი ადეკვატურ შეფასებას დაუთმობს ადგილს. მაგრამ, როგორც მოსალოდნელიც იყო, ეს ერთბაშად როდი ხდება. სანამ განწყობა საბოლოოდ აღიკვეთებოდეს, მან უნდა განვლოს რეგრესული განვითარების გარკვეული პროცესი, რომელიც თეორიულად მაინც, ექვს განსხვავებულ ფაზას შეიცავს;

ა) პირველ ფაზაში ფიქსირებული განწყობა თავისი უმტკიცესი სახითაა წარმოდგენილი. ეს იმაში იჩენს თავს, რომ კრიტიკული ცდების ერთი წყება ზედიზედ მხოლოდ კონტრასტულ ილუზიას იძლევა.

ბ) დგება მომენტი, როდესაც კრიტიკული ექსპოზიციების ობიექტური ვითარების, ე.ი. ტოლობის განმეორებითი ზემოქმედების გამო, განწყობის პირველი შერყევა ხდება: იგი ერთგვარად სუსტდება, და ცდისპირი, შედარებით ხშირი კონტრასტული ილუზიების გვერდით, აქა-იქ ასიმბლატურ ილუზიებსაც იძლევა. ეს განწყობის რეგრესული განვითარების მეორე ფაზად შეიძლება ჩაითვალოს.

გ) განწყობის შესუსტების პროცესი კიდევ უფრო წინ მიდის და შემდეგ საფეხურზე ასიმბლატური და კონტრასტული ილუზიების რიცხვი ურთიერთს უახლოვდება: იწყება ნამდვილი რხევა ილუზიის ორივე ამ სახეს შორის.

დ) ფიქსირებული განწყობის დასუსტების შემდგომი საფეხური ასიმბლატური ილუზიის შემთხვევათა გაბატონებაში იჩენს თავს: კონტრასტული ილუზია ეხლაც გვხვდება, მაგრამ გაცილებით უფრო იშვიათად, ვიდრე ასიმბლატური.

ე) რასაკვირველია, განწყობის კიდევ უფრო მეტი დასუსტების შესახებ შეიძლება ლაპარაკი, როდესაც კონტრასტული ილუზიების შემთხვევები სრულიად აღარ გვხვდება, და ცდისპირი მხოლოდ ასიმეტრიული ილუზიას იძლევა.

ვ) ამ მომენტამდე ფიქსირებული განწყობა ჯერ კიდევ განუწყვეტელი აქტუალურ მდგომარეობაში იმყოფება; მართალია, იგი საგრძნობლად შესუსტებულია, მაგრამ ჯერ კიდევ არ იძლევა ობიექტური ვითარების ადეკვატური აღქმის შესაძლებლობას: ცდისპირი ჯერ კიდევ ერთხელაც ვერ ახერხებს ილუზიისაგან თავის დაღწევას. რასაკვირველია, განწყობის შემდგომი დასუსტების ახალ ფაზასთან გვაქვს საქმე, როდესაც ეს მდგომარეობა იცვლება, და ცდისპირი კრიტიკულ ცდაში მიწოდებული ობიექტების ტოლობის დადასტურებას ხანდახან მაინც ახერხებს. მაგრამ ეს მისი უკანასკნელი ფაზაც არის: რაწამს იგი ზედიზედ რამოდენიმეჯერ შესძლებს კრიტიკული ვითარების ადეკვატურ შეფასებას და ილუზიას მხოლოდ გამონაკლისის სახით თუ დაუთმობს ადგილს, ჩვენ უკვე ფიქსირებული განწყობის ლიკვიდაციის შესახებ შეგვეძლება ვილაპარაკოთ.

მაგრამ ყველა ამ ფაზის გამოკვეთილი არსებობა მხოლოდ თეორიულად შეიძლება დაშვებულ იქნეს. პრაქტიკულად, თუ განსაკუთრებით პათოლოგიური განწყობის მოქმედების შემთხვევებსაც მივიღებთ მხედველობაში, შეიძლება ჯერჯერობით მხოლოდ სამი ფაზა იქნეს საგანგებოდ გამოყოფილი:

- ა) კონტრასტული ილუზიების ფაზა,
- ბ) ასიმეტრიული ილუზიების მონაწილეობის ფაზა,
- გ) ტოლობის მონაწილეობის ფაზა.

დ) ფიქსირებული განწყობის ლიკვიდაციის შესახებ ამ შემთხვევაში მხოლოდ პირობითად შეიძლება ლაპარაკი. საქმე ისაა, რომ საკითხი აქ ისეთ მდგომარეობას ეხება, როდესაც ფიქსირებულ განწყობაზე შეუფერებელი (კრიტიკული) ობიექტური ვითარება განუწყვეტელი ან განმეორებით მოქმედებს. ირკვევა, რომ ასეთ პირობებში მართლაც შეიძლება ფიქსირებული განწყობის ლიკვიდაციის შესახებ ვილაპარაკოთ: ბოლოს და ბოლოს, ობიექტური ვითარების სწორ შეფასებას განწყობა ხელს ვეღარ უშლის.

მაგრამ ნიშნავს განა ეს, რომ განწყობის მართლა საბოლოო ლიკვიდაციასთან გვაქვს საქმე? ნიშნავს განა ეს, რომ ფიქსირებული განწყობა კრიტიკული ცდების შეწყვეტის შემდეგაც არასოდეს ხელახლა არ წამოყოფს თავს? რასაკვირველია, არა! სათანადო ცდების შედეგები ამის უტყუარ საბუთს იძლევა. ვთქვათ, ერთ დღეს ცდისპირს საგანწყობო ცდების საკმარისი რაოდენობა მივეცით: შედეგად მას ფიქსირებული განწყობა უჩნდება. ჩვენ ვწყვეტთ ცდას და გარკვეული ხნის შემდეგ მას მხოლოდ კრიტიკულ ექსპოზიციებს ვაძლევთ. მიუხედავად იმისა, რომ ეს საგანწყობო ცდების განუმეორებლად ხდება და, მიუხედავად იმისა, რომ წინა ცდებში იგი კრიტიკული ექსპოზიციის სწორი შეფასების მდგომარეობამდე, მაშასადამე, ფიქსირებული განწყობის აღკვეთამდე იქნა მიყვანილი, ცდისპირი მაინც ხელახლა იმავე ილუზიას იძლევა. უეჭველია, განწყობა კვლავ განაგრძობს მოქმედებას; და საინტერესოა, რომ ზოგჯერ ეს საკმაოდ ხანგრძლივი დროის შემდეგ-

გაც კი ხდება. სრულიად უდავოა, ფიქსირებული განწყობა აქტივაციის მზაობას საკმაოდ დიდი ხნით ინარჩუნებს.

მაგრამ როგორღა უნდა გავიგოთ მაშინ ის საკვირველი ფაქტი, რომ განწყობა ამ მზაობას მას შემდეგაც ხელუხლებლად იცავს, რაც იგი, კრიტიკული ცდების მრავალგზისი განმეორების გზით, თითქოს საბოლოოდ იქნა ლიკვიდირებული? როგორც ჩანს, საბოლოო ლიკვიდაციაზე ლაპარაკი აქ მართებული არ უნდა იყოს. ეტყობა, ხშირი ზედიზედ განახლების გამო, კრიტიკული ვითარების შესატყვისი განწყობა (ტოლობის განწყობა) იმდენად ძლიერი ხდება, რომ ამ პირობებში იგი ფიქსირებულ განწყობას ჩრდილავს და მას გამოვლენის შესაძლებლობას არ აძლევს; ხოლო თვითონ სუბიექტის ახალ ფიქსირებულ განწყობად ჯერ კიდევ ვერ იქცევა, რათა საგანწყობო ცდებში წარმოშობილი ძველი განწყობა საბოლოოდ განდევნოს და მისი ადგილი თვითონ დაიკავოს. ამიტომაც, საკმარისია, სუბიექტს კრიტიკული ექსპოზიციები მათი გამუდმებული განმეორების სიტუაციის გარეშეც მიეცეს, რომ ფიქსირებულმა განწყობამ კვლავ იჩინოს თავი, და ტოლი ობიექტები არატოლად განაცდევინოს.

როგორც ვხედავთ, დროის ზემოქმედების მიმართ განწყობა საკმაო სტაბილობას ამჟღავნებს, გაცილებით მეტს, ვიდრე ერთი და იმავე გამლიზიანებლის განმეორებითი ზემოქმედების მიმართ, როგორც ეს, მაგ: კრიტიკული ცდების განმეორებითი ზემოქმედების შემთხვევაში ხდება. ეს, ალბათ, იმით აიხსნება, რომ დროის მიმდინარეობაში სუბიექტზე მოქმედებენ ნაირნაირი გამლიზიანებლები, რომელთაც სრულიად არაფერი აქვთ საერთო მის ფიქსირებულ განწყობასთან, მაშინ როდესაც კრიტიკულ ცდებში სწორედ ისეთი გამლიზიანებლები მოქმედებენ, რომელნიც, მართალია, არსებული განწყობისათვის ადეკვატური არ არიან, მაგრამ მაინც იმდენად ახლო დგანან მასთან, რომ მათი შეფასება, ჩვეულებრივ, ამ განწყობის ნიადაგზე ხდება. საკვირველი არაა, რომ ამ პირობებში განწყობა დროის მიმართ სტაბილურია, მაგრამ კრიტიკული ექსპოზიციების განმეორების მიმართ არა.

ამრიგად, ჩვენ ვხედავთ, რომ ფიქსირებული განწყობა, რაკი გაჩნდება, საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში ინარჩუნებს აქტუალიზაციის უნარს; იგი, ასე ვთქვათ, ქრონიკულ მდგომარეობად, ერთგვარ დისპოზიციურ მდგომარეობად იქცევა. ჩვენ ვხედავთ აგრეთვე, რომ იგი ასეთად რჩება მას შემდეგაც, რაც იგი კრიტიკული ცდების განმეორების ზეგავლენით თითქოს საბოლოოდ ლიკვიდირებული ხდება.

5) როგორ ჩნდება ფიქსირებული განწყობა? ჩვენ თავიდანვე გვქონდა აღნიშნული, რომ იგი საგანწყობო ცდების, მაშასადამე, განმეორების შედეგად იჩენს თავს. განმეორება რომ მართლა ძირითადი მნიშვნელობის მომენტს წარმოადგენს ამ შემთხვევაში, ეს უდავოა: ექსპერიმენტულად ცნობილია, რომ რაც უფრო დიდია საგანწყობო ცდების რიცხვი, ე.ი. რაც უფრო ხშირად აწარმოებინებ ცდისპირს საგანწყობო ობიექტების შედარებას, ჩვეულებრივ, მით უფრო მტკიცე განწყობას შეუძუშავებ მას. ეს დაკვირვება იმდენად ხშირია, რომ თითქოს სრული

საფუძველი გვეძლევა, განწყობის სიმტკიცე პირდაპირ განმეორების ფუნქციად გამოვაცხადოთ. მაგრამ უფრო ყურადღებით დაკვირება ამტკიცებს, რომ ეს დებულება მხოლოდ გარკვეულ ფარგლებში შეიძლება სწორად ჩაითვალოს. საქმე ისაა, რომ შესაძლოა ზოგიერთ შემთხვევაში სრულიად არ ჰქონდეს ცდისპირს საგანწყობო ობიექტების შედარების ნამდვილი მოთხოვნილება, და ამ აქტს იგი მხოლოდ ზედაპირულად, მხოლოდ მექანიკურად აწარმოებდეს. რას მოგვცემს ამ შემთხვევაში საგანწყობო ცდების განმეორება? უეჭველია, არაფერს. რაკი განწყობის სუბიექტური ფაქტორი სრულიად არ არის მოცემული, ცხადია, ჩვენ ვერ ვიტყვი, რომ თითოეული ცალკე შედარების აქტი სათანადო განწყობის ნიადაგზე ხდებოდა. მაშასადამე, საგანწყობო ცდების განმეორება მხოლოდ გარეგნულად წარმოადგენს განმეორებას: თვითონ განწყობის განმეორებასთან აქ საქმე არა გვაქვს და, მაშასადამე, ფიქსირებული განწყობის შექმნის შესახებ ლაპარაკი ამ შემთხვევაში სრულიად ზედმეტია: საიდან უნდა შეიქმნას იგი, როდესაც თვითონ პირველადი განწყობა, რომელიც ფიქსირებულად უნდა გადაიტკიცეს, ჯერ კიდევ არსად ჩანს.

აქედან ნათელია, რომ ფიქსირებული განწყობის შესაქმნელად შემდეგი პირობებია აუცილებელი: საგანწყობო ობიექტების შედარების ნამდვილი მოთხოვნილება, როგორც აუცილებელი პირობა პირველადი განწყობის აღმოსაცენებლად, და განმეორება ამ შედარების აქტისა, როგორც ერთი და იმავე განწყობის მრავალგზისი განახლებისა და განმტკიცების პირობა.

აქედან ნათლად ჩანს, რომ განმეორება მხოლოდ იმიტომ უნდა იყოს ფიქსირებული განწყობის აღმოსაცენებლად აუცილებელი, რომ იგი განწყობის განმტკიცებას უწყობს ხელს. წარმოვიდგინოთ ისეთი მდგომარეობა, რომ სუბიექტს იმთავითვე ძლიერი განწყობა უჩნდება. ეს, რა თქმა უნდა, ყოველთვის შესაძლებელია მოხდეს: საჭიროა ოღონდ განწყობის ფაქტორები – სუბიექტური და ობიექტური – ორივე განსაკუთრებული ძალით მოქმედებდეს. ამ შემთხვევაში, უდავოა, რომ განმეორება საჭირო აღარ იქნება: ძლიერი განწყობა უიმისოდაც ფიქსირებულად გადაიტკიცება.

ამრიგად, ფიქსირებული განწყობა მარტო განმეორების შედეგად როდი ჩნდება. ადამიანს, უეჭველია, არა ერთი და ორი შემთხვევა აქვს ცხოვრებაში, რომ მასზე ესა თუ ის გარემოება განსაკუთრებით ძლიერ შთაბეჭდილებას სტოვებდეს. ასეთ შემთხვევებში მისი განწყობა იმთავითვე ფიქსირდება, და შემდგომი მისი ცხოვრების მიმდინარეობა ბევრის მხრივ იმაზეა დამოკიდებული, თუ როგორია მის ამგვარად ფიქსირებულ განწყობათა წრე.

განწყობის ღიფარენციული ფსიქოლოგიისათვის

ჩვენ ვიცით, რომ გარემო, პირველ რიგში, ადამიანის განწყობაზე ახდენს გავლენას; ვიცით, რომ მთელი მისი ქცევა და განცდა ამ განწყობის ნიადაგზე დებულობს თავის გარკვეულ სახეს. მაგრამ, როგორც დავინახეთ, სუბიექტს ყოველთვის შეიძლება თავისი წარსულიდან ესა თუ ის განწყობა ჰქონდეს, რომელსაც

შესაძლებლობა აქვს გარემოსთან ურთიერთობის აქტში ჩაერიოს, ახალი შესატყვისი განწყობის აღმოცენებას დაასწროს, დაჩრდილოს იგი და ეს აქტი თვითონ წარმართოს.

უეჭველია, ამისდა მიხედვით, რომ ადამიანის წარსულს, მისი ფიქსირებული განწყობის წრეს და ძალას, სრულიად განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს მისი ქცევის გასაგებად.

მეორის მხრივ, გადამწყვეტი მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს იმასაც, თუ როგორია ამა თუ იმ შემთხვევაში განწყობის მოქმედების, მისი, ასე ვთქვათ, მექანიზმის თავისებურება. ადამიანის ინდივიდუალობა არა მარტო მისი წარსულის ვითარებაზეა დამოკიდებული, არა მარტო იმაზე, თუ როგორია შინაარსეულად მისი ფიქსირებული განწყობა, არამედ იმაზეც, თუ როგორია ეს უკანასკნელი ფორმალურად.

1) აქ, პირველ რიგში, საყურადღებო იქნებოდა გამოგვერკვია, თუ რამდენად ადვილად უძმუავდება სუბიექტს ფიქსირებული განწყობა, რამდენად აგზნებადია იგი ამ მხრივ. უეჭველია, განწყობის აგზნებადობა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფორმალური მომენტი იქნებოდა, რომელიც ადამიანთა განსხვავებულობას ბევრის მხრივ შუქს მოფენდა.

სათანადო ცდებიდან ირკვევა, რომ განწყობის აგზნებადობა მართლა სხვადასხვაგვარია. არიან ადამიანები, რომელთაც ორიოდვე საგანწყობო ექსპოზიციის შედეგადაც ადვილად უფიქსირდებათ სათანადო განწყობა. მაგრამ არიან ისეთებიც, რომელთაც ამისათვის 15-20 ექსპოზიციაც არ ჰყოფნის.

2) რა ემართება განწყობას კრიტიკული ექსპოზიციის ხანგრძლივი ზეგავლენის შედეგად? იგი უთუოდ ქრება და ადგილს უთმობს ადეკვატურს განწყობას, თუ ეს ყოველთვის ასე ხდება? ცდები ამტკიცებენ, რომ აქ ორ ურთიერთის მოპირდაპირე ტიპს აქვს ადგილი. ერთის მხრივ, ჩვენ საქმე გვაქვს ისეთ შემთხვევასთან, როდესაც ერთხელ შემუშავებული განწყობა იმდენად უძრავი და ინერტულია, რომ იგი სრულიად არ უთმობს ადგილს ადეკვატურ განწყობას, რაგინდ მრავალგზისაც უნდა იმოქმედონ მასზე კრიტიკული ცდის ობიექტებმა. ამ შემთხვევაში სუბიექტი თავს ვერ აღწევს ილუზიას, იგი ვერ ახერხებს გზის გაკვლევას ობიექტური ვითარებისაკენ. ასეთ უძრავსა და ურყევ განწყობას შეიძლება სტატიკური ვუწოდოთ – განწყობის იმ ტიპისაგან განსხვავებულად, რომელიც მოცემულ პირობებში ადრე თუ გვიან განზე დგება და ადეკვატურ განწყობას უთმობს ადგილს. თუ პირველი ტიპისათვის ისაა დამახასიათებელი, რომ იგი უსასრულო ილუზიის მსხვერპლად გვაქცევს, მეორე, რომელსაც შეიძლება დინამიკური ვუწოდოთ, ასეთ უძრავობას არ იჩენს და, ბოლოს და ბოლოს მაინც, ადეკვატური აღქმის შესაძლებლობას გვაძლევს.

3) სტატიკური იქნება განწყობა თუ დინამიკური, სულ ერთია, შესაძლოა იგი მეტ-ნაკლები პლასტიკურობით ხასიათდებოდეს. როგორც სათანადო ცდებიდან ჩანს, არის შემთხვევები, რომ განწყობა, ცდების განმეორებითი ზემოქმედების გამო, თანდათანობით სუსტდება და, რამოდენიმე ფაზის განვლის შემდეგ, სა-

ბოლოოდ რომელსამე მათგანზე ჩერდება (სტატიკური განწყობა), ანდა ყველა ფაზის გავლის შემდეგ სრულიად აღიკვეთება (დინამიკური განწყობა). ამ ორივე შემთხვევაში ჩვენ პლასტიკურ განწყობასთან გვაქვს საქმე. მაგრამ სხვაგვარ შემთხვევებსაც აქვს ადგილი: განწყობა ან გამუდმებით ერთ რომელსამე ფაზაზე რჩება გაყინული, ანდა პირველად მოცემული ფაზიდან თანდათანობით კი არ გადადის დანარჩენებზე, არამედ ერთბაშად, ყოველი თანდათანობითი დასუსტების გარეშე, ისპობა. აქ ორივე შემთხვევაში განწყობის სიტლანქესთან გვაქვს საქმე.

4) ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ, რომ განწყობას გენერალიზაცია ან ირადიაცია ახასიათებს. რასაკვირველია, შესაძლებელია სხვადასხვა შემთხვევაში ეს უკანასკნელი მეტ-ნაკლები განფენილობით იყოს წარმოდგენილი. ეს გარემოება სრულიად არ ეწინააღმდეგება განწყობის მთლიანობით ბუნებას: განწყობა ყველგან სუბიექტის, როგორც მთელის, მდგომარეობაა მაშინაც, როდესაც იგი ფართოდაა მასში გავრცელებული, და მაშინაც, როდესაც იგი თითქოს მხოლოდ ზოგიერთ არეს ეხება. სათანადო ცდების შედეგად გამოირკვა, რომ საგანწყობო ცდების ნიადაგზე აღმოცენებული განწყობა შესაძლოა ძალიან ფართოდ იყოს გავრცელებული; მაგ: აქტიური შეხების სფეროში შექმნილი განწყობა მხედველობის არეშიც იყოს გავრცელებული. მაგრამ შესაძლოა ისიც, რომ იგი იმ ორგანოს საზღვრებს არ სცილდებოდეს, რომელიც საგანწყობო ცდებში იღებდა მონაწილეობას; მაგ: თუ საგანწყობო ცდებში მარტო ცალი თვალი ან ცალი ხელი ღებულობდა მონაწილეობას, შესაძლოა, განწყობის გავრცელებულობა მარტო ამ ცალი ხელით თუ ცალი თვალით განისაზღვროს.

5) არის შემთხვევები, რომ განწყობა სამუდამოდ თავისი მოქმედების ერთ-სა და იმავე ტიპს ინარჩუნებს: თუ, მაგ: იგი პლასტიკურია და დინამიკური, იგი ყოველთვის ასეთი რჩება, მიუხედავად იმისა, დღეს იქნება იგი სათანადო საგანწყობო ცდების შედეგად მიღებული, თუ ხვალ. ამ შემთხვევაში ჩვენ კონსტანტური განწყობის შესახებ უნდა ვილაპარაკოთ. მაგრამ განწყობა ყოველთვის კონსტანტური როდია. არის ისეთი შემთხვევებიც, რომ განწყობა ცვალებადი (ვარიაბილური) ხდება: დღეს რომ იგი თავისი მოქმედების ერთ ტიპს გვიჩვენებს, ხვალ სულ სხვა სურათს გვაძლევს.

6) განწყობის ერთ-ერთ ნიშანს სტაბილობა წარმოადგენს. მაგრამ იგი ყოველთვის ერთნაირი როდია. არის შემთხვევები, რომ განწყობა, ან უცვლელის ან შეცვლილი სახით, დიდ ხანს სძლებს ხოლმე (კონსტანტურ-სტაბილური და ვარიაბილურ-სტაბილური), ანდა შედარებით მალე ისპობა – არ ერთბაშად (კონსტანტურ-ლაბილური).

7) შენიშნულია, რომ ზოგიერთ შემთხვევაში ორიოდ კრიტიკული ექსპოზიცია ან ამ უკანასკნელის ოდნავ გახანგრძლივებაც საკმარისია, რომ სუბიექტმა მოწოდებული ობიექტების სწორი შეფასება მოგვეცეს. მაგრამ არის ისეთი შემთხვევებიც, რომ ამავე ეფექტის მიღება მხოლოდ საკმაოდ ხანგრძლივი კრიტიკული ექსპოზიციის, თუ კრიტიკული ექსპოზიციათა მრავალგზისი განმეორების შემდეგ ხერხდება. უეჭველია, ეს იმიტომ უნდა ხდებოდეს, რომ განწყობას ყოველთვის

ერთი და იგივე სიმტკიცის დონე არ უნდა ახასიათებდეს, რომ უნდა არსებობდეს უფრო მტკიცე და ნაკლებ მტკიცე განწყობის შემთხვევები.

ბანწყობა პათოლოგიურ შემთხვევებში

1. განწყობა და პათოლოგია – თუ განწყობა მართლა ეგოდენ დიდ როლს თამაშობს ჩვენი ქცევის თუ განცდის მიმდინარეობაში, თუ მართლა ისაა, რომ პირველ რიგში იცვლება სინამდვილესთან ჩვენი ურთიერთობის შეცვლასთან ერთად და ჩვენი განცდის თუ ქცევის თავისებურებას განსაზღვრავს, მაშინ, ცხადია, რომ პათოლოგიურ შემთხვევებში განწყობის შესწავლას სრულიად განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. საქმე ისაა, რომ აქ, პათოლოგიურ შემთხვევებში, ქცევის მკვეთრად გამოვლენილი გადახრის ან გამრუდების სხვადასხვა ფორმას ვხვდებით; და ეს გარემოება პირდაპირ გვაფიქრებინებს, რომ, თუ ჩვენი დებულება განწყობის მნიშვნელობის შესახებ სწორია, მაშინ აქ, ამ პათოლოგიურ შემთხვევებში, განწყობის მოქმედების უეჭველად ამდენადვე განსხვავებულ ფორმებთან უნდა გვქონდეს საქმე.

პათოლოგიურმა თავისებურებებმა განსაკუთრებით მკვეთრად სწორედ ფიქსირებული განწყობის მოქმედებაში უნდა იჩინონ თავი. იმიტომ, რომ, როგორც ცნობილია, ავადმყოფური ფსიქიკისათვის განსაკუთრებით სხვადასხვაგვარი ფიქსაციის მოვლენებია დამახასიათებელი. და მართლაც, სათანადო ცდების შედეგად საბოლოოდ გამორკვეულად შეიძლება ჩაითვალოს, რომ ფიქსირებული განწყობის მოქმედება პათოლოგიურ შემთხვევებში საზოგადოდ საკმაოდ თავისებურია; და, გარდა ამისა, ირკვევა ისიც, რომ ეს მოქმედება სხვადასხვა დაავადების შემთხვევაში იმდენად სპეციფიკურია, რომ ამის მიხედვით ამ უკანასკნელთა საკმაოდ შორსმწვდომი დიფერენციაცია ხერხდება.

პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს შემდეგი: ზემოთ, როდესაც განწყობის პროცესის შესახებ გვქონდა საუბარი, ჩვენ დავრწმუნდით, რომ იგი, თეორიულად მაინც, ექვს განსხვავებულ საფეხურს ან ფაზას შეიცავს. მაგრამ პრაქტიკულად, ცალკეული ნორმალური ადამიანების შემთხვევაში, ეს ფაზები არასდროს სისრულით არ გვეძლევა: როგორც წესი, ისინი მჭიდროვდებიან და, ჩვეულებრივ, არსებითად სულ სამს თუ ოთხ ფაზაში ერთიანდებიან.

სულ სხვაა პათოლოგიური პირების შემთხვევაში; რასაკვირველია, ექვსივე ფაზის სრული გამოვლენის ფაქტთან არც აქ გვაქვს საქმე. მაგრამ აქ არც მათ იმგვარ შემჭიდროებას აქვს ადგილი, როგორსაც ნორმალური, ჯანმრთელი ადამიანების შემთხვევაში ვხვდებით.

უფრო დამახასიათებელი აქ შემდეგი გარემოება აღმოჩნდა: ამა თუ იმ დაავადების შემთხვევაში წინ იწევს განწყობის მოქმედების რომელიმე ერთი ან მეტი ცალკეული ფაზა, ხშირად ის, რომელიც ჯანსაღი ადამიანის შემთხვევაში იმდენად დაჩრდილულია, რომ მისი არსებობა მხოლოდ თეორიულად თუ შეიძლება იგულისხმოდ. საინტერესოა, რომ სხვადასხვა დაავადების დროს სწორედ სხვადასხვა ფაზა წამოიწევს ხოლმე პირველ პლანზე. როგორც ვხედავთ, ეს გარემოება იმ

მხრივაცაა საინტერესო, რომ განწყობის რეგრესული განვითარების ის ფაზები, რომლის არსებობაც ჯანმრთელი ადამიანის შემთხვევაში მხოლოდ თეორიულად უნდა იქნეს მიღებული, აქ, პათოლოგიური ქცევის შემთხვევაში, ხელშესახებ ფაქტად იქცევა.

მეორე გარემოება, რომელიც დამახასიათებელი აღმოჩნდა, ეს ისაა, რომ პათოლოგიური შემთხვევებისათვის განწყობის მოქმედების სწორედ ის სახეები სპეციფიკური და, ასე ვთქვათ, ჩვეულებრივი, რომელნიც ნორმალური ცდისპირების შემოწმების დროს მხოლოდ გამონაკლისის სახით თუ გვხვდებიან. სანიმუშოდ გავეცნოთ განწყობის მოქმედებას რამოდენიმე განსაკუთრებით ცნობილ დაავადებათა შემთხვევებში, სახელდობრ, ეპილეფსიის, შიზოფრენიისა და ისტიერიის შემთხვევებში.

2. განწყობა შიზოფრენიის დროს – შიზოფრენიის შემთხვევების ანალიზმა თავიდანვე ნათელჰყო, რომ ფიქსირებული განწყობა აქ სრულიად სპეციფიკურს, ჯანმრთელისათვის უჩვეულო ფორმებს ღებულობს: 1) ჯერ ერთი, იგი განსაკუთრებით ადვილად აგზნებადი აღმოჩნდა: სულ ორიოდვე საგანწყობო ცდა საკმარისია, რათა ავადმყოფს ისეთივე ჩამოყალიბებული ფიქსირებული განწყობა გაუჩნდეს, როგორც 15-20 საგანწყობო ექსპოზიციის შემდეგ ვღებულობთ ხოლმე. 2) შიზოფრენიის განწყობას არაჩვეულებრივ მტკიცე გენერალიზაცია ახასიათებს: ჰაპტურ არეში გამოწვეული განწყობა უკლებლივ ოპტიკურ სფეროზეც ვრცელდება და აქ ისეთსავე მკაფიო ილუზიებს იწვევს, როგორსაც თავისი აღმოცენების პირველადს არეში. 3) კიდევ უფრო დამახასიათებელია, შეიძლება ითქვას, სპეციფიკურია, ამ დაავადებისათვის განწყობის სიტლანქე და განსაკუთრებით სტატიკურობა: შიზოფრენიკი თავს ვერ აღწევს ერთხელ შექმნილ განწყობას, და საინტერესოა, რომ ეს სტატიკურობა მის განწყობას არა მარტო თავისი აღმოცენების პირველადს არეში აქვს, არამედ სხვაგანაც, სადაც კი იგი ვრცელდება. ამისდა მიხედვით, შიზოფრენიკს რომ, მაგ: ორჯერ მისცე ხელთ შესადარებლად ორი სხვადასხვა მოცულობის ბურთი – ერთი და იმავე წესრიგით – ეს საკმარისი აღმოჩნდება, რომ ჩვეულებრივს კრიტიკულ ცდებში მან ერთხელაც ვერ შესძლოს მიწოდებული ბურთების ტოლობის დადასტურება, რაგინდ ბევრჯერაც უნდა გაასინჯვინო მას ხელში ეს ტოლი ბურთები. ამრიგად, შიზოფრენიკი უსასრულო ილუზიის მსხვერპლად იქცევა. მაგრამ განსაკუთრებით საინტერესო ისაა, რომ ეს უსასრულო ილუზია მაშინაც ძალაში რჩება, როდესაც შიზოფრენიკს თვალით აჩვენებ ამავე ბურთებს: ეხლა ისინი არა მარტო ხელში ეჩვენება მას უტოლოდ, არამედ თვალთაც, მიუხედავად იმისა, რომ თვალის საგანწყობო ცდებში არავითარ მონაწილეობას არ ღებულობდა. როგორც ჩანს, ერთხელ შექმნილი ფიქსირებული განწყობა მთლიანად მოიცავს შიზოფრენიკის პიროვნებას და არ აძლევს მას შესაძლებლობას, ობიექტური ვითარებისაკენ გზა გაიკვილოს.

ამრიგად, შიზოფრენიის შემთხვევაში დაავადებულის ფიქსირებული განწყობა თვალსაჩინოდ განსხვავდება ნორმალურისაგან: იგი ტლანქია, სტატიკური და ფართოდ ირადირებული; მიუხედავად ამისა, იგი ადვილად აგზნებადი და ამავე

დროს უაღრესად კონსტანტური და სტაბილური. ერთი სიტყვით, შიზოფრენიკის განწყობა უეჭველად თავისებურია: მისი სტატიკურობა, ირადიულობა, კონსტანტობა და სტაბილობა შორს დგას ნორმალური ადამიანის განწყობის მოქმედების ტიპური მიმდინარეობისაგან.

3. განწყობა ეპილეფსიის დროს – ეპილეფსიის შემთხვევაში განწყობის მოქმედების კიდევ უფრო გამოკვეთილ თავისებურებასთან გვაქვს საქმე. ეპილეპტიკის განწყობაც აგზნებადია, ტლანქია და სტატიკური. ამ მხრივ თითქოს არავითარი განსხვავება არ ჩანს მასსა და შიზოფრენიკს შორის. მაგრამ შემდგომი დაკვირვება გვიჩვენებს, რომ განსხვავება მაინც დიდია და ამავე დროს ძალიან დამახასიათებელიც. საქმე ისაა რომ ეპილეპტიკის განწყობის ირადიაცია უაღრესად შემოფარგლული აღმოჩნდა. იგი არა თუ ერთი სენსორული არიდან მეორეზე ვერ გადადის, იგი თვით ამ ერთს სენსორულ არესაც ვერ ფარავს. კერძოდ, ეპილეპტიკს რომ განმეორებით მისცე ხელთ შესადარებლად ორი სხვადასხვა მოცულობის ბურთი ერთი და იმავე წესით და შემდეგ ტოლი ბურთები დაანახო და ერთმანეთს შეადარებინო, იგი მათ, შიზოფრენიკისაგან განსხვავებით, იმწამსვე, ტოლად შეაფასებს. როგორც ჩანს, აქტიური შეხების არეში შექმნილი განწყობა აქვე რჩება, იგი უფრო შორს არ ვრცელდება. კიდევ მეტი: შევუქმნათ მას ახლა განწყობა ერთ ხელში, ხოლო ტოლი ბურთები მეორეში მივცეთ შესადარებლად. რა მოხდება? ილუზია არც ესლა იჩენს თავს. დასკვნა ნათელია: ეპილეპტიკის განწყობა ლოკალურია. აღსანიშნავია, რომ იგი ისევე მტკიცედ კონსტანტური და სტაბილური აღმოჩნდა, როგორც შიზოფრენიკის ირადირებული განწყობა.

რასაკვირველია, ჩვენ შევხვდებით ე.წ. ეპილეპტიკთა შორის ისეთებსაც, რომელთა განწყობაც სულ ასეთი არაა; მაგრამ ეს მხოლოდ უმნიშვნელო უმცირესობაა, და გადახრა ამ შემთხვევაში არაა საკმარისი, ზემოაღნიშნული კანონზომიერების ფაქტიურობაში რომ ეჭვი შევიტანოთ, მით უმეტეს, რომ ამ გადახრას თავისი საფუძველი მოეპოვება, რასაც აქ ვერ შევხებით.

4. განწყობა ისტერიის შემთხვევებში – თავისებური აღმოჩნდა განწყობის მოქმედება ისტერიის შემთხვევაშიც. ჯერ ერთი, შიზოფრენიისა და ეპილეფსიისაგან განსხვავებით, ისტერია განწყობის მოქმედების ერთს გარკვეულ ტიპს არ იძლევა: ა) ერთხელ რომ ორიოდ საგანწყობო ექსპოზიციაც ქმნის საკმაოდ გამოკვეთილ განწყობას, მეორეჯელ საგანწყობო ექსპოზიციათა დიდი რიცხვიც ვერ იძლევა ეფექტს, და ისტერიული ადამიანი კრიტიკულ ცდებში, ჩვეულებრივ, ადეკვატურ შეფასებას აძლევს ხოლმე ტოლ ობიექტებს, ბ) სხვა პირობებში ჩვენ შიზოფრენიკული განწყობის შემთხვევებსაც ვხვდებით და ეპილეფსიურისასაც. მაგრამ ეს უკანასკნელი ისე მკვეთრად ლოკალური მაინც არაა, როგორც ნამდვილი ეპილეფსიის შემთხვევებში: შესაძლოა, ისტერიულს ერთ სენსორულ არეში შექმნილი განწყობა მეორეზე არ უვრცელდებოდეს, მაგრამ თვითონ იმ სენსო-

რულ არეში, რომელშიც საგანწყობო ცდები წარმოებდა, იგი დაუბრკოლებლივ ვრცელდება: ცალ ხელში შექმნილი განწყობა მეორე ხელზეც გადადის.

ერთი სიტყვით, არ ითქმის: ისტერიისათვის განწყობის მოქმედების ერთი რომელიმე სპეციფიკური ტიპი იყო დამახასიათებელი.

ამას სავსებით ეთანხმება ის შედეგებიც, რომელსაც ცალკე პირებზე კონსტანტობისა და სტაბილობის ცდების ჩატარება იძლევა: ისტერიული სათვის სწორედ განწყობის ვარიაციულობა და ლაბილობა აღმოჩნდა დამახასიათებელი; მისი განწყობა ადვილად იცვლება სხვადასხვა დროს და მალე სუსტდება და ქრება, თუ მას ყოველდღიურად ახალი საგანწყობო ექსპოზიციები არ ამაგრებს.

5. ჯანმრთელობის გაუმჯობესება და განწყობა – ჩვენთვის აქ საჭირო არაა სხვა პათოლოგიურ შემთხვევათა განხილვა. უეჭველია, რომ განწყობა მართლა არსებითი მნიშვნელობის ფაქტს წარმოადგენს. ამის უდავო საბუთს შიზოფრენიის, ეპილეფსიისა და ისტერიის შემთხვევებში განწყობის მოქმედების სპეციფიკური გადახრის ფაქტები იძლევიან.

მაგრამ ამავე პათოლოგიურ შემთხვევებში განწყობის თავისებურების კვლევის დროს ჩვენ წავაწყდით მეორე ფაქტსაც, რომელიც კიდევ უფრო დემონსტრაციულად ამტკიცებს ჩვენი დებულების სისწორეს. თუ პიროვნების ქცევის თავისებურება მისი განწყობის მოქმედების შესატყვის თავისებურებას გულისხმობს, მაშინ უდავოა, რომ ყველგან, სადაც პათოლოგიური პიროვნება გაჯანსაღების გზას დაადგება, სადაც მისი ქცევა ნორმალურთან დაახლოებას დაიწყებს, იქ სათანადო ცვლილება განწყობის მოქმედების სფეროშიც უნდა მოხდეს: იქ განწყობის მოქმედების ტიპი ნორმალურს უნდა დაუახლოვდეს. პათოლოგიური განწყობის ექსპერიმენტალური შესწავლის პროცესში სწორედ ამ ფაქტმა იჩინა თავი: ყველგან, სადაც ავადმყოფი გაუმჯობესების გზას ადგებოდა, განსაკუთრებით იქ, სადაც მართლა გაჯანსაღების შესახებ შეიძლებოდა ლაპარაკი, მაგრამ ხშირად იქაც, სადაც იგი დროებით მაინც კარგად გრძნობდა თავს, მისი განწყობის ტიპი თვალსაჩინოდ იცვლებოდა და გარკვევით იმას უახლოვდებოდა, რაც ამ სუბიექტისათვის, როგორც გარკვეული ხასიათის პატრონისათვის, ჯანმრთელობის დროს იყო ან უნდა ყოფილიყო დამახასიათებელი.

არსებობს მთელი რიგი ცდები, რომელთა შედეგებიც უდავოდ ხდის ამ დებულებას. საგულისხმოა, რომ ეს არა მარტო ერთი რომელიმე ავადმყოფობის შესახებ ითქმის, მაგ: არა მარტო ისტერიის, ან ეპილეფსიის შესახებ, არამედ შიზოფრენიის შესახებაც. ექიმ ი. ბჟალავას ცდების მასალებიდან, რომელიც მან ქაფურით წარმატებით მკურნალობის შემდეგ ჩაატარა შიზოფრენიკებზე, ნათლად ჩანს, რომ განკურნების შემდეგ შიზოფრენიკიც განწყობის ნორმალურ ტიპს უბრუნდება.

ადამიანის ქცევის ფორმები

ქცევის ცნებას სრულიად განსაკუთრებული ადგილი ეკუთვნის ფსიქოლოგიაში. მართალია, ბიჰევიორისტული ფსიქოლოგიის მტკიცება, რომ ქცევა ჩვენს მეცნიერების შესწავლის ძირითად საგანს წარმოადგენს, არავითარ შემთხვევაში დასაბუთებულად არ შეიძლება ჩაითვალოს, მაგრამ ის მაინც უეჭველია, ფსიქოლოგიის ნამდვილი საგნის – ფსიქიკური ცხოვრების – შესწავლისათვის ამ ცნებას სრულიად განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. საქმე ისაა, რომ ისტორიულად ფსიქიკური ცხოვრება გარემოსთან ურთიერთობის, პრაქტიკის ან ქცევის ნიადაგზეა აღმოცენებული, და ყველა ძირითადი თავისებურება, რომელიც მას ახასიათებს, მთელი ის კანონზომიერება, რომელიც მასში იჩენს თავს, პრაქტიკის პროცესშია შექმნილი და განვითარებული. ცხადია, ფსიქოლოგიური კვლევა უნაყოფო იქნებოდა, თუ ამ ფუძემდებელ გარემოებას ანგარიშს არ გაუწევდა და ქცევას სათანადო ყურადღებით არ მოეპყრობოდა. ბურჟუაზიული ფსიქოლოგიის აბსტრაქტული და მეტაფიზიკური ხასიათი, მისი სქემატიზმი და ფორმალიზმი, მისი უნაყოფობა კონკრეტული ფსიქიკური სინამდვილის გაგების ამოცანათა მიმართ, განსაკუთრებით ამ დებულების შეუფასებლობიდანაც გამომდინარეობს. თავისთავად იგულისხმება, ნამდვილს მეცნიერულ ფსიქოლოგიაში ქცევის ცნებას სრულიად განსაკუთრებული ადგილი უნდა ეთმობოდეს.

მიუხედავად ამისა, ჯერ კიდევ არ შეიძლება ითქვას, ამ ცნების თუნდ ძირითადი ფსიქოლოგიური შინაარსის შესახებ საბოლოო შეთანხმება არსებობდეს. ისე როგორც მრავალ სხვა შემთხვევაში – და შეიძლება კიდევ უფრო მეტადაც – საკითხის მართებულ გადაჭრას აქაც, სხვათა შორის, ის საბედისწერო წინამძღვარი უშლის ხელს, რომელზეც არსებითად მთელი ბურჟუაზიული ფსიქოლოგიაა აგებული და რომლის მიხედვითაც მთელი ფსიქიკური და მოტორული პროცესები უშუალო მიზეზობრივ კავშირში იმყოფებიან ურთიერთთან და გარემოსთან. ამ უშუალობის ჰიპოთეზის მიხედვით, გამოდის, რომ ქცევა სუბიექტის, პიროვნების, როგორც კონკრეტი მთლიანობის, არსებითი მონაწილეობის გარეშე ხდება, რომ იგი არა სუბიექტის, არამედ მისი ცალკეული ფსიქიკური და მოტორული პროცესების ურთიერთობას წარმოადგენს გარემოსთან, რომ იგი პირველად ორი წევრის უშუალო ურთიერთობით განისაზღვრება – მოტორული ან ფსიქიკური პროცესებისა და მათი სტიმულისა და გამლიზიანებლის ურთიერთობით, და რომ, მაშასადამე, მის გასაგებად ამ ორი წევრის გათვალისწინების მეტი არაფერია საჭირო. რაც შეეხება თვითონ სუბიექტს, როგორც კონკრეტულ მთლიანობას, რომელიც ამ ურთიერთობას გარემოსთან ამყარებს, რათა ამით თავისი მიზნები დაიკმაყოფილოს, – რაც შეეხება ამ სუბიექტს, მისი მოთხოვნილებებითურთ, უშუალობის ჰიპოთეზის ნიადაგზე ქცევის ანალიზისას იგი, როგორც ზედმეტი, მთლიანად მხედველობის გარეშე რჩება. მაშასადამე, ყველაფერი, ის რაც ამ სუბიექტს წარმოადგენს ქცევაში – აზრი, მნიშვნელობა – არსებითად ქცევის ცნებაში არ შედის; იგი უცხო დანართი ელემენტი გამოდის, რომელსაც თვითონ ქცევის გასაგებად არავითარი მნიშვნელობა არ აქვს. ამიტომაც, რომ იგი ქცევის ცნებიდან სრულიად

გამორიცხულია და მასში ზემოაღნიშნულს ორს ურთიერთობაში მყოფ წევრს რჩება ადგილი: პროცესებს ან აქტებს (ფსიქიკურს და მოტორულს) და მათს გამლიზიანებლებს. მოკლედ: ქცევა სტიმულსა და მის პასუხს წარმოადგენს.

ავიღოთ მაგალითი: ყოველდღიურ ცხოვრებაში ქცევის სახელწოდებით ასეთი შემთხვევები აღინიშნება: სტუდენტი წიგნს კითხულობს, კოლმეურნე ყანას თოხნის, იულიუს ცეზარი რუბიკონზე გადადის, ნაპოლეონი რუსეთზე ილაშქრებს.... როგორც ვხედავთ, აქ ყველგან მოძრაობათა თანმიმდევრობასთან გვაქვს საქმე, რომელიც აუცილებლად რაიმე კონკრეტულ სიტუაციაში ხდება და გარკვეული სუბიექტის – ქცევის სუბიექტის – სრულიად გარკვეულ მოთხოვნილებას აკმაყოფილებს. სუბიექტს რომ ეს მოთხოვნილება არ გასჩენოდა და ეს გარკვეული სიტუაცია არ ჰქონოდა, იგი ქცევის ამ გარკვეულ აქტს არ მიმართავდა. უდავოა, მოძრაობათა თანმიმდევრობას ნამდვილ ქცევად მხოლოდ ეს გარემოება (მოთხოვნილება და სიტუაცია) აქცევს.

უგულებელვყოთ ახლა სუბიექტი თავისი მოთხოვნილებებით, რომელთა დასაკმაყოფილებლადაც იგი გარკვეულ სიტუაციაში ამ თუ იმ ზემოაღნიშნულ ქცევას მიმართავს. რას მივიღებთ ამის შედეგად? ქცევის თითოეული შემთხვევა თავის სპეციფიკურ თავისებურებას დაჰკარგავს და განსხვავება მათ შორის მხოლოდ ის იქნება, რომ ზოგში ელემენტარული მოძრაობების ერთ თანამიმდევრობას ექნება ადგილი და ზოგში – მეორეს. მაშასადამე, ნამდვილ ქცევად ამ შემთხვევაში ეს გარკვეული ელემენტარული მოძრაობები უნდა ჩაითვალოს და არა მათი ესა თუ ის კომპლექსები, რომელთაც თავისთავად სპეციფიკური და, მაშასადამე, საგანგებოდ შესასწავლი აღარაფერი აქვთ.

რას წარმოადგენენ ეს ელემენტარული მოძრაობები? ქცევის ყველა ზემოაღნიშნულ შემთხვევაში ჩვენ ერთსა და იმავე გარემოებასთან გვაქვს საქმე: სხეულის გრძნობიერ ზედაპირზე გარედან რაიმე გარკვეული გამლიზიანებელი მოქმედებს. იგი ნერვულ ბოჭკოში გარკვეულ ფიზიოლოგიურ პროცესს იწვევს, რომელიც ნერვულ ცენტრში ვრცელდება, აქედან ეფერენტულ ნერვზე გადადის და დასასრულ კუნთის შეკუმშვით მთავრდება. ბიჰევიორისტების რწმენით, ყოველი კონკრეტის ქცევის შემთხვევა მხოლოდ ასეთი ელემენტარული პროცესებისგან შედგება. ამისდა მიხედვით, როდესაც ჩვენს წინაშე ქცევის რაიმე კონკრეტული აქტია, იგი მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება ჩაითვალოს შესწავლილად, თუ გარკვეულია, რა ელემენტარული პროცესები შეადგენენ მას. ამერიკელი ფსიქოლოგი ტომენი ამ ელემენტარულ პროცესებს მოლეკულარულ ქცევას უწოდებს, ხოლო ქცევის რთულ, კონკრეტ ფორმებს, რომლის მაგალითებიც ზემოთ გვქონდა დასახელებული, მოლარულს.

ბიჰევიორისტულ ფსიქოლოგიას, მაშასადამე, ნამდვილ ქცევად მოლეკულარული ქცევა მიაჩნია. მისი რწმენით, ადამიანის ცხოვრება მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება მეცნიერულად შესწავლილად ჩაითვალოს, თუ რომ იგი მთლიანად მოლეკულარული ქცევის აქტებზე იქნა დაყვანილი, თუ რომ, ამრიგად, ის ჭეშმარიტი ფიზიოლოგიური პროცესები იქნა მიკვლეული, რომელთაც მარტომარტო

და ნამდვილად აქვთ ადგილი ორგანიზმში, როგორც ნამდვილ არსს ქცევისას. მაგრამ ფსიქოლოგია მაშინ კონკრეტული ადამიანის ქცევის მეცნიერებად ვედარ ჩაითვლებოდა, იმიტომ, რომ კონკრეტული ქცევა, როგორც ვიცით, ყოველთვის რაიმე მოთხოვნილებას ემსახურება, რაიმე აზრს, რაიმე მნიშვნელობას შეიცავს: ფსიქოლოგია რეფლექსის მეცნიერებად, ფიზიოლოგიად გადაიქცეოდა. აქედან ნათელია: თუ რომ შესაძლებელია მეცნიერება ადამიანის კონკრეტული ფსიქიკური ცხოვრების შესახებ, ქცევის ბიჰევიორისტული, მოლეკულარული გაგება მისთვის უნაყოფოდ და შეუწყნარებლად უნდა ჩაითვალოს და მისი ადგილი მოლარული ქცევის ცნებამ უნდა დაიკავოს.

გემტალტ-თეორიის ძირითადი პრინციპების თანახმად, არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ითქვას, რომ ფიზიოლოგიურ არეში მიმდინარე პროცესები უთუოდ მოლეკულარულ პროცესებს წარმოადგენენ, რომ აქ, ამ არეში, მოლარულ ფენომენებს არა აქვთ ადგილი. ვერთჰაიმერის ძირითადი ჰიპოთეზის მიხედვით, რომელიც განსაკუთრებით ვ. კელერის მიერ იყო განვითარებული და იზომორფიზმის სახელწოდებითაა ცნობილი, მტკიცდება, რომ ტვინის ატომებისა და მოლეკულების მოძრაობა ფუნდამენტურად კი არ განსხვავდება აზრებისა და გრძნობებისაგან, არამედ მოლარული ასპექტით, როგორც განფენილი პროცესი, იდენტურია ამათთან, რომ, მაშასადამე, ფიზიოლოგიური პროცესებიც გემტალტურია. აქედან, იმავე კოფკას სიტყვით, მხოლოდ ასეთი დასკვნა გამომდინარეობს: „თუ ფიზიოლოგიური პროცესები განფენილობაში მიმდინარე პროცესებს წარმოადგენს, თუ ისინი, ნაცვლად იმისა, რომ მოლეკულარული იყვნენ, მოლარული არიან, მაშინ აღარ არსებობს არავითარი საშიშროება, მოლეკულარული ქცევის სასარგებლოდ, მოლარული ქცევის განზე დატოვებისა“ და ადამიანის მთლიანი აზრიანი ქცევის ყოველგვარ აზრს მოკლებულ პროცესებზე დაყვანისა.

ამრიგად, გემტალტ-თეორიის მიხედვით, დასაბუთებულად შეიძლება ჩაითვალოს, რომ სინამდვილეში არა მოლეკულარულ, არამედ მოლარულ ქცევას აქვს ადგილი და, მაშასადამე, ფსიქოლოგიას შესაძლებლობა აქვს, ადამიანის ნამდვილი ქცევა შეისწავლოს.

მაგრამ შეიძლება კი გემტალტ-თეორიის მოლარული ქცევა მართლაც აზრიან ქცევად ვიგულოთ? კოფკას მიხედვით, ადამიანის ქცევა იმიტომ უნდა ჩაითვალოს უფრო მოლარულად, ვიდრე მოლეკულარულად, რომ იგი განფენილი პროცესია, რომელსაც არა განცალკევებული, ლოკალური, ურთიერთისაგან სრულიად დამოუკიდებელი კავშირები განსაზღვრავენ, არამედ ფართო ველი, რომელშიც ეს პროცესები მიმდინარეობს – არა ცალკეული ნერვული გზები ორგანიზმში, არამედ ვრცელი გარემო, რომლის დინამიკურ ზეგავლენასაც იგი განიცდის და რომელსაც კოფკა „ქცევის გარემოს“ უწოდებს. აზრი, მნიშვნელობა მხოლოდ იმიტომ აქვს და იმდენად აქვს ქცევას, რამდენადაც იგი გარკვეული მთლიანი სტრუქტურის, გემტალტის აუცილებელ მომენტს წარმოადგენს, რამდენადაც მასში გარკვეული ადგილი უკავია და გარკვეულ როლს ასრულებს.

მაგრამ ქცევის აზრის, ქცევის მნიშვნელობის შესახებ ისე ლაპარაკი, რომ მხედველობაში არ გვექონდეს მიზანი, რომელსაც ეს ქცევა ემსახურება, ყოველ შემთხვევაში ბუნებრივად არ შეიძლება ჩაითვალოს და გეშტალტ-თეორია იძულებული ხდება ამ შემთხვევაში სწორედ ასეთ ბუნებრივ გზას მიმართოს. მიზეზი ისაა, რომ ქცევის მიზანზე მხოლოდ იმას შეუძლია ილაპარაკოს, ვინც ქცევას გარკვეული მოთხოვნილების მქონე აქტიურ სუბიექტს უკავშირებს, ვინც ქცევას ამ სუბიექტია გარეშე არ მოიაზრებს. გეშტალტ-თეორიის ქცევის ცნება კი არსებითად სრულიად არ გულისხმობს აქტიური სუბიექტის მონაწილეობას. იმისათვის, რომ ესა თუ ის ქცევა გაიგოს გეშტალტ-თეორიის მიხედვით, სრულიად არაა საჭირო სუბიექტის ცნებას მიმართო. გადამწყვეტ როლს თვითონ სუბიექტი კი არა, გარემო ასრულებს: ქცევის თავისებურება მხოლოდ გარემოს ძალთა დინამიკის ნაწარმოებს წარმოადგენს; გარემო უშუალოდ განსაზღვრავს ქცევას, როგორც განფენილ პროცესს, როგორც რთულ მთლიანობას, როგორც მორალურ და არა მოლეკულარულ შინაარსს.

როგორც ვხედავთ, ისე როგორც ბიჰევიორიზმი, გეშტალტ-თეორიაც უშუალოდ პოზიციამზე განაგრძობს დგომას. ამიტომაც, რომ სუბიექტის ცნება მისი მოძღვრების გარეთ რჩება და ქცევის აზრისა და მნიშვნელობის დასაბუთება ეგოდენ არაბუნებრივი გზით ხდება. ნამდვილად გეშტალტ-თეორიის ქცევის ცნებაშიც ისევე მცირე ადგილი რჩება აზრისა და მნიშვნელობისათვის, როგორც ბიჰევიორიზმის ქცევის ცნებაში: არსებითად გეშტალტ-თეორიის ქცევაც, ბიჰევიორისტულის მსგავსად, წმინდა მექანიკურ პროცესს წარმოადგენს.

მაგრამ არც იმის თქმა შეიძლება, რომ გეშტალტ-თეორიის ქცევის კონცეფციაში ქცევის მორალური ხასიათი მაინც იყოს საკმარისად დასაბუთებული. საქმე ისაა, რომ აქტიური სუბიექტის ცნების გარეშე ქცევა მხოლოდ როგორც მოლეკულარული შეიძლება იქნას გაგებული, მიუხედავად იმისა, რომ შესაძლოა ეს ქცევა განფენილ პროცესსაც წარმოადგენდეს, როგორც ეს გეშტალტ-თეორიის ქცევის შემთხვევაშია. ეს ნათლად ჩანს შემდეგი მოსაზრებიდან: ვთქვათ, ჩვენს წინაშე სუბიექტია, რომელიც ფიცარს რანდავს. რა ქცევასთან გვაქვს ჩვენ ამ შემთხვევაში საქმე? რომ ვთქვათ რანდვასთან თქო, როგორც გეშტალტ-თეორია იტყოდა, ჩვენ ამით ქცევის არსს სრულიად ვერ გამოვხატავდით. საქმე ისაა, რომ შესაძლოა სუბიექტი, ამ შემთხვევაში ან შრომობდეს ან სწავლობდეს ან თამაშობდეს ან ერთობოდეს, ე.ი. სრულიად განსხვავებული მიზნებით ხელმძღვანელობდეს და, მაშასადამე, არსებითად განსხვავებული ქცევის სახეებს მიმართავდეს. მიუხედავად იმისა, რომ შრომა, სწავლა, თამაში, გართობა, როგორც ამასი განსაკუთრებით ქვემოთ დავრწმუნდებით, სულ სხვადასხვა ქცევის ფორმებია, რანდვის აქტი ყველგან შეიძლება შედიოდეს. მაშასადამე, მართო იმ მოძრაობათა გათვალისწინება, რომელთაც რანდვა ეწოდება, სრულიად არაა საკმარისი იმის გასაგებად, თუ რა ქცევასთან გვაქვს ამ შემთხვევაში საქმე. რანდვა მხოლოდ ცალკეული აქტია, რომელიც ქცევის ერთ მთლიანშიც შეიძლება შედიოდეს და მეორეშიც. ამ მხრივ, იგი იგი ქცევის მოლეკულს უფრო წარმოადგენს, ვიდრე

მთლიანს ქცევას. მაშასადამე, ნათელია, გემტალტ-თეორიის ქცევაც არსებითად უფრო მოლეკულარულია, ვიდრე მოლარული.

როგორც ვხედავთ, ქცევის პრობლემის გადაწყვეტა უშუალოდ თეორიის ნიადაგზე ვერ ხერხდება. ქცევა აქტივობაა და სუბიექტის არსებითი მნიშვნელობის გათვალისწინების გარეშე მისი წვდომა სრულიად შეუძლებელია.

ყოველი აქტივობა სუბიექტის გარე სინამდვილესთან, გარემოსთან მიმართებას ნიშნავს. სუბიექტს რაიმე კონკრეტული მოთხოვნილება უჩნდება და იგიც, ამ უკანასკნელის დაკმაყოფილების მიზნით, თავის ძალების გარე სინამდვილეზე გარკვეული მიმართულებით იწყებს მოქმედებას. ასე ჩნდება ქცევა. როგორც ვხედავთ, იგი გულისხმობს, ერთი მხრივ, სუბიექტის მოთხოვნილებას და ძალებს, ხოლო, მეორე მხრივ, გარემოს საგანს, რომელმაც ეს მოთხოვნილება უნდა დააკმაყოფილოს. ქცევა ამ ძალების ამოქმედებაა და მისი გაგება მოთხოვნილებისა და ძალების გარეშე, რომელიც მას აკმაყოფილებს, რასაკვირველია, სრულიად შეუძლებელია: ძალები იმიტომ მოქმედებენ გარკვეული სახით, რომ გარკვეული მოთხოვნილება არსებობს, რომლის დაკმაყოფილება გარკვეულ საგანს შეუძლია. მაშასადამე, რა ძალებს ამოქმედებს სუბიექტი და როგორი იქნება ეს მოქმედება, ეს საგანზე დამოკიდებული, რომელიც სუბიექტს ესაჭიროება და რომლისკენაც მისი ძალებია მიმართული: მოქმედების აქტივობას, ქცევის რაგვარობას საგანი განსაზღვრავს. აქტივობა მუდამ საგნობრივია, უსაგნო მოქმედება ყოველ გარკვეულობას მოკლებული ქაოტური, უაზრო პროცესი იქნებოდა, რომელსაც ქცევას ვერავინ უწოდებდა.

მაგრამ საგანი უშუალოდ, რეფლექსირებულად როდი განსაზღვრავს ამ თუ იმ ქცევის აქტს. ეს შესაძლებელი იქნებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, რომ ამ აქტებს დამოუკიდებელი არსებობა ჰქონოდათ, რომ ისინი გარკვეულ მთლიანობას, ცოცხალ არსებას, სუბიექტს არ გულისხმობდნენ, რომლის ცალკეულ აქტებსაც ისინი წარმოადგენენ. მაგრამ ცოცხალი არსება, როგორც სუბიექტი, ორგანიზმი, ისეთი მთლიანობაა, რომელშიც მთელი წინ უსწრებს ნაწილებს, რომელშიც ნაწილები, კერძო მოვლენები, პირველადი მთლიანობის შემდგომი დიფერენციაციის ნიადაგზე არიან აღმოცენებული, რომელშიც მაშასადამე, მთელი კი არ არის ნაწილებზე დამოკიდებული, არამედ, პირიქით, ნაწილებია მთელზე დამოკიდებული. ეს ამას ნიშნავს: ცოცხალმა ორგანიზმმა რომ რაიმე გარკვეული მოძრაობა, რაიმე ქცევა ან საზოგადოდ რაიმე ცალკეული აქტი მოგვცეს, ამისათვის იგი, როგორც მთელი, სრულიად გარკვეულ მდგომარეობაში უნდა იმყოფებოდეს; ე.ი. მისი მოქმედების, მისი ქცევის ყოველი კერძო შემთხვევა სუბიექტის, როგორც მთლიანის, ინდივიდუალურად გარკვეულს, სრულიად კონკრეტულ მდგომარეობას გულისხმობს, რომელიც ისე განსაზღვრავს თავისი აქტივობის ამ კერძო აქტს, როგორც მთელმა უნდა განსაზღვროს თავისი ნაწილების რაგვარობა. იმისათვის, რომ ცოცხალმა არსებამ თუნდ ერთი გარკვეული ნაბიჯი გადადგას, ამისათვის იგი, როგორც მთელი, წინასწარ უნდა ჩადგეს გარკვეულ მდგომარეობაში; თუ მას

სწორედ ამ ნაბიჯის გადადგმა უნდა, მაშინ იგი, როგორც მთელი, სწორედ ამ ნაბიჯის გადასადგმელად უნდა განეწყოს.

მაგრამ როგორ ახერხებს სუბიექტი სწორედ ისე განეწყოს, როგორც ეს სათანადო ქცევის აქტისთვისაა აუცილებელი, თუ რომ ეს აქტი ჯერ კიდევ არსად ჩანს, თუ რომ მან ჯერ კიდევ არაფერი იცის მის შესახებ: მოკლედ, რა განსაზღვრავს სუბიექტის, როგორც მთელის იმ მდგომარეობას, რომელიც წინ უსწრებს მისი ქცევის აქტებს, რა განსაზღვრავს მის განწყობას? პასუხი ნათელია: გარე სინამდვილესთან, საგანთან სუბიექტი აწესებს ურთიერთობას და გასაგებია, რომ ამ ურთიერთობის პროცესში გარე სინამდვილე, საგანი ახდენს მასზე უშუალო გავლენას და მას, როგორც მთელს, თავის შესატყვისად ცვლის, მასში, როგორც ძალთა მთლიანობაში, თავის შესაფერის განწყობას იწვევს.

ამრიგად, ქცევის პროცესი ასე ისახება: გარკვეული მოთხოვნილების მქონე სუბიექტი გარე საგნობრივ სინამდვილეს მიმართავს, რათა მოთხოვნილება დაიკმაყოფილოს. სინამდვილე უშუალოდ მოქმედებს მასზე და იმ საგნის შესაბამისი მოქმედებისაკენ განაწყობს, რომელიც მოცემული მოთხოვნილებისთვისაა საჭირო. ამის შედეგად სუბიექტი გარკვეული მიზანშეწონილი ქცევის აქტებს მიმართავს, ე.ი. იმ ძალებს ამოქმედებს, რომელნიც სწორედ საჭირო საგნის შესატყვისად უნდა ჩაითვალოს, და ისე ამოქმედებს ამ ძალებს, როგორც ეს ამ საგნის დასაფლობადაა აუცილებელი.

მაშასადამე, განწყობის ცნება შესაძლებლობას იძლევა გავიგოთ, თუ რატომაა, რომ ქცევა მიზანშეწონილია, აზრიანია, ე.ი. ერთსა და იმავე დროს სუბიექტსაც უწევს ანგარიშს და საგნობრივ სინამდვილესაც, ერთსაც შეესატყვისება და მეორესაც; გასაგებად ხდის, თუ რატომაა, რომ ქცევაში მონაწილე ძალები სწორედ გარკვეულ საგანს გულისხმობენ – მისი არსებობის შემთხვევაში სამოქმედოდ გვიწვევენ და მის გარეშე არსდროს ნამდვილ ქცევას არ ქმნიან.

როგორც ზემოთაც გვქონდა აღნიშნული, ფსიქიკა სინამდვილესთან ურთიერთობის, პრაქტიკის ან ქცევის პროცესში ჩაისახა და თავისი განვითარების იმ საფეხურს მიაღწია, რომელზეც დღეს იმყოფება. აქედან ცხადია, რომ მისი შესწავლის ცდა ამ დებულების მხედველობაში მიღების გარეშე უთუოდ უნაყოფოდ უნდა ჩაითვალოს; ამიტომ ფსიქოლოგიისათვის ქცევის საკითხების შესწავლას სრულიად განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს.

ამ საკითხთა შორის, პირველ რიგში, ქცევის სხვადასხვა სახეობის დიფერენციაცია, ასე ვთქვათ, ქცევის ფორმათა კლასიფიკაცია უნდა დავაყენოთ. თუ არ ვიცით ქცევის რა და რა ძირითადი ფორმები არსებობს, რასაკვირველია, ჩვენ ვერ შევძლებთ ადამიანის ფსიქიკა შევისწავლოთ მის კონკრეტულ აქტივობასთან დაკავშირებით. წინამდებარე გამოკვლევა ასეთი კლასიფიკაციის ცდას იძლევა. რა უნდა დაედოს საფუძვლად ადამიანის ქცევის ფორმების კლასიფიკაციას? რაკი ადამიანის ქცევის გათვალისწინებისას ფუძემდებელ როლს განწყობის ცნება ასრულებს, უეჭველია, რომ მას აქაც იგივე როლი ეკუთვნის. მაგრამ მართო განწყობის ცნება აქ არ კმარა. არსებითი მნიშვნელობა აქვს აქტივობის

მოტორის ან აქტივობის წყაროს პრობლემასაც და აქ გადამწყვეტი როლი მოთხოვნილების ცნებას უნდა მივაკუთვნოთ. თუ ამ ცნებებს მივიღებთ მხედველობაში, ჩვენ დავინახავთ, რომ ადამიანის ქცევათა ერთობლიობა ორ ძირითად კატეგორიას შეიცავს.

რომელია ეს კატეგორიები?

როდესაც ადამიანს რაიმე მოთხოვნილება უჩნდება, რომლის დასაკმაყოფილებლადაც გარკვეული საგნობრივი შინაარსია საჭირო, მაგ: როდესაც ადამიანს ჭამის მოთხოვნილება უჩნდება, რომლის დაკმაყოფილება გარკვეული საკვების, ვთქვათ, პურის საშუალებით შეიძლება, იგი იძულებული ხდება მოცემული სიტუაციის პირობებში შექმნილი განწყობის რეგულაციით სწორედ ის ძალები ამოქმედოს, რომელიც ამ საგნობრივი შინაარსის (მაგ: პურის) მისაღებადაა აუცილებელი. როგორც ვხედავთ, სუბიექტის ქცევის განწყობასა და ქცევას აქ ის საგანი განსაზღვრავს, რომლის მოთხოვნილებაც მას აიძულებს აქტივობას მიმართოს; ამ შემთხვევაში, ქცევა თითქოს გარედან (საგნიდან) ღებულობს იმპულსებს და გარედან განსაზღვრული განწყობით წარიმართება. ასეთ ქცევას ჩვენ ექსტროგენური შეგვიძლია ვუწოდოთ.

მაგრამ არის სხვაგვარი მდგომარეობაც. არის შემთხვევა, რომ სუბიექტს არა აქვს რაიმე საგნობრივი შინაარსის მოთხოვნილება, ასე ვთქვათ, პრაქტიკული მოთხოვნილება, რომლის დასაკმაყოფილებელი საშუალებაც მან გარესინამდვილიდან უნდა მიიღოს. მაშასადამე, ამჟამად იგი აღარაა იძულებული გარესინამდვილეზე ზემოქმედებას მიმართოს. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ იგი სრულიად პასიურს, უმოქმედო, მცონარე მდგომარეობაში რჩებოდეს. ადამიანის ბუნებრივი მდგომარეობა აქტივობაა და უმოქმედოდ – და ისიც შედარებით უმოქმედო ყოფნა მას მხოლოდ დასვენების პერიოდში თუ შეუძლია. ამიტომ მისი აქტივობის აღმოსაყენებლად სრულიად არაა საჭირო, რომ მას უთუოდ რაიმე პრაქტიკული მოთხოვნილება ჰქონდეს. ე. ი. მოთხოვნილება, რომლის დასაკმაყოფილებლადაც რაიმე საგნობრივი შინაარსია აუცილებელი. მას თვითონ აქტივობის მოთხოვნილებაც აქვს, ე. ი. მოთხოვნილება იმ ძალებისა და იმ მიმართულებით ამოქმედებისა, რომელიც ამა თუ იმ მიზეზით მას უმოქმედო მდგომარეობაში დარჩა, მოთხოვნილება, რომელიც ფუნქციონალური ტენდენციის სახელწოდებით შეგვიძლია აღვნიშნოთ. და აი, იმ შემთხვევაში, როდესაც ადამიანი აღარაა იძულებული პრაქტიკული მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად იმოქმედოს, ფუნქციონალური ტენდენცია იჩენს თავს და ადამიანი კვლავ იწყებს აქტივობას. აქ აქტივობა, ქცევა უკვე გარედან კი არ აღარაა განსაზღვრული, აქ იგი შინაგანი იმპულსიდან გამომდინარეობს და იმ განწყობით წარიმართება, რომელიც პირველად თვითონ პროცესში როდი ყალიბდება, არამედ გარკვეული სახით სუბიექტის წარსულიდან მომდინარეობს. აქ ქცევა თავისუფალია გარე იძულებისაგან და იგი სავსებით შინაწარმოშობისად უნდა ჩაითვალოს. ასეთ ქცევას ინტროგენური ქცევა შეგვიძლია ვუწოდოთ.

ამრიგად, ქცევის ორი ძირითადი კატეგორია უნდა იქნას ურთიერთისაგან გამოყოფილი: ექსტროვერსული ქცევა და ინტროვერსული ქცევა. თითოეული მათგანი ქცევის დამოუკიდებელი ფორმების მთელ რიგს შეიცავს. რომელია ეს ქცევის ფორმები?

1. როგორც ვიცით, ექსტროვერსული ქცევისათვის ის გარემოებაა დამახასიათებელი, რომ ამ შემთხვევაში ორგანიზმის ძალთა ამოქმედებას რაიმე მოთხოვნის დაკმაყოფილების საჭიროება იწვევს: საგანს აქ ყოველთვის მოთხოვნილება განსაზღვრავს. ორგანიზმის ძალთა ამოქმედება ამ შემთხვევაში შეიძლება ორგვარი იყოს: ერთი, როდესაც საგანი მოცემულია, მაგრამ მოთხოვნის დაკმაყოფილებლად მისი ასიმილაცია ხდება საჭირო. ამ შემთხვევაში ორგანიზმს იმ ძალების აქტივაცია უხდება, რომელნიც ამის შესაძლებლობას იძლევიან. მაგ: ცხოველი შიმშილს განიცდის, მის წინაშე საკვებია და ისიც, იმის მიხედვით, თუ რა საკვებთან გვაქვს საქმე, გარკვეული ძალების ამოქმედებას იწყებს, გარკვეულ მოძრაობებს მიმართავს: ცხოველი ჭამს. როდესაც მას წყურია, იგი სხვაგვარ მოძრაობებს იყენებს: იგი სვამს. ყველაფერი ეს თავისებური ფორმაა ცხოველის ქცევისა. ჩვეულებრივ, მას მოხმარება ეწოდება.

მაგრამ განა მართო ჭამისა და სმის მოძრაობები შეადგენენ ამ შემთხვევაში მოხმარებას? უეჭველია, არა. ვთქვათ ცხოველი ბალახს ძოვს, უეჭველია, მოხმარებას არა მართო ბალახის მოგლეჯა და ძოვა შეადგენს, არამედ ისიც, რომ ცხოველი თანდათანობით ადგილს იცვლის, თანდათანობით წინ მიიწევს, იმის მიხედვით, თუ სად უფრო მეტ ბალახს პოულობს. ვთქვათ, რომ ადამიანი წყალს სვამს: სმას არა მართო წყლის გადაყლაპვა შეადგენს, არამედ ისიც, რომ წყალი მას საკუთარი ხელით პირთან მიაქვს. ერთი სიტყვით, მოხმარებითი ქცევა მოძრაობათა ორ მთავარ ჯგუფს მაინც შეიცავს: ერთი მხრივ, მოხმარებელ ორგანოს მოძრაობებს (კბენა, ღეჭვა, ყლაპვა), ხოლო, მეორე მხრივ, იმ მოძრაობებსაც, რომელნიც საგნის (მაგ: საჭმლის ან სასმლის) მოხმარებელ ორგანოთა გადასაცემად აუცილებელი, მაგ: ცხოველის ლოკომაცია ბალახის ან წყაროს მიმართულებით.

მოძრაობათა ეს ორი ჯგუფი არსებითად განსხვავებული ბუნების მოძრაობებს შეიცავს. პირველი – თანდაყოლილს, ნაწილობრივ ავტომატურს და ნაწილობრივ ინსტინქტურ მოძრაობებს, ხოლო მეორე – უმთავრესად, შეძენილ მოძრაობებს ე. წ. პირობითს რეფლექსებს. თავისთავად იგულისხმება, ეს უკანასკნელნი გაცილებით უფრო რთული შემადგენლობისანი არიან, ვიდრე პირველნი. და რამდენადაც ისინი ცხოველის გამოცდილების ნიადაგზე შენაძინ აქტებს შეიცავენ, ამის მიხედვით მათი სირთულე მეტ-ნაკლები მოცულობის შეიძლება იყოს.

ბუნებრივად იბადება საკითხი: სადაა საზღვარი, რომლის იქეთაც ყველა ეს მოძრაობა უკვე ქცევის ახალი ფორმის შინაარსად უნდა ჩავთვალოთ?

მართლაცდა, როდესაც მწყურვალი ცხოველი წყალს ხედავს და თავისი მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად მისკენ გარბის. შეიძლება ითქვას, რომ აქ მისი ლოკომაცია არსებითად იმავე ბუნებისაა, როგორც, მაგალითად, მის მიერ თანდათანობით ადგილგადანაცვლება ბალახის ჭამის დროს; მაგრამ როდესაც

იგივე ცხოველი წყლის სასმელად დაშორებული წყაროსაკენ გარბის, რომელსაც ამჟამად თვითონ ვერც კი ხედავს, აქ მდგომარეობა შედარებით უფრო რთულია. მაგრამ, როდესაც ნადირი შორს რაიმე ცხოველს იგრძნობს და გამოედევნება, როდესაც იგი თავის მსხვერპლს მწვავე ბრძოლის შემდეგ იგდებს ხელთ, მაშინ, უეჭველია, შეუდარებლად უფრო რთულ აქტებთან გვაქვს საქმე და შეიძლება საკითხი დაისვას: კვლავ მოხმარების ქცევას აქვს აქ ადგილი თუ სხვა რამ ქცევის ფორმას? კიდევ უფრო რთული ან საეჭვო ხდება მდგომარეობა, როდესაც, ვთქვათ, ფრინველი ბუდეს აგებს ან მელისა სოროს თხრის. ამ შემთხვევაში, უდავოდ, მოთხოვნილების დაკმაყოფილების ნიადაგზე აღმოცენებულ ქცევის აქტებთან გვაქვს საქმე. მაგრამ არის ეს მოხმარების აქტი, თუ სხვა, უფრო რთული ქცევის ფორმაა. როდესაც მშვიერი ადამიანი ნადირს კლავს, ატყავებს მას, ანთებს ცეცხლს, მასზე თავის ნანადირევს წვავს და შიმშილს მხოლოდ ამის შემდეგ იკმაყოფილებს, იბადება კითხვა: შრომობს იგი თუ მხოლოდ მოხმარების გართულებულ აქტს ასრულებს?

უეჭველია, ამ შემთხვევაში ძნელია დასმულ საკითხზე პასუხის გაცემა. თუ საკითხს ალტერნატიულად დავაყენებთ, მოხმარებასთან გვაქვს ანალოგიურ შემთხვევაში საქმე, თუ შრომასთან – მაშინ უფრო სწორი იქნება, თუ მას მოხმარების სასარგებლოდ გადავწყვეტთ. ყოველ შემთხვევაში აქ ჩვენს წინაშე ყველგან მოძრაობათა ერთგვარი კომპლექსია, რომელიც გარკვეული, აქტუალური მოთხოვნილების დაკმაყოფილების კონტექსტში შედის: ცოცხალი არსება ყველა ამ აქტს ერთი გარკვეული აქტუალურად მოქმედი მოთხოვნილების დაკმაყოფილების მიზნით განსაზღვრავს. მაგრამ თუ ზუსტი პასუხის მოძებნას დავისახავთ მიზნად, მაშინ გაცილებით უფრო სწორი იქნება თუ ვიტყვით, რომ არსებითად აქ არც მოხმარების აქტთან გვაქვს საქმე არც შრომის აქტთან.

უეჭველია, არსებობს სხვა ქცევის ფორმებიც, რომელნიც მართალია მოხმარების აქტთან უფრო ახლოს დგანან, ვიდრე შრომასთან, მაგრამ მაინც ქცევის განსხვავებულ ფორმებს წარმოადგენენ. შეიძლება გვეთქვას, რომ ისინი მოხმარების ქცევის დიფერენციაციის ნიადაგზე აღმოცენებულ აქტებს შეადგენენ.

მოხმარების აქტის დიფერენციაცია განსაკუთრებით მკაფიოდ ადამიანის ცხოვრებაში გვაქვს მოცემული. ამიტომ უფრო მიზანშეწონილი იქნება, თუ შემდეგი ანალიზის დროს, პირველ რიგში, ადამიანის ქცევა გვექნება მხედველობაში. ადამიანის ძირითადი ბიოლოგიური მოთხოვნილება სმა-ჭამა და სქესობრივი მოთხოვნილებაა. ამ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების უშუალო აქტები მოხმარების ქცევის შინაარსს შეადგენენ. მაგრამ ამის გვერდით ადამიანს სხვა მოთხოვნილებებიც აქვს, რომელთაც კვლავ მისი ფიზიკური ორგანიზმი აქვთ მხედველობაში: სხეულს სისუფთავე ესაჭიროება, სითბო, ჩაცმა და დახურვა და სხვ. ყველა ის აქტი, რომლის უშუალო შედეგსაც ამ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება წარმოადგენს, მოხმარების ქცევის სრულ ანალოგად შეიძლება ჩაითვალოს. ადამიანი პირს იბანს, თმას ივარცხნის, ტანთ იცვამს ან იხდის, როდესაც საჭიროა. ყოველივე ეს გარკვეული აქტუალური მოთხოვნილების იმპულსიდან გამომდინა-

რე აქტებად განიცდება – სწორედ ისე, როგორც სმა-ჭამის მოძრაობები, მაგრამ განსხვავება მაინც თვალსაჩინოა: იქ ადამიანს ორგანიზმის სიღრმიდან გამომდინარე მოთხოვნილებების განცდა აქვს, აქ კი თითქოს იმავე ორგანიზმის პერიფერიული არეებიდან. ამიტომ ჩვეულებრივ მეტყველება იმთავითვე განასხვავებს ქცევის ამ ფორმებს: პირველს იგი მოხმარების სახელწოდებით აღნიშნავს, ხოლო მეორეს – თავის მოვლის სახელწოდებით. ერთიც და მეორეც ადამიანის განვითარები კვალთაზე თანდათანობით რთულდება: მოხმარების აქტებს ახალი აქტები ემატება, რომელიც თუმცა სავსებით აქტუალური მოთხოვნილებებიდან გამომდინარე აქტებად განიცდებიან, მაგრამ ამ მოთხოვნილების დაკმაყოფილებასთან უშუალოდ არ არიან დაკავშირებული. ვთქვათ, ადამიანი: იგი პირდაპირ როდი დაავლებს ხელს მაგ: ქათამს და კბილებით გლეჯს და ჭამს მას, არამედ წინასწარ დანას მოძებნის, დაკლავს მას, დაანთებს ცეცხლს, წამოაგებს შამფურზე, შეწვავს და მხოლოდ ამის შემდეგ მიმართავს მოხმარების უშუალო აქტებს. ასეა თავის მოვლის შემთხვევაშიც: ხშირად იგი აქაც საკმაოდ რთულ აქტებს მიმართავს. გააძრობს ტყავს ცხოველს, განვითარების შედარებით მაღალ საფეხურზე, გამოსჭრის მას, კერავს და მხოლოდ ამის შემდეგ იცვამს მას. ძირითადი განწყობა აქაც იგივეა: მას გარკვეული აქტუალური მოთხოვნილება აქვს და მის დასაკმაყოფილებლად მოძრაობათა საკმაოდ რთულ კომპლექსს მიმართავს, რომელთაც მართალია, უშუალოდ მოთხოვნილების დაკმაყოფილება არ სდევს თან, მაგრამ რომელნიც ერთ მთლიან, ერთსა და იმავე მოთხოვნილებების ნიადაგზე გაერთიანებულ კომპლექსს წარმოადგენენ, რომელსაც მხოლოდ მანადე აქვს ღირებულება და აზრი, სანამ ეს გარკვეული მოთხოვნილება არსებობს და მისი დაკმაყოფილების საჭიროება განიცდება. ადამიანის ამ ქცევის ფორმას ჩვეულებრივი მეტყველება თვითმომსახურების სახელწოდებით აღნიშნავს.

პრინციპულად იგივე მდგომარეობა რჩება, როდესაც ადამიანი მარტო თავისი ვიწრო პირადი მოთხოვნილების განცდით კი არ არის შემოფარგლული, არამედ, ასე ვთქვათ თავისი გაფართოებული პიროვნების მოთხოვნილებათა განცდითაც. ცოლი ან შვილი, მამა და დედა, ერთი სიტყვით, ოჯახი – ეს პირველადი ფორმაა ადამიანის პიროვნების გაფართოებისა. თავის მოვლა და თვითმომსახურება გაფართოებული პიროვნებისათვის სხვისი მოვლისა და სხვისი მომსახურების სახეს ღებულობს.

ამრიგად, საკუთარი სხეულის შიგნიდან მომდინარე მოთხოვნილების იმპულსის ნიადაგზე ადამიანს მოხმარების ქცევის ფორმა უჩნდება. ამავე სხეულის პერიფერიული მოთხოვნილების აქტუალური განცდა მისი მეორე ქცევის ფორმას – თავის მოვლას ედება საფუძვლად. მაგრამ ამავე აქტუალური მოთხოვნილების განცდის ნიადაგზე გართულებული ქცევის აქტები იჩენს თავს, რომელნიც არაპირდაპირ იმავე მოთხოვნილების დაკმაყოფილების ფარგლებით განისაზღვრებიან: ისახება მესამე ფორმა ქცევისა, ე. წ. თვითმომსახურება, როდესაც სუბიექტი თავის გაფართოებულ მე-ს, პირველ რიგში, თავის ოჯახისა და ოჯახის

წევრების აქტუალურ მოთხოვნილებას განიცდის, იგი სხვისი მოვლისა და სხვის მომსახურების ქცევის აქტებს იძლევა.

ქცევის ყველა ეს ფორმა მოხმარებითი ქცევის ირგვლივ ერთ მონათესავე ჯგუფშია გაერთიანებული. დამახასიათებელი მთელი ამ ჯგუფისათვის ისაა, რომ მასში შემავალი თითოეული ქცევითი აქტის ღირებულება და აზრი მარტო აქტუალური მოთხოვნილების დაკმაყოფილების ფარგლებით განისაზღვრება: ყველაფერი, რასაც ეს ქცევითი აქტები იძლევიან, მხოლოდ იმდენადაა სუბიექტის განცდაში ღირებული, ყველაფერს მხოლოდ მანამ აქვს აზრი და ფასი, სანამ აქტუალურის, ამ გარკვეულ მომენტში განცდილი მოთხოვნილების დაკმაყოფილების მიზანს ემსახურება. როგორც კი განხორციელდება ეს მიზანი, როგორც კი დაკმაყოფილდება მოთხოვნილება, ქცევის აქტები, ისე, როგორც ყველაფერი, რასაც ეს აქტები ქმნიან ან იძლევიან, თავის მნიშვნელობას კარგავენ და სუბიექტისთვის არარსებულად იქცევიან. შეიძლება ითქვას, მათი დრო აქტუალური მოთხოვნილების დროის ფარგლებით განისაზღვრება: ამ ფარგლების გადაღმა ფსიქოლოგიურად მათი არსებობის ვადაც, როგორც აზრიანისა და ღირებულების მატარებლის, თავდება. მოკლედ, შეიძლება ითქვას, რომ ქცევის ყველა აღნიშნული ფორმის საერთო დამახასიათებელი მომენტი ის არის, რომ თითოეული მათგანი მხოლოდ მაშინ იჩენს თავს და მანამ გრძელდება, როდესაც და სანამ აქტუალურია ის მოთხოვნილება, რომლის იმპულსითაც იგი წარმოიშვება.

თუ ამ მოსაზრებებს მხედველობაში ვიქონიებთ, მაშინ ქცევის კიდევ ერთ ფორმაზე მოგვიხდება შეჩერება, რომელიც ქცევის ამავე ჯგუფში უნდა მოთავსდეს. ადამიანს არა მარტო ფიზიკური, სხეულთან დაკავშირებული და სხეულიდან მომდინარე მოთხოვნილებები აქვს. არანაკლებ დამახასიათებელი და სპეციფიკურიცაა მისთვის სხვა მოთხოვნილებები, მოთხოვნილებები, რომელნიც მისი სოციალური განვითარების ნიადაგზე არიან აღმოცენებულნი და იმდენად მის ფიზიკურ ორგანიზმს არ ეხებიან, რამდენადაც გართულებულ ფსიკიკურ ცხოვრებას. ამათ შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვნად და საყოველთაოდ ცნობილად, ადამიანისათვის განსაკუთრებით დამახასიათებელი – ინტელექტუალური მოთხოვნილება, ცნობისმოყვარეობა უნდა ჩაითვალოს ყველა იმ ფორმითურთ, რომელსაც იგი განვითარების მაღალ საფეხურებზე ღებულობს და რომელიც საბოლოო ანგარიშში ცოდნის წყურვილის სახით განიცდება. ეჭვი არ არის, რომ ამ მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად ადამიანი იძულებული ხდება, განსაზღვრულ ფარგლებში ზოგჯერ საკმაოდ რთული აქტივობა განავითაროს. ყოველ შემთხვევაში, უეჭველია, რომ ჩვენი ქცევის ინვენტარში ცოდნის წყურვილის ნიადაგზე აღმოცენებულ აქტივობას აქ უმნიშვნელო ხვედრითი წონა ეკუთვნის. ყურადღებითი ანალიზი აქ ორ განსხვავებულ ქცევის ფორმას ადასტურებს.

ვთქვათ, რისამე გაგება მიინტერესებს: ამისათვის ორი არსებითად გარკვეული გზის არჩევა შეიძლება: ა) შემიძლია ვისმე მივმართო და იმ ცნობის მოწოდება ვთხოვო, რომელიც ამჟამად ჩემი ინტერესის საგანს შეადგენს; იგულისხმება, რომ მას ჩემი ცნობისმოყვარეობის დაკმაყოფილება შეუძლია: მას უკვე აქვს

ჩემთვის საჭირო ცნობები და მას მზამზარეული სახით მაწვდის. ამ შემთხვევაში ჩემი აქტივობა იმით განისაზღვრება, რომ ჯერ ერთი, მე ამ ცნობის მქონე პირს ვპოულობ და მას სათანადო კითხვით მივმართავ და, მეორე, მისგან მოწოდებულ ცნობას აღვიქვამ (ვისმენ ან ვკითხულობ) და ვითვისებ. ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში ასეთი აქტივობის შემთხვევები ძლიერ ხშირია: ჩვენ გვინდა გავიგოთ, თუ რა ხდება ქვეყნად და ყოველდღიურად გაზეთებს ვკითხულობთ. ჩვენ გვინდა სინამდვილის რომელიმე სფეროს შესახებ ზუსტი ცნობები მივიღოთ და ამ მიზნით სათანადო მეცნიერულ წიგნებსა და გამოკვლევებს ვკითხულობთ, ანდა, დასასრულ, განსაკუთრებით ხშირად, ჩვენს ნაცნობებსა და მახლობლებს ვესაუბრებით და ამ საუბარში „რა“-ს და „რატომ“-ს ძლიერ საპატიო ადგილი უჭირავს.

ბ) მაგრამ არის მეორე გზაც: ნაცვლად იმისა, რომ სხვისგან მზამზარეული ცნობები მივიღო და ჩემი წყურვილი ამით დავიკმაყოფილო, მე თვითონ ვცდილობ ეს ცნობები საკუთარი ძალ-ღონით მოვიპოვო. ამ მიზნით მე იძულებული ვხდები საკუთარი კვლევა-ძიება ვაწარმოო და, ნაცვლად სიტყვიერი ცოდნისა, ნამდვილი, საკუთარი გონებით განცდილი ცოდნა მოვიპოვო. არც აქტივობის ეს სახეა იშვიათი მოვლენა ჩვენს ცხოვრებაში.

იბადება კითხვა: ქცევის რა ფორმასთან გვაქვს ამ შემთხვევაში საქმე? ჩვენი ანალიზიდან ნათლად ჩანს, რომ, ჯერ ერთი, აქ გარკვეულ მოთხოვნილებას (ცოდნის წყურვილს) აქვს ადგილი და შემდეგ სუბიექტის აქტებს, რომელნიც ამ აქტუალური მოთხოვნილების უშუალო დაკმაყოფილების მიზანს ემსახურებიან. ყველაფერი ეს კი ნიშნებია, რომლითაც ე.წ. მოხმარების ქცევა ხასიათდება. ეს გარემოება გვაძლევს უფლებას დავსკვნათ, რომ ანალოგიურ შემთხვევაში მოხმარების თავისებურ სახეობასთან უნდა გვქონდეს საქმე. პრინციპულ განსხვავებას ჩვეულებრივი მოხმარებისა და ცნობისმოყვარეობის აქტებს შორის ვერ ვხედავთ, სპეციფიკური ამ უკანასკნელისათვის მხოლოდ ისაა, რომ აქ წამყვანი როლი არა ფიზიკურ, არამედ ფსიქიკურ, კერძოდ, ინტელექტუალურ აქტებს აქვს დაკისრებული. ამ მიზეზის გამო, არ იქნება მართებული, ცნობისმოყვარეობის დაკმაყოფილების განზრახვით, გაერთიანებული აქტები მოხმარების ჩვეულებრივ სახეობათა (ჭამა, სმა, სქესობრივი მოთხოვნილების დაკმაყოფილება) ხაზზე მოვათავსოთ; უფრო სწორი იქნება, თუ მათ ქცევის ცალკე ფორმად ვაღიარებთ, რომელიც ტიპოლოგიურად მოხმარების ქცევის ანალოგიურ ფორმას წარმოადგენს და ესთეტიკურ ტკბობას უახლოვდება.

2. ექსტეროგენური ქცევის აქტების მეორე ძირითად ფორმას შრომა წარმოადგენს. მოხმარების, მოვლისა და მომსახურების აქტები ხშირად იმდენად რთულ სახეს ღებულობენ, ხოლო შრომა ზოგჯერ იმდენად მარტივი ბუნებისა და შინაარსის არის ხოლმე, რომ ძნელი ხდება გარეშე მეთვალყურისათვის, ზოგჯერ სრულიად შეუძლებელიც, ქცევის ეს ფორმები ურთიერთისაგან გაარჩიოს. მაგალითად, ვინმე ტყეში ხეს ქრის და იქვე რუზე მის გადაებას ცდილობს. შრომობს იგი თუ თვითმომსახურებას ეწევა? სრულიად შეუძლებელია ამ საკითხის გადაჭრა, სანამ გარეშე მეთვალყურის თვალსაზრისს არ გადავცდებით და, ასე ვთქვათ,

თვით სუბიექტის გულში არ ჩავიხედავთ. ვთქვათ, რომ ჩვენს წინაშე მონადირეა. მას ტყეში მოზრდილი ღელე შეხვდა, რომელზეც გადასვლა ვერ მოახერხა, ნადირი კი მას სწორედ მეორე ნაპირზე ეგულება; აი, იგი ჭრის ხეს და ღელეზე გადავბას ცდილობს, რათა მეორე ნაპირზე გადავიდეს. მას გარკვეული მოთხოვნილება აქვს, რომელიც ამჟამად აქტუალურია მასში: იგი მეორე ნაპირზე უნდა გადავიდეს და ესაა, რომ მას ამ გარკვეული სახით ამოქმედებს. მას სრულიად არა აქვს მიზნად უკანვე ამავე გზით დაბრუნდეს ანდა სხვა დროს როდისმე ეს იმპროვიზებული ხიდი გამოიყენოს. გასდო ხიდი, გადავიდა წყალზე, მორჩა და გათავდა. ამიერიდან მის მიერ გადებული ხიდი, მისთვის როგორც ხიდი, აღარ არსებობს. მას ყოველი აზრი და ღირებულება დაეკარგა: მან თავისი როლი შეასრულა და ამით მისი აზრიანი არსებობის ვადაც დასრულდა. არავინ იტყვის, რომ ამ შემთხვევაში აღნიშნული სუბიექტი ნამდვილად შრომის აქტს ეწეოდა. ალბათ, ყველა დამეთანხმება, თუ ვიტყვით, რომ აქ თვითმომსახურების აქტთან უფრო გვაქვს საქმე, ვიდრე შრომის აქტთან.

მაგრამ მდგომარეობა იმწამსვე იცვლება, თუ ვიგულისხმებთ, რომ აღნიშნული სუბიექტი მარტო თავისი აქტუალური მოთხოვნილების იმპულსით როდი ხელმძღვანელობდა, არამედ იმ განზრახვით, რომ ასეთი რამ აეგო, რაც მუდამ ყოველთვის, ყოველ შემთხვევაში, არა მარტო მოცემულ მომენტში იქნებოდა გარკვეული ღირებულების მატარებელი. ამ შემთხვევაში წყალზე გადებული ხე სუბიექტის აქტუალური მოთხოვნილების ხლართს, მთელი მონაცემი სიტუაციის კონკრეტულობას გამოეყოფოდა და გარკვეული იდეის, გარკვეული ცნების – ხიდის – რეალიზაციად იქნებოდა ნაგულისხმევი. წყალზე გადებული ხე, ამიერიდან ხიდი, ამ შემთხვევაში ასე ვთქვათ, ზესუბიექტური და ზედროული ღირებულების მატარებლად გადაიქცეოდა. ჩვენს წინაშე სუბიექტის ძალთა ამოქმედება აქტუალური მოთხოვნილების დაკმაყოფილების შიშველი იმპულსით როდი იქნებოდა გამოწვეული, არამედ ობიექტური ღირებულების მქონე ნაწარმოების შექმნის განზრახვით.

თავისთავად ცხადია, აქ უკვე მოხმარების, მოვლისა ან მომსახურების შესახებ ლაპარაკი სრულიად დაუსაბუთებელი იქნებოდა. უდავოა, აქ შრომის უეჭველ ფაქტთან გვექნებოდა საქმე.

მაშასადამე, შრომითი ქცევისათვის ისაა დამახასიათებელი, რომ პრინციპულად იგი სუბიექტის აქტუალური მოთხოვნილების იმპულსის გარეშე მიმდინარეობს და, ყოველ შემთხვევაში, მის პროცესში შექმნილი ღირებულება ამ მოთხოვნილების კონკრეტი განსაზღვრულობის ფარგლებს შორდება: შრომა ობიექტური აზრის, ობიექტური მნიშვნელობის პროდუქტს ქმნის. მაშასადამე, იგი მხოლოდ ისეთი არსისათვის არის შესაძლებელი, რომელსაც ამ ობიექტური ღირებულების იდეა აქვს, რომელსაც კონკრეტი მოცემულობის ფარგლების გადაბიჯება შეუძლია და მასში ნაგულისხმევი აზრის წვდომის ძალა შესწევს – მოკლედ, ისეთი არსისათვის, რომელსაც ცნებებით აზროვნების უნარი შესწევს.

მაგრამ შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, რომ მარტოდმარტო ობიექტის, ე.ი. „ზესუბიექტურის“ და „ზედროული“ ღირებულების მქონე ნაწარმოების შექმნის განზრახვა ყოველთვის მხოლოდ შრომითი ქცევის დამახასიათებელ ნიშანს წარმოადგენს. ჩვენ ქვემოთ გვექნება საუბარი ქცევის ისეთ ფორმებზეც, რომელთათვისაც შრომის სახელწოდება სრულიად შეუფერებლად უნდა ჩაითვალოს, მაგრამ ჩვენ ვნახავთ, რომ ამ ნიშნით ისინი არიან აღბეჭდილნი. არა! შრომისათვის ისიცაა დამახასიათებელი, რომ იგი ყოველთვის რაიმე მოთხოვნილებასთან არის დაკავშირებული, რამდენადაც მის პროცესში შექმნილი ღირებულება ყოველთვის ამ მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლადაა განზრახული. განსხვავება, ამ მხრივ, მოხმარების, მოვლისა და მომსახურების ქცევის ფორმათაგან მხოლოდ და განსაკუთრებით იმაში მდგომარეობს, რომ ეს გარკვეული, კონკრეტი, ამჟამად აქტუალური მოთხოვნილება წარმოადგენს ქცევის იმპულსს, მაშინ, როდესაც შრომის შემთხვევაში, ასეთ როლს მოთხოვნილების იდეა ასრულებს. ამ აზრით შეიძლება გვეთქვას, რომ მოხმარების, მოვლისა და მომსახურების აქტები მუდამ კონკრეტულის, მუდამ ინდივიდუალურად განსაზღვრული მოთხოვნილებების ბადეში ჩართულ აქტებს წარმოადგენენ მაშინ, როდესაც შრომა უფრო განყენებულ, ინდივიდუალურად განსაზღვრული მოთხოვნილების ხლართიდან გათავისუფლებულ აქტებს შეიცავს.

მაგრამ თუ ეს ასეა, მაშინ გასაგებია, რომ მოხმარება, მოვლა და პრინციპულად მომსახურების აქტებიც ინსტინქტური ტენდენციების ნიადაგზე აიგებიან, მაშინ როდესაც შრომა არსებითად ნებელობის განვითარების დონეს გულისხმობს: პირველნი ინსტინქტით არიან პირობადებული, ხოლო მეორე – ნებელობით.

აქედან თავისთავად გამომდინარეობს, რომ შრომა სოციალური გარემოს და სოციალური გამოცდილების არსებობასა და თანამონაწილეობას გულისხმობს, იმიტომ რომ ობიექტური ღირებულების იდეა, ცნებითი აზროვნება და ნებელობა – ყოველივე ეს მხოლოდ სოციალური პირობების ნიადაგზე აღმოცენებული აქტივობის ფორმებს წარმოადგენს: რობინზონი თავის განმარტოებულ კუნძულზე, მოკლებული სოციალურ გარემოს, მხოლოდ ნაწილობრივ შეიძლება მშრომელ არსებად ჩაითვალოს, რამდენადაც იგი მაინც მოაზროვნე, მნებელი და სოციალური გამოცდილებით აღჭურვილი ადამიანი იყო.

სრულიად ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რომ შეუძლებელია შრომის შემთხვევებს სადმე ცხოველთა სამყაროშიც ჰქონდეს ადგილი. ცხოველთათვის, პირველ რიგში, მოხმარების აქტია დამახასიათებელი და ამის გვერდით მოვლისა და მომსახურების ელემენტებიც. მაგრამ შეიძლება თქვას ვინმემ: ხომ აგებს ბუდეს ფრინველი! მაშასადამე, იგი ნაწარმოებს ქმნის, რომელიც გარკვეული ღირებულების მატარებელია. მაშასადამე, იგი შრომობს. გარე მეთვალყურისათვის ეს უეჭველად ასეა. მაგრამ საკმარისია ამ „შრომის“ შინაგან მხარეს ჩავაკვირდეთ, რათა იმ წამსვე ნათელი გახდეს, რომ შრომაზე აქ სრულიად უმართებულო იქნებოდა ლაპარაკი. როგორც ცნობილია, ჯერ კიდევ მარქსმა აღნიშნა, რომ ცხოველი ხშირად თავის უაღრესად რთულ ქცევით აქტებშიც ინსტინქტით არის განსაზღ-

ვრული მაშინ, როდესაც ადამიანი წინასწარ შექმნილი იდეით ხელმძღვანელობს და ამ იდეის რეალიზაციის მოცემას შრომის საშუალებით ახერხებს.

მაგრამ ესეც არ იყოს, ბუდეს ცხოველთათვის მხოლოდ ინდივიდუალური მოთხოვნილებებისა და გარკვეული დროის ფარგლებში აქვს ღირებულება – ამ დროისა და ინდივიდუალური მოთხოვნილების კონტექსტში აქვს აზრი და მნიშვნელობა: თავისი ბუდის აგებისას იგი მარტო ამჟამად აქტუალური მოთხოვნილების იმპულსით ხელმძღვანელობს და არა თავისი მოთხოვნილების იდეით, არა იმიტომ, რომ ბუდე მას მომავალშიც დასჭირდება, ანდა სხვას, რადგანაც ასეთი მოთხოვნილება არა მარტო მას, არამედ სხვასაც, მის მსგავს ცხოველებსაც აქვთ. მას საზოგადოდ არა აქვს იდეა არც მოთხოვნილების, არც სხვისი და არც დროის: იგი პრაქტიკულ სინამდვილეში ცხოვრობს, და ეს უკანასკნელი მხოლოდ იმდენად არსებობს მისთვის, რამდენადაც მის აქტუალურ მოთხოვნილებასთანაა დაკავშირებული; ობიექტური სინამდვილე, როგორც ობიექტური ღირებულება, მან არ იცის. ამიტომ საკვირველი არაა, რომ მას არც წარსულის წარმოდგენა აქვს და არც განსაკუთრებით მომავლის. გასაგებია, რომ ამ პირობებში ბუდე მისთვის მხოლოდ აქტუალური მოთხოვნილების კონტექსტში შედის და მის გარეშე იგი ისევე ნეიტრალურია, ისევე არარეალური, როგორც ყველაფერი მის ირგვლივ ამ ფართო სინამდვილეში, რაც კი მისი მოთხოვნილების დაკმაყოფილების პროცესში არ მონაწილეობს, რაც ინაქტიურია მისთვის პრაქტიკულად.

ამრიგად, ბუდის აგება მოხმარებასთან მჭიდროდ დაკავშირებულ მომსახურების აქტს უფრო წარმოადგენს, ვიდრე შრომას.

იგივე უნდა ითქვას ციყვის შესახებაც, რომელიც საზამთროდ საკვებს იმზადებს. შთაბეჭდილება ისეთია, თითქოს ცხოველი არა აქტუალური, არამედ მომავალი მოთხოვნილების იდეით ხელმძღვანელობდეს: როგორც ცნობილია, იგი როდი ჭამს ყველაფერს, რასაც შოულობს, არამედ ნაწილს ერთ ადგილას აგროვებს და ზამთრამდე ხელუხლებელს სტოვებს. მიუხედავად იმისა, რომ ცხოველის ქცევის ეს სურათი გარეგნულად სავსებით მომავლის იდეის ხელმძღვანელობით წარმოებულ ქცევას წააგავს, ნამდვილად იგი ბევრით არაფრით განსხვავდება ჩვეულებრივი ცხოველური ქცევისაგან. რომ ციყვი მომავლის იდეით არ ხელმძღვანელობს, რომ მის მიერ დაგროვებული კაკალი, რომელსაც იგი ზამთარში მოიხმარს, ნამდვილად მარაგს არ ნიშნავს, ეს იმ ცნობილი უაზრო ქცევიდანაც ნათლად ჩანს, რომელსაც დატყვევებული ციყვი ოთახში მიმართავს: იგი აქაც ისე იქცევა, თითქოს კაკალს აგროვებდეს, მიუხედავად იმისა, რომ აქ ამ ქცევას არავითარი აზრი არა აქვს.

მაგრამ ყველაფერი ეს, პირველ რიგში, ფიზიკური შრომის ცნებას ეხება. ბუნებრივად იზადება საკითხი, ნუთუ ნამდვილ შრომად მხოლოდ ფიზიკური შრომა უნდა ჩაითვალოს? ნუთუ ე.წ. გონებრივი შრომა ქცევის განსაკუთრებულ ფორმას წარმოადგენს? როდესაც ფიზიკურ შრომას აწარმოებს, მას არაერთხელ უხდება გონებრივ ოპერაციებსაც მიმართოს: აზროვნების მტკიცე მონაწილეობის გარეშე ნამდვილი, წარმოებითი, ადამიანური შრომის აქტები წარმოუდგენელი იქნე-

ბოდა; უამისოდ მას შრომად არავინ ჩათვლიდა. მისთვის, რომ ფიზიკური შრომა ნაყოფიერად მიმდინარეობდეს, მასალის თავისებურების, იარაღის მოქმედების, ტექნიკური ხერხების გონებრივად გათვალისწინებაა აუცილებელი. სუბიექტის წინაშე საკითხთა მთელი რიგი დგება, რომელიც, პირველ რიგში, მისი გონებრივი ძალების ამოქმედებას მოითხოვს. მაგრამ მთელი ეს მისი შემეცნებითი აქტივობა ფიზიკური შრომის კოტექსტშია ჩაქსოვილი და ამ მიზეზის გამო ნივთიერი პროდუქტის შექმნის განწყობის ნიადაგზეა ორგანიზებული. ამის შედეგი ისაა, რომ მთელი ეს აქტივობა – გონებრივი და ფიზიკური – ფიზიკური შრომის აქტივობად განიცდება.

მაგრამ ადამიანის განვითარების მაღალ საფეხურზე შრომის გონებრივი კომპონენტები ერთგვარ დამოუკიდებლობას პოულობენ: ისინი გამოეყოფიან კონკრეტული შრომის პროცესებს და თავისთავადი ღირებულების მატარებლად იქცევიან. ისახება მეცნიერების ცალკე დარგები, რომელნიც ფიზიკური შრომის პროცესში შემეცნებითი პრობლემების გადაჭრას ცდილობენ: ამის ნიმუშს ტექნიკური სამეცნიერო დარგები წარმოადგენენ. შემდეგში განვითარება კიდევ უფრო შორს მიდის და ადამიანის შემეცნებითი აქტები არამარტო ფიზიკურ შრომასთან დაკავშირებულ პრობლემებს ეხება, არამედ ისეთებსაც, რომელთაც შრომის პროცესებთან უშუალო კავშირი აღარ აქვს. ისახება და ვითარდება თეორიული მეცნიერული დარგები, რომელნიც ადამიანის ცოდნის გართულებული ინტერესის დაკმაყოფილებას ემსახურებიან.

ამრიგად, შემეცნებითი ინტერესი დამოუკიდებელ მოთხოვნილებად იქცევა, რომლის დაკმაყოფილებაც საკმაოდ რთულ გონებრივ აქტივობას მოითხოვს, როგორც ვხედავთ, ინტელექტუალური მოთხოვნილება: თუ რა ძალები მოქმედებს ყოველ კერძო შემთხვევაში და როგორც, ეს თვითონ ამ ძალებზე როდია დამოკიდებული, არამედ გადასაწყვეტი პრობლემის ბუნებაზე. ამდენად, უეჭველია, ამ შემთხვევაში აქტივობის ექსტეროგენულ ფორმასთან გვაქვს საქმე.

მაგრამ აქვს თუ არა ადგილი აქაც წარმოების შექმნის განზრახვას, როგორც ეს შრომითი ქცევისთვისაა დამახასიათებელი? აქტუალურ ინტერესს, რომელსაც გონებრივი აქტივობის პროცესი ემსახურება, თვითონ აქტივობა, როგორც პროცესი როდი აკმაყოფილებს – ამიტომ იყო, რომ იგი ქცევის ექსტეროგენულ ფორმად ჩავთვალოთ. არა, ამ ინტერესს, ამ მოთხოვნილებას მხოლოდ ის შედეგი ესაჭიროება, რომელსაც ინტელექტუალური აქტივობის პროცესი აღწევს.

ეს შედეგი შესამეცნებელი სინამდვილის სფეროს შესახებ შემუშავებულ აზრის ან დებულების სახით გვეძლევა და ამდენად იგი გონებრივი აქტივობის ნაწარმოებად შეიძლება ჩაითვალოს. ჩვეულებრივ ეს აზრი, ეს დებულება ობიექტურად გაფორმებულ სახესაც ღებულობს: მეცნიერი მას სიტყვიერს – წერილობითს თუ ზეპირ – ფორმაში გვაძლევს (ვთქვათ, წიგნის სახით). მაგრამ გონებრივი აქტივობის პროდუქტი უკვე მანამდეც მზად არის, სანამ მისი საბოლოო სიტყვიერ-წერილობითი განსახიერება მოხდებოდეს. გონებრივი მუშაობა თავის აზრ-

სა და ღირებულებას ამ პროდუქტში პოულობს. ამდენად არსებითი განსხვავება მასსა და შრომას შორის არც ნაწარმოები პროდუქტის თვალსაზრისით არსებობს.

ამ მოსაზრებათა გამო, სრულიად მართებულად უნდა ჩაითვალოს, რომ გონებრივი აქტივობა, ჩვეულებრივ, შრომის, სახელდობრ, გონებრივი შრომის სახელწოდებით აღინიშნება. მაშასადამე, ჩვენ სრული უფლება გვაქვს დავასკვნათ, რომ ფიზიკური შრომის გვერდით ე.წ. გონებრივი შრომაც არსებობს.

3. მაგრამ არსებობს პროფესიათა მთელი რიგი, რომელთაც არავითარი ნაწარმოების შექმნა არა აქვთ უშუალოდ მხედველობაში. მიუხედავად ამისა, ისინი ადამიანთა საკმაოდ დიდი ჯგუფის მთელი ცხოვრების შინაარსს ქმნიან. სანიმუშოდ შეიძლება ტრანსპორტის პროფესიები ავილოთ. მძღოლი, რომელიც დიდიდან საღამომდე თავის მანქანაში ზის და მუდამდღე მრავალ კილომეტრს განვლის, უეჭველია, უშუალოდ არავითარ პროდუქტს, არავითარ ნაწარმოებს არ ქმნის: იგი მხოლოდ ადგილს უცვლის სხვის მიერ შექმნილ ღირებულებას, ერთი ადგილიდან მეორეზე გადააქვს. რასაკვირველია, მძღოლი თავის ენერჯიას უსარგებლოდ არ ხარჯავს. მისი პროფესია ისევე აუცილებელია საზოგადოებისათვის, როგორც მწარმოებლისა, მაგრამ, რადგანაც მძღოლის პროფესია ნაწარმოების შექმნაში უშუალო მონაწილეობას არ ღებულობს, შეიძლება დაისვას საკითხი: „შრომობს“ მძღოლი? თუ მისი ეგოდენ სასარგებლო ენერჯიის ხარჯვა ადამიანის ქცევის რომელსაღმე განსხვავებულ ფორმას წარმოადგენს?

როდესაც საკითხი რაიმე მასალის ტრანსპორტს ეხება, რომლისგანაც მწარმოებელი რამეს აკეთებს, მაშინ ტრანსპორტი წარმოების მონაწილედ შეიძლება ჩაითვალოს: მაშინ ისიც ქმნის ასე თუ ისე ნაწარმოებს. მაგრამ ტრანსპორტის ცნებაში, რა თქმა უნდა, სრულიად არ იგულისხმება, რომ იგი მხოლოდ მასალას ეხებოდეს.

არსებობს არა მარტო საბარგო, არამედ სამგზავრო მატარებელი ან მანქანები, და ბარგიც შეიძლება არა მარტო მასალა იყოს, არამედ სრულიად მზამზარეული პროდუქტებიც. მაშადამე, ტრანსპორტი არსებითად წარმოების უშუალო მონაწილე არაა. თუმცა, შეიძლება შემთხვევით წარმოებაშიც თვალსაჩინო მონაწილეობას ღებულობდეს.

მაშ რაა ტრანსპორტი?

ტრანსპორტის ჩანასახს ცხოველთა სამყაროშიც ვხვდებით: როდესაც, ვთქვათ ქორი წიწილას იტაცებს, იგი იქვე როდი გლეჯს და ჭამს მას, არამედ სადმე მიფარებულ ალაგას გადააქვს და იქ შეექცევა მას. როდესაც მგელი ცხვარს იტაცებს, ისიც ასევე იქცევა ანდა კიდევ უფრო მარტივი მაგალითი, ოღონდ ადამიანთა ცხოვრებიდან: როდესაც პურს ვტეხ და პირისაკენ მიმაქვს, ესეც ტრანსპორტის ელემენტარულ სახედ შეიძლება ჩაითვალოს. უეჭველია, ამ უკანასკნელ შემთხვევაში მაინც შრომის შემთხვევაზე ვერ ვილაპარაკებთ. სამაგიეროდ, ჩვენ ვიცით, რომ იგი ქცევის აქტების იმ ჯგუფს ეკუთვნის, რომელსაც ჩვენ ზემოთ მომსახურება ვუწოდეთ.

ამისდა მიხედვით ტრანსპორტი არსებითად მომსახურების ერთ-ერთ ნაირსახეობად უნდა ჩათვლილიყო. მაგრამ სოციალური ცხოვრების განვითარების მაღალ საფეხურებზე – შრომის განაწილების ნიადაგზე – იგი, ჩვეულებრივ, ცალკე ხელში გადადის. ამის გამო, სუბიექტურად ე.ი. იმ პირისათვის, ვინც მას აწარმოებს, იგი კონკრეტი მოთხოვნილების იდეას სწყდება და სრულიად დამოუკიდებელ ღირებულებად იქცევა: ამ შემთხვევაში ტრანსპორტის მუშაკი არა გარკვეული პირის კონკრეტი მოთხოვნილების დასკმაყოფილებლად, არამედ ამ დამოუკიდებელი ღირებულებებისთვის მუშაობს. მის გამო ტრანსპორტი სუბიექტისათვის ყველა იმ მომენტს იძენს, რაც შრომისთვისაა დამახასიათებელი: იგი სავსებით შრომად განიცდება.

ის, რაც ტრანსპორტის შესახებ ითქვა *mutatis mutandis* მოქმედების მრავალ სხვა აქტზე განმეორდეს. მართო ერთი მაგალითი: ვთქვათ ვინმე წყალში გადავარდა და იხრჩობა. მეორე სასწრაფოდ ტანთ იძრობს და მღელვარე ტალღებში ეშვება, რათა ის გადაარჩინოს: მიძიმე და ხანგრძლივი ბრძოლის შემდეგ მას ნაპირზე გამოჰყავს იგი. რა უნდა ვთქვათ ამ შემთხვევის შესახებ? ჩვენ ვიტყვით, რომ აქ სანაქებო თავგანწირულობასთან, უეჭველ გამირობასთან გვაქვს საქმე. კი, მაგრამ, თვითონ ქცევა რას წარმოადგენს? შრომობდა მცურავი, როდესაც ადამიანის სიცოცხლის გადასარჩენად ტალღებს ებრძოდა, თუ იგი ამ შემთხვევაში სხვა რამ ქცევის ფორმას ავლენდა?

პრინციპულად, აქ, უეჭველია, ქცევის იმ ფორმასთან გვაქვს საქმე, რომელსაც ზემოთ მოვლის სახელწოდებით გავეცანით: თავგანწირული საქციელი მხოლოდ მას შეუძლია, ვინც სხვას თავისად თვლის.

მაგრამ ცხოვრების გართულების კვალობაზე მოვლის აქტებიც პოულობენ დამოუკიდებლობას: ისინი თავისთავად ღირებულებად იქცევიან, თითქოს პიროვნებას, რომლის მოვლის აქტებსაც ისინი წარმოადგენენ, თვითონ როგორც ასეთს, მაინცდამაინც მნიშვნელობა არ ჰქონდეს: გარკვეული პიროვნების ადგილს ადამიანის იდეა იჭერს, ადამიანის საზოგადოდ, ვინც უნდა იყოს იგი სულერთია; და შესაძლებელი ხდება მოვლის ქცევა ცალკე პროფესიადაც გადაიქცეს. დღეს მართლაც არსებობს ასეთი პროფესიონალი, მაგ: მცურავი, რომელიც დაქირავებულია დანიშნულ ადგილას დგას და საჭიროებისდა მიხედვით მზადაა წყალში ჩაეშვას და გაუფრთხილებელი მოზანავე დახრჩობას გადაარჩინოს.

ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ როგორც მოვლის, ისე მომსახურების აქტები, საზოგადოების განვითარების შეადარებით მაღალ საფეხურზე, ფსიქოლოგიურად თავის დამოკიდებულ ხასიათს კარგავენ, ობიექტური ღირებულების მატარებლად იქცევიან და სუბიექტის მიერ შრომითს აქტივობას განიცდიან.

მაგრამ კარგავენ ამის გამო ქცევის ეს აქტები თავის სპეციფიკურ თავისებურებას და სავსებით ჩვეულებრივი შრომის აქტებად განიცდებიან, თუ არის მათში მაინც რაღაც, რაც ფსიქოლოგიურად მათ თავისებური ქცევის ფორმად აქცევს?

როდესაც სუბიექტი რაიმე მასალას ისე აფორმებს, რომ მისგან დამოუკიდებელი ღირებულების მქონე პროდუქტს ქმნის, ე.ი. როდესაც იგი, ამ სიტყვის

ნამდვილი მნიშვნელობით შრომობს, იგი შინაგანად ამ პროდუქტებისაკენ არის მიმართული – თვალწინ მუდამ პროდუქტის იდეა უტრიალებს. ხოლო, როდესაც მძლოლი მუშაობს, ან მცურავი ადამიანის გადასარჩენად ტალღებს ებრძვის იგი იმდენად პროდუქტისაკენ არ არის მიმართული, რამდენადაც თვითონ ქცევის მიმდინარეობისაკენ მასალის გადატანისაკენ, ადამიანის გადარჩენისაკენ. ამიტომ ჩვეულებრივი მეტყველების მიხედვით, ქცევის ამ ფორმისათვის საქმის სახელწოდება უფრო გამოდგება, ვიდრე შრომისა: მომსახურებისა და მოვლის პროცესში ნაწარმოები კი არა, საქმე კეთდება. ეს გარემოება საბუთს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ ფსიქოლოგიურად ამ შემთხვევაში ერთგვარად განსხვავებულ სახესთან გვაქვს საქმე, რომელიც არა შრომის, არამედ საქმიანობის ან საქმის სახელწოდებით შეიძლება აღინიშნოს.

რომ გადავავლოთ ახლა თვალი ქცევის იმ ზოგად კატეგორიას, რომელიც ექსტეროგენურის სახელწოდებით იქნა ჩვენს მიერ გამოყოფილი, დავინახავთ, რომ იგი ორ ძირითად განსხვავებულ, თავის არეში დომინანტურ ქცევის ფორმას შეიცავს, რომლის ირგვლივ რამდენიმე განსხვავებული, მაგრამ დამოკიდებული ქცევის ფორმა იყრის თავს. როგორც დავრწმუნდით, პირველი არის მოხმარება, ხოლო მეორე შრომა. პირველის გვერდით უნდა მოთავსებულ უნდა იქნას მოვლა და მომსახურება (თავისი თავისა და სხვისი), ხოლო მეორის გვერდით – გონებრივი შრომა და საქმე.

როგორც ზემოთაც იყო აღნიშნული, ექსტეროგენური იმიტომ ვუწოდეთ ყველა ამ ქცევის ფორმას, რომ ადამიანის აქტივობის იმპულსი აქ მოთხოვნილებიდან გამომდინარეობს. და ის, თუ როგორი უნდა იქნას ეს აქტივობა, ე.ი. როგორი უნდა იქნას საგანი, რომლის შესატყვისი შინაგანი ძალები უნდა ამოქმედდნენ, ეს ამ მოთხოვნილების ბუნებაზეა დამოკიდებული: საგანი ჩვენს ძალებს არა თვით ძალების, არამედ მოთხოვნილების ვითარების კარნახით ეძლევა. ექსტეროგენური ქცევის აქტები ამისდა მიხედვით, იძულებითი ქცევის აქტებია.

მაგრამ ადამიანის ძალთა საგანძური მარტო იმით როდი ამოიწურება; რასაც ამა თუ იმ მომენტში ესა თუ ის მოთხოვნილება აღძრავს და ამოქმედებს: არა, ჩვენს განკარგულებაში სხვა ძალებიც, სხვა ფუნქციებიც მოიპოვება. ფუნქციონალური ტენდენციის ცნება, რომელიც ჩვენ სხვა კონტექსტში გვაქვს დასაბუთებული, გასაგებად ხდის, რომ ფუნქციას, შინაგან ძალას არა მარტო მოთხოვნილების ზემოქმედებით, არამედ ავტონომიურადაც შეუძლია აქტივობის გაშლა. ამ შემთხვევაში საგანი, რომელსაც თითოეული ამ ძალის მოქმედება გულისხმობს, უკვე გარედან იძულებით როდი ეძლევა სუბიექტს ან მის ძალებს, არამედ შინაგანად, ავტონომიურად განისაზღვრება. ამ შემთხვევაში, როგორც უკვე ზემოთაც იყო განმარტებული, ჩვენ მოქმედების ცალკე ტიპებთან გვაქვს საქმე. ქცევის განსაზღვრულ ფორმებთან, რომლებიც ადამიანის ქცევის მეორე ძირითად კატეგორიას წარმოადგენენ, იმას, რასაც ზემოთ ინტროგენური ვუწოდეთ.

იბადება საკითხი: ქცევის რა ფორმები შედის აქ, ქცევის ფორმათა ამ მეორე ჯგუფში?

ამ რამდენიმე ხნის წინათ მე შემთხვევა მქონდა თამაშის ერთგვარი თეორიული კონცეფცია გამომექვეყნებინა, რომლის მიხედვითაც იგი, თამაში, ადამიანის ინტროგენური ქცევის ფორმათა შორის უნდა მოთავსდეს. ძველად ძველი საკითხი, თუ რატომ თამაშობს ბავშვი და რატომ თამაშობს სწორედ ისე, როგორც თამაშობს, თავის საბოლოო გადაწყვეტას ფუნქციონალური ტენდენციის ცნების ნიჟარაზე პოულობს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ თამაშის პროცესში ბავშვის შინაგანი ძალები რაიმე შინაარსეული მოთხოვნილების აქტუალური ზეგავლენით როდი აღიძვრიან სამოქმედოდ, არამედ საკუთარი შინაგანი იმპულსით. საგანს, რომლის გარეშეც არავითარი აქტივობა არ შეიძლება, აქ გარეგანი მოთხოვნილებიდან მომდინარე წარმოშობა როდი აქვს, არამედ შინაგანი, თვითონ სამოქმედოდ განწყობილ ძალთა ვითარებიდან გამომდინარე. მაშასადამე, თამაში არა ექსტროგენური, არამედ უფრო ინტროგენური ქცევის ფორმად უნდა ჩაითვალოს, რამდენადაც თამაში ადამიანის ყველა ძალისა და მათი მემკვიდრეობით განმტკიცებული კომპლექსების სპონტანური ამოქმედების ფორმას წარმოადგენს, იგი, უეჭველია, ქცევის ყველაზე უფრო გენერალურ სახეს უნდა შეადგენდეს. მასში არა მარტო ძალთა ის კომპლექსები იწყებენ მოქმედებას, რომელნიც მხოლოდ ერთს რომელსავე ქცევის ფორმაში ჩამოყალიბდნენ, არამედ ყველა დანარჩენი ქცევის ფორმების შესატყვისი ინტერფუნქციონალური კომპლექსები: თამაშის სახით შესაძლებელია ადამიანის ქცევის ყველა ზემოთაღნიშნულმა ფორმამ იჩინოს თავი – შეიძლება მოხმარების, მოვლის, მომსახურების, შრომისა და საქმის ყველა შესაძლო ფორმა თამაშის საგნად იქნას დასახული. ზერეულ დამკვირვებელმაც იცის, რომ ბავშვის თამაშში ადამიანის აქტივობის ყველა შესაძლო ფორმა გვხვდება. რამ აქ მათ არა შესატყვისი მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების აუცილებლობა იწვევს, არამედ ბავშვში გარკვეულ ძალთა კომპლექსების ფაქტიური მოცემულობა და მათი ფუნქციონალური ტენდენციის იმპულსები. ამიტომაც, რომ თამაშს ეგოდენ დიდი ობიექტური აზრი აქვს: ამიტომაც, რომ იგი გროსის არ იყოს, ცხოვრების ნამდვილი „მოსალოდნელი სკოლაა“.

მაგრამ თამაში ბავშვის ქცევის ფორმაა. როგორც ცნობილია, ადრეული ბავშვობის ასაკში მთელი ცხოვრების წამყვან შინაარსს თამაში წარმოადგენს. ქცევის ყველა დანარჩენი ფორმა, განსაკუთრებით ექსტროგენური ან სრულიად არ არის ამ ასაკში წარმოდგენილი, ანდა ძლიერ სუსტად. გამონაკლისს მოხმარებითი ქცევა წარმოადგენს, მაგრამ ისიც მეტწილად მხოლოდ თავისი თანდაყოლილი მოტორული შინაარსით. მოზრდილი ადამიანის ქცევის ფორმათა შორის თამაში გამონაკლისის სახით გვხვდება: ყოველ შემთხვევაში, იგი უფრო ბავშვობის ხანის სპეციფიკუმს წარმოადგენს, და როდესაც იგი თავისი წმინდა სახით დიდის ცხოვრებაშიც იჩენს თავს, უეჭველია, ბავშვობის დროის რუდინენტის გამოცოცხლებასთან გვაქვს საქმე.

მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ზრდადასრულებულ ადამიანს მხოლოდ ექსტროგენური შინაარსის ქცევის აქტები ახასიათებდეს. არა! მის აქტივობას ფუნქციონალური ტენდენციაც ხშირად უღევს საფუძვლად. სხვანაირად არც შეიძლე-

ბა ყოფილიყო, მოთხოვნილების დაკმაყოფილების მიზნით აღძრული აქტივობის შემთხვევები შეუძლებელია ყოველმხრივ აკმაყოფილებდეს მისი აქტივობის მოთხოვნილებას. პირიქით, არის შემთხვევები, რომ, ყოველდღიურ მოთხოვნილებათა იძულებით, ადამიანის ძალებს საკმაოდ ხანგრძლივად მხოლოდ ნაწილობრივი და მხოლოდ ცალმხრივი მოქმედება უხდება. ამ პირობებში, სანამ ადამიანს სხვა ძალებიც შერჩენია, იგი, შეჭველია, ამ უკანასკნელთა ამოქმედების იმპულსს იგრძნობს და მათი შესატყვისი საგნის შექმნა და გამოძებნა, ე.ი. ამ ძალების ამოქმედება მისთვის აუცილებელი გახდება. მაშასადამე, შეჭველია, ინტროგენური ქცევის ფორმები ზრდადასრულებულ ადამიანსაც უნდა ჰქონდეს: უამისოდ – მარტო ექსტროგენური აქტივობის ამარა – ადამიანის ძალთა განვითარება ალბათ უფრო ცალმხრივად წარიმართებოდა: „ძალთა თავისუფალი თამაში“ აბსოლუტურად აუცილებელია ადამიანისათვის.

მაგრამ თუ თამაშის სახით არა, მაშინ რა სახით გვეძლევა ზრდადასრულებული ადამიანის ცხოვრებაში ეს „თავისუფალი ძალთა თამაში“? რა და რა ინტროგენური ქცევის ფორმა გვხვდება ზრდადასრულებულის ცხოვრების მიმდინარეობაში?

შეჭველია, ყველა ეს ქცევის ფორმა ადამიანის ცხოვრების იმ მომენტებში უნდა ვეძიოთ, როდესაც იგი თავისუფალია თავის სერიოზულ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისათვის ზრუნვისაგან, როდესაც იგი, ასე ვთქვათ, მოცლილია. უდავოა, რომ მისი მოცლილობის მთელ დროს მარტო ძილი არ ავსებს: ხშირად იგი ფზიზელია და, თუმცა ყოველდღიური საზრუნავისაგან თავისუფალია, მაინც რასმე „აკეთებს“; მაგრამ, სახელდობრ, რას?

უფრო ხშირად იგი ერთობა. გართობა მცონარობა როდია: იგი, შეჭველად, ერთ-ერთი ფორმაა ქცევისა. ხშირად მას და თამაშს უერთიერთისაგან არ არჩევენ ხოლმე და მართლაც, არის შემთხვევა, რომ ადამიანი თამაშში ერთობა. მაგრამ განა ეს იმას ნიშნავს, რომ სხვაგვარად გართობა მას არ შეუძლია და თამაში და გართობა ურთიერთს ფარავს? შეიძლება ადამიანი იმითაც ერთობოდეს, რომ, ვთქვათ, რასმე კითხულობდეს, თეატრში, კონცერტზე ან კინოში იყოს, მღეროდეს ან ცეკვავდეს, ან კიდევ სეირნობდეს, ან თავის ნაცნობთან ბაასობდეს, ან ჭადრაკს თამაშობდეს. უდავოა, მარტო თამაში როდი იძლევა გართობას: გართობა მეტია, ვიდრე თამაში. მაგრამ თამაშიც არ არის მარტო გართობა. როგორ უნდა გვესმოდეს გართობა და არის თუ არა იგი ქცევის მართლაც თავისებური ფორმა?

უკვე ის ყველასათვის ცნობილი ფაქტი, რომ თამაშის ერთ-ერთ ეფექტს გართობაც წარმოადგენს, იმაზე მიგვითითებს, რომ რალაც საერთო მათ შორის უთუოდ უნდა იყოს. თამაში, როგორც ვიცით ადამიანის ძალთა სპონტანური თავისუფალი მოქმედებაა. არც გართობაა პასიური მდგომარეობა: იგიც ერთგვარი აქტივობაა, მაგრამ, შეჭველია, არა იძულებითი, არა ყოველდღიურ მოთხოვნილებათა იმპულსით გამოწვეული, არამედ სრულიად თავისუფალი და ნებაყოფლობითი აქტივობა. მაშასადამე, იგი არა ექსტროგენურის, არამედ ინტროგენუ-

რი ქცევის ერთ-ერთ ფორმას წარმოადგენს: როგორც თამაშის, მისი წარმართველი იმპულსიც ფუნქციონალური ტენდენციიდან უნდა მომდინარეობდეს.

მაგრამ ეს არის და ეს, რაც მას საერთო აქვს თამაშთან. სხვა მხრივ მათ შორის თვალსაჩინო განსხვავებაა. როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, თამაში ქცევის ერთ-ერთი გენერალური ფორმაა: ექსტეროგენური თამაშის ფორმები ყველა შეიძლება თამაშის შინაარსად იქცეს. ამიტომ თამაში ყოველთვის ვითომ ესა თუ ის სერიოზული ქცევის ფორმაა: იგი ადამიანის სერიოზული ცხოვრების „გათამაშება“, მისი, ასე ვთქვათ, „წარმოდგენა“. ნამდვილი თამაში ყოველთვის ილუზიის თამაშია. სულ სხვაა გართობა. აქ სხვა მდგომარეობასთან გვაქვს საქმე: აქ არავითარ წარმოდგენას, გათამაშებას, ილუზიას არა აქვს ადგილი. აქ, ყველაფერი, რაც კეთდება, არსებითადაც ის არის, რაც არის იგი ფენომენალურად. ავიღოთ მაგალითად წიგნის კითხვა. შეიძლება იგი თამაშის შინაარსსაც შეადგენდეს და გართობისასაც. პირველ შემთხვევაში ბავშვი მართლაც როდი კითხულობს წიგნს, არამედ „ვითომ კითხულობს“; მეორე შემთხვევაში კი ჩვენ მართლაც ვკითხულობთ, ოღონდ არა იმ მიზნით, რომ რაიმე სერიოზული მოთხოვნილება, ცოდნის ან ესთეტიკური მოთხოვნილება დავიკმყოფილოთ, არამედ მხოლოდ იმისათვის, რომ წავიკითხოთ, ჩვენს სულიერ ძალებს საკვები მივცეთ, შინაგან ფუნქციებს საგანი მივაწოდოთ, რათა მათ ამოქმედების შესაძლებლობა ჰქონდეთ. ანდა, როდესაც ვმღერით, ვცეკვავთ, ვსეირნობთ, ჭადრაკს ვთამაშობთ ან ვინემესთან ვმუსაიფობთ, განა აქ რასმე „წარმოდგენა“? განა სიმღერა, ცეკვა, ჭადრაკი და მუსაიფი სხვა რამეს ნიშნავს, გარდა იმისა, რაც თვითონ არის, და განა აქ ნამდვილ სიმღერას, ნამდვილ ცეკვას, ნამდვილ ჭადრაკს არა აქვს ადგილი? თამაშის შემთხვევაში კი ეს ასე არ იქნებოდა: იქ ყოველთვის „ვითომ სიმღერა, ვითომ ცეკვა, ან ვითომ მუსაიფი“ გვექნებოდა.

ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ გართობა ისეთ აქტებს შეიცავს, რომელიც თამაშის მსგავსად, ფუნქციონალური ტენდენციის იმპულსით არის გამოწვეული. მაგრამ მიზანს თავისი ფენომენოლოგიური შინაარსით აღწევს და არა მათში ნაგულისხმევი „აზრის“ ან „მნიშვნელობის“ გათამაშებით. გართობის აქტი ყოველთვის როგორც დასვენების აქტი განიცდება, მაშინ, როდესაც თამაშის შესახებ ეს არ ითქმის.

გართობასთან ახლოს დგას ქცევის მერე თავისებური ფორმა, რომლის ელემენტებიც ჯერ კიდევ ადრეული ბავშვობის ასაკში გვხვდება და რომელიც შემდეგში სპორტის სახელწოდებით ყალიბდება. გართობის მიზნით ხშირად სპორტსაც მივმართავთ ხოლმე; მაგრამ ისე, როგორც თამაშის შემთხვევაშიც, ეს გარემოება არ გვაძლევს საკმარის საბუთს, რათა ქცევის ორივე ეს ფორმა ურთიერთისაგან არ გავარჩიოთ. საქმე ისაა, რომ სუბიექტის ძირითადი განცდა ორივე შემთხვევაში განსხვავებულია და ფსიქოლოგიურად ეს უკვე საკმარისი საბუთია, ისინი ქცევის განსხვავებულ ფორმებად ჩავთვალოთ.

რას ვგულისხმობთ, როდესაც ჩვეულებრივ, სპორტის შესახებ ვლაპარაკობთ? სპორტი, პირველ რიგში, მოტორულ ფუნქციებს ეხება. ამათი პირველა-

დი დანიშნულება ყოველთვის რაიმე მიზნის, რაიმე მოთხოვნის სამსახურია: მოტორულ ფუნქციებს არც ერთს თავისთავადი ღირებულება არ გააჩნია. ეს იმდენად ნათელია ადამიანისათვის, რომ მისი ჩვეულებრივი რწმენით ყოველი მოძრაობა უთუოდ რაიმე გარე მომენტით არის გამოწვეული: ან რაიმე მიზეზით ან რაიმე მიზნით. თვითონ მოძრაობა, როგორც სპონტანური აქტი, მას გაუგებრად ეჩვენება. თანახმად გავრცელებული შეხედულებისა, ყოველგვარი მოძრაობა ბოლოს და ბოლოს რეფლექსზე შეიძლება იქნას დაყვანილი. ე.წ. რეფლექსოლოგია ამ თვალსაზრისის უკიდურეს განვითარებას წარმოადგენს: იგი არა მარტო იმას, რაც თვალსაჩინოდ მოტორულ ფუნქციად უნდა ჩაითვალოს, არამედ სხვა ყოველგვარ ადამიანურ ფუნქციასაც მოძრაობისა და, მაშასადამე, რეფლექსის ტიპის მოვლენად თვლის. მიუხედავად ამისა, მაინც უდავო ფაქტია, რომ ცოცხალი ორგანიზმი განსაკუთრებით კი ადამიანი, არაიშვიათად ისეთ შემთხვევაშიც იძლევა ამა თუ იმ – ზოგჯერ საკმაოდ რთულ – მოზრაობათა მთელ კომპლექსებს, როდესაც ამისათვის გარე საბაზი არაფერი ჩანს და არც არსებობს. ამ შემთხვევაში იმპულსი თვით ფუნქციაში ან თვითონ სუბიექტში უნდა ვიგულისხმოთ. კ. ბიულერმა განსაკუთრებული ხაზგასმით აღნიშნა, რომ ფუნქციობა – პირველ რიგში კი მოტორული აპარატის ფუნქციობა – თავისთავად იძლევა სიამოვნებას. მისი რწმენით, ეს ე.წ. ფუნქციის სიამოვნება დამოუკიდებელ მოტორად იქცევა, რომელიც ცოცხალი ორგანიზმის მოტორული აპარატის ამოქმედებას იწვევს იმ შემთხვევაშიც, როდესაც არავითარი ბიოლოგიური მომთხოვნელობა არ არსებობს ისეთი, რომ ამის საჭიროებას ქმნიდეს. მოტორულ აქტებს, მაშასადამე, დამოუკიდებელი გენეზისიც შეიძლება ჰქონდეთ. თუ ბიულერის ამ შეხედულებას ჰედონიზმის ელემენტებს ჩამოვაცილებთ, მაშინ იგი უთუოდ მნიშვნელოვან მეცნიერულ მონაპოვრად შეიძლება ჩაითვალოს. მაგრამ მაშინ ამ დებულების მართებული ბირთვი საკმაოდ განსხვავებული სახით უნდა წარმოვიდგინოთ. მოტორულ ფუნქციას მართლაც შეიძლება ჰქონდეს დამოუკიდებელი ხასიათი, მაგრამ არა მხოლოდ მოჩვენებითი, როგორც ეს ბიულერის მიხედვით გამოდის, არამედ ჭეშმარიტად დამოუკიდებელი. მისი მოტორი მასში უნდა ვეძიოთ და არა იმ შედეგში, რომელიც შეიძლება თან სდევდეს მას. შეუძლებელია ფუნქციის სიამოვნება წინ უსწრებდეს, როგორც გამომწვევი იმპულსი, მოტორული ფუნქციის ამოძრავებას. იგი შეიძლება მხოლოდ შედეგი იყოს მისი. მაგრამ თუ იგი მხოლოდ ფუნქციის აქტივაციის შედეგად იჩენს თავს, შეუძლებელია იგი პრინციპულად მის მოტორად ჩაითვალოს: ხომ უნდა გვექნოდა ოდესმე პირველად ორგანიზმის სიცოცხლეში მოტორული ფუნქციის ისეთი ამოქმედების შემთხვევა, როდესაც ფუნქციის სიამოვნება ჯერ კიდევ უცნობი იყო მისთვის. მაგრამ მაშინ რალა განსაზღვრავდა ამ ფუნქციის ამოქმედების ფაქტს! უეჭველია, მოძრაობის ფუნქცია თვით შეიცავს ამოქმედების იმპულსებს: ფუნქცია, ასე ვთქვათ, თვითონ ისწრაფვის ამოქმედდეს, მას ფუნქციობის ტენდენცია აქვს.

აქედან გასაგები ხდება, რომ ადამიანი ხშირად მიმართავს მოძრაობებს, რომელთაც სრულიად არა აქვთ განსახორციელებელი რაიმე გარედან მიცემული

მიზანი: აქ მოძრაობა თითქოს თვითონვე მოძრაობისათვის წარმოებდეს და არა სხვა რაიმესათვის. ამ ფაქტში მოძრაობის ფუნქციის თვითგანმტკიცების იმპულსთან გვაქვს საქმე. მაგრამ მოძრაობის თვითგანმტკიცება მის განვითარებასაც ნიშნავს, და გასაგებია, რომ ადამიანი, როგორც ცნობიერების მქონე არსება, შეგნებულად ხვდებოდეს თავისი მოტორული აპარატის ფუნქციონალური ტენდენციის იმპულსებს და საგანგებო პირობებს ქმნიდეს მის გამოსავლენად, მის ასამოქმედებლად: თვით უქმნიდეს შესატყვის გარე პირობებს, საგანს, თავისი შინაგანი ძალების ტენდენციებს. როდესაც ადამიანი თავისუფალია თავისი ყოველდღიური საზრუნავისაგან, როდესაც მას საკმარისი მოცალეობა აქვს, მაშინ მას შესაძლებლობა ეძლევა, თავისი მოტორული აპარატის ფუნქციონალურ ტენდენციას გაუწიოს ანგარიში და გამოვლენის შესაძლებლობა მისცეს. იგი მოძრაობს: დარბის, დახტის, სიმძიმეებს წევს მაღლა, ბურთს თამაშობს, ცურავს, ყინულზე სრიალებს... იგი ხედავს, რომ ამის გამო, მისი მოტორული აპარატი სულ უფრო და უფრო ვითარდება, ამ ფაქტს იგი ვარჯიშის სახელწოდებით აღნიშნავს და რამდენადაც ვარჯიშის ცნებაში ფუნქციის გაუმჯობესება, განმტკიცება, გაძლიერება განიცდება, ხოლო ეს უკანასკნელი შედარებით ნიადაგზე ხდება თვალსაჩინო, ადამიანის ცხოვრებაში შეჯიბრების იდეა და შეჯიბრების იმპულსიც ისახება. ასე იქცევა ფუნქციონალური ტენდენციის ამოქმედება ვარჯიშად და ეს უკანასკნელი შეჯიბრებად და სპორტად.

მაგრამ შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, რომ ყველაფერს ამას მხოლოდ მოტორული აპარატისა და მისი ფუნქციების მიმართ აქვს ძალა. უკლებლივ იგივე შეიძლება ითქვას ყველა სხვა ფუნქციის, კერძოდ, გონებრივი ფუნქციების შესახებაც, სპორტი ამიტომ არა მარტო სხეულის ფუნქციებს ეხება, არამედ მეტად თუ ნაკლებად გონებრივ ფუნქციებსაც: თუ ფეხბურთი, მაგალითად, მოტორული სპორტის ცნების შინაარსში შედის, ჭადრაკს არანაკლებ აქვს სპორტული ხასიათი, მიუხედავად იმისა, რომ აქ მოტორული აპარატის მონაწილეობა მინიმალურია.

ამრიგად, როდესაც სუბიექტი რომელიმე თავისი ფუნქციის უნარიანობის გაზომვისა და გაწვრთნის მიზნით განმეორებით მისი ამოქმედების პირობებს ქმნის, იგი დამოუკიდებლად ქცევის ფორმის, სპორტის სუბიექტი ხდება.

სპორტის ელემენტები ადრეული ბავშვობის ასაკშიც გვხვდება, როდესაც ბავშვი თავისი სიცოცხლის პირველი წლის მიმდინარეობაში სხეულს ავარჯიშებს: განმეორებით ერთსა და იმავე მოძრაობას იძლევა – ფეხზე დადგომას ან გავლას ცდილობს, როდესაც იგი, ბიულერის ტერმინი რომ ვიხმაროთ, „ფუნქციონალურ თამაშს“ აწარმოებს, ჩვენის გაგებით, იგი როდი თამაშობს, არამედ სპორტის ქცევის ელემენტარულ აქტებს იძლევა. მაგრამ როდესაც განვითარების უფრო მაღალ საფეხურზე – სახელდობრ, სასკოლო ასაკში – ანალოგიურ მოძრაობებს ფუნქციის ძალის შემოწმებისა და მისი გაწვრთნის განცდაც ერთვის თან, მაშინ ფრო სპორტის ქცევის უფრო გარკვეულ ფორმასთან გვაქვს საქმე.

შ. ბიულერი, სხვათა შორის, სპორტს თამაშის განვითარების ერთ-ერთ საფეხურად თვლის. ჩვენ ვხედავთ, რომ ეს ასე არ არის. მართალია სპორტის დასაწ-

ყისი ელემენტები ადრეული ბავშვობის ხანაშიც მოიპოვება. მაგრამ მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ მკვეთრად ჩამოყალიბებული ქცევის ფორმები პატარა ბავშვს საზოგადოდ არა აქვს და ისე, როგორც ყველაფერი, ქცევის ფორმები განვითარების პროცესში ისახებიან, იზრდებიან და დიფერენცირდებიან. ამიტომ, ცხადია, მკვეთრი გამოყოფა სპორტისა და პატარა ბავშვის სხვა ქცევის ფორმათაგან ძნელია. მაგრამ, მიუხედავად ამისა, მაინც შესაძლებელია აღმოჩენილ იქნას ბავშვის ქცევის ინვენტარში ზოგიერთი აქტი, რომელიც სწორედ სპორტის (და არა, მაგ: თამაშის) ჩანასახად უნდა ჩაითვალოს.

რა არის ხელოვნური შემოქმედება? არის იგი შრომის ერთ-ერთი სახეობა და, მაშასადამე, ქცევის ექსტროგენურ ფორმათა შორის უნდა მოთავსდეს, თუ მისი ადგილი უფრო აქ, ინტროგენურ ქცევათა შორის არის? ხელოვნური შემოქმედება ყოველთვის რაიმე ნაწარმოებით მთავრდება. უამისოდ მას შემოქმედებას არავინ უწოდებდა: შემოქმედება რისამე შექმნას გულისხმობს. ამ მხრივ, მასსა და შრომას შორის განსხვავება არ არის. თუ ამას იმასაც დაეფიქტებთ, რომ ეს ნაწარმოები უთუოდ ობიექტურ ღირებულებასაც შეიცავს და, მაშასადამე, გარკვეულ მოთხოვნილებას უნდა აკმაყოფილებდეს, მაშინ თითქოს მასსა და შრომას შორის ყოველგვარი საზღვარი იშლება. მიუხედავად ამისა, საგულისხმოა და სიმპტომური, რომ ხელოვნურ შემოქმედებას მაინც არავინ უწოდებს შრომას: ეს სახელწოდება შრომის აქტებს სრულიად არ ეგუება, ისე, როგორც, უეჭველად, უხერხულობას ვიგრძნობდით, შემოქმედებითი აქტებისათვის ვინმეს შრომა ეწოდებინა. ჩვენი მეტყველება რაღაც განსხვავებას გრძნობს და ადასტურებს ქცევის სახეთა შორის.

რაშია ეს განსხვავება და რამდენად დასაბუთებულია იგი?

როდესაც ადამიანი შრომას იწყებს, მას პირველ რიგში, თავისი შრომის პროდუქტი აქვს მხედველობაში, რომელმაც უთუოდ გაკვეთილი მოთხოვნილება უნდა დააკმაყოფილოს. მოთხოვნილების დაკმაყოფილების უნარი ძირითადი, ასე ვთქვათ, წამყვანი ასპექტია, რომელიც მთელს შრომის აქტს აზრსა და ღირებულებას აძლევს: ადამიანი იმიტომ შრომობს, რომ მას გარკვეული მოთხოვნილება აქვს მხედველობაში, რომლის დაკმაყოფილებაც მხოლოდ გარკვეული პროდუქტის, გარკვეული ნაწარმოების საშუალებით შეიძლება, და მთავარი და ძირითადი შრომისათვის ამ მოთხოვნილების დაკმაყოფილების უნარის მქონე პროდუქტის შექმნის განზრახვაა, ამისდა მიხედვით, იგი იძულებული ხდება, სწორედ ის ძალები აამოძრავოს, რომელნიც ამ მოთხოვნილების დაკმაყოფილების უნარით ალჭურვილი პროდუქტის შექმნის შესაძლებლობას უზრუნველყოფენ.

სულ სხვა მდგომარეობაა ხელოვნური შემოქმედების შემთხვევაში. არ შეიძლება ითქვას, რომ ხელოვანს რაიმე გარკვეული, თუნდ ესთეტიკური ტკობის მოთხოვნილება უჩნდებოდეს და ისიც ისეთი ხელოვნური ნაწარმოების შექმნას ცდილობდეს, რომელიც ამ მოთხოვნილებას დააკმაყოფილებდა. საქმე რომ ესთეტიკური მოთხოვნილების დაკმაყოფილებაში იყოს, მაშინ ალბათ საკუთარი ხელოვნური შემოქმედების იმპულსი არასდროს გაჩნდებოდა: ასეთ შემთხვევაში

სრულიად ბუნებრივი იქნებოდა, ხელოვანს სხვათა ნაწარმოებებისათვის მიემართა და თავისი მოთხოვნილება მათი საშუალებით დაეკმაყოფილებინა. სწორედ ასე იქცევა ყოველი ადამიანი და, კერძოდ, თვითონ ხელოვანიც, როდესაც მას ესთეტიკური მოთხოვნილების დაკმაყოფილება სწადია. იგი მიდის სამხატვრო გალერეაში, რათა გამოჩინილ ხელოვანთა ჭეშმარიტად მხატვრული ნაწარმოებები განიცადოს, იგი ხელს კიდებს გოეთეს ან რუსთაველის ნაწარმოებს და არავითარ შემთხვევაში თვითონ არ იწყებს წინასწარ ხატვას ან ლექსის წერას, რათა შემდეგ საკუთარი ნაწარმოების საშუალებით თავისი ესთეტიკური მოთხოვნილება დაიკმაყოფილოს. არა, შეუძლებელია, მხატვრული შემოქმედების იმპულსი ესთეტიკური ტკბობის მოთხოვნილებიდან გამომდინარეობდეს, მაშინ როდესაც შრომისათვის სწორედ მოთხოვნილების დაკმაყოფილების ასპექტია ყველაფრის განმსაზღვრელი.

მაშ სადღა უნდა ვეძიოთ ხელოვნური შემოქმედების იმპულსი? ამის პასუხი ძნელი არ იქნება, თუ მეორე საკითხს დავაყენებთ, სახელდობრ: რას ესწრაფვის ხელოვანი თავისი შემოქმედების პროცესში, თუ ძირითადი მისთვის ის კი არ არის, რომ ისეთი ხელოვნური ნაწარმოები შექმნას, რომელიც მის ესთეტიკურ მოთხოვნილებას მაქსიმალურად დააკმაყოფილებდა? რა შემთხვევაში გრძნობს ხელოვანი თავისი მხატვრულ შემოქმედებით კმაყოფილებას და, მაშასადამე, თუ არა ესთეტიკური ტკბობის მოთხოვნილებას, რას ემსახურება მხატვრული შემოქმედება? მხატვრულ შემოქმედებას იმიტომ როდი ეწოდება მხატვრული, რომ მისი ნაწარმოებნი, ჩვეულებრივ, ხატოვანი შინაარსის არიან, რომ ისინი რაღაც ობიექტურად არსებულის ადეკვატურ გამონახატულებას იძლევიან. ეს რომ ასე არ ყოფილიყო, მაშინ ფოტოგრაფიაზე უკეთესი ხელოვნება წარმოუდგენელი იქნებოდა. ნამდვილად კი, მიუხედავად იმისა, რომ ფოტოგრაფია სინამდვილის უზუსტეს გამონახატულებას იძლევა, ხელოვნურად მას არავინ თვლის. არა! ხელოვნება არა ობიექტურად მოცემული საგნების შესატყვისი გამონახატულების მიზანს ემსახურება, არამედ თვითონ ხელოვანის ინტიმურ განწყობათა გამონახატვის მიზანს: ხელოვნება შინაგანის განსახიერების ფორმაა და ამიტომ იგი სინამდვილის ფოტოგრაფიულ რეპროდუქციას როდი იძლევა, არამედ სინამდვილის ახალ ფორმებს ქმნის, როგორც ხელოვანის პიროვნების განწყობათა ობიექტივაცია. მაგრამ თუ ხელოვნური ნაწარმოები შემოქმედის ინტიმურ განცდათა ობიექტივაციაა, მაშინ იგი არსებული სინამდვილის გამდიდრებაა, ახალი სინამდვილის შემოქმედებაა.

მაგრამ თუ ეს ასეა, მაშინ ადვილი გასაგებია, თუ რა ამოძრავებს ხელოვანს, როდესაც მხატვრულ შემოქმედებას იწყებს. უეჭველია, ხელოვნური შემოქმედების იმპულსი ხელოვანის განწყობათა განსახიერებისადმი და, მაშასადამე, მათი დასრულებისა და რეალიზაციისადმი მისწრაფებაში უნდა ვეძიოთ. ხელოვნური შემოქმედება მხატვრის განწყობათა ადეკვატური განსახიერებისათვის ბრძოლაში მდგომარეობს და, ცხადია, რაც უფრო წარმატებით მიმდინარეობს ეს ბრძოლა, რაც უფრო ადეკვატური განსახიერების ფორმებს პოულობს მხატვარი, მით უფრო მეტი კმაყოფილებით განიცდება მხატვრული შემოქმედების პროცესი.

აქედან ცხადია, რომ მხატვრული შემოქმედებაც ერთ-ერთი ფორმაა ქცევისა, რომლის იმპულსიც ფუნქციონალური ტენდენციის წიაღიდან გამომდინარეობს და რომლის ადგილიც, მაშასადამე, ინტროგენური ქცევის ფორმათა შორის უნდა მოიძებნოს. როგორც გართობაში, სპორტსა და თამაშში, ისე ხელოვნურ შემოქმედებაშიც სიამოვნებისა და კმაყოფილების გრძნობას საბოლოოდ აქტივობის შედეგი კი არა, მისი პროცესი იწვევს: ქცევის ყველა ამ ფორმას პროცესუალური ხასიათი აქვს.

მიუხედავად ამისა, ხელოვნური შემოქმედება მაინც სპეციფიკურად განსხვავდება ყველა დანარჩენი ინტროგენური ქცევის ფორმებისაგან. პროდუქტს, ნაწარმოებს აქ გაცილებით მეტი როლი აქვს მთელი ქცევის მიმდინარეობისა და ხასიათისათვის, ვიდრე სხვა შემთხვევაში. რამდენად პოულობს აქ ფუნქციონალური ტენდენცია დაკმაყოფილებას, ეს საბოლოოდ იმაზეა დამოკიდებული, თუ როგორი გამოვა შემოქმედების პროდუქტი: თუ რამდენად დამაკმაყოფილებელია სუბიექტისათვის შემოქმედების პროცესუალური მხარე, ეს საბოლოოდ იმაზეა დამოკიდებული, თუ რამდენად ადეკვატურ განსახიერებას წარმოადგენს მისი შინა განცდებისას ხელოვნური ნაწარმოები. ამ უკანასკნელის იდეა არ მართო ყოველ წამს განსაზღვრავს შემოქმედებით პროცესს, არამედ დამთავრებისა და დასრულებისკენაც მოუწოდებს მას. ხელოვნური შემოქმედების პროცესს ეკარგება ღირებულება, თუ იგი მანამ წყდება, სანამ ხელოვნური ნაწარმოები დასრულებოდეს, თამაშში ეს ასე არ არის: აქ პროცესის ყოველ მონაკვეთს თავის დამოუკიდებელი ღირებულება აქვს და ამიტომაც, რომ პრინციპულად და ფაქტობრივადაც შესაძლებელია, იგი ყოველ წამს შეწყდეს. ასეა გართობა და ასევეა სპორტიც. აქ, რა თქმა უნდა, რაიმე წარმოების შექმნაზე ლაპარაკიც კი ზედმეტია; სამაგიეროდ, მთავარი აქ წარმატებაა, რომელიც დასრულებული სპორტის შემთხვევაში, რეკორდის სახელით აღინიშნება; არსებითად იგი ნაწარმოების როლს ასრულებს, მაგრამ განსხვავება ისაა, რომ თვითონ აქტის, თვითონ ფუნქციის ნიშანია და არა შედეგი, რომელსაც ფუნქციის ამოქმედების პროდუქტად ვღებულობთ. ამიტომ სპორტსაც წმინდა პროცესუალური ხასიათი აქვს. ხელოვნური შემოქმედება, ამისდა მიხედვით, შრომის პროცესთან უფრო ახლოს დგას. მიუხედავად იმისა, როგორც ზემოთ დავრწმუნდით, იგი მაინც პროცესუალური ქცევის ფორმად უნდა ჩაითვალოს.

ხელოვნური შემოქმედების თეორიათა შორის ცნობილია შილერისა და გროსის თეორია, რომლის მიხედვით ხელოვნება თამაშიდან უნდა გამომდინარეობდეს. რამდენადაც ორივე – ხელოვნური შემოქმედებაც და თამაშიც – არარეალურ გარემოებათა და ფუნქციონალური ტენდენციის ნიადაგზე აღმოცენებული ქცევის ფორმებს წარმოადგენს, ამ თეორიას საღი მოსაზრება უდევს საფუძვლად. მაგრამ რამდენადაც ერთიცა და მეორეც სპეციფიკურად განსხვავებულ ქცევის პროცესებს შეადგენენ, მათ შორის საერთო მეტი არაფერი უნდა იყოს. ზემოთ უკვე გვქონდა შემთხვევა, თამაში და ხელოვნური შემოქმედება ურთიერთისათვის დაგვეპირისპირებინა. იქ ჩვენ დავინახავთ, რომ ქცევის ეს ფორმები მართ-

ლაც სპეციფიკურად განსხვავდებიან ურთიერთისაგან. ეს დებულება, რომ განსაკუთრებით ნათელი გახდეს, მივმართოთ ასეთ მაგალითს: ვთქვათ ბავშვები „ომობანას“ თამაშობენ. ვთქვათ ახლა, მაგალითად, სცენაზე ომის წარმოდგენას ცდილობენ. ერთნაირი იქნება ქცევა ორივე შემთხვევაში თუ არა? უეჭველია, არსებითად განსხვავებული. პირველ შემთხვევაში თამაში თავისუფლად მიმდინარეობს, თითოეული მონაწილე განსაზღვრულ, მაგრამ საკმაოდ ფართო ფარგლებში, ისე იქცევა, როგორც მას მოეხსიათება. მას შეუძლია თავი დაანებოს თამაშს როცა სურს: ამით მის თამაშს მნიშვნელობა და აზრი არ დაეკარგება და არც დააკლდება. ხოლო, როდესაც სცენაზე ომის წარმოდგენაში ლეზულობს მონაწილეობას, მისი ქცევა თავისუფლებას კარგავს, იგი მძაფრად განისაზღვრება ომის მაქსიმალური ადეკვატობით განსაზღვრების განსაზღვრით. თუ წარმოდგენაში მონაწილეობის მიღება უნდა, მას არ შეუძლია თავის სურვილზე შეწყვიტოს თამაში, წინააღმდეგ შემთხვევაში წარმოდგენა, დრამატული ხელოვნური ნაწარმოების ნაცვლად, უბრალო თამაშად გადაიქცევა. ომის ადეკვატური წარმოდგენის, მისი შესატყვისის განსაზღვრების ტენდენცია თავიდან ბოლომდე განსაზღვრულ, იძულებულ ფორმებს აძლევს ქცევას მაშინ, როდესაც ჩვეულებრივი „ომობანას“ შემთხვევაში თამაშის თითოეული მომენტი თავისთავად დამოუკიდებელ ღირებულებას წარმოადგენს, არც არსებითად განსაზღვრავს მთლიანს და არც არსებითად განისაზღვრება მით. ეს მაგალითი ნათლად გვიჩვენებს, რომ ფსიქოლოგიურად „წარმოდგენა“ ან ხელოვნური შემოქმედება და თამაში არსებითად განსხვავდებიან ურთიერთისაგან; მიუხედავად იმისა, რომ ორივე შემთხვევაში თვით მოქმედება ან თვითაქტივობაა, რაც მონაწილეთა ინტერესის ცენტრში დგას, თამაშის დროს ეს აქტივობა ფსიქოლოგიურად ყოველ მონაცემს მომენტში დამოუკიდებელია, ხოლო ხელოვნური შემოქმედებისას იგი მთელშია განუყრელად ჩაქსოვილი და მისგანაა თავიდან ბოლომდე განსაზღვრული. იქ ქცევის ცალკე აქტები თვითონ წარმოადგენენ თავისთავად ღირებულებას, აქ ისინი მხოლოდ საშუალებას წარმოადგენენ, რომელნიც მთელის განსაზღვრების იდეას ემსახურებიან. მიუხედავად, ამისა, სუბიექტი აქ ქცევის აქტებს იმიტომ კი არ მიმართავს, არამედ იმიტომ, რომ თვითონ ამ მთელით განსაზღვრული აქტების შესრულების იმპულსს გრძნობს.

რა უნდა ითქვას, ესთეტიკური ტკბობის შესახებ? უეჭველია, ადამიანი ხშირად თავისებურ მოთხოვნილებას გრძნობს, რომლის დაკმაყოფილებაც ხელოვნური შემოქმედების ნაწარმოებთა ან ბუნებაში მოცემული მშვენიერების განცდის საშუალებით შეიძლება. ესთეტიკური ტკბობა სწორედ ის მდგომარეობაა, როდესაც სუბიექტი ამ თავის მოთხოვნილებას აკმაყოფილებს. ისე, როგორც სხვა ჩვეულებრივი მდგომარეობის დაკმაყოფილების შემთხვევაში, აქაც აქტთა ორი კატეგორია უნდა გავარჩიოთ. პირველი თვით მოთხოვნილების დაკმაყოფილების აქტები (ესთეტიკური ტკბობის შემთხვევაში – ხელოვნური ნაწარმოების ყვრეტა) – და მეორე – აქტთა კომპლექსი, რომელიც ამ აქტების რეალიზაციის შესაძლებლობის პირობებს ქმნიან (ესთეტიკური ტკბობის შემთხვევაში – თეატ-

რის ბილეთის შექმნა, თეატრში წასვლა, ადგილის მოძებნა და სხვ.) აქედან ნათელი ხდება, რომ ესთეტიკური ტკბობა ქცევის იმ ფორმებს ეკუთვნის, რომელიც ზემოთ მოხმარების სახელწოდებით იყო აღნიშნული. მაგრამ საკმარისია ჩაუკვირდეთ ესთეტიკური ტკბობის არსებას, რათა დავრწმუნდეთ, რომ იგი მაინც საკმაოდ განსხვავდება მოხმარების ჩვეულებრივი აქტებისაგან. ავილოთ, სანიმუშოდ, ჭამის აქტი. სუბიექტს კვების მოთხოვნილება აქვს: მის ორგანიზმს გარკვეული ნივთიერება (საკვები) ესაჭიროება. მოთხოვნილების დაკმაყოფილებას ამ ნივთიერების ორგანიზმში გადაყვანა და მისი ასიმილაცია იწვევს. რაც შეეხება თვით აქტებს, რომელნიც ამისთვის არიან აუცილებელი (მოკბენა, ლეჭვა და სხვ.), თვით ეს აქტები მოთხოვნილების დაკმაყოფილებაში პირდაპირ მონაწილეობას არ ღებულობენ; მშვიერი ორგანიზმის მოთხოვნილების დაკმაყოფილება ამ აქტების გარეშეც შეიძლება: პირდაპირ რომ მივაწოდოთ ორგანიზმს, ჭამის აქტების მონაწილეობის გარეშე, საკვები ნივთიერება, მისი მოთხოვნილება მაინც დაკმაყოფილებული იქნება: ცნობილია, რომ ხელოვნური კვების საშუალებით დიდი ხნით შეიძლება შევუნარჩუნოთ სიცოცხლე ორგანიზმს.

ესთეტიკური ტკბობის შემთხვევაში ანალოგიურ მდგომარეობასთან გვაქვს საქმე თუ არა? ისე, როგორც, ჩვეულებრივ, აქაც გარკვეული საგანი – ხელოვნური ნაწარმოები – არის საჭირო მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად. მაგრამ საგანი აქ საგრძნობლად განსხვავებულ როლს თამაშობს. მაშინ, როდესაც იქ – მაგ: კვების შემთხვევაში – პირიქით, ძირითადი და არსებითი მნიშვნელობა თვით აქტებს აქვთ: მოთხოვნილების დაკმაყოფილებას თვით საგანი კი არ იწვევს, არამედ იმ აქტების რეალიზაცია, რომელიც საგნის, ხელოვნური ნაწარმოების ზეგავლენით ხორციელდება, სახელდობრ, ესთეტიკური ჭვრეტა. კვების მოთხოვნილება რომ ჭამის აქტების (კბენის, ლეჭვის, ყლაპვის) ამოქმედებაში ყოფილიყო და არა თვით საკვები მასალის ასიმილაციაში, მაშინ ესთეტიკურ ტკბობას და მას შორის არსებითი განსხვავება არ იქნებოდა და, ცხადია, იგი ქცევის ცალკე ფორმად ვერ ჩაითვლებოდა. რაკი ეს ასე არაა, რაკი, პირიქით, ხელოვნურ ნაწარმოებს მხოლოდ იმდენად აქვს ესთეტიკური მოთხოვნილების დაკმაყოფილებისათვის მნიშვნელობა, რამდენადაც სწორედ საჭირო აქტების ამოქმედების შესაძლებლობას იძლევა, იგი არათუ ჩვეულებრივი მოხმარების ქცევის სახეობად, არამედ საზოგადოდ ექსტეროგენური ქცევის ფორმადაც ვერ ჩაითვლება. მეორე მხრივ, როგორც ჩვენი ანალიზიდან ჩანს, ისიც უდავოა, რომ მოხმარების ქცევასთან მის ნათესაობას ვერაგინ უარყოფს. ამისდა მიხედვით, ჩვენ ვრწმუნდებით, რომ თუ ქცევის ინტროგენურ ფორმათა შორის ხელოვნური შემოქმედების სახით შრომის ანალოგს ვხვდებით, ესთეტიკური ტკბობის სახით იქ მოხმარების ქცევის ანალოგისათან გვაქვს საქმე.

ქვეყნის ფორმები

ექსტეროგენური – მოხმარება, მომსახურება, მოვლა, შრომა, ცნობისმოყვარეობა, საქმე;

ინტროგენური – ესთეტიკური ტკბობა, ხელოვნური შემოქმედება, თამაში, სპორტი, გართობა;

ამრიგად, ადამიანის ქცევათა ფორმის მრავალსახიანობა ორ მთავარ ჯგუფს შეიცავს, რომელთაგანაც თითოეულში ქცევის სპეციფიკურად განსხვავებული ფორმებია მოთავსებული. ეს ყველა ფორმა შეიძლება ამნაირად იქნეს დალაგებული:

შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, რომ ქცევის ეს ფორმები გარდუვალი ზღუდეებით არიან ურთიერთისაგან გამოყოფილი. პირიქით, ადამიანის ყოველდღიურ ცხოვრებაში ისინი ისე მჭიდროდ უკავშირდებიან ერთმანეთს, რომ ხშირად ძნელი ხდება ადამიანის ესა თუ ის კონკრეტული ქცევა რომელსაღმე აღნიშნულ ფორმას მივაკუთვნოთ. რამდენადაც ქცევის ფორმათა კლასიფიკაციას საფუძვლად ფსიქოლოგიური თვალსაზრისი აქვს დადებული, უნდა ვიფიქროთ, რომ იმის გადასაწყვეტად, თუ უმთავრესად ქცევის რა ფორმებთან გვაქვს საქმე ყოველ მოცემულ მომენტში, მხოლოდ სუბიექტურ ძირითად განცდას აქვს მნიშვნელობა. საინტერესო იქნებოდა საგანგებოდ გვეჩვენებინა, თუ რამდენად ხშირია შემთხვევები, რომ ობიექტურად თითქოს სავსებით ერთი და იგივე ქცევა, იმისდა მიხედვით თუ როგორია სუბიექტის ძირითადი განცდა, ნამდვილად არსებითად განსხვავებულ ქცევის ფორმებს წარმოადგენს. ეს ერთ-ერთი უძველესი საბუთი იქნებოდა იმ აზრის სასარგებლოდ, რომ ბიჰევიორისტული ფსიქოლოგიის ნიადაგზე ქცევის ნამდვილად ნაყოფიერი კვლევა სრულიად უიმედო საქმეს წარმოადგენს. მაგრამ ამაზე საგანგებოდ შეჩერება ძლიერ შორს წაგვიყვანდა. აქ ჩვენთვის ისიც საკმარისი იქნება, თუ მკითხველს გავაფრთხილებთ, რომ ჩვენს მიერ ურთიერთისაგან გამოყოფილი ქცევის ფორმები კონკრეტ სინამდვილეში მკვეთრად არ არიან ურთიერთისაგან გამოყოფილი და ხშირად ერთიმეორეში გადადიან.

მაგრამ ამოიწურება კი ადამიანის ქცევა მხოლოდ ზემოთ დადასტურებულ ფორმებით, თუ არის შემთხვევა, როდესაც ვერ იტყვის კაცი, თუ რომელს ზემოაღნიშნულ ფორმას მიაკუთვნო იგი?

ავიღოთ მაგალითად, სწავლა! სრულიად უეჭველია, რომ მას ძლიერ თვალსაჩინო ადგილი უკავია ცოცხალი ორგანიზმის, განსაკუთრებით კი ადამიანის ცხოვრებაში. რა არის იგი? არის იგი ქცევის ცალკე ფორმა, თუ იგი შეიძლება ქცევის ერთ-ერთ ზემოდახასიათებულ ფორმას მივაკუთვნოთ? ჩვეულებრივ, ფიქრობენ, რომ სწავლა შრომის, კერძოდ, კი, გონებრივი შრომის ერთ-ერთი სახეობს და მეტს არაფერს წარმოადგენს. ეს შეხედულება იმდენად გავრცელებულია, რომ შეიძლება მკითხველს ჩვენი საკითხის დაყენებაც კი უცნაურად მოეჩვენოს. მართლაცდა როგორ შეიძლება ეჭვის შეტანა იმაში, რომ სწავლა, განსაკუთრებით კი სასკოლო სწავლა, შეუძლებელია სხვა რამ იყოს, თუ არა გონებრივი შრომის ერთ-ერთი სახეობა. ასეთია საყოველთაოდ გავრცელებული შეხედულება. მიუხე-

დავდ ამისა, საკმარისია სულ მცირე დაკვირვებაც, რათა დავრწმუნდეთ ამ აზრის სრულ უსაფუძვლობაში.

რა უდევს საფუძვლად ამ მცდარი შეხედულების გავრცელებას? როდესაც ვამბობთ, თითქოს სწავლა გონებრივი შრომის სახეობას წარმოადგენს, უეჭველია, წინასწარ სწავლის თავისებური გაგება გვაქვს მხედველობაში. უეჭველია, ჩვენ ვფიქრობთ, რომ სწავლას რაღაც ღირებულების, ჩვევის ან ცოდნის მიღების მიზანი აქვს დასახული. მაგრამ იმისათვის, რომ ეს მიზანი განხორციელდეს, გარკვეულ აქტივობას უნდა მივმართოთ, რომელსაც შედეგად ამ ჩვევის და ცოდნის შექმნა მოყვება. ისე როგორც შრომის შემთხვევაშია მთავარი შრომის პროდუქტი, ხოლო თვითონ აქტივობას, რომელიც ამ პროდუქტს იძლევა, არა დამოუკიდებელი, არამედ, როგორც ყოველ საშუალებას საზოგადოდ, სრულიად დამოკიდებული ღირებულება აქვს, სწორედ ასეა სწავლის შემთხვევაშიც: უმთავრეს საქმედ აქ ცოდნა ან ჩვევა ითვლება, როგორც პროდუქტი სწავლისა, ხოლო თვით სწავლა ამ პროდუქტის მისაღწევად აუცილებელი ენერჯის ხარჯვას წარმოადგენს, რაც მხოლოდ იმიტომაცაა საჭირო და მნიშვნელოვანი, რომ უამისოდ მზამზარეული სახით არც ჩვევა მოგვეცემოდა და არც ცოდნა. მაშასადამე, აქ წინასწარ არის ნაგულისხმევი, რომ, როგორც შრომას არავითარი აზრი არ ექნებოდა, ისე სწავლაც სრულიად ზედმეტი იქნებოდა, რომ ქვემდებარე ჩვევა ან ცოდნა უამისოდაც მოცემული ყოფილიყო, ერთი სიტყვით, თანახმად წინასწარი შეუმოწმებელი შეხედულებისა, სწავლას თავისთავად არავითარი დამოუკიდებელი ღირებულება არა აქვს: ფასი და მნიშვნელობა მხოლოდ იმ ჩვევებსა და ცოდნას აქვს, რომელსაც სწავლის საშუალებით ვღებულობთ.

მაგრამ ვნახოთ, არსებობს თუ არა სწავლის პროდუქტსა და შრომის პროდუქტს შორის იმდენი ანალოგია, რომ აღნიშნული შეხედულების დასაბუთება შეიძლებოდეს. როდესაც შრომასთან გვაქვს საქმე, მხედველობაში ყოველთვის ის გარკვეული პროდუქტი გვაქვს, რომლისთვისაც იძულებული შევიქვით შრომითი ენერჯია დაგვეხარჯა, გარდა ამ პროდუქტის შექმნისა, შრომის შექმნა არავითარი სხვა ეფექტის მოცემას არ გულისხმობს. გარკვეულ შრომით პროცესს ამ გარკვეული ინდივიდუალური პროდუქტის მოცემის მეტი სხვა არაფერი ევალება. ასევეა თუ არა სწავლის შემთხვევაშიც? ვთქვათ, ბავშვს წერას ვასწავლით: მან უკვე ისწავლა ორიოდე ასოს წერაც. რა არის ამ შემთხვევაში სწავლის ეფექტი? ნუთუ ამ ორიოდე ასოს წერა? უეჭველია, არა! გარდა იმისა, რომ ახლა ბავშვმა ამ ასოების წერა იცის, მან კიდევ შეიძინა სხვა რამ, რაც მას წინათ არ ჰქონია და შეიძინა სწორედ იმის გამო, რომ მას ამ ასოების წერას ვასწავლიდით: მან შეიძინა უნარი თავისი მცირე კუნთების მუშაობის განსაზღვრულ ფარგლებში აქტიური წარმართვისა; ამიტომ მან ორიოდე ასოს წერის სწავლის შედეგად არა მარტო ამ ასოების წერა იცის, არამედ შეძენილი აქვს შესაძლებლობა სხვა ასოების უფრო ადვილად შესწავლისაც. და როდესაც მან უკვე რამდენიმე სიტყვის დაწერა ისწავლა, მან არა მარტო ამ სიტყვების დაწერა იცის, არამედ ახლა სხვა სიტყვათა დაწერის უნარიც განუვითარდა. ამიტომაცაა, რომ წერის სწავლისათვის სრულიად

არაა საჭირო ყველა იმ სიტყვის წერა ვისწავლოთ, რომლის დაწერის შემთხვევაც შემდეგში ოდესმე მოგვეცემა, წერა-კითხვის მცოდნეს, რა თქმა უნდა, ისეთი სიტყვის დაწერაც შეუძლია, რომლის არა თუ წერა არასდროს უსწავლია, არამედ, რომლის მსგავსიც კი მას არასოდეს არ გაუგონია.

ის, რაც წერის სწავლის შესახებ ითქვა, შეიძლება უკლებლივ ყოველგვარი სხვა სწავლის შესახებ განმეორდეს. სულ სხვაა შრომა: იგი მხოლოდ ერთს გარკვეულ პროდუქტს იძლევა და მეტს არაფერს. სხვანაირად რომ იგივე აზრი გამოეთქვათ, სწავლას არა მარტო იმ კონკრეტული, ინდივიდუალური ჩვევის ან ცოდნის მოპოვება აქვს მხედველობაში, რომელსაც ამა თუ იმ მომენტში ვსწავლობთ, არამედ მეტიც: სახელდობრ, მისი მთავარი განზრახვა მოსწავლის სათანადო ძალების განვითარებისაკენ არის მიმართული.

ამიტომ, რომ სწავლის შემთხვევაში არასდროს არ ვამბობთ, რომ მოსწავლეს ამ სიტყვის თუ იმ სიტყვის წერას ვასწავლით, არამედ საზოგადოდ წერას, რომ მას ამ მაგიდის გაკეთებას ვასწავლით, არამედ საზოგადოდ მაგიდის გაკეთებას, მაშინ როდესაც შრომის შემთხვევაში საზოგადოდ მაგიდის ან საზოგადოდ რაიმე საგნის გაკეთების შესახებ ლაპარაკი სრულიად უაზრობა იქნებოდა.

რომ ეს მართლაც ასეა, რომ ამ მხრივ შრომასა და სწავლას შორის მართლაც არსებითი განსხვავება არსებობს, ეს სხვა მოსაზრებიდანაც ნათელი ხდება. საინტერესოა, რომ სწავლის ცნების მოცულობა შეუდარებლად უფრო ფართოა, ვიდრე არა მარტო გონებრივი შრომის, არამედ შრომის ცნებისა საზოგადოდ. რომელი ქცევის ფორმაც არ უნდა ავიღოთ, სულერთია, სწავლა შეიძლება ყველას ეხებოდეს: შეიძლება ადამიანმა სწავლის საგნად მოხმარების აქტებიც გადააქციოს – ყოველ შემთხვევაში ის აქტები, რომლებიც პირობითი რეფლექსების ბუნების არიან, მაგრამ მოხმარების ქცევის კომპლექსშიც ერთიანდებიან, – შრომის ყველა ფორმა, მოვლისა და მომსახურების, ისე, როგორც გონებრივი შრომისა და საქმიანობის აქტებიც. ერთი სიტყვით, არ არსებობს არც ერთი, ყოველ შემთხვევაში, ექსტეროგენური ქცევის ფორმა, რომ მისი სწავლის საგნად გადაქცევა არ შეიძლებოდეს. არა! მეტიც შეიძლება ითქვას. ყველა ქცევის ფორმა ამ თუ იმ სახით და ამა თუ იმ დონემდე მხოლოდ სწავლის შედეგად ხდება ჩვენს კუთვნილებად. უკვე ეს უეჭველი ფაქტიც საკმარისი უნდა ყოფილიყო, რომ შრომისა და სწავლის იგივეობის აზრი საეჭვო მაინც გამხდარიყო.

მაგრამ რას მიუთითებს სწავლის ეს, ასე ვთქვათ, გენერალური ხასიათი? უეჭველია, სწავლას, როგორც აქტივობის ერთ-ერთ სახეობას. ის პროდუქტი, ის საგნობრივი მოცემულობა როდი უნდა ჰქონდეს პირველ რიგში მხედველობაში, რომელთან დაკავშირებითაც მისი პროცესი მიმდინარეობს, არამედ იმ ძალების განვითარების მიზანი, რომელნიც ამ პროცესში აქტივობის მდგომარეობაში მოდიან. სწავლის პროცესში აღმოცენებული აქტივობა, მაშასადამე, არა მხოლოდ საშუალების ღირებულებას შეიცავს, არამედ თვითონ წარმოადგენს დამოუკიდებელ ღირებულებას, ე.ი. სწავლაში ძირითადი მნიშვნელობა იმ პროდუქტს კი არა აქვს, რომელსაც იგი კონკრეტი ჩვევის ან კონკრეტი შინაარსის მქონე ცოდნის

სახით გვაძლევს, არამედ განსაზღვრული მიმართულებით მოსწავლის ძალების განვითარებას: სწავლაში ძირითადი კონკრეტი ჩვევა და ცოდნა როდია, არამედ იმ ძალების განვითარება, რომელნიც სწავლის პროცესში ლეზულობენ მონაწილეობას. მართლაცდა, არასდროს შრომითი პროცესის მიზანს ძალთა განვითარება არ შეადგენს: შრომა მხოლოდ პროდუქტისათვის წარმოებს და არა იმ ძალების განვითარებისათვის, რომელნიც მასში ლეზულობენ მონაწილეობას. მართალია, ობიექტურად შრომით პროცესს ადამიანთა ძალის განვითარებაც მოსდევს, მაგრამ ეს მისი, როგორც აქტივობის გარკვეული სახის, აუცილებელი თანმხლები მოვლენაა და არა მისი არსი, რომელიც მის სპეციფიკურ ნიშანს შეადგენს. პირიქით, შრომა თავისი არსებით დამთავრებულ, დასრულებულ ძალებს გულისხმობს. მას მათი გამოყენება აინტერესებს და არა მათი განვითარება. და განათვით განვითარების დონეც ამით არ გაიზომება, თუ რამდენად არიან ძალები შრომის წარმოებისათვის მომზადებული! პოლიტექნიკური სკოლა იმიტომ კი არ არის შრომის სკოლა, რომ იგი სწავლას შრომად აქცევს, ან შრომას სწავლად, არამედ სწორედ იმიტომ, რომ მას შეცდომად მიაჩნია სკოლის ქარხნად ანდა ქარხნის სკოლად გადაქცევა. პირიქით, მისი ძირითადი იდეა ისაა, რომ ადამიანის შრომითი ძალების განვითარებაც საგანგებო ზრუნვას, სწავლას მოითხოვს და ეს ზრუნვა სწორედ ადამიანის ზოგადი განვითარებისათვის ზრუნვასთან უნდა იყოს განუყრელად დაკავშირებული, ანდა, უკეთ, მასთან ერთადერთ მთლიანობაში გაერთიანებული. ეს კი იმას ნიშნავს, რომ პოლიტექნიკური შრომის სწავლა არა პროფესიონალურის, არამედ ზოგადი განათლების სკოლის საქმეა და ეს უკანასკნელი არა ცალმხრივი აღზრდა-განათლების, არამედ პოლიტექნიკური შრომის სკოლა უნდა იყოს.

ერთი სიტყვით, სწავლა არსებითად განსხვავდება ქცევის იმ სპეციფიკური ფორმისაგან, რომელიც ზემოთ წარმოებითი შრომის სახელწოდებით იყო აღნიშნული.

როგორც ცნობილია, ქცევის არც ერთი ფორმისათვის არ არის მოზარდის ძალთა განვითარების ინტენცია ისე სპეციფიკური, როგორც თამაშისათვის. მეორე მხრივ, და სწორედ ამ მიზეზის გამო, როგორც ზემოთაც იყო აღნიშნული, თამაში ქცევის გენერალური ფორმაა. მაგრამ, როგორც დავრწმუნდით, სწორედ ორივე ეს ნიშანი ახასიათებს სწავლასაც. აქედან თითქოს თავისთავად უნდა გამომდინარეობდეს დასკვნა, რომ სწავლა და თამაში ქცევის ერთსა და იმავე ფორმას უნდა წარმოადგენდეს და მართლაც, პედაგოგიური აზროვნების ისტორიაში ამ აზრს არაერთგზის უჩენია თავი. ჟან-ჟაკ რუსო და საზოგადოდ ე.წ. თავისუფალი სკოლის მომხრენი საბოლოო ანგარიშში სწორედ სწავლისა და თამაშის იგივეობის იდეას ემყარებოდნენ. რადგანაც რუსოს იდეა ზოგან პოულობს მომხრეებს, ხოლო, მეორე მხრივ, ფართოდ გავრცელებული შეხედულების მიხედვით, თამაშსა და სწავლას შორის საერთო არაფერი არ უნდა იყოს, აუცილებელი ხდება ამ საკითხზე ცოტა ხანს მაინც შევჩერდეთ.

მთელი ჩვენი მსჯელობა, რომელიც სწავლისა და შრომის ცნებათა ურთიერთობას ეხებოდა, იქით იყო მიმართული, რომ ნათელი გამხდარიყო, თუ რაოდენ განსხვავდება სწავლა შრომისაგან და რაოდენ უახლოვდება იგი თამაშს. თითქმის ყველა ის ძირითადი ნიშანი, რომლებიც სწავლის ცნებას შრომის ცნებისაგან ანსხვავებს, სწორედ ის ნიშანი აღმოჩნდა, რომელიც თამაშისთვისაა დამახასიათებელი. განსაკუთრებით გადამწყვეტი მნიშვნელობა კი ერთსა აქვს, სახელდობრ, იმას, რომ სწავლაცა და თამაშიც არსებითად ძალთა განვითარების მიზანს ეყრდნობიან და ემსხურებიან. ვფიქრობთ, რომ ყოველივე ამის შემდეგ ზედმეტად უნდა ჩაითვალოს კვლავ თამაშისა და სწავლის ცნებათა ნათესაობის მტკიცებაზე შეჩერება. პირიქით, აზრთა მთელი მიმდინარეობა აქამდე ისეთი იყო, რომ მკითხველს ბუნებრივად ქცევის ორივე ამ ფორმის იგივეობის აზრი გაუჩნდებოდა, ვიდრე მათი განსხვავებულობისა. ამიტომ ახლა სწორედ ამ აზრის მართებულობაზე უნდა შევჩერდეთ: მართლაც იმდენად ჰგავს სწავლა თამაშს, რომ მათ გაიგივებაზე იფიქროს კაცმა?

თუ სწავლა აქტივობის ფორმაა, რომლის აზრიც შინაგან ძალთა განვითარებაში უნდა ვეძებოთ, ცხადია, რომ აქ არავითარი გარე მოთხოვნილება არ არსებობს, რომ წინასწარ განსაზღვრავდეს იმ საგანს, რომელიც ამ აქტივობისთვისაა აუცილებელი, მამასადამე, სწავლაც ისეთი ფორმაა აქტივობისა, რომელსაც გარე მოთხოვნილების იმპულსი როდი აღძრავს: ამ როლს, თამაშის მსგავსად, აქაც ფუნქციონალური ტენდენცია უნდა ასრულებდეს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ სწავლაში აქტივობისათვის აუცილებელი საგანი სუბიექტს არა გარედან და იძულებით ეძლევა, არამედ შინაგანად, სამოქმედოდ განწყობილი ძალების შესატყვისად და თავისუფლად. ეს მოსაზრება ერთხელ კიდევ ამტკიცებს იმ აზრს, თითქოს სწავლა და თამაში ერთი და იგივე იყოს, ყოველ შემთხვევაში, სწავლა ქცევის ისეთივე ინტროგენური ფორმა იყოს, როგორც თამაში. ნამდვილად კი ეს ასე არ არის. სწავლა ყოველთვის გულისხმობს რაღაცას, რაც ისწავლება: იგი თვით ცნების შინაარსში შეიცავს რაღაც გარეგანის იდეას, რომელიც მოსწავლეს სწორედ გარედან ეძლევა და არა მისი ძალების თავისუფალი იმპულსის ნიადაგზე აიგება. ჩვენ ხომ რაღაცას ვასწავლით მოსწავლეს, ე.ი. ჩვენ ვაძლევთ საგანს ამ ძალებს და არა ისინი ირჩევენ ან ქმნიან მას თავისუფლად. განვითარების განსაზღვრულ საფეხურზე მოზარდში, ვთქვათ, მეტყველების ფუნქციები იმდენად მწიფდება, რომ მათი ამოქმედების ტენდენცია ან იმპულსი უჩნდებათ. მაგრამ მეტყველების ფუნქციების ამოქმედება ხომ მეტყველებას ნიშნავს! მეტყველება კი მხოლოდ რომელსამე გარკვეულ ენაზე შეიძლება. მამასადამე, სრულიად შეუძლებელია, მეტყველების ფუნქციური ტენდენცია დაკმაყოფილდეს, თუ მას გარედან არ მივცემთ საგანს, ე.ი. რომელიმე გარკვეული ენის მასალას. სწავლა სწორედ ამ გარედან მოწოდებული საგნის, მასალის ნიადაგზე სამეტყველო ფუნქციითაა ამოქმედებაში მდგომარეობს. ანდა მეორე მაგალითი: ვთქვათ, ბავშვს იმდენად მოუმიფდა ანგარიშის წარმოების გონებრივი ფუნქციები, რომ მათი ამოქმედების ტენდენციამ იჩინა თავი. თავის თავზე მინდობილი ბავშვი ალბათ იძულებული იქნებოდა ამ

შემთხვევაში თავისი ფუნქციები ისე ემოქმედებინა, რომ მხოლოდ ის საფეხურები გაეწეო, რომელიც თავისი ნატურალური განვითარების პროცესში პირველყოფილი ადამიანის არითმეტიკულმა აზროვნებამ გაიარა. ჩვენს სინამდვილეში კი, ჩვენს სკოლაში, მოზარდის არითმეტიკული აზროვნების ფუნქციები ჩვენი კულტურული განვითარების დღევანდელ საფეხურზე დაუფლებული არითმეტიკული მასალისა და წესების ნიადაგზე იწყებს ფუნქციობას. მაგრამ ამ მასალასა და ამ წესებს მოზარდის ფუნქციები თვითონ, დამოუკიდებლად როდი ქმნიან, არამედ ყველაფერს ამას ჩვენ, მაშასადამე გარედან, ვაწვდით მას და ანგარიშის სწავლაც ამას ეწოდება: ბავშვის არითმეტიკული აზროვნების ფუნქცია ამ გარედან მოწოდებული მასალის ნიადაგზე ვითარდება. ამრიგად, ჩვენ ვრწმუნდებით, რომ, მართალია, სწავლა მოზარდის შინაგანი ძალების ფუნქციონალური ტენდენციის გამოვლენას გულისხმობს, მაგრამ ეს გამოვლენა მხოლოდ იმ მასალაზე ხდება, რომელიც გარედან ჩვენ მიერ ეძლევა მას. სწავლის შემთხვევაში შინაგანი თვითონ როდი პოულობს, ირჩევს, ან ქმნის თავის შესატყვისს, თავისი აქტივაციისათვის აუცილებელ გარეგანს, როგორც ეს თამაშის შემთხვევაში ხდება, არამედ ეს უკანასკნელი მოზარდის არჩევით განისაზღვრება. მაშასადამე, განვითარება აქ არა თავისუფლად არჩეულ მასალაზე ხდება, როგორც ამას თამაშის შემთხვევაში აქვს ადგილი, არამედ იმ მასალაზე, რომელიც მოზარდის მიაჩნია მიზანშეწონილად.

იბადება საკითხი: რატომ ხდება ასე? ნუთუ სწავლა აუცილებელია? ნუთუ არ შეიძლებოდა, რომ მოზარდი თავისი საკუთარი თავისთვის მიგვენდო, მისი განვითარების ბედი სავსებით ფუნქციონალური ტენდენციის ნიადაგზე აღმოცენებული ალღოს ხელმძღვანელობის ქვეშ დაგვეტოვებინა? ამ საკითხის გადაწყვეტა ძნელი არაა, თუ ფუნქციონალური ტენდენციის ცნებას მართებულად გავიგებთ. ცალკე ფუნქცია მხოლოდ როგორც ჩვენი მეცნიერული ანალიზის საგანი წარმოადგენს რეალობას. კონკრეტ სინამდვილეში იგი მხოლოდ მთლიანში, ე.ი. სხვა ფუნქციებთან ურთიერთმიმართებაში, ინტერფუნქციონალურ კავშირში არსებობს. ფუნქციონალური ტენდენცია ამ მთლიანის ამოქმედების იმპულსს ნიშნავს; და როდესაც ვლაპარაკობთ, რომ ზოგჯერ ადამიანის აქტივობის ფორმას ფუნქციონალური ტენდენცია უდევს საფუძვლად, ეს შეიძლება მხოლოდ იმ აზრით იქნას გაგებული, რომ ადამიანს განვითარების განსაზღვრულ საფეხურზე განსაზღვრული ინტერფუნქციონალური კომპლექსების ამოქმედების იმპულსი უჩნდება. ეს კომპლექსები კი ერთხელ და სამუდამოდ განსაზღვრული სახით როდია მოცემული ორგანიზმში. იგი კაცობრიობის განვითარების პროცესში მუშავდება და თითოეული კერძო ადამიანის არსებაში, შესაძლებლობის სახით, მემკვიდრეობით გადადის. მაშასადამე, კაცობრიობის განვითარების ყოველ საფეხურზე ადამიანის შვილს – ამ განვითარების სპეციფიკურობის მიხედვით – თავისებური ინტერფუნქციონალური მთლიანი კომპლექსები აქვს, რომლებიც მის წინაპრებს ხანგრძლივი განვითარების ნიადაგზე აქვთ მიღწეული. მაშასადამე, ეს კომპლექსები კულტურული განვითარების პროდუქტს წარმოადგენენ და მათ ასამოქმე-

დებლად, ცხადია, შესატყვისი მასალა, შესატყვისი საგანია აუცილებელია. მაგ: მარტივი შემთხვევა რომ ავიღოთ: შევადართო პრიმიტივის შვილის არითმეტიკული აზროვნების შესაძლებლობა! შეიძლება თუ არა ითქვას, რომ ორსავე შემთხვევაში სავსებით ერთნაირ ინტერფუნქციონალურ შესაძლებლობასთან გვაქვს საქმე? რასაკვირველია არა, შეიძლება თუ არა, იმისდა მიხედვით, ითქვას, რომ ამ შესაძლებლობათა ასამოქმედებლად სავსებით ერთი და იგივე საგანი, ერთი და იგივე მასალაა საჭირო? რასაკვირველია, არა. თუ ფუნქციები განსხვავებულია, ამდენადვე განსხვავებული უნდა იყოს ის საგანი ან მასალაც, რომელიც მათი ამოქმედების აუცილებელ პირობას წარმოადგენს, პრიმიტივის შვილების არითმეტიკული აზროვნების გასააქტივებლად და მის გასავითარებლად არავინ და არასდროს იყენებდა და ვერც გამოიყენებდა იმ რთულ მათემატიკურ მასალას, რომელსაც დღევანდელი კულტურული ადამიანის შვილის მათემატიკური განვითარებისათვის მივმართავთ. ეს მასალა, ისე, როგორც მისი შესატყვისი ფუნქციებიც, როგორც ინტერფუნქციონალური მთლიანი, მხოლოდ კულტურული განვითარების შედეგად იქნა მიღებული; იგი კულტურულ მონაპოვარს წარმოადგენს და, მაშასადამე, დღევანდელი ბავშვის განვითარებაც ამ კულტურული განვითარების პროცესში შექმნილი მასალით შეიძლება მოხერხდეს. მაგრამ ეს კულტურული მასალა, თანამედროვე მათემატიკა, ისეთია, რომ ბავშვი მას, რა თქმა უნდა, თავისი ძალებით, თვითონ დამოუკიდებლად, თავისი მათემატიკური აზროვნების ამოქმედების მიზნით ვერ შექმნის: იგი აუცილებლად გარედან უნდა მიეცეს მას, იმ მოზრდილი ადამიანის ხელით, რომელსაც ეს მასალა აქვს დაუფლებული, რამდენადაც სავსებით უკულტურო, სავსებით პრიმიტიული, ნატურალური ადამიანი შეუძლებელია ოდესმე არსებულიყო, იმიტომ, რომ თვით ცნება ადამიანისა უარყოფს ამის შესაძლებლობას, ინდა ვიფიქროთ, რომ სწავლა, როგორც განვითარებაში მყოფი ძალებისათვის მასალის მიწოდება, ადამიანის აღზრდის მარად განუყრელ ნაწილს შეადგენდა. ის, რაც კულტურული განვითარების პროცესში იქნა ადამიანის მიერ შექმნილი, შეუძლებელია ადამიანის შვილმა ამ კულტურული ზეგავლენის გარეშე, სავსებით ნატურალური გზით შეიძინოს.

ამრიგად, სრულიად უეჭვოდ უნდა ჩაითვალოს, რომ სწავლის პროცესში, ადამიანის ძალების აქტივაცია არა ამ ძალების მიერ სპონტანურად გამონახული ან შექმნილი შესატყვისი საგნის ნიადაგზე წარმოებს, არამედ მოზრდილის მიერ მიწოდებული მასალის ნიადაგზე: სწავლის პროცესში მოზარდის ძალა სპონტანურად როდი პოულობს საგანს, არამედ იგი გარედან, სხვის მიერ ეძლევა მას. ამ მხრივ სწავლა შრომას ჰგავს და თამაშისაგან არსებითად განსხვავდება. ე.ი. ქცევის ექსტეროგენური ფორმა უფროა, ვიდრე ინტროგენური. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ნამდვილად, ქცევის ექსტეროგენურ ფორმად იგი მაინც ვერ ჩაითვლება. საქმე ისაა, რომ ქცევის ექსტეროგენური ფორმების შემთხვევაში სუბიექტს ისე ეძლევა საგანი, რომ მისი ძალების აქტუალური მოთხოვნილება სრულიად არ არის მხედველობაში მიღებული. მაგ: რა მოთხოვნილება გაუჩნდება ადამიანს ამ თუ იმ მომენტში და, მაშასადამე, რა ძალები უნდა ჩააყენოს მან მოთხოვნილების

დასაკმაყოფილებლად აქტიურ მდგომარეობაში, ეს სრულიად არ არის დამოკიდებული იმაზე, თუ, სახელდობრ, რომელი მისი ძალებია ამჟამად სამოქმედოდ განწყობილი: რომელიმე ინტენსიური გადაუდებელი მოთხოვნილება, რომელიც ძალების საკმაოდ დიდ დაძაბვას მოითხოვს, შეიძლება მაშინაც გაუჩნდეს ადამიანს, როდესაც იგი ავადმყოფობის გამო სრულიად დაუძლურებულია ანდა ხანგრძლივი მუშაობის გამო დაქანცული. სწავლის შემთხვევაში ეს ასე არ არის. რაკი სწავლის მთავარი ინტენცი მოსწავლის ძალების განვითარებისაკენ არის მიმართული, სრულიად შეუძლებელია, რომ მოზრდილმა, რომელიც სწავლას ხელმძღვანელობს, შეგნებულად ისეთი ამოქმედება დაავალოს მას, რომელნიც ამჟამად, განვითარების ამ საფეხურზე, სრულიად არ არიან სამოქმედოდ განწყობილნი. წინააღმდეგ შემთხვევაში, იგი წინასწარ იქნებოდა თავისი სწავლების სრულ უნაყოფობაში დარწმუნებული. არა, მასწავლებელი ყოველთვის იძულებული ხდება, კულტურულ მონაპოვართა სწორედ ის ფორმები მიაწოდოს მოსწავლეს, რომელნიც მისი ამჟამინდელი სააქტივაციოდ განწყობილი ძალების ასამოქმედებლად გამოდგებიან. მაშასადამე, ის, თუ რას ვასწავლით მოზარდს, მისი ძალების განვითარებაზეა დამოკიდებული. მაგრამ, რა თქმა უნდა არა მარტო მასზე, არამედ იმაზეც, თუ რა ძალების განვითარება გვანტერესებს მასში, რა ფუნქციონალური შესაძლებლობის, ე.ი. აგრეთვე იმაზედაც, თუ როგორი ადამიანის აღზრდა გვაქვს მიზნად დასახული. ერთი სიტყვით სწავლა ორი მხრით განსაზღვრულ პროცესს წარმოადგენს: (ძალების მხრივ, რომელთა აქტივაციის ტენდენცია ჩნდება განვითარების მოცემულ საფეხურზე, და) აღმზრდელის იდეალის მხრივ, რომელიც სწორედ ამ ძალების განვითარებას თვლის ღირებულების მქონედ და არა იმ ძალებისას.

სწავლა ამისდა მიხედვით, თითქოს ინტროგენური ქცევის ფორმაც შეიძლება ჩათვლილიყო და ექსტეროგენურადაც, თუმცა ცალ-ცალკე იგი არც ერთს წარმოადგენს და არც მეორეს. იგი უფრო გარდამავალი ფორმაა ქცევის ორ ძირითად კატეგორიას შორის; იგი გარდამავალი საფეხურია, რომელიც თამაშის შემდგომ უნდა განვლოს ადამიანმა, რათა შრომის უნარით აღჭურვილი ადამიანის დონემდე ამაღლდეს.

სწავლის ამ კონცეფციიდან ნათლად ჩანს, თუ რაოდენ ცდებოდა ჟან-ჟაკ რუსო ან ე.წ. თავისუფალი სკოლის პედაგოგიკა, როდესაც სწავლას თამაშის დონემდე აქვეითებდა, ანდა, მეორეს მხრივ, სქოლასტიკური სკოლა, რომელიც სწავლას მხოლოდ აღმზრდელის მიზნების მიხედვით წარმართავდა ისე, რომ მოზარდის შინაგან შესაძლებლობათა განვითარების დონესა და ტენდენციებს არავითარ ანგარიშს არ უწევდა.

სკოლა არაა სათამაშო მოედანი, მაგრამ იგი არც ქარხანაა, სადაც ადამიანების ძალებს განსაზღვრული პროდუქტების მომზადებას ავალევენ და, მაშასადამე, სამუშაოდ მხოლოდ მას იღებენ, ვისაც უკვე აქვს ამისათვის საჭირო ძალები განვითარებული. აქედან ნათელი ხდება, თუ რა პრინციპზე უნდა იყოს აგებული სკოლის მუშაობა, როგორც თავისი შინაარსის, ისე მეთოდების მხრივაც. როდე-

საც საზოგადოებაში მოთხოვნილება ჩნდება, ვთქვათ ელექტრომანქანები ხდება საჭირო, მაშინ ამ მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად სათანადო მორთულობის ქარხანას აგებენ და იქ სამუშაოდ ისეთ პირებს შერჩევენ, რომელნიც ამ მანქანების წარმოებისათვის საუკეთესოდ არიან მომზადებული, საწინააღმდეგო მდგომარეობასთან გვაქვს საქმე სწავლის შემთხვევაში. აქ ძირითადი მიზანი მოზარდის ძალების განვითარებაა. ამიტომ თუ როგორი უნდა იყოს ყოველ მოცემულ მომენტში სწავლის შინაარსი და მეთოდები, ამის საბოლოო გადაწყვეტა მხოლოდ ამ ძალების გათვალისწინების, ე.ი. პედაგოგიური დასაბუთების შემდეგ შეიძლება. ნაყოფიერი შრომა ფსიქოტექნიკურად დასაბუთებულ ორგანიზაციას გულისხმობს, ნაყოფიერი სწავლა – პედაგოგიურად დასაბუთებულ შინაარსს და ორგანიზაციას.

ამრიგად, სწავლა ქცევის თავისებური ფორმაა, რომელიც არა თუ თამაშთან ან შრომასთან არ შეიძლება იქნას გაიგივებული, არამედ არცერთს სხვა ქცევის ფორმასთან მაშინ, როდესაც ყველა ჩვენ მიერ დადასტურებული ქცევის ფორმა ან ინტროგენურ ჯგუფს ეკუთვნის და ან ექსტროგენურს, სწავლა ორივეს ელემენტებს შეიცავს და ამდენად თითოეული მათგანისაგან განსხვავდება.

ფსიქოლოგია და პედაგოგიკა

ფსიქოლოგიის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანას პედაგოგიკისა და პედაგოგის დახმარება წარმოადგენს. ამას არავინ უარყოფს, არც პედაგოგი, არც ფსიქოლოგი. მიუხედავად ამისა, არ შეიძლება ითქვას, რომ დღეს საბოლოოდ გადაწყვეტილი იყოს, თუ რას ნიშნავს ამ შემთხვევაში დახმარება, რა მოეთხოვება ფსიქოლოგიას, რათა მან პედაგოგიკის მიმართ თავისი მოვალეობა შეასრულოს. ხშირად პედაგოგს ასე ესმის დახმარების ცნება: როდესაც მის წინაშე რაიმე ძნელი პედაგოგიური საკითხი დგას – ვთქვათ, შეგნებული დისციპლინის აღზრდის საკითხი – იგი უშუალო მონაწილეობის მიღებას ავალეებს ფსიქოლოგს ამ პედაგოგიური საკითხის გადაჭრაში – თითქოს ფსიქოლოგია მოწოდებული იყოს ასწავლოს პედაგოგიკას, თუ როგორ უნდა გადაიჭრას პედაგოგიური საკითხები.

ხშირია შემთხვევა, რომ, სამწუხაროდ, ფსიქოლოგსაც ასე ესმის პედაგოგიკის მიმართ დახმარების ამოცანა და ჩვეულებრივ ასე იქცევა, როდესაც რაიმე ფსიქოლოგიურ საკითხს იკვლევს, მაგ: ნებისყოფის საკითხს, იგი მიღებული შედეგების გადმოცემით როდი კმაყოფილდება, არამედ პედაგოგიური დასკვნების მოცემასაც ცდილობს. ეს წესი იმდენად გავრცელებულია, რომ იგი არა მარტო პედაგოგიურ ფსიქოლოგიაში გვხვდება, არამედ ძალიან ხშირად ზოგადი ფსიქოლოგიის კურსებსა და სახელმძღვანელოებშიც. საკმარისია დავასახელოთ თუნდ პროფ. კორნილოვის რედაქციით გამოსული სახელმძღვანელო, რომელშიაც თითქმის ყოველი ცალკე თავი პედაგოგიური დასკვნების ჩამოთვლით თავდება, რომ ეს დებულება ყველასათვის ნათელი და უდავო შეიქნეს.

დიდი შორსმჭვრეტელობა არ არის საჭირო, რომ კაცმა გაიგოს, თუ რაოდენ მცდარია და შეიძლება მავნებელიც დახმარების ცნების ასე გაგება. მართლაც-

და უდავოა, პედაგოგიური დასკვნები, საიდანაც არ უნდა გამომდინარეობდნენ ისინი, პედაგოგიკურ დებულებებს წარმოადგენენ. მაშასადამე, როდესაც ფსიქოლოგი ასეთ დასკვნებს აკეთებს, იგი ფსიქოლოგიის საზღვრებს ტოვებს და პედაგოგიკის ფარგლებში იჭრება: იგი პედაგოგიკის საქმის გაკეთებას ცდილობს. ცხადია, ამ შემთხვევაში „პედაგოგიკის თავის უფლებებში აღდგენის“ შესახებ ლაპარაკიც ზედმეტია.

მაგრამ ესეც არ იყოს, ფსიქოლოგიის მიერ წამოყენებული პედაგოგიკური დებულებები, რამდენადაც ისინი ფსიქოლოგიური მონაცემებიდან გამომდინარე დასკვნებს წარმოადგენენ, არ შეიძლება პრინციპულად, პედაგოგიურად ჩაითვალოს. საქმე ისაა, რომ დებულებები მხოლოდ ფსიქოლოგიურ საფუძვლებს ეყრდნობიან, მაშინ როდესაც პედაგოგიკას გარდა ფსიქოლოგიისა, სხვა დამხმარე მეცნიერებებიც აქვს, იმიტომ, რომ მისი დებულებები არა მარტო ფსიქოლოგიურით, არამედ სხვა ასპექტებითაც უნდა იყოს დასაბუთებული. ფსიქოლოგიას, როგორც ასეთს, რა თქმა უნდა, შეუძლებელია ეს ასპექტებიც მხედველობაში ჰქონდეს და ამიტომ მისი პედაგოგიური დასკვნები პრინციპულად ყოველთვის ცალმხრივია. მოკლედ, ფსიქოლოგიზმი პედაგოგიკაშიც მცდარ თვალსაზრისს წარმოადგენს და ფსიქოლოგიისათვის პედაგოგიური დასკვნების გამოტანის დავალება ნიშნავს სწორედ ფსიქოლოგიზმის შეტანას პედაგოგიკაში.

აქედან ნათელი ხდება, რომ პედაგოგიური დასკვნების გამოტანა ფსიქოლოგიის საქმე არ არის, თუნდ ეს დასკვნები ფსიქოლოგიური მონაცემებიდანაც გამომდინარეობდნენ. ასეთი დასკვნებით ფსიქოლოგია როდი ეხმარება, არამედ ხელს უშლის პედაგოგიკას, დეზორიენტაცია შეაქვს მასში, რამდენადაც სხვა მნიშვნელოვან ასპექტებს, რომლებიც არსებითია პედაგოგიკისათვის, უგულვებლად ატოვებს. პედაგოგიური დებულების შემუშავება, რა თქმა უნდა, მხოლოდ და მხოლოდ პედაგოგიკის საქმეა და ფსიქოლოგიას სწორედ აქ ევალება დახმარება გაუწიოს მას. საქმე ისაა, რომ პედაგოგიური დებულების შესამუშავებლად ბევრი რამაა საჭირო და განსაკუთრებით ფსიქოლოგიური მასალაც: იმისათვის, რომ აღადგინო ალზრდის წარმართვა შესაძლო გახდეს, საჭიროა მისი ფსიქიკის განვითარების კანონზომიერებას გაუწიო ანგარიში: პედაგოგიკას იშვიათად აქვს საქმე ისეთ საკითხთან, რომლის წარმატებით გადაწყვეტა სათანადო ფსიქოლოგიური მასალის გათვალისწინების გარეშე შეიძლებოდეს, პედაგოგიკა, მაშასადამე, ვერც ერთს ასეთ საკითხს ვერ გადაჭრის სათანადოდ თუ მას ფსიქოლოგიური მასალა არ ექნა ხელთ, თუ იგი მოკლებილ იქნა ფსიქიკის იმ მხარის კანონზომიერებათა ცოდნას, რომლის აღზრდის საკითხიც დგას ამჟამად მის წინაშე. მაგრამ საიდან მიიღოს პედაგოგიკამ ეს ფსიქოლოგიური მასალა? ვისგან უნდა შეიტყოს მან ფსიქიკური ცხოვრების კანონზომიერებათა შესახებ? რასაკვირველია, მხოლოდ და მხოლოდ იმ მეცნიერებებისაგან, რომელსაც ყველაფრის ამის კვლევა ევალება: რასაკვირველია, ფსიქოლოგიისაგან. პედაგოგიკა მეტს არაფერს სთხოვს ფსიქოლოგიას, გარდა სინამდვილის იმ სფეროს ფსიქოლოგიურ კანონზომიერებათა შესწავლისა, რომელიც მისი ინტერესის საგანს წარმოადგენს:

პედაგოგიკა მხოლოდ იმ მხრივ სთხოვს დახმარებას ფსიქოლოგიას, რომ მან სწავლა-აღზრდის, პედაგოგიური პროცესის ცალკეული მნიშვნელოვანი მომენტების ფსიქოლოგიური შესწავლა აწარმოოს, და ამით შესაძლებლობა მისცეს მას თავისი პედაგოგიური დებულებების შემუშავებისას მისთვის ესოდენ მნიშვნელოვან ფსიქოლოგიურ სინამდვილესაც შესაფერი ანგარიში გაუწიოს. ფსიქოლოგიას იმას კი არ სთხოვენ, რომ მან პედაგოგიური დებულების დამუშავება დაიწყოს თუნდ ფსიქოლოგიური დებულებებიდან გამომდინარე პედაგოგიური დასკვნების სახით. არა, მას იმას სთხოვენ სვეროს შესახებ, რომელიც აღზრდის მეცნიერებას – პედაგოგიკას აინტერესებს.

თუ ამ დებულებას მხედველობაში ვიქონიებთ, მაშინ ცხადი შეიქნება ისიც, თუ რა არის ე.წ. პედაგოგიური ფსიქოლოგია, რა ამოცანები შეიძლება იდგეს მის წინაშე. სამწუხაროდ, ხშირია შემთხვევა, რომ პედაგოგიურ ფსიქოლოგიას რაღაც თავისებურ ნარევ მეცნიერებად გულისხმობენ – პედაგოგიკადაც და ფსიქოლოგიადაც ერთსა და იმავე დროს. ეს ნათლად ჩანს ამ მეცნიერული დისციპლინის შინაარსიდან, როგორც ეს უკანასკნელ მის ტრადიციულ კურსებშია მოცემული. როგორც წესი, აქ ნაცადია ჯერ პედაგოგიური თვალსაზრისით რომელიმე მნიშვნელოვანი პროცესის, მაგ. ანგარიშის, წერის, კითხვის ფსიქოლოგიური ბუნების გაშუქება და შემდეგ იმ პედაგოგიური დებულების წამოყენებაც, რომლებიც ამ პროცესის ფსიქოლოგიიდან გამომდინარეობს. მოკლედ: აქ ამ პროცესების ფსიქოლოგიაცაა მოცემული და, მისგან გამომდინარე პედაგოგიური დასკვნების სახით, პედაგოგიკაც. თავისთავად იგულისხმება, ასეთი დიფუზიური მეცნიერება არ შეიძლება არსებობდეს: პედაგოგიური ფსიქოლოგია არ შეიძლება პედაგოგიკადაც გადაიქცეს მარტო იმის გამო, რომ იგი პედაგოგიური თვალსაზრისით მნიშვნელოვან პროცესებს იკვლევს – თითქოს ფსიქოლოგია, როგორც ასეთი, უთუოდ პრაქტიკული თვალსაზრისით არასაინტერესო პროცესებს უნდა სწავლობდეს. პედაგოგიური ფსიქოლოგია, რა თქმა უნდა, ფსიქოლოგიაა და პედაგოგიური დებულებების შემუშავებას მას ვერავინ დაავალებს. პედაგოგიურ ფსიქოლოგიას მხოლოდ იმიტომ ეწოდება პედაგოგიური, რომ სწავლა-აღზრდის თვალსაზრისით უშუალოდ მნიშვნელოვანი პროცესებისა და ფაქტების ფსიქოლოგიურ კვლევას აწარმოებს: იგი აგროვებს იმ ფსიქოლოგიურ მასალას, რომლის უშუალო, გათვალისწინების გარეშეც პედაგოგიკა თავის საკითხებს წარმატებით ვერ გადასწყვეტდა. პედაგოგიური ფსიქოლოგია ფსიქოლოგიის ის დარგია, რომელიც უშუალოდ სამსახურს უწევს პედაგოგიკას – თეორიულსა და პრაქტიკულს – რამდენადაც სწორედ იმ კონკრეტული საკითხების ფსიქოლოგიურ მასალას აგროვებს, რომელიც სწავლა-აღზრდის პრობლემის წრეში შედის.

მაგრამ უწევს კი თანამედროვე ფსიქოლოგია სათანადო დახმარებას პედაგოგიკას? აძლევს იგი მას იმ პროცესების, ნამდვილი ფსიქოლოგიური პროცესების ცოდნას, რომელიც მას აინტერესებს? უნდა ითქვას, რომ პედაგოგიკა სრულიად არ არის კმაყოფილი იმით, რასაც მას ფსიქოლოგია აწვდის. პედაგოგიური ფსიქოლოგია დიდი ხანია არსებობს, დიდი ხანია, რაც მას არაერთი პედაგოგიურად

მნიშვნელოვანი პროცესის ფსიქოლოგიის შესწავლა უცდია. ამის მიუხედავად, პედაგოგიკა დღემდე უკმაყოფილოა ფსიქოლოგიისა: იგი ვერ გვიწევს იმ დახმარებას, რომელიც მოეთხოვებაო.

რა არის ამის მიზეზი? პასუხი ცნობილია: ტრადიციული ფსიქოლოგია აბსტრაქტული მეცნიერებაა; იგი წარმოადგენს არა ცოცხალი, კონკრეტული ადამიანის ფსიქოლოგიას, არამედ მისი ცალკეული ფსიქიკური ფუნქციების ფსიქოლოგიას. პედაგოგიკას კი კონკრეტული ადამიანის, ცოცხალი პიროვნების აღზრდასთან აქვს საქმე და, მაშასადამე, მას ამ კონკრეტული, ცოცხალი არსების მოქმედების კანონზომიერებათა ცოდნა ესაჭიროება. ფსიქოლოგია, სამწუხაროდ, სწორედ ამას ვერ აძლევს მას, ვინაიდან იგი საზოგადოდ ყურადღების, მეხსიერების, წარმოსახვის და სხვა განყენებული ფუნქციების შესახებ აწარმოებს კვლევა-ძიებას და არა კონკრეტული, აქტიური ადამიანის შესახებ. ამიტომ გასაგებია, რომ პედაგოგიკა უკმაყოფილო რჩება ფსიქოლოგიისა: იგი სათანადო დახმარებას ვერ გვიწევსო.

ტრადიციული ფსიქოლოგიის ეს უნაყოფობა შენიშნულია სხვა მეცნიერებებშიც, რომელთაც ფსიქოლოგიის დახმარება ესაჭიროება, განსაკუთრებული ხაზგასმით ამას ჯერ კიდევ მე-19 საუკ. ბოლოს აღნიშნავდნენ და ახალის, უფრო კონკრეტულისა და უფრო ნაყოფიერი ფსიქოლოგიის შემოღებას მოითხოვდნენ. საკმარისია, მოვიგონოთ დილთაის კრიტიკა, რომელსაც იგი ექსპერიმენტული ფსიქოლოგიის მიმართ აწარმოებდა, და მის სახელთან დაკავშირებული მოძრაობა, რომელიც განსაკუთრებით გერმანიაში განვითარდა და ახალი ფსიქოლოგიის – კულტმეცნიერული ფსიქოლოგიის (geistes-wissenschaftliche Psychologie) დასაბუთებას ცდილობდა.

დღეს ფსიქოლოგიას ძალიან კარგად აქვს შეგნებული ტრადიციული ფსიქოლოგიის განყენებული ფუნქციონალიზმის, სრული უკმარობა და იგი კონკრეტული, ცოცხალი ადამიანის ფსიქოლოგიის ჩამოყალიბებას ესწრაფვის, ამ მხრივ, არსებობს სრული შეთანხმება არა თუ ფსიქოლოგებს შორის, არამედ პედაგოგიკასა და ფსიქოლოგიას შორისაც. ყველა იმ აზრისაა, რომ განყენებული უსიცოცხლო მეცნიერების ადგილი ცოცხალი, აქტიური ადამიანის ფსიქოლოგიამ უნდა დაიკავოს, და მაშინ, კერძოდ, პედაგოგიკაც საკმარის დახმარებას მიიღებს ფსიქოლოგიისაგან.

ამრიგად, ამოცანა ცხადია და უდავო: კონკრეტული ადამიანის, აქტიური პიროვნების ფსიქოლოგია უნდა შეიქმნას. მაგრამ როგორ, რა გზითაა ეს მოსახერხებელი?

დღეს ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ ტრადიციული ფსიქოლოგიის ძირითადი ნაკლი – მისი განყენებულობა იქიდან გამომდინარეობს, რომ იგი ფსიქიკას ჩვენი კონკრეტული ქცევის, ჩვენი ყოველდღიური პრაქტიკის გარეშე სწავლობს (იხ. მაგ. რუბინშტეინის „ზოგადი ფსიქოლოგიის საფუძვლები“). მაშასადამე, საჭიროა ეს მდგომარეობა შეიცვალოს, საჭიროა ფსიქიკა აქტიური ადამიანის ქცევასთან დაკავშირებული იქნეს კვლევული და შედეგად ცოცხალი ადამიანის კონკრეტულ

ფსიქოლოგიასთან გვექნება საქმეო. უნდა ითქვას, რომ ეს შეხედულება მხოლოდ სანახევროდ არის მართებული: კონკრეტული ფსიქოლოგიის ასაგებად ფსიქიკის მართო პრაქტიკის ფორმებთან დაკავშირებით შესწავლა სრულიად არაა საკმარისი. განა ცოტა ვიცით შემთხვევა, რომ ტრადიციული ფსიქოლოგია ადამიანის პრაქტიკის სხვადასხვა ფორმას (სწავლას, თამაშს, შრომას) იკვლევდა და ამის გამო სრულიად კონკრეტული შინაარსის ფსიქოლოგიად არ გარდაქმნილა! საქმე მართო ის კი არაა, რომ ტრადიციული ფსიქოლოგია ადამიანის ფსიქიკას ჩვენი აქტივობის, ჩვენი პრაქტიკის გარეშე იკვლევს. არა. საქმე ისაა, რომ იგი ადამიანის ფსიქიკას ცოცხალი ადამიანის, აქტიური სუბიექტის გარეშე იკვლევს, და ესაა მისი განყენებულობის, მისი უსიცოცხლობის ძირითადი მიზეზი. ამიტომ, როდესაც იგი ადამიანის პრაქტიკის სახეების, მაგ. სწავლის ან შრომის ფსიქოლოგიურ შესწავლას ჰკიდებს ხელს, მისი შედეგები მაინც განყენებული, მაინც არაა კონკრეტული, მაინც უსიცოცხლო რჩება, იმიტომ, რომ უსუბიექტო პრაქტიკა არაა ის პრაქტიკა, რომელიც სინამდვილეში არსებობს; იგი განყენებული, უსიცოცხლო „პრაქტიკაა“.

საიდან გამომდინარეობს ტრადიციული ფსიქოლოგიის ეს ნაკლი? რა არის ყველა ამის ძირითადი წყარო? მე უდავოდ მიმაჩნია, რომ ეს ის წინასწარ – შეუმოწმებლად აღიარებული, ტრადიციულად განმტკიცებული აზრია ფსიქიკური მიზეზობრიობის შესახებ, რომელიც დღემდე განაგრძობს ბატონობას არა მართო ფსიქოლოგიაში, არამედ ყველა იმ სამეცნიერო დარგშიც, რომელთაც ფსიქიკურთან აქვთ საქმე, მასმასადამე, პედაგოგიკაშიაც. ამ აზრის ფესვები ადამიანის აზროვნების წინარე მეცნიერული პერიოდიდან მომდინარეობს და თავის საკვებს დღესაც იქიდან ღებულობს, იმ პერიოდიდან, როდესაც სული დამოიკიდებელ მეტაფიზიკურ რეალობად იყო ცნობილი და, როგორც ასეთს, მხოლოდ უშუალო ურთიერთობა შეეძლო დაემყარებინა მის გარეთ არსებულ სინამდვილესთან. სული თავისთავადი დამოუკიდებელი რეალობაა, რომელიც შეიძლება შეუერთდეს სხეულს, გაშორდეს მას, იმოქმედოს მასზე და თვითონაც მიიღოს ზემოქმედება მისგანო – ფიქრობდნენ მაშინ. მოკლედ: სული უშუალო ურთიერთობაში იმყოფება გარე სინამდვილესთან, იგი უშუალოდ განიცდის მის ზემოქმედებას და თვითონაც უშუალოდ მოქმედებს მასზეო.

დღეს ჩვენი მეცნიერების განვითარების თანამედროვე დონეზე, უკვე აღარავინ ფიქრობს სერიოზულად დამოუკიდებელი, მეტაფიზიკური არსის, სულის არსებობის შესახებ. დღეს მხოლოდ ემპირიულად მოცემულ განცდებზე ან სულიერ ფაქტებზე ლაპარაკობენ. მიუხედავად ამისა, საოცარია, რომ ძველი რწმენის სისწორეში – სულსა და გარე სინამდვილეს შორის უშუალო ურთიერთობის არსებობის აზრში ეჭვი არავის შეაქვს, ყოველ შემთხვევაში მთელი ტრადიციული ფსიქოლოგია თავიდან ბოლომდე ისეა გაგებული, რომ ყველა კანონზომიერება, რომელსაც იგი ადასტურებს, კვლავ წმინდა უშუალობის პრინციპის ურყეობას გულისხმობს: ყველაფერი, რაც ფსიქიკაში ხდება, ყველაფერი, რაც ფსიქიკურს ემართება, გარედან მოქმედი სტიმულის უშუალო ზემოქმედების შედეგს წარ-

მოადგენს. მოკლედ: სტიმული, ფიზიკური აქტი იქნება იგი, თუ ფსიქიკური, სულ ერთია, უშუალოდ მოქმედებს ფსიქიკაზე და სათანადო ეფექტს მასში უშუალოდვე იწვევს.² მაგ. ერთი წარმოდგენა უშუალოდაა მეორესთან დაკავშირებული და ეს კავშირი კანონზომიერი ხასიათისაა: ასე ვლებულობთ ცნობილ ასოციაციის კანონებს; ჩვენი ცნობიერების ემოციონალური შინაარსები, როგორც წესი, ინტელექტუალურ შინაარსებთანაა დაკავშირებული: ტკბილი სიამოვნებას იწვევს, მწარე – უსიამოვნებას და ა.შ. ინტენსიური გაღიზიანება უშუალოდ მოქმედებს ადამიანის ყურადღებაზე; ერთი სიტყვით, ყოველი ცვლილება, რომელსაც ადგილი აქვს ფსიქიკაში, ტრადიციული ფსიქოლოგიის რწმენით, უთუოდ რაიმე სტიმულის – შინაგანის თუ გარეგანის – უშუალო ეფექტს წარმოადგენს და მის ასახვას სწავლავს, მაშასადამე, არავითარი შუა წევრი არაა საჭირო: ფსიქიკა უშუალოდ განიცდის სინამდვილის ზემოქმედებას, უშუალოდ ამყარებს მასთან ურთიერთობას, როგორც თავისთავადი დამოუკიდებელი რეალობა მეორე თავისთავად, დამოუკიდებელ რეალობასთან. ამიტომ ტრადიციული ემპირიული ფსიქოლოგია გვერდს უქცევს სუბიექტს, პიროვნებას, რომლის იარაღსაც ფსიქიკა წარმოადგენს და ფსიქიკური ფაქტების ან ფსიქიკური ფუნქციების ფსიქოლოგიად იქცევა. სუბიექტი მას სრულიად არ ესაჭიროება იმიტომ, რომ ფსიქიკური მოვლენები, მისი რწმენით, უშუალო კავშირში იმყოფებიან სინამდვილესთან. ამიტომ სრულიად ბუნებრივია, რომ ტრადიციულ ემპირიულ ფსიქოლოგიაში აქტიური სუბიექტის, პიროვნების ცნებას ადგილი არა აქვს და იგი ცალკე სამეცნიერო დარგის, ქარაქტეროლოგიის პრობლემად ითვლება. ემპირიული ფსიქოლოგია უსუბიექტო ფსიქოლოგიას წარმოადგენს, იგი მთლიანი ცოცხალი სუბიექტიდან მოგლეჯილ, მაშასადამე, განყენებული ფუნქციების ფსიქოლოგიად იქცევა.

აქედან გასაგები ხდება ისიც, თუ რატომაა, რომ ტრადიციული ფსიქოლოგია ადამიანის ფსიქიკას პრაქტიკის მიზანშეწონილი ქცევის ან მოქმედების გარეშე და არა მასში და მასთან დაკავშირებით სწავლობს: პრაქტიკა ცოცხალი სუბიექტის, კონკრეტული პიროვნების, აქტივობის პროცესია და, ბუნებრივია, რომ უსუბიექტო ფსიქოლოგიას იგი ყურადღების გარეშე რჩება.

პედაგოგიკას სწავლა-აღზრდის პრობლემები აქვს გადასაწყვეტი, პრობლემა სრულიად გარკვეული, კონკრეტული ადამიანური პრაქტიკისა. ბუნებრივია, რომ უშუალობის პრინციპზე მდგომი განყენებული უსუბიექტო ფუნქციების ფსიქოლოგია სათანადო სამსახურს ვერ გაუწევდა მას. საქმე ისაა, რომ ფსიქიკური მიზეზობრიობის საკითხს არსებითი მნიშვნელობა აქვს პედაგოგიკისათვის, როგორც აღზრდის მეცნიერებისათვის. ტრადიციული ფსიქოლოგიის ფუნდამენტალური შეცდომა კი, როგორც ვიცით, სწორედ ამ საკითხის გადაჭრაში მდგომარეობს, სახელდობრ, უშუალობის პრინციპის აღიარებაში, რომელსაც იგი ფსიქოლოგიური კაუზალობის პრინციპად თვლიდა. ეს პრინციპი თეორიულ პედაგოგიკაშიც იმთავითვე ურყევი დებულების როლს ასრულებდა. ჩვეულებრივ, ასე გულისხმობენ: იმისათვის, რომ აღზარდო, მის ფსიქიკაზე უნდა იმოქმედო – მის აზროვნებაზე,

მის ნებელობაზე, მის ემოციაზე. ამიტომაც, რომ ბავშვის ფსიქიკის თავისებურებათა ცოდნა პირდაპირ აუცილებელია პედაგოგიკისთვის.

ამ დებულებაში ასეთი აზრია დაფარული: რადგანაც ბავშვის ფსიქიკაზე უნდა იმოქმედო, ცხადია, ამ ფსიქიკის თავისებურებათა გათვალისწინებაა საჭირო; უამისოდ ეს ზემოქმედება ნაყოფიერი ვერ გამოდგება. აზრი ნათელია: აღზრდის პროცესი ფსიქიკაზე უშუალო ზემოქმედების პროცესს წარმოადგენს. მაშასადამე, აღზრდის პროცესში სუბიექტი ან სრულიად უგულვებელყოფილია, ანდა იგი თვითონ ფსიქიკასთანაა გაიგივებული. მაგრამ თავისთავად იგულისხმება, აღზრდის საგანს არა ფსიქიკური ფუნქციები, არა ფსიქიკა საზოგადოდ, არამედ კონკრეტული ადამიანი, ცოცხალი აქტიური პიროვნება წარმოადგენს. უეჭველია, უშუალობის პრინციპი პედაგოგიკაშიც მავნე როლს ასრულებდა. რამდენადაც ფსიქოლოგია თვითონ იყო ამ უშუალობის პრინციპზე აგებული. იგი, ცხადია, პედაგოგიკაში ამ პრინციპის გაძლიერებას უფრო შეუწყობდა ხელს, ვიდრე დასუსტებას ან აღკვეთას.

ამრიგად, ტრადიციული ფსიქოლოგია, რომელიც უშუალობის პრინციპზეა აგებული და ამიტომ განყენებულ, უსუბიექტო ფსიქოლოგიას წარმოადგენს, ორმხრივია, მეტი რომ არ ვთქვათ, უსარგებლო პედაგოგიკისათვის: იგი ვერ აწვდის მას ცოცხალ ფსიქოლოგიურ მასალას სინამდვილის იმ სფეროების შესახებ, რომელიც პედაგოგიკას აინტერესებს და, გარდა ამისა, იგი აძლიერებს მასში უშუალობის პრინციპიდან გამომდინარე მავნე ტენდენციებს.

აქედან ასეთს, სრულიად უდავო დასკვნას ვღებულობთ: უშუალობის პრინციპი უნდა გაიდევნოს ფსიქოლოგიიდან. ფსიქიკური მიზეზობრიობის პრობლემა ისე გადაწყდეს, რომ ფსიქოლოგია ცოცხალი, კონკრეტული, აქტიური ადამიანის ფსიქოლოგიად გადაიქცეს. ეს იმას ნიშნავს, რომ სუბიექტის ცნებამ ფსიქოლოგიაში, მას რომ შეეფერება, ისეთი ადგილი უნდა დაიკავოს: იგი საფუძვლად უნდა დაედოს – სხვა არანაკლებ მნიშვნელოვან ცნებებთან ერთად – მთელ ფსიქოლოგიას. უსუბიექტო, განყენებული ფუნქციების ფსიქოლოგიამ ადგილი უნდა დაუთმოს სუბიექტის, მოქმედი პიროვნების ფსიქოლოგიას.

რასაკვირველია, ეს მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება მოხდეს, თუ ფსიქოლოგია თავის ამოსავალ წერტილს დასახავს არა ანალიზის შედეგად მიღებულს სინამდვილის განყენებულ, ნაწილობრივ მხარეებში, არამედ თვითონ ცოცხალ, კონკრეტულ, მთლიანობით სინამდვილეში თუ ფსიქოლოგია ადამიანის ცალკე ფსიქიკურისა და ცალკე ფიზიკური მხარის გათვალისწინების გზით კი არ წავა ცოცხალი ადამიანის შესწავლის მიზნისაკენ, არამედ თვითონ აქტიური სუბიექტით დაიწყებს, ყოველ შემთხვევაში მთლიანით, კონკრეტულით და ამ მთლიანის კანონზომიერებათა წვდომას შესძლებს.

მაგრამ როგორ უნდა მოხდეს ეს? სად, რაში უნდა დაიჭიროს მეცნიერულმა კვლევამ ეს მთლიანობა, რათა მისი კონკრეტული შესწავლა აწარმოოს?

დღეს ფსიქოლოგიას უკვე სრული შესაძლებლობა აქვს, გარკვეული პასუხი გასცეს ამ საკითხს. მის განკარგულებაში მოიპოვება საკმაო ფაქტიური მა-

სალა, რომელიც ამ მთლიანობის კონკრეტული მეცნიერული კვლევის უეჭველ შესაძლებლობასა და ნაყოფიერებას ამოწმებს. ჩვენ მხედველობაში გვაქვს განწყობის ფსიქოლოგია, რომელმაც განწყობის სახით, მთლიანი, აქტიური სუბიექტის კონკრეტული მეცნიერული კვლევის საგნად გადაქცევა მოახერხა და ამით დამარწმუნებლად დაამტკიცა, რომ სრულიად არაა აუცილებელი, ფსიქოლოგია უთუოდ იშუალობის დებულებაზე იყოს აგებული და იმთავითვე, პრინციპულად, განყენებულ მეცნიერებას წარმოადგენდეს. განწყობის ფსიქოლოგიამ გვიჩვენა, რომ შესაძლებელია ნამდვილი მეცნიერული ფსიქოლოგია ცოცხალი აქტიური სუბიექტის ფსიქოლოგია იყოს.³ მან დაამტკიცა, რომ განწყობის ცნებას ამ შემთხვევაში გადამწყვეტი როლის შესრულება შეუძლია, რამდენადაც ეს ცნება თავის შინაარსად იღებს არა რომელიმე ნაწილობრივ მომენტს – ფსიქიკურს, ან ფიზიოლოგიურს, არამედ თვითონ სუბიექტს, როგორც მთლიანის, გარკვეულ მოცემულობას, და ამით იგი მთლიანობის კანონზომიერებათა უშუალო შესწავლის შესაძლებლობას ჰქმნის.

განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ განწყობის ცნებაში ორივე კარდინალური მომენტია მოცემული, რომელიც კონკრეტული ფსიქოლოგიის ასაგებად და, მაშასადამე, სხვათა შორის, პედაგოგიკის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლადაც აუცილებლად არის ცნობილი – პიროვნების მომენტი და პრაქტიკის მომენტი. მართლაცდა, განწყობა მთლიანობითი ბუნების ფაქტია, იგი აქტიური სუბიექტის, როგორც მთელის, დახასიათებაა. მაგრამ იმავე დროს იგი ამ აქტიური სუბიექტის სამოქმედოდ მზადყოფნასაც ნიშნავს. მაშასადამე, განწყობის ცნებაში, ორივე მომენტი ერთად იგულისხმება მოქმედებაც და აქტიური პიროვნებაც. აქედან ცხადია, რომ განწყობის ფსიქოლოგიისათვის პიროვნებისა და აქტიობის ანუ მოქმედების ცნება პრინციპულად არის ურთიერთთან დაკავშირებული და მისთვის თავისთავად იგულისხმება, რომ ნამდვილ მეცნიერულ ფსიქოლოგიაში ორივე ეს ცნება – პიროვნება და მოქმედება – ფუძემდებელ როლს ასრულებს.

ამრიგად, ჩვენ ვხედავთ, რომ განწყობის ცნებაზე აგებულ ფსიქოლოგიას განსაკუთრებული დახმარების გაწევა შეუძლია ყველა იმ მეცნიერებისათვის, რომელსაც სწორედ პიროვნების აქტიობასთან აქვს საქმე, პირველ რიგში, რასაკვირველია, პედაგოგიკისათვის.

მაგრამ განწყობის ფსიქოლოგიას არა მარტო იმიტომ შეუძლია ნამდვილი დახმარების გაწევა პედაგოგიკისათვის, რომ იგი აქტიური პიროვნების, კონკრეტული ადამიანის ფსიქოლოგიას წარმოადგენს. არა! არსებობს საბუთები ვიფიქროთ, რომ გარდა ამისა მას, როგორც სწორედ განწყობის ფსიქოლოგიას, სპეციფიკური მნიშვნელობაც აქვს პედაგოგიკისათვის. საქმე ისაა, თვითონ განწყობის ცნებას აქვს განსაკუთრებული პედაგოგიური ღირებულება, იმდენად განსაკუთრებული, რომ მომავალში იგი ალბათ პედაგოგიკის ერთ-ერთ ფუნდამენტალურ ცნებად გადაიქცევა. აღზრდა, სწავლა, განვითარება – ყველაფერი ეს ისეთი პროცესებია, რომ მათ გასაგებად არაფერს იმდენი მნიშვნელობა არა აქვს, რამდენიც

განწყობის ცნებას და ეს იმიტომ, რომ ადამიანის აღზრდის პროცესი არ შეიძლება განსაკუთრებით ინტიმურ კავშირში არ იმყოფებოდეს მის განწყობასთან.

თუ რა როლს ასრულებს განწყობა აღზრდის პროცესში, ამის გაგება ნამდვილი აღზრდის უდავო ფაქტების დაკვირვებითა და ანალიზით შეიძლება. მართლაც, რასაკვირველია, ყოველთვის ყოფილან და დღესაც არსებობენ ნიჭიერი აღმზრდელები და კარგი მასწავლებლები, რომელთაც თავის პრაქტიკულ პედაგოგიურ მუშაობაში მნიშვნელოვანი წარმატება ჰქონიათ. ასეთი შემთხვევები მშვენიერ მასალას იძლევიან ნამდვილი პედაგოგიური კვლევა-ძიებისათვის. ხომ უდავოა, რომ აქ ყველგან სწორი პედაგოგიური ზემოქმედების ფაქტებთან გვაქვს საქმე. რაში მდგომარეობს ამ ზემოქმედების სისწორე, სახელდობრ, რით აღწევს აღმზრდელი ასეთ წარმატებას თავის მუშაობაში, ეს მას, როგორც წესი, არც კი აქვს საგანგებოდ გააზრებული და ამიტომ, როდესაც მას ამის შესახებ ეკითხებით, იგი სწორი პასუხის მოცემას ვერ ახერხებს: ფაქტის შესახებ მას ანგარიშის მოცემა ადვილად შეუძლია. მაგრამ რას ემყარება ეს ფაქტი, რატომ არის იგი ასეთი, ეს უკვე თეორიის საქმეა და სწორი თეორიის მიცემა ყველას არ შეუძლია, მიუხედავად იმისა, რომ იგი როგორც პრაქტიკოსი საყურადღებო შედეგებს აღწევს. იმისათვის, რომ სწორი პედაგოგიური ზემოქმედების საფუძვლები მოინახოს, საჭიროა ამ საქმეს პედაგოგიკურმა თეორიამ მოჰკიდოს ხელი. პედაგოგიკის საქმე სწორედ ესაა.⁴ ჭეშმარიტების წყარო პრაქტიკა და მეცნიერება ამის თეორიაა, ამის განზოგადება.

და აი, წარმატებითი პედაგოგიური პრაქტიკის ფაქტები რომ გავაანალიზოთ, ჩვენ ვნახავთ, რომ ამ შემთხვევაში პედაგოგი არასდროს ისეთ ზომებს არ მიმართავს, რომ, პირველ რიგში, თვითონ მოზარდის პიროვნება არ ჰქონდეს მხედველობაში. პედაგოგიური ტაქტი მას ნებას არ აძლევს, პიროვნება, როგორც მთლიანობა, განზე დასტოვოს და უშუალოდ მის ფსიქიკაზე აწარმოოს ზემოქმედება. არსებობს საბუთები, რომლებიც გვაფიქრებინებს, რომ სათანადო განწყობის შექმნა ამ შემთხვევაში გადამწყვეტ როლს ასრულებს. წარმატებითი პედაგოგიკური პრაქტიკის მაგალითები ნათლად მოწმობს, რომ ყოველ შემთხვევაში უშუალოდ პრინციპი არ უდევთ მათ საფუძვლად: პედაგოგი ფსიქიკაზე – აზროვნებაზე, თუ ემოციაზე – როდი მოქმედებს უშუალოდ, არამედ, პირველ რიგში, მოზარდის პიროვნებაზე და მისი ფსიქიკური განვითარების შესაძლებლობას უწინარეს ყოვლისა ამით უზრუნველყოფს.

პედაგოგიკას ცოცხალი აქტიური პიროვნების ფსიქოლოგია გააუწევს ნამდვილ დახმარებას – ეს უდავოა. მაგრამ ასეთი ფსიქოლოგია თავისი სრული სახით ჯერ კიდევ მომავლის საქმეა. მაშასადამე, შეიძლება იფიქროს ვინმემ, პედაგოგიკამ ამ ახალი ფსიქოლოგიის ჩამოყალიბებას უნდა უცადოს; ხოლო სანამ ეს მოხდებოდეს, თავი უნდა შეიკავოს და საჭირო დახმარებისათვის არსებულ ფსიქოლოგიურ მეცნიერებას არ უნდა მიმართოს.

მაგრამ ასეთი დასკვნა უდავოდ შემცდარი იქნებოდა. საქმე ისაა, რომ ფსიქოლოგია მეცნიერებაა, და ტრადიციული, კლასიკური ფსიქოლოგია ამ მეცნიერე-

ბის განვითარების ერთ-ერთ საფეხურს წარმოადგენს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ იგი არავითარ შემთხვევაში მხოლოდღა შეცდომათა თავყრილობად არ შეიძლება ჩაითვალოს. ფსიქოლოგია თავისი განვითარების პროცესში, რასაკვირველია წინ მიდიოდა და ჩვენი დროისათვის მან იმდენი მნიშვნელოვანი დაკვირვება დააგროვა, რომ შემდგომი განვითარებისათვის მისი პრინციპული გადახალისება შეიქნა აუცილებელი. რა თქმა უნდა, ეს გადახალისების საკითხი არ დადგებოდა, რომ ფსიქოლოგია ასე არ გაზრდილიყო და განვითარებულიყო და მისი დაგროვება ძველს პრინციპულსა და მეთოდოლოგიურ ჩარჩოებში შეუძლებელი არ გამხდარიყო.

მოკლედ, კლასიკური ფსიქოლოგია არაერთს ძვირფას დაკვირვებას, არაერთ საგულისხმო დებულებას, არაერთ „ჭეშმარიტების მარცვალს“ შეიცავს და, რასაკვირველია, მასზე ხელალებით უარის თქმა დიდი შეცდომა იქნებოდა. პედაგოგიკას მაინც ბევრი რამ შეუძლია ძველ ფსიქოლოგიაში, რაც უთუოდ გამოსადეგი იქნებოდა მისთვის.

მაგრამ ასეთი დასკვნა უთუოდ შემცდარი იქნებოდა. საქმე ისაა, რომ საკმარისი ფსიქოლოგიური განათლება უნდა ჰქონდეს, რომ მან შესძლოს ფსიქოლოგიის მდიდარ მასალაში სწორად გარკვევა და იქ სწორედ იმის დანახვა, რაც მართლა სასარგებლოა მისთვის. დღეს-დღეობით კი, სამწუხაროდ, პედაგოგიკა და პედაგოგი ამ მხრივ უნუგეშო მდგომარეობაში იმყოფება: ფსიქოლოგიური მომზადების დაბალი დონის გამო, მან არც კი იცის, თუ რას წარმოადგენს ფსიქოლოგია განვითარების თანამედროვე ეტაპზე, და რა არის მასში ისეთი, რისი გამოყენებაც მართლა სასარგებლო იქნებოდა. მოკლედ: მან არ იცის საკმარისად ფსიქოლოგია და, მაშასადამე, ვერც გამოიყენებს მას. ფსიქოლოგია მისთვის უსარგებლო მეცნიერებაა, მაგრამ იმიტომ კი არა, რომ იგი მართლა ასეთია ობიექტურად, არამედ იმიტომ, რომ მას სათანადოდ ვერ იყენებენ. რასაკვირველია, ტრადიციული, განყენებული, უსიცოცხლო ფსიქოლოგია პრინციპულად შეუძლებელია საკმარისად აკმაყოფილებდეს პედაგოგიკის მოთხოვნილებებს, მაგრამ ეს მდგომარეობა არ შეიცვლება არც მაშინ, როდესაც ძველი ფსიქოლოგიის ადგილს ახალი დაიჭერს, თუ პედაგოგს ფსიქოლოგიური მომზადების დონე იგივე დარჩება.

ამრიგად, ფსიქოლოგიისა და პედაგოგიკის ურთიერთობა ორი დამოუკიდებელი მეცნიერების ურთიერთობაა: ფსიქოლოგია მხოლოდ ფსიქოლოგიურ კვლევას აწარმოებს და პედაგოგიკა – პედაგოგიურს. დახმარება, რომელსაც ფსიქოლოგია უნდა უწევდეს პედაგოგს, პრინციპულად შეიძლება მხოლოდ იმაში მდგომარეობდეს, რომ ჯერ ერთი იგი (ფსიქოლოგია) სწორ ფსიქოლოგიურ ცნობებს აწვდის პედაგოგს, რომელსაც საზოგადოდ, ფსიქიკასთან აქვს საქმე და რომლისთვისაც ასეთი ცნობები ყოველთვის აუცილებელია, და, მეორე, იმ საკითხების ფსიქოლოგიურ მასალას ამზადებს, რომელიც სწორედ პედაგოგიკის უშუალო ინტერესებს ეხება. მაგრამ, მეორეს მხრივ, პედაგოგიკას უწევს დახმარებას ფსიქოლოგია: პედაგოგიური ზეგავლენის წარმატებითი პრაქტიკა და მისი სწორი თეორია ადამიანის ფსიქიკური განვითარების საფუძვლზე გვაცნობენ და ამით ფსიქოლოგიის ერთ-ერთი ძირითადი პრობლემის – ფსიქიკური განვითარების პრობლემის – გა-

დაწყვეტაში მონაწილეობენ. ფსიქოლოგია და პედაგოგიკა ორი დამოუკიდებელი მეცნიერებაა, მაგრამ ისინი მოწყვეტილი როდი არიან ურთიერთს: ისინი ეხმარებიან და ავსებენ ერთმანეთს.

-
1. Энгельс, Диалектика природы, стр. 68.
 2. იხ. უფრო დაწვრილებითი ჩემი „ზოგადი ფსიქოლოგია“ გვ. 34-40 და განწყობის თეორიის ძირითადი დებულებები – უნივერსიტეტის შრომები, ტ. 19.
 3. იხ. დ. უზნაძე, „ზოგადი ფსიქოლოგია“. იხ. აგრეთვე – განწყობის თეორიის ძირითადი დებულებები. უნივერსიტეტის შრომები, ტ. 19.
 4. ეს დებულება 30 წლის წინათ მაქვს დასაბუთებული ჩემს „ექსპერიმენტული პედაგოგიკის შესავალში“.

თმის ფილოსოფია¹

სიკვდილი როგორც ბოროტება

მახსოვს, ამ რამდენიმე წლის წინ ერთი სურათი ვნახე, სურათი სრულიად სადა, უბრალო ხასიათის იყო. მაგრამ მან მაინც ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე. წარმოიდგინეთ მშვენიერი ახალგაზრდა ასული. იგი ტბის გაყინულ ზედაპირზე მოხდენილად მოსრიალებს; მაგრამ მას მუდამ თან მისდევს მისი ჩრდილი, რომლისთვისაც მხატვარს სიკვდილის ჩონჩხის სახე მიუცია. მას თვისი უსულო, უხორცო ხელები წინ გაუშვერია. იგი ცდილობს ასულის მშვენიერი სხეული მკლავებში მიიმწყვდიოს და თავის ცივ გულზე მიიკრას. მას სურს მისი სიცოცხლის მაჯისცემა სამუდამოდ ჩააქროს, მაგრამ თითქოს ასული გრძნობს თავისი უხილავი თანამგზავრის განზრახვას. იგი მისრიალებს ტბის ზედაპირზე და აი, უახლოვდება ისეთ ადგილს, რომელიც საკმაოდ გაყინული არ არის... საკმარისია ერთი წუთი და ისიც გადაიჩეხება. სიკვდილის აჩრდილი ათრთოლებულ ხელებს სწევს ქალწულისაკენ, მაგრამ ქალწული უეცრად განზე იხრება, თითქოს მას სიკვდილის ხელიდან გასხლდომა უნდოდეს. იგი იცვლის მიმართულებას და განაგრძობს თავის გზას. გადის დრო... იგი უცებ წონასწორობას კარგავს და სიკვდილის ჩონჩხიც კიდევ მეტი წყურვილით იშვერს ხელებს ქალწულისაკენ, რათა მისი მშვენიერი სხეული გულზე მიიკრას; მაგრამ ქალწული იმწამსვე სიმძიმის ცენტრს პოულობს და ამგვარად სიკვდილს კიდევ ხელიდან უსხლტება. ერთი სიტყვით, ყოველი ნაბიჯი ამ ქალწულისა, ყოველი მიმოხვრა და მოძრაობა მისი სხეულისა განსაზღვრულია ერთი გრძნობით, ერთი სურვილით: სურვილით, რომ სიკვდილის უსულო ჩონჩხს ხელში არ ჩაუვარდეს. ამგვარად, მთელი მიმართულება ამ ქალწულისა სიკვდილის შიშის გრძნობით არის ნაკარნახევი, ამ სურათმა ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. დიდი შთაბეჭდილება მოახდინა იმიტომ, რომ მის დანახვაზე ჩემს ცნობიერებაში ადამიანის სიცოცხლის ბედის სურათი მთელი თავისი სიგრძე-სიგანით დაიხატა და, მართლაც, განა ასეთი არ არის მთელი ცხოვრება ადამიანისა!

განა ყოველი ნაბიჯი ჩვენი ცხოვრებისა შიშის გრძნობით არ არის ნაკარნახევი; განა ჩვენი დაბადების პირველსავე მომენტიდან იმის ცდაში არა ვართ, რომ სიკვდილის ცელის მსხვერპლი არ შევიქნეთ! ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების, ჩვენი კერძო არსებობის პირობები, ყველა ფორმა ჩვენი ყოფნისა სიკვდილის შიშის გრძნობით არის შექმნილი და გამოწვეული. ეს შიშია ამგვარად მთელი ჩვენი ცხოვრების მმართველი პრინციპი. იგი უმთავრესი რეგულატორული მომენტია ადამიანის მთელი ცხოვრებისა.

ამ სახით, სიკვდილის შიში მუდმივი და აუცილებელი ფაქტია მთელ საკაცობრიო ცხოვრებაში.

ჩვენ ყველანი გამსჭვალულნი ვართ ამ გრძნობით და იმის მიხედვით ვაშენებთ და ვანგრევთ ჩვენი ცხოვრების შენობას. მართალია, არსებობს ზოგი უმადური და უბედური ძე ამა ქვეყნიური სიცოცხლისა. მათთვის მთელი ცხოვრება ადამიანისა უმიზნო და უაზრო ბრძოლაა სიკვდილის ყოვლისშემძლე ძლევამოსილებასთან, ბრძოლა, რომელიც სულ ერთია ბოლოს სიკვდილის ძლევით გათავდება: ამიტომ სიკვდილი ასეთებისათვის ხსნაა, იგი მათთვის უდიდესი სიკეთეა, რასაკვირველია, მათთვის შიში სიკვდილის წინაშე აღარ უნდა არსებობდეს, და ისინიც ალტაცებული მოკრძალებით ჩასჩერებიან სიკვდილის ბნელად ამოღრმავებული თვალების ბრმა გამომეტყველებას, თითქოს მეტი მოუთმენლობით მოვლოდნენ მისი ფარული მოსვლის საიდუმლოების განჭვრეტას.

სიკვდილის ასეთ აპოლოგეტებს პესიმისტებს უწოდებენ. მათთვის უცხო უნდა იყოს შიში სიკვდილის წინაშე, და ამიტომ მათი ცხოვრებაც გამონაკლისს უნდა შეადგენდეს სხვათა ცხოვრებასთან შედარებით. მაგრამ სინამდვილეში სულ სხვას ვხედავთ. სიკვდილის ეს აპოლოგეტები მხოლოდ სიტყვით არიან მისი მეგობრები, მაგრამ, როდესაც საქმით დასჭირდებათ, სიკვდილთან მეგობრობის გამოაშკარავება, მაშინ ისინიც ისე იმსჭვალებიან თავისი მეგობრის შიშით, როგორც ყველა ჩვეულებრივი მოკვდავი. გაიხსენეთ შოპენჰაუერი! ვინ იყო მასზე უფრო ბრწყინვალე მოციქული პესიმიზმისა, მაგრამ ძნელია იპოვოთ ისეთი ადამიანი, რომელიც მასზე უფრო გაურბოდა სიკვდილს.

ამვარად, ამკარაა, სიკვდილის ფაქტი ყველას თანასწორ საშინელებას აღუძრავს არსებაში, ყველას თანაბარი შიშის თრთოლვით უქრობს იმედს და თუ ეს ასეა, მაშასადამე, იგი ფაქტობრივად ყველასთვის ერთგვარი სიდიდის ბოროტებას უნდა წარმოადგენდეს, ბოროტებას იმდენად აბსოლუტურს, რამდენადაც აბსოლუტურია მისგან გამოწვეული შიში.

მეტაფიზიკური სიკვდილი არ არის ბოროტება

მაგრამ არის კი ასე? მართლა წარმოადგენს სიკვდილი ბოროტებას, თუ იგი სიკეთეა, რომელიც ყოველი სიცოცხლის ზრდასთან და გაფართოებასთან ერთად იზრდება და მწიფდება. არის ხომ ზოგი მოაზროვნე, რომელიც სიკვდილში უფრო სიკეთეს ხედავს, ვიდრე ბოროტებას. ჩანს, შესაძლებელი ყოფილა ასეთი პრობლემის დასმა და, მაშასადამე, არც ისე ეჭვმიუდგომელი ქვეყნარტება ყოფილა სიკვდილის ფაქტის უაღრესად ბოროტად აღიარება.

გავსინჯოთ, რას გვეუბნება ყველას არსებაში დამარხული შიში სიკვდილის წინაშე? სიკვდილი ბოროტება არისო, თორემ სხვანაირად გაუგებარი იქნებოდა ის აბსოლუტური შიში, რომელსაც სიკვდილის ფაქტის წინაშე განვიცდივთ. მაგრამ როგორ მუშავდება, როგორ იბადება და მწიფდება ეს შიში ჩვენს არსებაში? ადამიანის სიცოცხლე აუარებელ უცხო მოვლენათა გავლენას განიცდის. იგი ნაზი მცენარეა, რომელიც აუცილებლად უნდა შეეგუოს იმ გარესკნელის თვისებით,

სადაც მას გაუხარებია და გაზრდილა, თუ სურს თავისი არსებობის შენარჩუნება. ეს შეგუება ამიტომ მთელი მისი ცხოვრების შინაარსს, მთელი მისი მოქმედების ამოცანას შეადგენს. ეს შეგუება მისი პრაქტიკული ცხოვრების მორევს აძლევს მიმართულებას. სწორედ აქ, ამ შეგუების პროცესში იბადება ათასგვარი აზრი, რომელიც აახლოებს ადამიანს მის პრაქტიკულ მიზანთან, რომელიც შეიგნებს მისი საუკეთესო არსებობის პირობებს. აქ, ამ პრაქტიკულ საქმეში იჭედება და ილესება ადამიანის გონება. ხოლო იმისთვის, რომ ადამიანი საუკეთესოდ შეეგუოს თავისი გარესკნელის პრობლემებს, სრულებით არ არის საჭირო შეგნება, შემეცნება ამ პირობების არსისა. საჭიროა მხოლოდ ცოდნა მათი ურთიერთგავლენისა, მათი ერთმანეთზე დამოკიდებულებისა, საჭიროა შეგნება მხოლოდ მათი გარეშე თვისებებისა, რათა ადამიანი იცოდეს, თუ რა მოსდევს ამა თუ იმ მოვლენას, რა ზიანისა და სარგებლობის მოტანა შეუძლია მას, რომ ყოველი ეს მოვლენა თავისი ცხოვრების სასარგებლოდ მიმართოს. რა საჭიროა, მაგალითად, ადამიანმა იცოდეს არსი რომელიმე ხილისა, თუკი მან იცის, რომ ესა თუ ის ხე ამა და ამ დროს მწიფესა და გემრიელ ხილს იძლევა. მას ხომ ამ ხილის მეტი პრაქტიკულად არაფერი აინტერესებს. რა საჭიროა ადამიანმა იცოდეს, არსი მიწისძვრისა, თუკი მან კარგად იცის ის მავნე შედეგები, რომლებიც შეიძლება მას აუცილებლად მოჰყვეს. ამ სახით ადამიანი იმთავითვე ეჩვევა მოვლენათა ურთიერთგავლენის შემეცნებას, ხოლო არსებითი ცოდნა ამ მოვლენებისა მისი ინტერესების სფეროს გარეშე რჩება. ამიტომ იგი მოვლენათა ზედაპირზე სრიალს უფრო ეგუება, ვიდრე მათი არსის ჩაწვდომასა და მის შემეცნებას. ცხადია, ასეთ პირობებში ადამიანი მხოლოდ მოვლენათა ზედაპირზე დარჩებოდა. ამიტომ ახირებული იქნება, ჩვენი პრაქტიკული ცხოვრების პირობებში გალესილ გონებას ნამდვილი, არსებითი, აბსოლუტური შემეცნება მოვთხოვთ. საიდან უნდა მოგვცეს მან ასეთი აბსოლუტური შემეცნება, როდესაც იგი მხოლოდ შედარებითი შემეცნების ძიებაში გაიზარდა და გაილესა. ამგვარად, როდესაც რაიმე აბსოლუტურის, არსებითი ცოდნის მიბმა გასურთ, ტყუილად ნუ მიმართავთ გონებას. იგი გადაჭრილ პასუხს ასეთ შემთხვევაში ვერ მოგცემთ.

ასეთივე თქმა შეიძლება იმ გრძნობების შესახებაც, რომლებიც ჩვენი პრაქტიკული ცხოვრების ნიადაგზე ამუშავებული ცნობიერებაში იბადება. როდესაც თქვენ რაიმე მოვლენის ნამდვილი შეფასება გასურთ, ასეთი გრძნობებისაგან ნუ მოელით თქვენი სურვილის დაკმაყოფილებას. ისინი ასეთ შემთხვევაში არასაიმედო მოწმობას მოგცემენ. მათი საქმე მხოლოდ პრაქტიკულად მნიშვნელოვანი მომენტების შეფასებაა. ის კი, რაც პრაქტიკაზე მაღლა დგას, უცნობისა და გაუგებარი მნიშვნელობისაა ასეთი გრძნობებისათვის. ავიღოთ, თუ გნებავთ, სიკვდილის ფაქტი. თქვენ გასურთ მისი არსებითი მნიშვნელობის შეფასება. ცხადია, ჩვენი ჩვეულებრივი ცხოვრების ველზე აღმოცენებულ გრძნობისათვის მისი მნიშვნელობა მხოლოდ უარყოფითი ხასიათის იქნება. სიკვდილი ხომ უარყოფაა, ხომ დაბოლოებაა ჩვენი პრაქტიკული ცხოვრებისა. ამიტომ ჩვენი ჩვეულებრივი გრძნობების შეფასებით იგი უდიდესი ბოროტება იქნება. მაგრამ თქვენ ხომ სიკვ-

დილის პრაქტიკული მნიშვნელობის შეფასება არ გასურთ; თქვენ მისი არსებითი, მისი აბსოლუტური ღირებულება გაინტერესებთ! ჩანს, თქვენს საკითხს ჩვეულებრივ გრძნობათა შეფასება ვერ გადაჭრის. მაშასადამე, როდესაც უდიდეს ბოროტებას გვიხატავს, ეს მისი აბსოლუტური კი არა, პრაქტიკული შეფასება ყოფილა.

მაგრამ ნუთუ ეს იმის მომასწავებელია, რომ რადგან ადამიანის ცნობიერება იმთავითვე პრაქტიკული ცხოვრების ნიადაგზე ილესება, ჩვენთვის ნამდვილი, აბსოლუტური ცოდნა საზოგადოდ შეუძლებელია? ნუთუ აღარ დაგვრჩენია ძალა მოვლენათა ზედაპირის ერთხელ მაინც დატოვებისა და მათი არსის წვდომისა? ნუთუ აბსოლუტური შემეცნება ადამიანისათვის მართლა მიუწვდომელია?

როდესაც აბსოლუტური შემეცნებისაკენ მივისწრაფვით, მოვლენათა ზედაპირის კი არა, მათი არსის ანუ მეტაფიზიკური სინამდვილის გაგება გვინდა. ადამიანი კი თავის ცნობიერებასთან ერთად, სწორედ ისე, როგორც ყოველი სხვა მოვლენა, მარტო პრაქტიკულს, ჩვეულებრივ სინამდვილეს კი არ ეკუთვნის, იგი მეტაფიზიკურის სამკვიდრო შვილიცაა. ამიტომ მისი ცნობიერებისთვის სრულებითაც არ უნდა იყოს უცხო ეს მეტაფიზიკური სინამდვილე; იგი, მართალია, პრაქტიკულ არსებობას შეეგუა, მაგრამ არსებითად მაინც ამ მეტაფიზიკური ყოფნის მორევიდან გამომდინარეობს. მაშასადამე, მისთვის შეუძლებელი არ უნდა იყოს მეტაფიზიკური სინამდვილის ამბის გაგება, რაკი იგი თვითონ ეკუთვნის მას.

ამგვარად, ცხადია, აბსოლუტური ჭეშმარიტების კარები ჩვენი ცნობიერებისათვის სულ დახშული არ ყოფილა. მაგრამ პრაქტიკული ცხოვრების ველზე ცივმა გონების მუშაობამ ადამიანის სულის მორევს ყინულის ზედაპირი გადააკრა. იგი ამ ზედაპირზე მუშაობას შეაჩვია. მისი სიღრმე კი მუდმივი უმოქმედობის გამო უძრავობას შეაგუა. ამიტომაც არის, რომ ჩვენი გონება მხოლოდ შედარებით ცნობებს გვაწვდის და ჩვენი გრძნობა აბსოლუტურ ღირებულებათა ფასს ვერ გვითვალისწინებს. მაგრამ ადამიანის სულიერი ცხოვრების მორევი მთლად არ გაყინულა. საჭიროა ძლიერი ამოძრავება ჩვენი სულისა, უტეხი ქარიშხალი, რომ ჩვენი სულის შეუღრეკელი ღელვა გამოიწვიოს და ყინულის ზედაპირი გააპოს. მაშინ დაიმსხვრევა ბორკილი, ჩვენი ცნობიერებისათვის პრაქტიკული ცხოვრების ვარჯიშობას რომ დაუდევს, და შესაძლებელი შეიქნება აბსოლუტურის მეტაფიზიკური სინამდვილის შესახებ ამბის გაგება. მაგრამ ასეთი ძლიერი ღელვა ჩვენი სულისა იშვიათია, პრაქტიკული აზროვნების სარკეები ძნელად იმსხვრევა და ჩვენი სულიერი ცხოვრების პირდაპირი ძალები იშვიათად განთავისუფლდება. ასეთ მომენტში ჩვენ თითქოსდა ვიბადებით, პრაქტიკული ცხოვრების მოსაზრებებს ხელიდან ვუსხლტებით და მისგან განთავისუფლებულნი ჩვენი სულის სამკვიდროში დამოუკიდებელ გრძნობებს ვუთმობთ ადგილს.

იშვიათია ასეთი მღელვარება ჩვენი სულისა, მაგრამ მაინც ყველას განუცდიდა იგი.

აიღეთ მაგალითად, ფაქტი თვითმკვლევლობისა. მე მახსოვს ერთი მომენტი ჩემს ცხოვრებაში, როდესაც მთელი არსებით ერთი გრძნობით ვიყავი შებოჭილი. ეს ის მომენტი იყო, როდესაც ჩემი საუკეთესო მეგობრის თვითმკვლევლობის ამბა-

ვი გავიგე. რაგინდ უკიდურესი მოწინააღმდეგე უნდა ვყოფილიყავი თვითმკვლელობისა, მე მაინც უნდა დავმორჩილებოდი იმ ძლიერსა და კეთილშობილ გრძნობას, რომელიც მაშინ მთელს ჩემ არსებას მოევლინა. ეს იყო ღრმა თანაგრძნობა თვითმკვლელობისადმი და, როგორც ასეთი, იგი გამართლება იყო თვითმკვლელობისა, თუმცა კი საზოგადოდ ყოველგვარი სიკვდილი ბოროტებად მიმაჩნდა და მისი უდროოდ გამოწვევა კიდევ – ბოროტების მსახურებად. მაგრამ აქ პრაქტიკული ცხოვრების საზომი აღარ მოქმედებდა, გამოაშკარავებული შეხედულება თვითმკვლელობაზე ჩემი ბუნების უშუამავლო შეხედულება, ცხოვრების ფაქტის პირდაპირი ბუნებრივი შეფასება იყო. სწორედ ამიტომ მისი უფრო მჯეროდა, ვიდრე ჩვეულებრივი სააზროვნოდ განწყობილი გონების არგუმენტებისა, მაგრამ თვითმკვლელობას რომ თავი დავანებოთ, კიდევ უფრო აშკარა და ხელსაყრელი ჩვენი მიზნისათვის ომის ფაქტი აღმოჩნდება. ჩვენი ჩვეულებრივი აზროვნება სიკვდილს უაღრესად ბოროტებისა და უბედურების სახელით ნათლავს. მისთვის სიკვდილი ვერაფრით გამართლდება. ამიტომ პრაქტიკული ცხოვრების ნიადაგზე განვითარებული სინდისი მკვლელს, როგორც უდიდესი ბოროტების გამომწვევ მიზეზს, უდიდესი სასჯელის ღირსად აღიარებს. მაგრამ იწყება ომი... და ჩვენი აზრი და გრძნობა ძირფესვიანად იცვლება. იგი ჩვენი სულის სამკვიდროს მორევში მძლავრ ქარიშხლად ტრიალდება, ჩვეულებრივ დროს გაჭედულ ღირებულებათა მწყობრი სისტემა ერთბაშად ნიავედება, მისი შემაერთებელი და დამსრულებელი ძალა – სინდისი ძირფესვიანად ირყევა; და მტრის სიკვდილი სასიქადულო და სანატრელი ამბით ეპკურება ჩვენს სმენას. ერთ დღეს ასი ათასობით ისრისება ადამიანის ნორჩი სიცოცხლე, ხმება გულში დარგული ვარდები იმედებისა, და ყველა ეს სხვა დროს რომ ბოლმით ავსებდა ჩვენს არსებას, ახლა სანეტაროდ გაგვხდომია, და თუ ვინმემ თავი ისახელა მტრის ბანაკის მუსრის გავლებით, ჩვენ სასიქადულოდ მიგვანჩია მისი „რაინდობა“, და რაც უფრო მეტი დამლუპველი იქნება მტრისთვის მისი მახვილი, მით უფრო მეტად ვაჯილდოვებთ მას. სხვა დროს ერთი კაცის მკვლელიც საკვირველი სისასტიკით ისჯებოდა, რადგანაც ჩვენი გონების თვალი სიკვდილში უდიდეს ბოროტებას ჭვრეტდა; ახლა კი ათასი კაცის მკვლელი არანაკლები საკვირველი რიცხვით ჯილდოვდება, და თუ უწინ ერთი კაცის მკვლელი თითით საჩვენებელი იყო ყველასათვის, როგორც უმგვანო და დამნაშავე, ახლა ათასი კაცის სისხლში ამობანილი ხელი გმირისა და კეთილისმყოფელის ხელად გვეჩვენება.

ცხადია, რომ ომიც ძირფესვიანად ათავისუფლებს ჩვენს სულიერ ცხოვრებას გონების კატეგორიების ბატონობისაგან, და ამ გზით ჩვენს პირდაპირ უშუამავლო შეფასებას კვალს უკაფავს.

ამგვარად, აშკარაა, რომ ჩვენს ცხოვრებაში არის ისეთი ძლიერი მომენტები, რომელთა სიმძაფრე სულიერი ცხოვრების მორევის ზედაპირზე ატივტივებულ გონების ქსელს აპობს და სულის სიღრმიდან ჩვენს პირდაპირ, უშუამავლო განცდათა და შეფასებათ ათავისუფლებს. და აი, აქ ისმის კითხვა; ნუთუ აქაც გონების ნაკვალევ გზას უნდა მივსდით და პირდაპირ ბუნებრივ გრძნობას

ყური არ ვათხოვოთ. ჩვენ უკვე საკმაოდ გავერკვიეთ, რომ გონებას ცხოვრების ფაქტების შაფასებასა და გაგებაში ძალა არ აქვს, და, მაშასადამე, ასეთ შემთხვევაში ჩვენთვის უფრო სანდოები უშუამავლო განცდის ნაკარნახევი გზა იქნება. და თუ ჩვენ ამ აზრს დავაკვირდებით, მხოლოდ მაშინ შეგვეძლება სისწორით გადავჭრათ ომის საკითხი და გავიგოთ საკვირველი ფაქტი, რომ ომის დროს ჩადენილი მკვლელობა უფრო რაინდობად მიგვაჩნია, ვიდრე დანაშაულად. მაშ, რას გვეუბნება ჩვენი ბუნებრივი რწმენა, როდესაც იგი ომიანობით გართულებული მდგომარეობის შესახებ ანგარიშს გვაძლევს? იგი სიკვდილს რაინდობად ასახავს. იგი ამბობს, რომ კერძო ადამიანის სიცოცხლე მხოლოდ საშუალებაა, რომლის მეოხებითაც ხორციელდება ის უმაღლესი დანიშნულება, ადამიანის არსებობას რომ სარჩულად უდევს.

ამ თვალსაზრისით, ცხადია, სიკვდილი და სიცოცხლე ამ დანიშნულებისათვის სულ ერთია, რომ ზოგჯერ იგი სიკვდილს მოითხოვს და ზოგჯერ სიცოცხლეს.

მაშასადამე, ჩვენი არსებობის აზრი თვით (ჩვენი) სიცოცხლის ფარგლებში კი არ უნდა ვეძიოთ, არამედ მის გარეთ (და მასზე) მაღლა.

ვლადიმერ სოლოვიოვის ომის ფილოსოფია

ისე როგორც ჩვენ, რუსეთის ცნობილი ფილოსოფოსი ვლ. სოლოვიოვიც ფიქრობს, რომ ადამიანის დანიშნულება სუბიექტურ განწყობილებაში ან ბედნიერებაში კი არ მარხია, არამედ იგი აუცილებლად ობიექტური ხასიათისაა. მაგრამ როგორ ესმის სოლოვიოვს ეს ობიექტური აზრი ჩვენი არსებობისა? ემპირიული მსოფლიოს დამახასიათებელი თვისება, ამ ფილოსოფიის აზრით, აღვირახსნილი ეგოიზმის ბატონობაა; აქ ჩვენ მუდამ დაქსაქსულობასთან, მუდამ შურთან და მტრობასთან გვაქვს საქმე, სადაც უკლებლივ გამეფებულა დაუსრულებელი ომი ყველასი ყველას წინააღმდეგ. სულ სხვა ხასიათისაა მეტაფიზიკური სინამდვილის ბუნება. სოლოვიოვის ღრმა რწმენით იქ განუსაზღვრელი თანხმობა და სიყვარული მეფობს. ის, რაც აქ მტრულად გადაკიდებია ერთმანეთს, იქ, ზეარსებულ სფეროში, უღრმეს ჰარმონიად შეერთებულა იმ დაუსრულებელი სიყვარულის გრძნობის მორევში, რომელიც მეტაფიზიკური რეალობის ნამდვილ პრინციპს შეადგენს. ამგვარად, გამოდის, რომ მოპირდაპირე პოლუსია, მაგრამ გულდასმით დაკვირვება გვიმტკიცებს, რომ ეს ასე არ შეიძლება იყოს. ემპირიული სამყარო თავდაუშტერელი ეგოიზმის სამკვიდროა, მაგრამ ამ სამყაროში ეგოიზმის გარდა არაფერი რომ არ არსებობდეს, მაშინ იგი ერთ წამში დაიშლებოდა და, მაშასადამე, მისი არსებობა შეუძლებელი იქნებოდა. მაგრამ ემპირიული სამყარო ხომ მეტაფიზიკური სამყაროს პრინციპი – სიყვარული – ემპირიულ სამყაროს მოვლენათა შორისაც უნდა იჩინდეს თავს და, ეს მართლაც ასე ხდება. ე. წ. ბუნების კანონები, როგორცაა მაგალითად, ნიუტონის გრავიტაციის კანონი, ან ქიმიური ნათესაობის კანონი, სხვა არაფერია თუ არა იმ უნივერსალური სიყვარულის გამოხატულება, რომელიც სარჩულად უდევს მთელ მეტაფიზიკურ არსებობას, მაგრამ ბუნების კანონები ამ უნივერსალურ სიყვარულს საკმაოდ ვერ გამოხატავს.

ცხოვრების დანიშნულება, მისი აზრი და მიზანი კი სწორედ, ამქვეყნად სიყვარულის სავესტიტი განხორციელებაა. და თუ ეს ასეა, მაშ, ადამიანის ცხოვრებაც არაა გამონაკლისი. ამ შემთხვევაში მთელი ჩვენი ყოფნა-არსებობა სიყვარულის ან ერთობის და სოლიდარობის თანმიმდევარი განვითარების პირდაპირი გამოხატულება იყოს.²

ომი ადამიანის ცხოვრებაში დიდმნიშვნელოვანი მომენტი. ამიტომ, სოლოვიოვის აზრით, ისიც ამ ცხოვრების აზრის (გაერთიანების) განხორციელებას უნდა ემსახურებოდეს. იგი ცდილობს ისტორიულადაც დაასაბუთოს ეს დებულება და მიუთითებს მრავალ ომს, რომელნიც მათგან გაერთიანების მიზანს ემსახურებოდა. მაგრამ ამ რუსი ფილოსოფოსის ეს შეხედულება ომის შესახებ კრიტიკული თვალთ რომ განვიხილოთ, დავინახავთ, რომ იგი არც თუ ისე ახლოს დგას ქეშმარიტებასთან. ომი, რომ საზოგადოდ კაცობრიობის გაერთიანების საქმეს არ ემსახურება, ამის დამტკიცება მაინც და მაინც დიდ სიძნელეს არ წარმოადგენს. გავისხენოთ თუ გნებავთ ის ომები, რომელთა შედეგი რომის იმპერიის განაწილება იყო. რომის იმპერია უნივერსალური სახელმწიფო იყო, მაგრამ ხალხთა დიდი გადასახლების ომებმა მთელი მსოფლიოს შემაერთებელი ეს გიგანტი არ დაინდო და მარტო ევროპაში ერთ სახელმწიფოს ნაცვლად ათამდე მნიშვნელოვანი მონარქიის დაარსება გამოიწვია. ეგრეთ წოდებულმა 30 წლიანმა ომმა გერმანიას გაერთიანების მაგიერ სრული პარტიკულარიზმის გაბატონება მოუტანა. ასეთივე ხასიათის იყო ის ომებიც, რომლებმაც ოსმალეთის იმპერია რამდენიმე ეროვნულ სახელმწიფოდ გაყო და ვინ იცის კიდევ რამდენი სხვა ომი. ცხადია, ცხოვრების აზრის სოლოვიოვისეული კონსტრუქცია ისტორიულად იმდენად სუსტი ყოფილა, რომ მისი შერიგება ურიცხვ ისტორიულ ფაქტთან შეუძლებელი აღმოჩნდა.

მაგრამ სოლოვიოვის ფილოსოფია მარტო ისტორიულად კი არ არის მცდარი და შეუფერებელი. შეუფერებელია იგი სხვა თვალსაზრისითაც. თუ ომი ობიექტურად მართლა სამყაროს არსებობის დანიშნულებას, გაერთიანებისა და სიყვარულის დამყარებას ემსახურება, მაშინ აშკარაა, რომ ყოველგვარი ომი, როგორც უნივერსალური მიზნის მსახურება, ერთნაირ სულიერ განწყობილებას უნდა იწვევდეს მეომართა არსებაში, ერთნაირი გმირობისა და თავგანწირვის წყარო უნდა იყოს. და ეს იმიტომ, რომ თუ ცხოვრების აზრი ყოველგვარ ომში მართლა პოულობს ერთგვარ გამოხატულებას, მაშინ ცხადია, ყოველი მეომარი, როგორც ცხოვრების აზრის განხორციელების მსახური, თავისი არსების აღქმა ქვეცნობიერ კუნჭულში მაინც, უნდა გრძნობდეს როგორმე თავისი საქმის სიდიადეს და, ეს გრძნობა, მის გმირობასა და თავგანწირვაში უნდა პოულობდეს თავის ანარეკლს.

მაგრამ ყველამ იცის, რომ ყოველგვარი ომი ჩვენში ერთნაირ სულიერ აღფრთოვანებას არ იწვევს. არის ომი, რომელიც მთელი ერის საკვირველი გატაცების, გმირობისა და თავგანწირვის წყაროდ იქცევა. და არის ომი, რომელიც თითქმის არავითარ თანაგრძნობას არ ბადებს იმ ერის შვილთა შორისაც კი, რომელიც თვითონ არის ამ ომის გამომწვევი მიზეზი.

ცხადია, ცხოვრების აზრის სოლოვიოვისეული შეფასება, რომელიც როგორც ადამიანის არსებობის მიმდინარეობის ობიექტური შინაარსი, ცხოვრების ყოველ მნიშვნელოვან აქტში უნდა გამოსჭვივოდეს, უძღურია ომისადმი ორი ერთიმეორის საწინააღმდეგო დამოკიდებულების ფაქტის ახსნაში. ამიტომ ცხოვრების აზრის ამ ფილოსოფოსისეული კონსტრუქცია მცდარად უნდა ჩაითვალოს. მასა-სადამე, საჭიროა, თვითონ ჩავუკვირდეთ ცხოვრების პროცესს. შეიძლება როგორმე მოვახერხოთ ომის შემჩნევა, რაც სოლოვიოვს გამოეპარა.

ცხოვრების აზრი

როდესაც რომელიმე ფაქტის ნამდვილი არსებითი ხასიათის გაგება გვინდა, ადამიანის გონებას როდი უნდა მივმართოთ. იგი უძღურია განჭვრიტოს მოვლენათა არსი. მას მხოლოდ ზედაპირულ თვისებებზე უჭრის თვალი. სულ სხვაა მოვლენათა არსებითი აბსოლუტური გარდუვალი ბუნების ჩვენი პირდაპირი უშუამავლო გულის სიღრმიდან ამოხეთქილი შეფასება. მხოლოდ ასეთი შეფასება სანდო და ექვემდებარება და, სწორედ ამგვარი იყო სიკვდილის შეფასება, რომელიც ჩვენ არსებობას ომის საშინელებათა ქარიშხალმა გულის სიღრმიდან ამოაკენესინა ჩვენს არსებაში, მის დროს ცალკეული ადამიანის სიკვდილი შიშს აღარ იწვევს. გამოდის, ჩვენი სიცოცხლე ჩვენი არსებობის მიზანი კი არ ყოფილა, არამედ საშუალება, რომელიც მის გარეშე გაშლილ ობიექტურ მიზანთა აყვავებას ემსახურება და ზვარაკად ეწირება.

ჩვენი არსებობის დანიშნულების ეს ობიექტური ხასიათი, კაცობრიობის ისტორიული წარსულიდანაც ნათლად ჩანს. თორემ რად იქნებოდა ჩვენთვის უკვდავი თემისტოკლე და ფიდიასი, არისტოტელე და პლატონი, ალექსანდრე და ნაპოლეონი, რომელთაც გაცილებით უკეთ შეეძლოთ მოეწყოთ თავიანთი პირადი ბედნიერება. მაშინ მათ მაგიერ კაცობრიობის გმირთა პანთეონში პირველი რიგი დათმობილი ექნებოდათ ალკიპიადსა და კრასს, კატილინასა და ლუკულს, მაშინ მაჰმადი და ბუდა, კონფუცი და ქრისტე თავს დახრიდნენ ეპიკურესა და არისტოკრატ რომაელთ წინაშე, რომელთა ცხოვრება მუდამდლე განცხრომა იყო, მაგრამ კაცობრიობა ამათ წინაშე როდი იხრის ქედს, მათ სახელებს როდი აღბეჭდავს ოქროს ასოებით თავის მენსიერების დაფაზე. მას უფრო ისეთი აინტერესებს, რომელთა ცხოვრება პირად ბედნიერებას კი არ მისდევდა, არამედ ობიექტური შინაარსის შემოქმედებას ემსახურებოდა. მხოლოდ ასეთთა ცხოვრებაა ჩვენთვის საყურადღებო და ისიც იმდენად, რამდენადაც ისინი ამ ობიექტური შინაარსის შემოქმედებას ეწეოდნენ.

ამიტომ კაცობრიობის მთელი ისტორიული წარსული შემდეგი სურათის სახეს იღებს. წარმოიდგინეთ უდიდესი ბალავერი, რომელზეც უნდა აიგოს დიდი ნაგებობა და ამ ბალავრის გარშემო მიღეთი ხალხი. ათასი და ათიათასი ადამიანი ირევა ამ მომავალი შენობის საფუძველზე. ზოგს მძიმე ლოდი გაუდვია ზურგზე და ბალავრისკენ მიისწრაფვის, მეორე კირს და სილას ეზიდება იმავე ადგილისაკენ, ზოგი კიდევ გარს დახვევია ბალავერს და ნიჩბითა და ჩაქურით, ლომებითა

და ბარით მოძრაობის კორიანტელს აყენებს მის გარშემო. ამ ადგილიდან ცოტა მოშორებით იქვე გაშენებულ ბაღში კი მრავალი ფერადებში გამოწყობილი ქალი და კაცი მხიარულების ჟრიაშულებით, ცეკვითა და სიმღერით განცხრომას მისცემიან. მათ სახეს სიამოვნებისა და კმაყოფილების ბეჭედი აზის და ისინი განცვიფრებით და დაცინვით მისჩერებიან იმ საკვირველ ადამიანებს, რომელნიც იქ რაღაც არაჩვეულებრივი ფუსფუსით ბალავერს და რაღაცას აშენებენ; რატომ და რისთვის რომ კითხვით, თვითონაც ვერ გეტყვიან. ამიტომ მათ სულელებად და გიჟებად მიაჩნიათ ის ადამიანები, თავიანთ ორი ღლის სიცოცხლეს ასე უაზროდ რაღაც შენობის აგებას რომ ანდომებენ.

ჩვენი ისტორიული წარსულიც სწორედ ასეთი მუშაობაა. ჩვენც გვაქვს ასაგები რაღაც დიდი შენობა, რომელიც ჩვენს წინაპრებს დაუწყიათ და შემდეგ მისი დამთავრება ჩვენთვის გადმოუციათ. ამგვარად, დაბადებიდანვე დაყოლილი გვაქვს თან ის დანიშნულება, რომელსაც მთელი ჩვენი ძალღონე უნდა მოვახმაროთ. ჩვენი მოვალეობა ამ სახით იმთავითვე განსაზღვრულია. გასაკვირველი არ არის ამიტომ, რომ ჩვენი ცხოვრება ინსტინქტურად მხოლოდ ისეთ პიროვნებებს აღნიშნავს ყურადღებისა და თავყვანისცემის ღირსად, რომელნიც მთელ თავიანთ ძალღონეს ასეთი შენობის აგებას ახმარენ, ხოლო ისეთნი, რომელთაც ამგვარი შენება სისულელედ და სიგიჟედ მიუჩნევიან, რა გასაკვირია, რომ ჩვენი მესხიერებიდან უგზოუკვლოდ ქრებიან, მაგრამ რა არის ეს შენობა, კაცობრიობის საუკეთესო ნაწილი მთელ ძალღონეს რომ ახმარს? ჩვენ მას კულტურული შემოქმედების სახელით აღვნიშნავთ, მაგრამ ხშირად კულტურული შემოქმედების ცნების შინაარსი ან სრულიად გაურკვეველია, ან განსხვავებულ განმარტებებს ვაძლევთ. ყოველ შემთხვევაში, უეჭველია, რომ ეს ცნება ჯერ კიდევ პრობლემატურია და გადაწყვეტას მოელის. ისტორიულად ცნობილია ორი მოპირდაპირე განწყობილება კულტურის ფაქტისადმი. რუსო და ტოლსტოი კულტურის მოწინააღმდეგედ გამოდიან, უარყოფითი თვალსაზრისით უყურებენ კულტურას. მათი აზრით, კულტურა კაცობრიობისათვის უკან დახევია, ვიდრე წასვლა. ამიტომ ისინი უკან გვიხმობენ კულტურული ცხოვრების პირველყოფილი საფეხურისაკენ. ამ მოაზროვნეთა ღრმა რწმენით ადამიანთა მოდგმის განვითარება და გაუმჯობესება არ მოაქვს კულტურულ ცხოვრებას. ამიტომ მათთვის კულტურა სრულიად არ მიშნავს განვითარებას. უმეტესობა კი დარწმუნებულია კულტურული ცხოვრების ღრმა მნიშვნელობაში, მაგრამ არ სწამს მისი განვითარების შესაძლებლობა. ასეთების შეხედულებით კულტურული ცხოვრება სრულებით არ დგას პროგრესის გზაზე, არ მდიდრდება და ფართოვდება დროის მსვლელობასთან ერთად. ძველ ელინთა მდიდარი კულტურა გაცილებით ადრე არსებობდა, ვიდრე საშუალო საუკუნეების, მაგრამ განა შეედრება ელინთა კულტურის სიღრმე და სიმაღლე საშუალო საუკუნეების ბნელით მოცულ კულტურულ ცხოვრებას? მოკლედ, ასეთების აზრით, კულტურა არ დგას მუდმივი განვითარების გზაზე. მართლა რომ ჩაუყვირდეთ კულტურული ცხოვრების წარსულს, თითქოს დავრწმუნდებით, რომ კულტურული ცხოვრების წინსვლა არსებითი განვითარე-

ბა არ უნდა იყოს. განა ხშირი არაა ჩვენს წარსულში მომენტები, როდესაც ზერელე მეთვალყურე შეჭველი უკუქცევისა და უკან დახევის ფაქტს აღნიშნავს. ავიღოთ თუნდაც ელინთა და რომაელთა მდიდარი კულტურის დამბობა და მის ნანგრევებზე ბარბაროს გერმანელთა მარტივი ცხოვრების ფორმათა აღმართვა, რომელსაც ასე ხშირად უთითებს ყველა უარმყოფელი, მაგრამ საკმარისია მეტი ყურადღებით ჩავუკვირდეთ კულტურული ცხოვრების მოძრაობას და მაშინათვე აღმოვაჩინოთ იმ ძირითად შეცდომას, რომელზეც დაფუძნებულია კულტურული ცხოვრების შეუძლებლობის შესახებ ეს აზრი. მართლაც, განა აშკარა არ არის, რომ აქ ერთ კულტურულ მთლიანს გულისხმობენ, რომელიც ერთ ხაზისებურ მიმართულებას უნდა მისდევდეს. მაგრამ სინამდვილეში ასეთი ერთი კულტურა არ არსებობს, არ არსებობს სწორედ ისე, როგორც არ არსებობს რეალურად ერთი კაცობრიობა, რომელსაც აუცილებლად გულისხმობს ერთი საკაცობრიო კულტურის ცნება. პირიქით, არსებობს სწორედ იმდენი კულტურული მიმდინარეობა, რამდენი ეროვნებაც ცოცხლობს და ეს იმიტომ, რომ, როგორც ქვევითაც გავარკვევთ, კულტურული შემოქმედების სუბიექტი შეიძლება მხოლოდ განსაზღვრული ეროვნული ერთეული იყოს. და თუ ეს მართლა ასეა, თუ არსებობს ერთი საკაცობრიო კულტურული უკან დახევა ელინთა და რომაელთა კულტურასთან შედარებით, სრულებით არ ამტკიცებს საზოგადოდ კულტურული ცხოვრების განვითარების შეუძლებლობას. ეს ფაქტი მხოლოდ იმ გარემოებაზე მიგვიითხებს, რომ საისტორიო ასპარეზზე ახალი, კულტურულად ჩამორჩენილი ეროვნება გამოსულა. თვით ელინთა კულტურას ამით არაფერი დაუკარგავს; ფიდიას და პრაქსიტელეს ხელოვნურ ნაწარმოებთ იგივე მშვენიერება შერჩათ, პლატონისა და არისტოტელეს ფილოსოფიურ იდეათა იგივე შორსმჭვრეტელობა და სიღრმე დარჩათ, რაც მათ ამ ახალ ეროვნებათა გამოსვლამდე ჰქონდათ და თვით გერმანელთა ტომების გამოსვლა კულტურის ასპარეზზე ხომ მომასწავებელი იყო მათი კულტურული ცხოვრების განვითარების გზაზე შედგომისა; და ამიტომ საშუალო საუკუნეების ისტორია უფრო კულტურული ცხოვრების შესაძლებლობას ამტკიცებს, ვიდრე მის შეუძლებლობას.

ამ სახით, როდესაც კულტურის განვითარების შესახებ ვლაპარაკობთ, აუცილებლად სახეზე უნდა გვექნოდეს ერთი რომელიმე განსაზღვრული ეროვნების კულტურული ცხოვრება. და თუ აქაც აღმოჩნდება ფაქტი აშკარა უკან დახევისა და უკუქცევისა, მხოლოდ მაშინ შეიძლება კულტურის განვითარებაში ეჭვის შეტანა. ძველმა საბერძნეთმა ფილოსოფიურ აზროვნებასა და ხელოვნებაში განვითარების უმაღლეს ფარგლებს მიაღწია, ხოლო ბიზანტიური ფილოსოფია და ბიზანტიური ხელოვნება, თუმცა იგი იმავე ბერძენთა ტომების კულტურულ გენიას ეკუთვნოდა, უფრო პირველყოფილისა და სადა ხასიათის აღმოჩნდა. ჩანს, აქ ბერძენთა კულტურული შემოქმედების აშკარა უკუქცევასთან გვექნოდა საქმე.

მაგრამ ჩაუკვირდით ბიზანტიურ ხელოვნებასა და ფილოსოფიას და თქვენ აღმოაჩინოთ, რომ ბიზანტიური აზროვნება და ბიზანტიური ხელოვნება სულ სხვა ხასიათისაა, ვიდრე ფილოსოფია და ხელოვნება ძველი ელადისა. ამ უკანასკნე-

ლის მოტივები და პრობლემები სულ სხვა სფეროს ეკუთვნის, ვიდრე პრობლემები და მოტივები ბიზანტიური ფილოსოფიისა და ხელოვნებისა. იქ საეროვნო ხასიათის მოტივები და პრობლემები იყო ასახსნელი, აქ კი რელიგიურისა და ქრისტიანულის. ჩანს, კულტურული ინტერესი იქ სხვა მიმართულებას მისდევდა, აქ კიდევ სხვას. ამიტომ აშკარა შეცდომას ჩავიდნით, თუ ბიზანტიურ ხელოვნებასა და ფილოსოფიას ძველი ელადის ფილოსოფიური აზროვნებისა და ხელოვნების გაგრძელებად ჩავთვლით. ბიზანტიური რელიგიური ფილოსოფიისა და რელიგიური ხელოვნების ჩანასახი მართლაც არსებობდა ძველ საბერძნეთში და თუ საზოგადოდ შესაძლებელია ბიზანტია თავისი ხელოვნებითა და ფილოსოფიით ძველ ელადას შევადაროთ, ამ შედარების დროს მხოლოდ კი ბიზანტიამ დიდი ნაბიჯი გადადგა განვითარების გზაზე, ხოლო საეროვნო მოტივები და პრობლემები ბიზანტიურ კულტურას აღარ აინტერესებდა და ამ მხრივ მისი კულტურული ცხოვრება თითქოს უკან დახვევის ხასიათს ატარებდა.

ამგვარად, უნდა გვახსოვდეს, რომ კულტურული განვითარების პროცესში ორგვარი მიმართულება არსებობს: ერთი არის გაღრმავება და სრულყოფა ერთისა და იმავე პრობლემისა და მეორე კიდევ წამოჭრა ახალი პრობლემისა და დაპყრობა ახალი საკულტურო სფეროებისა. ორივე მიმართულება კულტურულად თანასწორი ღირებულების მიმართულებაა და ამიტომ განვითარების თვალსაზრისით ერთიც მნიშვნელოვანია და მეორეც, განსხვავება მხოლოდ იმაში მდგომარეობს, რომ ერთი ინტენსიური ხასიათისაა, მეორე კი ექსტენსიური, მაგრამ ამით, რასაკვირველია, არ ვამტკიცებთ, თითქოს ეროვნულ კულტურას საერთოდ არ ახასიათებდეს სრული შეჩერება და ზოგჯერ უკან დახვევაც. თანამედროვე საბერძნეთი, ან საბერძნეთი ოსმალეთის ბატონობის დროს, ძველ ელადასთან და თუნდაც ბიზანტიასთან შედარებით, არც ერთი მხრივ არ არის კულტურული წინსვლა, მაგრამ აქ თვით კულტურას არავითარი წილი არ უდევს, მიზეზი გარეშე ხასიათისაა და იგი იმაში მდგომარეობს, რომ ბერძენთა ეროვნულმა სულმა შემოქმედებითი ძალა დაკარგა, რომ იგი ოსმალთა ბატონობის ქვეშ სრულიად გამოიფიტა, დროებით მოისპო კიდევ და რა გასაკვირია, რომ ბერძენთა კულტურული ცხოვრება ოსმალთა თარეშობის დროს შეჩერდა და უკანაც დაიხია. ვისთვის უნდა მოგვეთხოვა საბერძნეთის ეროვნული სული აღარ არსებობდა. ამგვარად ცხადია, რომ განვითარება ასე თუ ისე მაინც იკვლევს გზას ადამიანთა არსებობის რთულ პირობებში. ხშირად იგი დიდი ხნით ჩერდება, გვერდზე უხვევს და ზოგჯერ არც უკან დახვევას ერიდება, მაგრამ იგი საერთოდ თავისას აკეთებს და ბოლოს და ბოლოს თავის უეჭველ ფაქტიურობას მაინც არ კარგავს. მაგრამ როგორ არის განვითარება შესაძლებელი?

როდესაც განვითარების შესახებ ვლაპარაკობთ, აუცილებლად ვგულისხმობთ ზრდას, ახალი ფორმებისა და მომენტების შემოქმედებას. ამ სახით განვითარება მხოლოდ იქ არის შესაძლებელი, სადაც ასეთ ზრდას არსებითად არაფერი ელობება.

ავილთ ნივთიერი, არაორგანული ბუნება. არის თუ არა აქ განვითარება შესაძლებელი? თანამედროვე მეცნიერების ღრმა რწმენით მთელი არაორგანული ბუნების ქვაკუთხედს ნივთიერებისა და ენერგიის შენახვის პრინციპი წარმოადგენს. ამ პრინციპის ძალით იქ არაფერი იკარგება და არც არაფერი ჩნდება. მაშასადამე, ზრდა, ახალი ნივთიერებისა და ენერგიის გაჩენა ან განვითარება იქ იმთავითვე უარყოფილია. მაგრამ განვითარება მარტო ზრდას კი არ გულისხმობს, მისთვის აუცილებელია აგრეთვე შემოქმედების ცნება. ნივთიერს, ორგანულ მსოფლიოს კი ღრმა პასიურობა ახასიათებს, მაშინ, როდესაც შემოქმედება მოქმედებას, აქტიურ ძალას მოითხოვს. ამგვარად, განვითარება არც ამ მოსაზრებით არის შესაძლებელი ნივთიერ მსოფლიოში.

განვითარების ცნება ლოგიკურად დაუსრულებლობის შესაძლებლობას შეიცავს, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც იგი მარტო ერთ განსაზღვრულ მოვლენას კი არა, მთელი ცხოვრების პროცესს ეხება. ასეთი დაუსრულებლობა კი შეუძლებელია იქ, სადაც ენერგიის ნივთიერების რაოდენობა იმთავითვე ერთხელ და სამუდამოდ განსაზღვრულია. მაშასადამე, არც ამ მიზეზის გამო შეიძლება არაორგანულ მსოფლიოში განვითარების ფაქტი ვაღიაროთ. არის კიდევ ერთი მომენტი, რომელიც აუცილებლად მარხია განვითარების ცნებაში. ეს ის შეფასებაა, რომელიც განვითარების ყოველ ცალკე საფეხურზე ზრდასა და იდეალურ მიზანთან დაახლოებას აღნიშნავს. ასეთი შეფასება კი შეუძლებელია თავისთავად ერთბაშად პასიურსა და მკვდარს არაორგანულ მსოფლიოში.

მაგრამ ეს სრულებით არ ნიშნავს, თითქოს განვითარების ფაქტი საზოგადოდ შეუძლებელი იყოს; საქმე ისაა, რომ უეჭველად არსებობს მსოფლიოში აქტიური პრინციპი, რომელიც აღჭურვილია ყველა იმ თვისებით, განვითარების შესაძლებლობისათვის რომ აუცილებელი პირობაა. ეს ის აქტიური მომენტი, რომელიც ჩვენთვის სულიერობის სახელით არის ცნობილი. სულმა იგივეობა და უცვლელობა არ იცის; პირიქით, მისი მდგომარეობის ყოველი ახალი მომენტი ახალი შინაარსის შექმნაა, რომელსაც იგი ძველს უმატებს. და ეს საკვირველი თვისება სულისა ყველასათვის ნათლად მეხსიერების ნიჭში ვლინდება. სულის ამოქმედება თავისთავად, ავტონომიურად ხდება. იგი მსოფლიო არსებობის აქტიური მომენტი, რითაც ძირიანად განსხვავდება პასიური მსოფლიოს უმოქმედობისაგან, რომელიც უძღურია თავისთავად რაიმე მოქმედება გამოიწვიოს. ამიტომ მხოლოდ მას შეუძლია შემოქმედების პრინციპი იყოს. მაგრამ სული იმავე დროს, როგორც უსაზღვრო აქტივობა, დაუსრულებელი სწრაფვით ხასიათდება. მაშასადამე, იგი აბსოლუტური მომენტი მსოფლიოში, მაგრამ აბსოლუტური მისწრაფებით, შესაძლებლობით. ეს გარემოება კიდევ უფრო ნათლად ამტკიცებს, რომ განვითარება, რომელიც, როგორც დავინახეთ, დაუსრულებლობას გულისხმობს, შეიძლება მხოლოდ სულზე იყოს დამოკიდებული.

მაგრამ, თუ სული თავისი მისწრაფებით უსაზღვროა, რად არ არის იგი განხორციელებული აბსოლუტური? რა უნდა მას, რად ისწრაფვის უსასრულოდ ან საით მიისწრაფვის იგი?

ძველი ფილოსოფოსების აზრით (პლატონი, არისტოტელე), სული ნივთიერებით არის შემოფარგლული. ამიტომ იგი სრული არ არის. იგი მხოლოდ მისწრაფვის ასეთი სრულყოფისაკენ, რომელიც მხოლოდ მაშინ იქნება მიღწეული, როდესაც სული დაძლევს და მოსპობს ნივთიერებას. მაშინ სულის მისწრაფებას წერტილი დაესმის და განვითარების პროცესი დასრულდება. ასეთია ძველი აზროვნება.

დღევანდელი მეცნიერება კი აშკარად გვეუბნება, ნივთიერების მოსპობა შეუძლებელიაო. ჩვენც უნდა ვისარგებლოთ მეცნიერების მოწმობით და უნდა ვაღიაროთ ნივთიერების მოუღპობლობა. მაშასადამე, სული ანუ აქტიური მომენტი მსოფლიოში მუდამ უნდა ებრძოდეს ნივთიერებას ანუ მსოფლიოს პასიურ მომენტს, და სწორედ ამ მუდმივი ბრძოლის აუცილებლობაა, რომ დაუსრულებელ განვითარებას შესაძლებლად აქცევს. მაგრამ ეს ბრძოლა თუ მუდმივი უნდა იყოს და იგი პასიური მომენტის სრული მოსპობით ვერასოდეს ვერ უნდა დასრულდეს, მაშინ ცხადია, ამ ბრძოლას მხოლოდ თანდათან შერიგება უნდა ჰქონდეს მიზნად. შერიგება აქტიური მომენტისა მსოფლიოში პასიურთან. ეს უკანასკნელი თანდათან გამჭვირვალე უნდა გახდეს აქტიური მომენტისათვის, იგიც დაემსგავსოს აქტიურ მომენტს, ასე ვთქვათ, განსულიერდეს. ასეთი განსულიერებული ნივთიერების ნიმუშს ადამიანის ორგანიზმი წარმოადგენს: იქ სული თითოეულ უჯრედში არის შეჭრილი და ამ სახით თითოეული უჯრედი ცოცხალი, აქტიური არსებაა. სწორედ ასეთივე ხასიათისაა მსოფლიო აქტიური მომენტის მისწრაფება; იგი უნდა შეიჭრას მთელ ნივთიერ, პასიურ სამყაროში და მთელი მსოფლიო ადამიანის ორგანიზმისებურ ცოცხალ არსებად უნდა გადააქციოს; ასეთია მთელი კულტურული შემოქმედების აზრი. ასეთია კულტურული განვითარების შინაარსი.

მართლაც, რა არის კულტურა, თუ არა პასიური მომენტების ასეთი განჭვრეტა, განსულიერება აქტიურის საშუალებით? აიღეთ მეცნიერება! უცნობი და შეუცნობელი ჩვენი გონებისათვის რაღაც პასიურ, უძრავსა და უსარგებლო სფეროს წარმოადგენს. მაგრამ როგორც კი შევიცნობთ მას, ის უკვე უცხო და უმოქმედო არაა ჩვენთვის, მისით ვსარგებლობთ, მას ვიმსახურებთ ჩვენი მიზნების თანახმად.

აიღეთ ხელოვნება! გარე ბუნების მკვდარი მასალა, შავი მარმარილო ან ფერადი ხელოვანი შემოქმედის სულის შთაბერვით სულიერ არსებად იქცევა. რა არის ვენერა მილოსელი ან სხვა რომელიმე ქანდაკება, თუ არა სულიერი არსება! აქ სხეული ნივთიერებაა (მარმარილო) და სული ხელოვანის იდეაა, რომელიც განხორციელებულია მკვდარ მასალაში. ამიტომ ეს მასალა უკვე აღარაა პასიური, მკვდარი მომენტი; იგი განსულიერებულია ხელოვნური ნაწარმოების იდეით, რომელიც მხოლოდ მის საშუალებით ცოცხლობს.

აიღეთ ჩვენი კულტურული ცხოვრების ყოველი სხვა სფერო, თქვენ ყველგან იქნებით აქტიური სულის პასიურ მომენტებთან ბრძოლის და პასიურის აქტიურთან შერიგების მოწმე. თქვენვე ყველგან დაინახავთ მთელი მსოფლიოს განსულიერების ცდას, პასიური ნივთიერების ძარღვებში სულის შეჭრას, მისი სიცოცხლის მაჯისცემით ათამაშებას.

ასეთია კულტურული შემოქმედების აზრი და ასეთია ადამიანის ცხოვრების მიზანი და დანიშნულება. პირველი შეხედვით, ჩვენი არსებობისა და მოქმედების დანიშნულების ასეთი გაგება თითქოს წააგავს ხორცზე სულის ბატონობის ძველ იდეალს, მაგრამ ხორცის ქრისტიანული დამცირება და მოსპობა ისე, როგორც ეს ძველ ასკეტიზმში გამოიხატა, მიმართული იყო მთელი არსებული ცხოვრების უარყოფისაკენ. ეს ცხოვრება ხომ ეშმაკის სამკვიდროა, ამიტომ მისი მიყოლა უაზრობაცაა და სახიფათოცო, ფიქრობდა ქრისტიანული ასკეტიზმი და მთელი თავისი ძალღონით კულტურული შემოქმედების საწინააღმდეგოდ გამოდიოდა. მისი იდეალი გადატანილი იყო მომავლის, საიმქვეყნო ცხოვრების ფარგლებში და აქ – სააქაოს – მას მხოლოდ საიქიოზე ზრუნვა დარჩენოდა.

სულ სხვაა შეხედულება ცხოვრებისა და არსებობის დანიშნულებასა და მიზანზე. იგი სააქაოს მოსპობისაკენ კი არ მიგვაქანებს: პირიქით, მისი ცდა იქით არის მიმართული, რომ სააქაო როგორმე აამაღლოს, იგი როგორმე გაააქტივოს. მისი იდეალი, მაშასადამე, სააქაო ცხოვრებაა და არა საიქიო არსებობა. ამიტომ ცხოვრების აზრის ჩვენი გეგმა მიწიერი არსებობის განმტკიცებაა, მისი უაღრესობის აღსარებაა, მისი მიმდინარეობის კურთხევა და მისი მნიშვნელობის გააბსოლუტურებაა. აქ თითქოს რელიგია ციდან მიწაზე ეშვება, საიქიოს ცხოვრება ჩნდება და სააქაო თვით იღებს რელიგიურ სანქციას. დაბადების წარმოდგენით ადამიანი შემოქმედების გვირგვინით ღვთაებაა. ღმერთმა იმით დაასრულა თავისი შემოქმედების პროცესი, რომ მან ადამიანის არსებაში საუკეთესოდ შეარიგა სული ხორცს, აქტიურობა – პასიურობას. სამაგიეროდ, ნივთიერების მთელი დანარჩენი მსოფლიო განუსულიერებული დატოვა და ამით თითოს იმთავითვე განსაზღვრული დანიშნულება მისცა ადამიანის არსებობას; სწორედ იმგვარივე შერიგება აქტიური მომენტისა პასიურთან, როგორც მან ადამიანის ორგანიზმის შემოქმედებით გვიჩვენა.

ამგვარად, ჩვენი დანიშნულება ღვთისგან დაწყებული საქმის დასრულებაა, ღვთისგან დაწყებული მსოფლიო შემოქმედების გრძნობაა. და თუ ეს ასეა, მაშინ ცხადია, ჩვენს გამუდმებულ ფუსფუსს, დაუღალავ შრომას მნიშვნელობა ჰქონდა, ჩვენს დროულ ცხოვრებას – ღრმა აზრი და ამ უკანასკნელს კიდევ რელიგიური ღირებულება.

პიროვნება და ცხოვრების აზრი

ასეთია ცხოვრების აზრის ჩვენი გაგება, მაგრამ საინტერესოა ვიცოდეთ, ვინ არის კულტურული შემოქმედების სუბიექტი, ყოველი ცალკე პიროვნება, თუ სხვა რომელიმე უფრო რთული ხასიათის ერთეული. ეჭვი არ არის, ყოველი შემოქმედება მხოლოდ ამქვეყნიურ ნიადაგზე იბადება და იზრდება. იგი, მაშასადამე, აუცილებლად გულისხმობს როგორც სულიერი, ისე ფიზიკური ხასიათის ერთიანობას. ასეთ ერთიანობას კი პიროვნება წარმოადგენს, თავისი განსაზღვრული ფიზიკური და სულიერი ძალებით. ამიტომ ცხადია, მხოლოდ პიროვნების ცხოვრების ფარგლებში და პიროვნების ძალების მეოხებით შეიძლება მიღვენა

და განხორციელება იმ ღრმა და მნიშვნელოვანი მიზნისა, რომელიც ჩვენ ცხოვრების აზრად დავსახეთ. მაგრამ აქ ერთი გარდაუვალი სიძნელე იბადება. ეს სიძნელე ადამიანის პირადი ცხოვრების მოსპობის, ადამიანის სიკვდილის გამოწვევის სიადვილეში მარხია. მაგრამ რა მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს აქ ამ სიადვილეს?

აიღეთ ცოცხალი ორგანიზმის უბრალო გამოსახულება, მაგალითად, უმნიშვნელო მწერი ან წვიმის ქია, ან კიდეც, უფრო ხელსაყრელი მაგალითი ჩვენი მიზნისათვის, ჭიანჭველა. მთელი მისი სიცოცხლე გამუდმებული ფუსფუსია, გამუდმებული შრომაა თავისი ცხოვრების საუკეთესოდ მოწყობისათვის. ხომ ყველასათვის ცნობილია, რომ ჭიანჭველათა სამეფოში ნათლად ისახება საზოგადოებრივი ცხოვრების მარტივი ფორმები. ჭიანჭველა თავის შესაფერის სადგომებს აშენებს, იგი ეკონომიკურ ცხოვრებას ეწევა და თავის ხანმოკლე დღეს სოციალურ ურთიერთობათა მოწყობის ცდაში ლევეს. სიტყვით, მისი ცხოვრება ისეთივე საზრიანობითა და ანგარიშით არის ნაშენები, როგორც ადამიანთა საზოგადოების ცხოვრება. ყოველ შემთხვევაში, მისი ცხოვრების შენების სერიოზულობა მისთვის ისეთივე უაღრესობით არის ნაწარმოები, როგორც ჩვენთვის ადამიანთა ცხოვრების შენება. მაგრამ რას ნიშნავს ერთი ჭიანჭველას გასრესა? სრულებით არაფერს. განა სინდისის სრული სიმშვიდით არ ვსპობთ და ვანადგურებთ ხშირად ჭიანჭველათა საზოგადოებების მთელ სამეფოებს! და მერე რით აიხსნება ჩვენი მოქმედების ეს საკვირველი სისასტიკე, რად არ გვესმის აქ სინდისის ხმა ან მისი უღმობელი ქენჯნის ტკივილები? ცხადია, ამ საკვირველ სისასტიკესა და უღმობელობას ჩვენი სინდისის ამ გაუგებარ სიმშვიდეს ერთგვარი რწმენა უდევს საფუძვლად. რწმენა, რომ ჭიანჭველას არავითარი დანიშნულება არა აქვს სამყაროში, რომ მისი არსებობა უაღრესად უმნიშვნელოა და ამიტომ იქნება თუ არ იქნება ერთი თუ ორი ჭიანჭველა ზედმეტი, ამით არც არაფერი შეემატება მსოფლიოს და არც არაფერი მოაკლდება. ასევე ვიქცევით და ასევე ვფიქრობთ ჩვენ ყოველ სხვა შემთხვევაშიც. ერთი სიტყვით, ყოველი არსების ცხოვრების მნიშვნელობას მისი დანიშნულების სიდიდით ვზომავთ, და მით უფრო დიდად გვეჩვენება ის დანიშნულება, რომელსაც იგი ემსახურება. მივმართოთ ადამიანის ცხოვრებას! ჭიანჭველის გასრესა ჩვენი სინდისის სიმშვიდეს არ არღვევს, მაგრამ ადამიანის არსებობის აღკვეთა, ადამიანის სიკვდილის მოახლოება შიშის გრძნობას აღძრავს მთელს ჩვენს არსებაში, უდიდეს სინდისის ქენჯნას იწვევს ყოველ ნორმალურად მგრძნობიარე ადამიანში.

რად ხდება ასე?

ცხადია, ადამიანის ცხოვრება უდიდესი დანიშნულებისათვის გვექონია შექმნილი, და როდესაც მისი არსებობა წყდება, ამით მისი დანიშნულების განხორციელებაც შეუძლებლად მიგვჩნია. სწორედ ეს იწვევს ჩვენში ღრმა სინანულის გრძნობას. ეს ხდება ჩვენი უსაზღვრო შიშის მიზეზად სიკვდილის უღმობელი მოახლოების წინაშე.

ამგვარად, გამოდის, რომ ცხოვრების უღრმესი აზრის განხორციელებელი სუბიექტი ცალკე პიროვნება ყოფილა. მაგრამ წარმოიდგინეთ, რომ მართლა კერ-

ძო ადამიანის ცხოვრებას აქვს დაკისრებული ეს უდიდესი დანიშნულება. როგორი დასკვნა შეიძლება გამოვიტანოთ აქედან?

ყოველგვარი დანიშნულება თავისი განხორციელების შესაძლებლობას გულისხმობს. ასე რომ არ იყოს, მაგალითად, ჩვენ რომ დარწმუნებული არ ვიყოთ, რომ ჩვენი დანიშნულების განხორციელების ძალა შეგვეწევს, მაშინ არც სურვილი გვექნებოდა მისი განხორციელებისა; ვიფიქრებდით, ეს დანიშნულება ჩვენი ძალებისათვის არ არის შექმნილი და მისკენ მისწრაფება უნაყოფო დროს დაკარგვა იქნებოდა და არ შევეცდებოდით. ამგვარად, ვფიქრობთ, რომ თუკი ვინმე უნდა მიისწრაფოდეს რაიმე დანიშნულების განხორციელებისაკენ, ე. ი. თუკი არსებობს ისეთი დანიშნულება რომელიც უნდა განხორციელდეს (და სხვაგვარი დანიშნულება არ შეიძლება არსებობდეს), მაშინ მას შესაფერი ძალებიც უნდა ჰქონდეს მისი განხორციელებისათვის. სადაც არ არის ასეთი შეთანხმებულობა ძალებსა და ამ უკანასკნელთა მეოხებით განხორციელებულ დანიშნულებას შორის, იქ ამ დანიშნულების შესაძლებლობა იმთავითვე უარყოფილია. და ისეთი დანიშნულება, რომელიც ვერასდროს ვერ განხორციელდება ამ ძალების საშუალებით, უკვე აღარ არის ამ ძალების დანიშნულება, აქედან ცხადია, რომ თუ ადამიანის ცხოვრებას უდიდესი დანიშნულება აქვს დაკისრებული, მის არსებაში კიდევ უნდა იმალებოდეს მისი შესრულებისათვის საკმარისი ძალები. ამიტომ ადამიანის სიცოცხლე შესაფერი სიმტკიცის უნდა იყოს; მისი გამძლეობა იმ ზომის მაინც უნდა იყოს, რამდენსაც მისი დანიშნულების სიდიადე იწონის.

მაგრამ არის კი ასე? საუბედუროდ არა. უცარი შემთხვევითი წინდაუხედაობა – და, ადამიანი მას მსხვერპლად ეწირება. უბრალო, სულ პატარა ტყვიაც საკმარისია, რომ ჩვენს სიცოცხლეს ბოლო მოეღოს, ერთი წვეთი საწამლაკი იმდენად ძლიერია ჩვენი სიცოცხლის გამძლეობასთან შედარებით, რომ მასთან ბრძოლა ჩვენს ორგანიზმს არ შეუძლია. ერთი ბეწო ჭუჭყი საკმარისია მისთვის, რომ ჩვენი სისხლი მოიწამლოს და სიცოცხლის მაჯისცემა სამუდამოდ შეწყდეს; ტვინის ზედაპირზე წვრილი ქინძისთავის ერთი წინდაუხედავი ჩხვლეტა სავსებით საკმარისია, რომ ჩვენს მუდმივ ფუსფუსს ბოლო მოეღოს.

ამგვარად, ამკარაა, რომ ის უდიდესი ბოროტება, სიკვდილს რომ ვუწოდებთ, სულ უბრალო საბაბით კმაყოფილდება, რათა დაგვეპატრონოს, რათა ბოლო მოუღოს სიცოცხლეს, რომელიც უდიდესი დანიშნულებისათვის გვეგონია გაჩენილი. ჩანს, სიცოცხლეს სრულიად არ ჰქონია იმდენი თავდაცვის ძალები, რომ მისი დიდი დანიშნულების განხორციელება ოდნავ მაინც შესაძლებელი იყოს. და თუ ეს ასეა, მაშ შეცდომა იქნება ვიფიქროთ, თითქოს ჩვენს სიცოცხლეს ასეთი დიდი დანიშნულება ჰქონდეს საზოგადოდ – ცხადია, თუკი არსებობს მაღალი დანიშნულება მსოფლიო ცხოვრებისა, იგი კერძო ადამიანის ძალებით ვერ განხორციელდება. მისი სუბიექტი სხვაგან უნდა ვეძიოთ.

ერი, როგორც ცხოვრების აზრის სუბიექტი

მაგრამ ესეც რომ არ იყოს, სხვა მოსაზრებაც გვაიძულებს, რომ კერძო პიროვნება ცხოვრების აზრის განხორციელების სუბიექტად არ ვაღიაროთ. ეს გარემოება კერძო ადამიანის მოღვაწეობის სრული დამოკიდებულების ფაქტი გახლავთ.

კულტურული მოღვაწეობა რომ ავიღოთ, დავინახავთ, რომ მისთვის ერთგვარი ნიადაგია საჭირო, სადაც მუშაობა ისახება და მწიფდება, სადაც მასალა გროვდება და მუშავდება, მაგრამ ყველგან და ყოველთვის არ არის ერთგვარი არც ის პასიური მასალა, რომელიც აქტიურმა სულმა უნდა განჭვრიტოს და სხვისთვისაც გამჭვირვალედ უნდა აქციოს, და არც ის აქტიური ძალა, რომელიც ამ მასალას უნდა შეედუღოს. ერთის თავისებურება დამოკიდებულია განსხვავებულ ბუნებრივ პირობებზე, რომელიც სხვადასხვა ადგილას სხვადასხვანაირ სიმდიდრეს მალავს თავის წიაღში, და მეორეს განსაკუთრებულობა დაფუძნებულია წარსულ განცდათა თავისებურებაზე. ხოლო ბოლოს და ბოლოს ესეც იმავე ბუნებრივ პირობათა განსხვავებულობასაა მჭიდროდ შეკავშირებული. მართლაც, პირველი გრძობა, პირველი მისწრაფება და სურვილი იმ დროს, როდესაც ადამიანის სულიერმა ცხოვრებამ პირველად დაიწყო აღორძინება, აუცილებლად ფიზიკური გარესკნელის თვისებებზე იქნებოდა დამოკიდებული, მაგრამ ეს გარესკნელი სხვადასხვა ადგილას სხვადასხვა ხასიათისაა. მაშასადამე, იმთავითვე სხვადასხვანაირი უნდა ყოფილიყო ის სულიერი განცდებიც, რომლებიც მასზე იყო დაფუძნებული. სულიერი ცხოვრების შინაარსის ერთხელ შეძენილი თავისებურება კი არასდროს იკარგება. პირიქით, იგი საფუძვლად ედება და იწვევს უფრო ღრმა განსხვავებას და თავისებურებას მომავალში. და ეს იმიტომ, რომ ადამიანის სულიერი ცხოვრება ცოცხალი მორევია, რომელიც ერთხელ მიღებულ შთაბეჭდილებას, ერთხელ განცდილ გრძობას სამუდამო ადგილს უთმობს თავის უძირო კალაპოტში და მას იკვე არასდროს კარგავს; და რახან იგი შემდეგ ყოველ ახალ შთაბეჭდილებას, ახალ განცდას ადრე მიღებულის პრიზმაში ქრის და მისი საფერავით ღებავს, ამიტომ რაც უფრო რთულია წარსულ განცდათა შემადგენლობა, მით უფრო თავისებური იქნება ახლადმიღებულ შთაბეჭდილებათა ფერი. ხოლო ყოველი ახალი შთაბეჭდილება, ახალი განცდა მარტო ამ მხრით კი არ არის დამოკიდებული წარსულში მოგროვილ განცდებზე. აქ სხვაგვარი დამოკიდებულებაც არსებობს: საქმე ის არის, რომ ჩვენი ცნობიერებით წარსულში შეძენილი შინაარსი თავისებურ მიმართულებას აძლევს მის მოქმედებას და მას მხოლოდ ამ მიმართულებით ემარჯვება ახალი შთაბეჭდილებების მიღება.

ამგვარად, მუშავდება ჩვენი სულის ის თავისებური ტენდენციურობა, რომელსაც საზოგადოდ ინტერესს ვუწოდებთ. მაგრამ რადგანაც ერთსა და იმავე ბუნებრივ პირობებში მრავალ ადამიანს უხდება ცხოვრება, ამიტომ მათი სულიერი თვისებანი ერთი და იმავე შთაბეჭდილებების გამო ერთმანეთს უნათესავდებიან, ერთგვარი მისწრაფებით ივსებიან, ერთგვარი ინტერესებით ხელმძღვანელობენ. მათ შორის ეს სულიერი ერთიანობა ერთმანეთის სულიერი ცხოვრების გაგების თანაგრძობის შესაძლებლობას ედება საფუძვლად და, ცხადია, საერთო ცხოვ-

რების მოწყობის სურვილი, ერთად უღელის წევის შეთანხმება ჩაისახება. ასე ჩნდება ის მტკიცე სოციალური ძაფი, რომელიც მათ ერთ ეროვნებად აერთებს, ხოლო ეს გარემოება ახალ შემაკავშირებელ საფუძვლად ედება მათ აწმყო სულიერ ცხოვრებას. ამიერიდან ცალკე ფიქრი, ცალკე გრძნობა უკვე შეუძლებელია. ადამიანის სულიერი ცხოვრების მუშაობის ყოველი მომენტი მჭიდრო დაფებით არის გადახლართული თავის აზრსა და გრძნობასთან.

იგი ამგვარად მხოლოდ საერთო ნიადაგზე აშენებს და ამ ნიადაგის გარეშე დგომა მას ძალუძს. ამიერიდან მისი სულიერი ცხოვრების მორევში მარტო კერძოდ ნაგრძნობი და ნააზრევი როდი შედის და მთელ მის მიმდინარეობას თავისებური ფერით ღებავს; არა, საერთოდ ნაგრძნობი მისი სულიერი ცხოვრების მთლიანობის აუცილებელი ელემენტი ხდება. ამიტომ მისი აზრი და გრძნობა უკვე მისი აღარაა; ამიერიდან მასში ის რთული ერთეული მოქმედებს, ფიქრობს და გრძნობს, რომელშიც იგი შემადგენელ ნაწილად შევიდა.

აი, სწორედ ამის გამო არ შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ ცალკე პიროვნება იყოს კულტურული შემოქმედების სუბიექტი. და თუ ამას კიდევ ეროვნული ერთეულის დარღვევისა და მოსპობის სიძნელეს დავუმატებთ, მაშინ ცხადი შეიქნება, რომ კულტურული შემოქმედება მხოლოდ რთულ ერთეულთა ანუ ეროვნებათა ფარგლებში შეიძლება წარმოებდეს, რომ მის გარეშე შეუძლებელია იმ უაღრესი დანიშნულების შესრულებაც, რომელიც ჩვენს არსებობას უნდა ედოს საფუძვლად.

ომის პრობლემა

ახლა გადავხედოთ ომის პრობლემას. ყოველი ცალკე ადამიანის სიცოცხლე კერძო შედეგისათვის უმაღლესი ღირებულებაა. ამიტომ სიკვდილი, როგორც ამ სიცოცხლის ჯაჭვის დასრულება, უკანასკნელი რგოლი, ყველაზე უფრო შემბორკველი შიშის წყაროდ გვევლინება. ხოლო ომის დროს, თითქოს ძირიან-ფესვიანად ვიცვლებით. თითქოს სამუდამოდ ქრება ჩვენს არსებობაში დამარხული ბუნებრივი შიში სიკვდილის ბასრი ცელის წინაშე; თითქოს მიმზიდველი და მეგობრული სული ისადგურებს სიკვდილის ჩონჩხის ცივ ძვლებში. თითქოს მისი სულის შემხუთველი ხელის მოჭერა გულითადი და სანატრელი მეგობრის სალამივით ათბობს ჩვენს არსებას. ამიტომ ათასობით ახალგაზრდა სიცოცხლე თავისი ნებით უშიშრად და ამაყად მიდის სიკვდილის შესახვედრად, ხოლო მტრის ბანაკიდან მოსული ამბები ჩვენს მოპირდაპირეთა მუსრის გავლების შესახებ მუდამ დაუსრულებელ სუხარულსა და აღტაცებას იწვევს ჩვენს არსებაში.

ომიანობამ ამნაირად არც საკუთარი სიკვდილის წინაშე და არც სხვისი მკვლევლობით გამოწვეული სინდისის ქენჯნა იცის. ჩვენ უკვე ზევით მივუთითეთ ჩვენი სულის ამ საკვირველ მოვლენას, ამ საიდუმლო თვისებას. ხოლო მაშინ იგი აუხსნელ პრობლემად მოგვეჩვენა. მაგრამ ახლა, როდესაც ჩვენი არსებობის საიდუმლოებას ფარდა ახება, უკვე აშკარაა, რომ სხვანაირად შეფასება ომის ველზე დაბადებული სიკვდილისა და მკვლევლობისა შეუძლებელიც იქნებოდა.

მართლაც, ან კი რად უნდა იწვევდეს შიშს ჩვენი ცხოვრების მთელ მომენტში სიკვდილის ფაქტი. ადამიანის არსებობის დანიშნულება ხომ ბედნიერება არაა, იგი ხომ ჩვენი სუბიექტური ცხოვრების ფარგლებს გარეშე, ობიექტური ღირებულების განხორციელებაში მარხია. მაშასადამე, რა გასაკვირია თუ ცხოვრების ჩვენგან დამოუკიდებელი ობიექტური აზრი, რომელიც უშუამავლოდ და დამოუკიდებლად ხორციელდება, თავის ტრიალში ჩვენ არ გვეკითხება და ხშირად ჩვენი გონებისათვის შეუფერებელსა და გამოურკვეველ ნაბიჯებს გვადგმევინებს. რა არსებობის აზრი იქნებოდა იგი, თუ ცხოვრებაში ისეთ მომენტებს ექნებოდა ადგილი, რომელნიც მის ბატონობას არღვევენ და აქარწყლებენ. სიკვდილი, როგორც დავინახეთ, მხოლოდ ჩვენი გონებისათვის არის მუდამ და ყოველთვის უაზრობა. ცხოვრების ობიექტური დანიშნულებისათვის იგი, როდესაც ცალკე პიროვნებას ეხება, სულ ერთია, მაშასადამე, რამდენიც არ უნდა გველაპარაკოს ჩვენი გონება და მისი ხელმძღვანელობით აღზრდილი ჩვენი გრძნობიერება, სიკვდილი, როდესაც მას ცხოვრების აზრის ინტერესები მოითხოვს, არ არის უაზრობა. ამიტომ ასეთ მომენტებში ჩვენი გონების ჩვეულებრივი შეფასების და შეხედულების წინაშე, ადამიანის არსების ფარული სიღრმიდან მაინც თავს ამოყოფს მისი დანიშნულების შეგნება და ბუნებრივისა და უშუამავლო რწმენის სახით სიკვდილს რაინდობად ნათლავს და მკვლევლობას – გმირობად.

აქედან ცხადია, რომ ომი ჩვენი შეხედულებით სწორედ ისეთი მდგომარეობა ყოფილა, რომელიც განუყრელი კავშირით უნდა იყოს მიმაგრებული ცხოვრების აზრის მიზანშეწონილ ტრიალთან; ერთი სიტყვით, გამოდის, რომ ომი ცხოვრების დანიშნულებით არის ხოლმე გამოწვეული, რომ იგი მას ემსახურება და ამიტომ იგი აუცილებელიც არის და სასურველიც. მაგრამ არის კი ასე? ამ საკითხის გადაჭრა არც ისე გაგვიჭირდება, თუ ჩვენ ერთხელ არჩეულ გზას არ გადავცილდებით და ერთხელ შემუშავებულ თვალსაზრისს არ ვუღალატებთ. ცხოვრების აზრი ღვთისაგან დაწყებული საქმის განგრძობაა, იგი განსულიერებაა და გაცხოველება მთელი მსოფლიოსი, ხოლო სუბიექტი ანუ აგენტი, რომელსაც მისი განხორციელების ძალა შესწევს, ან ეს დაკისრებულიც აქვს, ცალკე ეროვნების სულია. ეროვნული სული კი ის საერთო ატმოსფეროა, რომელსაც ყნოსავს და ისისხლხორცებს ეროვნების ყველა კერძო წევრი. იგი ცნობიერების შინაარსის პირველი საერთო შთაბეჭდილებებით შექმნილი ერთიანობაა. ეს ერთიანობა საფუძველია ახალ შთაბეჭდილებათა ერთნაირი შეფასებისა და შეთვისებისა. იგი ამგვარად განვითარების ერთი და იმავე გზის არჩევაა, და რადგან მთელი მომავალი ყოველთვის წარსულისა და მყოფადის წიაღთაგან გამომდინარეობს და ირკვევა, ამიტომ ეროვნული სული მთელი მომავალი კულტურის განსაზღვრული სახისადმი მისწრაფებაა.

ასეთია ეროვნული სული.

ერი როგორც ცხოვრების აზრის სუბიექტი

ამ თვალსაზრისით აშკარა ხდება ის სიღრმე სხვადასხვაობისა, რომელიც ცალკე ეროვნებათა სულზე აღბეჭდილი, და რადგან ახლად დაბადება წარმოუდგენელია, რადგანაც დაწყებულ გზაზე სიარულის მიტოვება და უკან დაბრუნება სულიერი ცხოვრებისათვის შეუძლებელია, ვინაიდან ეს დაბრუნება წარსული განცდა იქნებოდა, ესეც კიდევ ახალ ამოუშლელ ელემენტით შევიდოდა სულიერი ცხოვრების ფარგლებში და მის განსაკუთრებულობას სხვებთან შედარებით კი არ მოსაპოვდა, კიდევ უფრო გააღრმავებდა, ამიტომ ცოცხალი ერისათვის მეორე ერში მისი გათქვეფა ან ასიმილაცია სიკვდილსა და სრულ მოსაპოვას უდრის.

ასეთი მოვლენა კი ცხოვრების დანიშნულების ერთ სუბიექტს მოაკლებდა და, მაშასადამე, ცხოვრებაში ისეთ ფაქტს ექნებოდა ადგილი, რომელიც არსებობის საერთო დანიშნულებას კი არ ემორჩილება, არამედ მას გზაზე ეღობება.

ცხადია, ამგვარად, რომ ცხოვრების აზრი ყოველი ცალკე ეროვნული სულის ინტერესების სრულ განხორციელებას მოითხოვს. მაგრამ ეროვნება მრავალია. მაშასადამე, ნამდვილი ცხოვრების აზრი და მისი ობიექტური დანიშნულება მხოლოდ მაშინ იდგება განხორციელების გზაზე მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება იგი ცხოვრების ნამდვილი აზრი, თუ ეროვნებათა ინტერესები არსებითად ერთმანეთის წინააღმდეგ არ არის მიმართული, თუ მათ შორის ანტაგონიზმი და წინააღმდეგობა ნამდვილად არ არსებობს, თუ მათი განვითარება და სრულყოფა ერთსა და იმავე დროს შესაძლებელია. ერთი სიტყვით, ნამდვილი ცხოვრების აზრი, ეროვნებათა სოლიდარობას მარტო სასურველად კი არ ცნობს, არამედ აუცილებლად გულისხმობს და მოითხოვს.

მაგრამ ისტორიული სინამდვილე სულ სხვას გვეუბნება. იგი ხშირად შლის ხოლმე ჩვენს წინაშე სურათის ეროვნებათა ქიშპობისა და ერთმანეთის ჩაყლაპვის სურვილისა. იგი თითქოს სულ მუდამ გვარწმუნებს, რომ ერთა სოლიდარობა მხოლოდ უსაქმურთა და მეოცნებეთა ალვირახსნილი ფანტაზიის ნაყოფია, რომ იმ ურიცხვ ომთა რიგი, რომელიც მთელი ჩვენი ისტორიული წარსულის საწყაურს ავსებს, ერთა სოლიდარობის უნიადაგობას ყველასათვის საკმაო ნათელს უნდა ჰფენდეს. ერთა შეჯახება, ერთა გადაკიდება მართლაც ისტორიული ფაქტია. მაგრამ განა ეს გარემოება ამტკიცებს ერთა სოლიდარული განვითარების შეუძლებლობას და, მაშასადამე, ჩვენგან აღიარებული სიცოცხლის აზრის მცდარობას?

თანამედროვე ომები და უმეტეს ნაწილად უწინდელებიც გამოწვეული იყო თითქმის მუდამ ეგრეთ წოდებული „ეკონომიკური“ ინტერესებით. ერს ან ბაზარი ესაჭიროებოდა და ან ახალი მიწა გამრავლებულ მცხოვრებთათვის. ამიტომ იგი მეორე ერის ინტერესთა სფეროების საზღვარს გადალახავდა ხოლმე, და ეს უკანასკნელი თვისი ინტერესების შემბლაღველს ბუნებრივსა და კანონიერ წინააღმდეგობას გაუწევდა. შედეგი თითქმის ყოველთვის ომი იყო. მაგრამ ეკონომიური ინტერესი არსებითად, სრულებით არ მოითხოვს სხვისი ინტერესების შებლაღვას. სურს რომელიმე ერს თავისი წარმოების გაფართოება, მას სურს თავისი მცხოვრებთათვის საარსებო ლუკმის მოპოვება? მას ამისთვის სხვა გზა

აქვს, და გზა უფრო ბუნებრივი და კეთილშობილი. ადამიანის სულის სიძლიერე განუსაზღვრელია; ბუნებრივ ძალთა გამოყენების დაუშრეტელი შესაძლებლობაა. საჭიროა მთელი სულიერი ძალების ამუშავება, შექრა ბუნების სამფლობელოში, მის საიდუმლოებათა განჭვრეტა. ერთი სიტყვით, საჭიროა ძალდატანება სულიერ საუნჯეთა განვითარებისათვის. მაგრამ მარტო გარე ბუნება კი არ არის გასაჭვრეტი, განსასულიერებელი. საზოგადოებრივ, სახელმწიფოებრივ და სხვა დამოკიდებულებათა მოწყობის, შესაძლებლობაც ყველა პასიურ ბუნებრივ მომენტს წარმოადგენს. საჭიროა აქაც მათი განჭვრეტა, მათი საუკეთესო ფორმების გაგება, და თქვენთვის უკვე გადაწყვეტილი იქნება ყველა თქვენი მოთხოვნილების დაკმაყოფილების არსებითი, ეკონომიური იქნება ეს მოთხოვნილება თუ სხვა, სულ ერთია.

* * *

თუ იმ ერის ცხოვრებაში, არსებითად მხოლოდ პრობლემას უყენებს მისი სულიერი ცხოვრების პოტენციებს, წინსვლას, განვითარებას, მოქმედებას მოსახოვს მას. მაგრამ ზოგი ერი სულის ამოძრავებასა და ამოქმედებას ხშირად მის გაუნძრევლობასა და შეუწყუნებლობას არჩევს. ამიტომ იგი თავისი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად სხვას, უფრო ადვილ გზას ეძებს. იგი სხვა ერს ეცემა და მისი ჩაყლაპვით თავისი ინტერესების გაძლოლას ლამობს.

ამგვარად, თქვენ ხედავთ, რომ ერის ნამდვილი ინტერესები ომს არ მოითხოვს. პირიქით, ომი სხვის თავზე დასხმის სახით ღალატია ეროვნული სულის ნამდვილი ინტერესებისა, რომელიც, როგორც ვიცით, მის მუდმივ განვითარებასა და წინსვლაში პოულობს თავის დანიშნულებას და არა მის დაძაბუნებასა და დატუქსვაში და მისი განვითარების დროებით შეჩერებაში. ომი კი, სწორედ იმ ერის ინტერესებში დაძაბუნებას იწვევს, რომლის წინააღმდეგაც არის იგი მიმართული, და ამავე დროს ომის გამომწვევი ერის სულიერი შემოქმედების დროებით შეჩერებას, რადგან იგი თავისი ინტერესების დაკმაყოფილებას ახალი ფორმების შემოქმედების მაგიერ სხვისი ინტერესების დატუქსვაში ეძებს.

ცხადია ამგვარად, რომ ცხოვრების აზრი თავისთავად სრულებით არ მოითხოვს ომს, როგორც თავისი განხორციელების აუცილებელ იარაღს. იგი ამგვარად არ იწვევს ომს, მაგრამ რაკი ეს უკანასკნელ ფაქტად იქცევა, ცხოვრების აზრი უკვე ცდილობს მის დამორჩილებას და თავისი მიზნებისათვის გამოყენებას. ომი ცხოვრების აზრის თვალსაზრისით არ არის საჭირო იმ ერისათვის, რომელმაც იგი გამოიწვია. მაგრამ იგი შეიძლება დამღუპველი იყოს იმ ერისათვის, რომლის წინააღმდეგ არის იგი მიმართული. აქედან ცხადია, რომ იერიშის მიმტანი ეროვნება, ამ შემთხვევაში, ცხოვრების ობიექტური დანიშნულების საწინააღმდეგო მიმართულებას იღებს, მაშინ, როდესაც მოგერიებითი პოლიტიკის მიმდევარი ერი თავისი ვინაობის, თავისი განვითარების და დანიშნულების შესაძლებლობის დაცვით არის გატაცებული. და, მაშასადამე, ცხოვრების აზრის განხორციელების გზას ადგია.

აქედან ცხადია, რომ ყოველი ცალკე პიროვნების ცნობიერებაში, რომელიც თავის ღრმა კუნჭულებში მაინც ცხოვრების აზრის შესაფერი გამოხატულების მატარებელია, ორგვარი განწყობილება იქნება ომისადმი. როდესაც ომი მოგერიებითი ხასიათისაა, მაშინ თითოეული პიროვნების ძალღონე ეროვნული ვინაობისა და არსებობის დაცვისკენ, ე. ი. ცხოვრების აზრის განხორციელებისაკენ არის მიმართული; ასეთ შემთხვევაში ყველას სიამოვნებითა და აღტაცებით მიაქვს ზვარაკად თავისი სიცოცხლე ომის სამსხვერპლოზე. ასეთი ომის დროს ადამიანის ჩვეულებრივ შიშს სიკვდილის წინაშე ადგილი აღარ რჩება და ყველა რაინდად და გამირად იქცევა. ამიტომაც იბადება ყოველთვის თავდაცვითი ომის დროს საკვირველი ერთსულოვნება ერის სხვადასხვა ნაწილთ შორის, და ისიც კი, ვისაც აბსოლუტურად ომის წინააღმდეგ მოაქვს თავი, ისიც ერთბაშად იცვლება და მახვილით ხელში მტრის წინააღმდეგ ილაშქრებს. ვინც თვის მოძმეს მუდამ მტრულად ეგებოდა, ვინც სისხლის დანახვაზე საშინელებით ცახცახებდა, ვისაც სასიკვდილოდ უბრალო მწერიც არ ემეტებოდა, ახლა გამხეცებულ მეომრად იქცევა და ცეცხლითა და მახვილით მტრის ბანაკში სიკვდილი და მუსრი შეაქვს. მხოლოდ მოგერიებით ომს შეუძლია წარმოშვას ისეთი წარმტაცი პიროვნებები, როგორც მაგალითად, საფრანგეთის ეროვნული გმირი ჟანა დარკი იყო. მაგრამ, როდესაც ომი შეტევითი ხასიათისაა, როდესაც მას მიზნად სხვა ერის ინტერესთ გადალახვა და მისი დაძაბუნება აქვს დასახული, მაშინ ყოველი ცალკე პიროვნების ცნობიერების ღრმა კუნჭულში იბადება და იზრდება თანდათანობით, მაგრამ განუწყვეტლივ, ღრმა წინააღმდეგობა ამ ომისადმი. მისი, როგორც დიდი ბოროტების შეფასება, მაშინ თავგანწირვა და გამირობა სანთლით საძებნი ხდება. შიში და მნდალობა სიკვდილის წინაშე ჩვეულებრივსა და გადამდებ სენად იბუდებს და ვრცელდება ხალხში; მოლაღატეთ რიცხვი თანდათან მრავლდება, და ასე ამ სახის ცხოვრების აზრი სასტიკად სჯის მას, ვინც მისი განხორციელების გზაზე სიარულის სიძნელეს გაექცა და უფრო ადვილად სავალი გზა აირჩია. ამგვარად, ჩვენ ვხედავთ, რომ მოგერიებითი ომი ჩვეულებრივ გმირული სულის განწყობილებას იწვევს, სულის განწყობილებას, რომლისთვისაც უცხოა შიში და სიკვდილის რიდი; ხოლო შეტევითი ომი სამაგიეროდ ნიადაგად იქცევა, რომელზეც ადვილად იზრდება სიმხდალე, შიში და უკმაყოფილება ომის დამწყებთა მიმართ. ჩვენ უკვე ვიცით, თუ რად ხდება ასე. პირველ შემთხვევაში ერის ინტერესებს ემუქრებიან, მის დატუქსავს ლამობენ, ე. ი. ცხოვრების დანიშნულების სუბიექტს გულზე ფეხს აბიჯებენ. ეს კი ცხოვრების აზრის საწინააღმდეგო აქტია. აქ, მაშასადამე, თავის დამცველი ერი, დამცველი გამოდის თვით ცხოვრების აზრის განხორციელებისა. ამიტომ აქ ომი გამირობად იქცევა. მეორე შემთხვევაში კი იგი ცხოვრების აზრის წინააღმდეგ არის მიმართული. ცხადია, ასეთმა ომმა საზოგადოდ გამირობა და გატაცება არ უნდა იცოდეს. მაგრამ შეტევითი ომი ხშირად მოგერიების ხასიათს იღებს. ეს ხდება განსაკუთრებით მაშინ, როდესაც მოპირდაპირე ძლიერი აღმნორჩნდება. ასეთია მაგალითად, დღევანდელი ომი, რომელიც გერმანიის მთავრობამ დაიწყო; ამ სახით იგი შეტევითი ომია, მაგრამ იმთავითვე აშკარა შეიქნა,

რომ გერმანელთა დამარცხება აუცილებლად მთელი გერმანიზმის დატუქსვით და დაქვემდებარებით გათავდებოდა.

ამგვარად, ეს შეტევითი ომი მოგერიებით ომად გადაიქცევა და გერმანელე-ბი გრძნობენ, რომ ისინი მარტო თავიანთი ეროვნული ინტერესების სფეროების გასაფართოებლად კი არ იბრძვიან, არამედ თავიანთი ვინაობის ღირსეულად შე-ნახვისთვისაც. მხოლოდ ამით აიხსნება ის უკიდურესი გატაცება თანამედროვე ომით, რომელიც გერმანიის საზოგადოების ყველა სფერომ განიცადა.

თუ შეტევითი ომი ცხოვრების აზრის განხორციელების მცდარ გზაზე სრბო-ლაა და მოგერიებითი ომი მისი პირდაპირი მსახურება, აქედან ცხადია, პირვე-ლი მუდამ დამარცხებით უნდა თავდებოდეს და მეორე კიდევ აუცილებელი გა-მარჯვებით. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენგან აღიარებული აზრი ცხოვრებისა ნამდვილი ცხოვრების აზრი არ იქნებოდა. ცნება ცხოვრების აზრისა ხომ მთელი ცხოვრების მიმდინარეობის მისკენ მიმართვასა და ყოველი ცალკე მომენტის მის-თვის მსახურებას გულისხმობს. მაშასადამე, იგი არსებობის ყოველ ფაქტში უნდა ხორციელდებოდეს, და არც ერთ ფაქტს არ უნდა ჰქონდეს ადგილი, რომელიც მას ეწინააღმდეგება. ისტორიული წარსულის წიგნი რომ გადავფურცლოთ, მართ-ლაც ხშირად შევხვდებით ისეთ მომენტებს, რომლებიც ამ დებულებას ბრწყინვა-ლედ ამტკიცებენ. აიღეთ თუ გნებავთ ძველ სპარსელთა ომი ელადასთან. ყველამ იცის, რომ ამ ორი ერის ძალთა განწყობილება ისეთი იყო, რომ ელინთა დამარ-ცხება თითქმის უეჭველი იყო, მაგრამ ბერძნები, უწინარეს ყოვლისა თავიანთი დაცვის საქმეს ემსახურებოდნენ და სხვა პირებთან ერთად სწორედ ამ გარემო-ებამ შთაბერა უტეხი და უძლეველი სული ბერძენთა ტომებს, და ბოლო ამ ომისა სპარსელთა ურიცხვი ჯარის დამარცხება იყო. სულის ასეთ აღფრთოვანებას ჩვენ ზნეობრივ ძალას ვუწოდებთ ხოლმე, და სწორედ ეს ზნეობრივი ძალაა, ბევრ სხვა ომის მოულოდნელ შედეგს რომ გასაგებად ხდის. მაგრამ მეორე მხრივ, ხშირად შეხვდებით ომების მატრიანეში ისეთ ამბებსაც, რომლებიც სულ სხვას გვეუბნე-ბა. აიღეთ მაგალითად, რომაელთა ომი პუნიელებთან. მოგვხსენებათ, იგი პუნი-ელების სრული დამარცხებით დასრულდა. ჩვენი თეორიით კი უფრო მოსალოდ-ნელი იქნებოდა პუნიელების გამარჯვება. მაგრამ ომში მარტო ზნეობრივი მო-მენტი როდი თამაშობს როლს. აქ დიდი მონაწილეა აგრეთვე სრულიად გარეშე ხასიათის პირობები. მაგალითად, გეოგრაფიული შეუფერებლობა სტრატეგიული თვალსაზრისით, ან ხალხის სიმრავლე, ან საზოგადო ტექნიკური განვითარება. პუნიელებს საკუთარი ჯარი არც კი ჰყავდათ, რომ მრავალრიცხოვან რომაელთა ლეგიონებს გამკლავებოდნენ. მოვაჭრე პუნიელები მაინც და მაინც არ აქცევდნენ დიდ ყურადღებას თავიანთ საომარ ძალთ განვითარებას. მათ ფული ჰქონდათ და ფულით კი, მათი შეხედულებით, ისეთ ჯარს იქირავებდი, როგორსაც მოსურ-ვებდი. მაგრამ ნაქირავები ჯარისკაცი, უცხო ქვეყნიდან გადმოგდებული, ცუდი დამცველი იქნებოდა უცხო ერის ინტერესებისა. ამიტომ საკვირველი არ არის, რომ პუნიელები დამარცხდნენ.

მაშასადამე, ეს ომი სრულებით არ ეწინააღმდეგება ჩვენგან წამოყენებულ შეხედულებას, პირიქით, იგი კიდევ ამტკიცებს მას. მართლაც, მხოლოდ თავდაცვით ომს შეუძლია წარმოშვას ისეთი გმირები, როგორც იყო დიდი ჰანიბალი. განსაკუთრებით უკანასკნელი ომის დროს, როდესაც კართაგენი სამუდამოდ ეცემოდა, იფეთქა საკვირველი სულის სიმტკიცემ კართაგენის მოქალაქეთა შორის: რომაელთა დიდ ჯარს ძალზე გაუჭირდა პატარა იარაღსხნილი კართაგენის ალება და კინალამ დამარცხებული დაბრუნდა ომის ველიდან, მაგრამ რიცხვმა და იარაღმა მაინც სძლია სულგანწირულთა მხნეობასა და გმირობას და კართაგენი დაეცა.

თქვენ ხედავთ, რომ ამ კართაგენელთა ცხოვრებისა და გრძნობის მიმართულება და მათი დამარცხება მართლაც უფრო ამტკიცებს ჩვენს თეორიას, ვიდრე რომაელების გამარჯვება არღვევს მას.

ამგვარად, ომის ფაქტი თავისთავად ძირიანად ეწინააღმდეგება ცხოვრების აზრის ძირითად მიმართულებას და, სწორედ ეს გარემოება ხსნის იმ საკვირველ მოვლენას, რომ თავდაცვითი ომი თავგანწირვისა და გმირობის უშრეტ წყაროდ იქცევა, და ხშირად სუსტი და მცირერიცხოვანი ერი ძლიერსა და უდრეკ ერთან შეტაკებაში გამარჯვებული გამოდის. მაგრამ ბოლოს და ბოლოს ცხოვრების აზრმა მაინც თვის შესაფერ კალაპოტში უნდა ჩააყენოს ადამიანთა მოქმედების ათასგვარი მცდარი და შეუფერებელი სახე და ცხოვრების ყოველი სფერო თავისი მიმართულებით უნდა აამოძრავოს. ჩანს უნდა დადგეს ისეთი დრო, როდესაც ფუჭი და უაზრო ხარჯვა ჩვენი ენერჯიისა სამუდამოდ უნდა აღიკვეთოს; უნდა დადგეს ისეთი ხანა, როდესაც სხვათაშორის ომიც, სრული დავიწყების ტალღებს უნდა გაჰყვებს. მაგრამ როგორ განხორციელდება ეს ხანა რეალურად, და არის თუ არა თანამედროვე ომი უკანასკნელი რგოლი იმ სისხლში ნაბანი ჯაჭვისა, რომელიც დღევანდელ კულტურულ კაცობრიობას თავის ველურ წინაპრებთან აკავშირებს, – ეს სულ სხვა ხასიათის პრობლემებია და მათი გადაწყვეტა ნაშრომის საზღვრებს სცილდება.

1. გაზეთი „სახალხო ფურცელი“, 1914, № 148, 149, 159, 153, 155.

2. იხ. D. Uznadse, *W Solowiow, seine Metaphysic und Erkenntnistheorie*, S. 162 ff.